


1162  
2000



# ისტორიულ-კულტურული ძეგლები

I






საქართველოს მთავრობის აკადემიუმის  
03. ქავახიშვილის სახალოგის  
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

21/06/66

# ისტორიულ-ეთნოგრაფიული პირანი

თბილისი  
2000



კრებულში განხილულია ისტორიისა და ეთნოგრაფიის მნიშვნელოვანი საკითხები. ავტორები გვაცნობენ ეთნიკურ პროცესებს საქართველოს ქალაქებში, დაბლთა მოვრაციისა და ქართულ-განახური ყოფილი ურთიერთობის ხასიათს, საცხოვრებლებისა და დასახლების ფორმებს, საქორწილო და საოჯახო ურთიერთობის თავისებურებებს, აღზრდის ხალხურ სისტემას, ეპიზოდებს ქართული კულტურისა და ეთნოგრაფიის ისტორიიდან. დღემდე უცნობი ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე შექმნილი ნაშრომები განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, მაგ მსტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

**რედაქტორი:**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი ვალერიან ითონიშვილი

**რეცენზენტები:**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები

გურამ გასიტაშვილი და ლევან ფრუბაძე

გამოცემულია ივლისთა სარჩით

გამოშცემლობა  
“CUNA Georgica”

თბილისი

2000

## თადო სახოკიას დვაცლი ჩართულ ეთნოგრაფიაში

ცნობილ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელთაც ილია ჭავჭავაძის მესვეურობით უდიდესი როლი შეასრულეს ქართული ეთნოგრაფიის განვითარებაში, თედო სახოკია ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა. მან ხანგრძლივი და ფრიად ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების გზა განვლო. ზუგდიდის მაზრის სოფელ ხეთაში დაბადებული და მარტვილის სასულიერო სემინარიაში სასწავლებლად მიბარებული მომავალი მოღვაწე თავიდანვე კარგად გაეცნო მშობელი ხალხის ყოფას და ტრადიციებს. თბილისის სასულიერო სემინარიაში საკმარი ნათლად ჩამოყალიბდა მისი შეხედულებები ქართველი ხალხის ცხოვრებაზე, სოციალურ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მდგომარეობაზე, მის კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობაზე, ხოლო უწევისა და პარიზის უმაღლეს სასწავლებლებში თ. სახოკია დაეუფლა მეცნიერული მუშაობის საფუძვლებს. თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში იგი დაუდალავად ემსახურებოდა ქართული ენის, ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტიკის განვითარების საქმეს. თ. სახოკია იყო ცნობილი მთარგმნელი, დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე და მგზნებარე პატრიოტი.

აღნიშნულ დარგებს შორის თ. სახოკია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეთნოგრაფიას, რასაც თვალნათლივ გვიჩვენებს მისი მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა. პარიზში ყოფნის დროს თ. სახოკია სისტემატურად მონაწილეობდა დე-მორტილიეს სახელობის სემინარებში და პარიზის ისტორიული ძეგლების გაცნობის მიზნით მოწყობილ ყოველკვირეულ ექსკურსიებში. სპეციალობაში ასეთ დონეზე მზადებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. 1903 წელს მან პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე — „ყვავილ-ბატონები საქართველოში“, რაც დიდი მოწონების ნიშნად გამოამვენეს, ხოლო მომხსენებელი აირჩიეს სენატული საზოგადოების საზღვარგარეთულ წევრ-კორესპონდენტად. სამშობლოში დაბრუნებამდე

თ. სახოკია რეგულარულად ბეჭდავდა ეთნოგრაფიულ ნარკვევებს ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ამ მიმართ მუშაობა უშუალოდ შეესაბამებოდა იმ მიზნებსა და ამოცანებს, რაზე-დაც თვითონვე წერდა: „იმთავითვე ძალიან მაინტერესებდა ყოველი ორ-განული არსი, და, უმთავრესად აღამიანის წარმოშობის ისტორია, მისი პირველყოფილი მდგომარეობა და კულტურა, თანდათანი, ტაატით მა-ვალი პროგრესი, ვიდრე დღვენდელ მდგომარეობამდე მოაღწევდა. ჩემი გული მიიწვედა კერძოდ ეთნოგრაფიისაკენ, რომელიც, დაბოლოს, ჩემს სალიტერატურო მუშაობაში ჩემს სპეციალობად უნდა გამეხადა“ (5, გვ. 227-228).

ამ განზრახვით შთანოგებული სწავლული პირველი იყო ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელმაც სპეციალური განათლება მიიღო ეთნო-გრაფიის დარგში. მისი სახით ევროპიდან საქართველოში დაბრუნდა აღიარებული პროფესიონალი, რომელიც დაუფლებული იყო ეთნოგრა-ფიული კვლევა-ძიებისა და საგელე მუშაობის მეთოდებს. სამშობლოში დაბრუნებული მკვლევარი დიდი გულმოლგინებით აგრძელებს ქართვე-ლი ხალხის ყოფისა და ტრადიციების შესწავლას და ეროვნულ პერიო-დულ გამოცემებში აქვთნებს ეთნოგრაფიულ გამოკვლევებს თუ პუბ-ლიცისტურ-ეთნოგრაფიულ ნარკვევებს. მისი მოგზაურობის მარშრუ-ტების, მასალების მოპოვებისა და კვლევა-ძიების გეოგრაფია მოიცავდა დასავლეთ საქართველოს კუთხებს. სპეციალური ეთნოგრაფიული გა-მოკვლევები და პუბლიცისტურ-ეთნოგრაფიული ნარკვევები ავტორმა გამოსცა ორ წიგნად (6,7), რითაც მან წარმოადგინა ხანგრძლივი ნაყო-ფიერი მუშაობის შედეგად შექმნილი ძირითადი სამეცნიერო და პუბ-ლიცისტური მემკვიდრეობა.

პუბლიცისტურ-ეთნოგრაფიული სტრუქტურის მქონე წიგნში (6) ავ-ტორი გვაცნობს გურიის, აჭარის, სამურზაყანოსა და აფხაზეთის მოსა-ხლეობის ყოფა-ცხოვრებას, წარმოაჩენს მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესებს, ქება ეროვნულ ტკივილებს. „მოგზაურობათა“ ციკლში თ. სახოკია გვერდს უკლის სამეგრელოს, ვინაიდან მეორე წიგნი მთლიანად მის ეთნოგრაფიულ შესწავლას მიუძღვნა. თუმცა ისიც უნდა აღინი-შნოს, რომ „მოგზაურობანი“ სამეგრელოს ნაწილსაც მოიცავს სამურ-ზაყანოს (თანამედროვე გალის რაიონის) სახით, რომელიც ქართველ-ე-

ბით (მეგრულებით) იყო დასახლებული, იქ აფხაზები არ ცხოვრობდნენ  
და, ამდენად, ის აფხაზეთის ნაწილად ვერ განიხილებოდა. უფრო კი მათ და აფხაზეთის ავტონომიურ ჩესპუბლიკად ფორმირებული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი სამეგრელოს მიწა-წყალს მოიცავს და აფხაზები იქ უმნიშვნელო უმცირესობის სახით მოსახლეობდნენ. ამდენად, საკუთრივ სამურზაყანოში და საერთოდ აფხაზეთში მოპოვებული მასალები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ერთდროულად განიხილება მონაცემებად ქართველების (მეგრულების) და აფხაზების, სამეგრელოსა და აფხაზეთის შესახებ.

„მოგზაურობათა“ ჟანრის ნარკვევებში, რაც 1896-1904 წლებში „მოამბეში“ და „ცნობის ფურცელში“ ქვეყნდებოდა, ეთნოგრაფიული დაკვირვებები შეეხება სამეურნეო ყოფას (მიწათმოქმედება, მეფუტკრეობა...), ხელოსნობას, დასახლების ფორმებს, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, ტანსაცმელს, ხალხური ტრანსპორტის სახეობებს, ოჯახის სტრუქტურას, საქორწინო წეს-ჩვეულებებს, შრომის ორგანიზაციის ფორმებს, ხალხური მმართველობის სისტემას, ჩვეულებითი სამართლის ნორმებს, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს.

თ. სახოკია თანაბარ დაინტერესებას იჩენს ყოველი ნანახისა და გაგონილისადმი, ზუსტად აღწერს სამეურნეო იარაღებს, შინ მოსახმარი ნივთებს, სახლ-კარს თუ სოფელს, გვაცნობს მეურნეობის დარგებს და შრომა-საქმიანობას, გადმოგვცემს ამასთან დაკავშირებულ ზეპირ თქმულებებსა და ლეგენდებს. აღწერასა და კვლევაში თ. სახოკია ავლენს არა მარტო არსებულ რეალობას, არამედ მისი შექმნისა და ფუნქციონირების საფუძველს. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი გურიაში, ოდა-სახლების გავრცელების საფუძვლად მიიჩნევს ადგილობრივ კლიმატურ პირობებს. მისი დაკვირვებით, „სინესტის შიშით ჭიოთკირის სახლებს აქ იშვიათად აკეთებენ. უფროსერთი აქაური სახლი ფიცრისაა... აქაური სახლის საძირკველი ადლნახევრის სიმაღლეზე დგას, დედამიწიდან აშორებული... ნიადაგს აშორებულ სახლს ტენი არ ეკარება, კედლები მშრალად ინახება (6, გვ. 20-21). მისივე განმარტებით, ხის სახლების მშენებლობას განაპირობებდა ხე-ტყის სიუხვე. აღწერილია აგრეთვე ამგვარი ტიპის ნაგებობის კონსტრუქცია სართულების, საცხოვრებელი ოთახების და სამეურნეო დანიშნულების მქონე განყო-

ფილებების ჩვენებით. თ. სახოკია განსაკუთრებით ვრცლად აღწერს ზონური მეურნეობის სფეროში გამოყენებულ ნაგებობებს აჭარის მიმდევარებულ გიერთ შემთხვევაში კი მკვლევარი საგანგებოდ ეხება ერთ რომელიმე კუთხეში შენიშნულსა და მისთვის დამახასიათებელ დეტალს თუ მოვლენას. ასეთად მას მიუჩნევია სამურზაყანოში და სამეგრელოში ნანახი კველა — დასაჯდომად გამოყენებული ფეხებიანი ძელი, რაც ფაცხის შუაგულში დანთებულ ცეცხლთან მდგარა. აღწერილობის თანახმად, შუაცეცხლის (კერის) ორ მხარეზე მდგარი ერთი კველა განკუთვნილი იყო მამაკაცებისათვის, ხოლო მეორე — ქალებისათვის. თ. სახოკია ამის ანალოგიურ მოვლენად განიხილავს მამაკაცებისა და ქალების ცალ-ცალკე სადილობის წესსაც, როგორც მამაკაცის პრიორიტეტის გამომხატველ უძველეს ტრადიციის. იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მკვლევარი ცალკეულ ეთნოგრაფიულ კომპონენტებს, შეიძლება დავიმოწმოთ მისი აზრი კერიანი და ბუხრიანი სახლის შესახებ. კერისა და ბუხრის მიხედვით მან განსაზღვრა ნაგებობის კონსტრუქციის ქრონოლოგია: კერიან-შუაცეცხლიანი სახლი ძველი ტიპის ნაგებობად მიიჩნია, ხოლო სახლის ერთ კედელთან მოწყობილი ბუხარი ახალი ტიპის ნაგებობის შექმნას დაუკავშირა.

საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებთან ერთად თ. სახოკია გვაცნობს დასავლურ-ქართული დასახლების ტიპს და კარ-მიღამოს. შედარებითი ანალიზის საფუძველზე მან თვალნათლივ დაგვანახა განსხვავება დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ გაშლილ დასახლებასა და აღმოსავლეთ საქართველოსათვის ნიშანდობლივ შეგგუფული ტიპის დასახლებას შორის. ამგვარი თავისებურების განმსაზღვრელ ფაქტორად ავტორს მიაჩნია სამეურნეო-გეოგრაფიული პირობები. ამ შემთხვევაში მას მხედველობაში ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ბაზი, ვინაიდან მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ მთიანეთის ზონა დასავლეთ საქართველოშიც მჭიდრო დასახლებით ხასიათდებოდა. მკვლევარი გეოგრაფიულ ზონალობასთან კავშირში აღწერდა და განიხილავდა გზებისა და სატრანსპორტო საშუალებების სპეციფიკასაც.

თ. სახოკიას დაკვირვებები საყურადღებოა დასავლეთ საქართველოში არსებული მიწათმოქმედების სისტემის, მესაქონლეობის და სხვა დარგების შესახებაც. მონაცემები ეხება დასავლეთ საქართველოს ზემოაღნი-

შნულ რეგიონებს, მაგრამ მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქვთ აქარას. ამგვარი დამოკიდებულება განპირობებული იყო ამ კულტურული მდგრადი გომარეობით. ყველა ეროვნულ მოღვაწესთან ერთად თ. სახოკია საგანგებოდ იყო დაინტერესებული თურქეთის კლანჭებიდან გამოხსნილი აქარის საჭირობოროტი საკითხებით, მათ შორის სამეურნეო პირობებით, სამომავლო პერსპექტივებით. მკვლევარი ამ ჭრილში აყენებს საკითხს და კონკრეტულად გვაცნობს აქარელთა სამეურნეო ყოფას: შრომის იარაღებს, მიწის დამუშავების წესს, თესლბრუნვას, ახოს აღების წესებს და ა.შ. ამასთან ერთად იგი აღწერს შრომითი ურთიერთდახმარების ჩვეულებას მემინდვრეობის სფეროში. კონკრეტული მონაცემების მიხედვით ავტორი გვიხატავს აქარელი გლეხის გასაჭირს, მისი ცხოვრების პირობებს.

დიმიტრი ბაქრაძისა (1) და გიორგი ყაზბეგის (11) შემდეგ თ. სახოკიამ აქარელთა ყოფა-ცხოვრების შესწავლას დიდი ამაგი დასდო ისეთ ვითარებაში, როდესაც ისინი უცხო ძალის ბატონობით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდნენ, როდესაც აქარაში მიმდინარეობდა ქართული ტრადიციების აღდგენა და მშობლიური კულტურის აღორძინება. ცხოვრების მამა-პაპური წესისა და გარეშე ძალის ზემოქმედებით შერყეული ან გადაგვარებული ჩვეულების წარმოჩენის მიზნით მკვლევარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საოჯახო და საზოგადოებრივ ყოფას. მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემებით დაადასტურა, რომ აქარაში ძირითადად შენარჩუნებული იყო ქართული ტრადიციული ცხოვრების წესი, მაგრამ ისლამის ზემოქმედებით მიმდინარეობდა მისი რღვევის პროცესი. ამ მოვლენამ თავი იჩინა პირველ ყოვლისა ქალის ცხოვრებაში. თ. სახოკიას თქმით, ჩადრებით შემოსილ ქალებს ერთი მხრივ, აოცებთ, „როცა ხედავენ, რომ „გურჯის“ ხანუმები კაცებთან ერთად თავისუფლად ლაპარაკობენ და ეს სირცხვილი არ არის მათშიო“, და, მეორე მხრივ, „შენატრიან კიდეცა „გურჯის“ ქალების ასეთ ბედსაო“ (6, გვ. 124)... და განა მათი ეს ნატვრა უსაფუძვლოა, როცა „საშინელია აქაური დედაყაცის მდგომარეობა... ტანჯვა და წვალებაა ამ დაჩიგრული არსების ხედრი. ბუნებასთან ბრძოლა ხომ არ აქლია... რელიგიისგან დაჩიგვრა კიდევ სხვაა. სახლშია ჩაქეტილი, არ შეუძლია გარედ მამაკაცების საზოგადოებაში გაერიოს. ქმარს უფლება აქვს ძველი ფეხსაცმელივით მოიცვალოს და გაუშვას... იმის ბადლად სხვა შეირთოს“ (6, გვ. 139).

ამის პარალელურად მკვლევარი ქხება მთელ რიგ ისეთ წესებს რომ მლებიც ქართული ტრადიციული ცხოვრებისათვის უცხო დაწესებულებები ისლამური ყოფისათვის იყო დამახასიათებელი (ახტის დაწერით შეუძლების დადასტურება, განქორწინების პირობები და ა.შ.). შარიათის მიხედვით ასევე კანონიერად ითვლებოდა დაჭრივებული ქალის მაზლზე გათხოვებაც. ქართული ქრისტიანული ტრადიციისათვის მიუღებელი ეს ჩვეულება თ. სახოკიამ მაჰმადიან აქარელთა შორის დაადასტურა. ეს არც იყო მოულოდნელი, ვინაიდან ქორწინების ეს წესი ყველა ქვეყანაში კანონიერად ითვლებოდა, სადაც ისლამი იყო გავრცელებული. მკვლევარი ამ ჩვეულებას, როგორც ქრისტიანული ზნეობისთვის შეუთავსებელ მოვლენას, საქართველოს სხვა კუთხებში ვერ დაადასტურებდა, მაგრამ კვრობაში განსწავლულმა ეთნოგრაფმა მშვენივრად იკოდა, რომ უმჯობეს პერიოდში ეს ჩვეულება მსოფლიოს მრავალ ხალხში არსებობდა ლევირატის სახელწოდებით. წერილობითი მოძღვრების მქონე კლასიკური რელიგიების (ბუდიზმი, იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) წარმოშობა-განვითარების შემდეგ ესა თუ ის ჩვეულება ერთ შემთხვევაში განმტკიცდა, ხოლო მეორე შემთხვევაში მოისპო. ბუდიზმის, იუდაიზმის და ისლამის მიმდევარმა ხალხებმა ლევირატის წესი შეინარჩუნეს და დააფუძნეს, ხოლო ქრისტიანებმა ის უარყვეს. ამდენად, ლევირატის წესი აქარაში გენეტიკურად უკავშირდება არა თუ წინამაპმადიანურ, არა-მედ წინაქრისტიანულ ხანას. უნდა ვითიქროთ, რომ აღნიშნული ჩვეულება საქართველოში აღიკვეთა ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ, მაგრამ მისი კვლავ აღორძინება მოხდა ისლამიზაციის ზონაში, სახელდობრ, აქარაში და თ. სახოკიამაც სწორედ ეს მოვლენა წარმოაჩინა.

თ. სახოკიას დაკვირვებით, ისლამურ რეჟიმს ემორჩილებოდა გასათხოვარი ქალიც, რომლის მომავალი ცხოვრება მხოლოდ ოჯახის უფროსების ნება-სურვილით განისაზღვრებოდა. მაგრამ, ამასთან ერთად, აღნიშნულია ძველი ქართული ტრადიციის ფუნქციონირება — სამოყვრო ურთიერთობის მოწესრიგება უფროსების გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში მკვლევარს, როდესაც წერდა: „წესი ცოლის შერთვისა აქარაში თითქმის იგივეა, როგორც სხვაგან საქართველოში“ (6,გვ.189).

მსგავსი მოელენების აღწერით თ. სახოკიამ აჭარაში დაადასტურა ძველი ქართული ტრადიციებისა და თურქთა ბატონობით თავსმოხვეულებებით მაღიანური წესების თანაარსებობა. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი და შემოჭრილი ჩვეულებები ისე იყო ერთმანეთში გადაჯაჭვული, რომ მათ შორის ზღვარის დადგბა ჭირდა. მაგალითად, აჭარაში მიუღებელი იყო ცოლ-ქმრის მიერ ერთმანეთის სახელის დაძახება, რაც შეიძლება მხოლოდ მაჟმადიანურ ჩვეულებად მოგვეჩენოს, მაგრამ საკმარისია გვიხსენოთ, რომ ამ წესს გვიანობამდე იცავდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც და დავრწმუნდეთ, რომ ეს იყო ძველი ქართული ტრადიცია და მისი არსებობა აჭარაში მაინცდამაინც ისლამის ზე მოქმედებით არ აიხსნება.

ქრისტიანული და მაჟმადიანური რელიგიის შესაბამისი ტრადიციების თანაარსებობასთან ერთად თ. სახოკიამ აღწერა მრავალი ისეთი ჩვეულებაც, რაც თავისი ფესვებით და არსით მხოლოდ ქართული ტრადიციების სფეროში განიხილება. ერთ-ერთ ასეთ ჩვეულებას წარმოადგენდა აკვანში ნიშნობა, რაც აჭარასთან ერთად გავრცელებული იყო საქართველოს სხვა კუთხებშიც და მშობლების ნება-სურვილით ეწყობოდა. თ. სახოკიამ აჭარის სახით დაგვანახა საქართველოს ის ნაწილი, სადაც, ისლამის ზეწოლის მიუხედავად, ქართული ცხოვრების წესი იყო შენარჩუნებული და მას გააჩნდა შემდგომი განვითარების პერსპექტივა.

აჭარაში ჩატარებული კვლევის შედეგებთან ერთად საყურადღებოა თ. სახოკიას დაკვირვებები გურიაში, სამურზაყანოში და აფხაზეთში. ამ კუთხებისადმი მიძღვნილ ნარკვევებში აღწერილი და კვალიფიცირებულია ავტორის მოგზაურობის დროისათვის ჭერ კიდევ კარგად შენარჩუნებული ქართული საქორწინო წეს-ჩვეულებები, საოჯახო ტრადიციები, რელიგიური ჩრდენა-წარმოდგენები და ა.შ. ამასთან ერთად, თ. სახოკია დიდი გულმოდგინებით იკვლევდა აფხაზთა ყოფა-ცხოვრებას. მისი ნარკვევებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია, რომ მისი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ქართულია და შესაბამისად მათი ყოფა და ტრადიციებიც ქართულია. მაგრამ თ. სახოკია როდი ახდენდა აფხაზთა იგნორირებას. პირიქით, ის ერთ-ერთი სწავლული იყო სხვა ქართველ მოღვაწეებთან (ნიკო ჭანაშია, პეტრე ჭარაია, კოტე მაჭავარიანი, მოსე ჭანაშვილი...) ერთად, რომე-

ლთაც მნიშვნელოვანი წელილი შეიტანეს აფხაზთა ეთნოგრაფიული შესწავლის სფეროში. თ. სახოკია ამას აკეთებდა იმ მოთხოვნებულებაზე შესაბამისად, რაც დასახული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამით. ქართველი მოღვაწეები ილია ჭავჭავაძის თაო-სნობით აფხაზებს თვლილნენ ამ მოძრაობაში მონაწილეებად, ხოლო ამგვარი მონაწილეობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ ყოფისა და ტრადიციების შენარჩუნებასაც და კვლევასაც, ვინაიდან ერი და ეროვნული ცნობიერება ამ კომპონენტის გარეშე ვერ წარმოიდგინებოდა. სხვათა შორის, არც თ. სახოკიას მოგზაურობის დროს და არც შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესახებ არათერი არ დაწერილა. ქართველმა მოღვაწეებმა აფხაზეთში მხოლოდ აფხაზების შესწავლაზე იზრუნეს. თუ როგორ დაგვიფასეს ქართველებს ეს ღვაწლი და საერთოდ ქართული ტოლერანტობა, კარგად გამოჩნდა შექმნილი მდგომარეობიდან.

თ. სახოკიას სამეცნიერო მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამეცნიეროს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის განკუთვნილ გამოკვლევებს, რომელთა ერთ წიგნად (7) გამოქვეყნებამდე (1956 წ.) ორი თვით ადრე 89 წლის ასაკში გარდაიცვალა მისი ავტორი. უშუალო დაკვირვებითა და გამოკითხვით მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე შექმნილი შრომები (1. სამეცნიერო მითოლოგიდან, 2. ყვავილებატონები საქართველოში, 3. ახალი წელი ანუ კალანდა სამეცნიეროში, 4. წმინდა გიორგის კულტი და ღვთის სამართალი, 5. საქორწილო ჩვეულებანი სამეცნიეროში, 6. მიცვალებულის კულტი სამეცნიეროში) ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების უდიდესი მონაპოვარია. ყოველი ზემოხსენებული ნაშრომი გამოირჩევა აღწერილობის სისრულით, თხრობის ორიგინალობით და გამოყენებული მასალის გაანალიზების მაღალი დონით. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ „საქორწინო ჩვეულებანი სამეცნიეროში“, რომელიც ამ თემაზე დაწერილ ნაშრომთა შორის ერთ-ერთი პირველი მეცნიერული გამოკვლევაა ქართულ ეთნოგრაფიაში. მასში თანმიმდევრობითაა შესწავლილი დაქორწინებისათვის სავალდებულო წინაპირობები, დანიშვნის წესები, დანიშნულ-დამოყვრებულთა ურთიერთობის ხასიათი, საქორწილო რიტუალი და რიგი სხვა მნიშვნელოვა-

ნი კომპონენტები. საქორწინო წეს-ჩვეულებათა ასეთი თანმიმდევრობა/ ბით შესწავლის საფუძველზე ნათლად გამოჩინდა ქორწინების, როგორც რთული ბუნების მქონე სოციალური ინსტიტუტის, მნიშვნელობა და როლი საკვლევი რეგიონის მკვიდრთა ცხოვრებაში. საქორწინო წეს-ჩვეულებებს თ. სახოკია აღწერს და იკვლევს მის ისტორიულ განვითა-რებაში, რის მეშვეობითაც იგი გამოყოფს როგორც ტრადიციულსა და მდგრად მოვლენებს, ისე გადმონაშთურსა და დრომოჭმულ ელემენტებს. ამასთან ერთად, მკვლევარი სამეცნიეროში დამოწმებულ ფაქტებს აანა-ლიზებს საქართველოს სხვა კუთხებში თუ სხვა ხალხების ყოფაში შემ-ჩნდეს ანალოგიურ მოვლენებთან კავშირში, რაც მას შესაძლებლობას უქმნის სპეციფიკური და ზოგადი ნიშნების გამოყოფასთან ერთად და-სეას თვით მოვლენის გენეზისის საკითხიც.

საქორწინო ურთიერთობათა მრავალსაფეხურიანი სისტემიდან თ. სახოკია პირველ რიგში ეხება საქორწინო აკრძალვებს და შეზღუდვებს, რაც მნიშვნელოვანწილად შეპირობებული იყო ნათესაური კავშირებით. ამის შესაბამისად, მკვლევარი გვაცნობს სისხლითი, მოყვრობითი და ხელოვნური ნათესაობის კატეგორიებს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ტერმინების ჩვენებითა და ახსნა-განმარტებით.

გამოკვლევაში საგანგებოდა აღწერილი და განხილული დანიშვნის სხვადასხვა ფორმები, რომელთა შორის წამყვანი ადგილი ეჭირა სრულ-წლოვანთა დანიშვნის წესს გარიგების მეშვეობით, ხოლო გადმონაშთის სახით შემორჩენილი ყოფილა მცირეწლოვანთა დანიშვნის ჩვეულებაც. ორივე შემთხვევაში ურთიერთობის მოწესრიგება ემყარებოდა მშობ-ლებისა და ნათესავების შეთანხმებას, ხოლო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პირობებში საქმეში ერევა მაჭანკალიც, როგორც დაქირავებული გარეშე პირი. თ. სახოკია მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე მხარეთა შორის მატერიალურ ვალდებულებებსაც, როგორც პირობის განმტკიცების საშუალებებს. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ვაჟის ოჯახის ვალდებულებას, რაც გენეტიკურად დაკავშირებული იყო ქალის ოჯახისათვის საურავის გადახდის წესთან.

თ. სახოკია საქმაო სისრულით აღწერს თვით საქორწილო რიტუ-ალს, რაც დამაგვირგვინებელ საფეხურს წარმოადგენდა დანიშნულთა და დამოყვრებულთა ურთიერთობაში. გაირკვა, რომ ქორწილის მიღე-

ბულ ფორმას წარმოადგენდა ეწ „თხუალა“, ე. გარიგებით დანიშნული ქალის მშვიდობიანად წაყვანა. იქვეა აღწერილი ქალის მოლტკეტის შესაცავები წაყვანის წესებიც, მაგრამ საქორწილო რიტუალის აღწერაში მთავარი ადგილი დაეთმო ქორწილის პირველსა და მიღებულ ფორმას. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი გვაცნობს პატარძლის გასტუმრებისა და ახალ ოჯახში მისი მიღების პროცედურას, საქორწინო ლხინს მისი ძირითადი ატრიბუტებით, პატარძლის უფლება-მოვალეობებს, მძახლებს შორის შექმნილი ურთიერთობის ხასიათს და ა.შ.

თ. სახოკიას ეს ნაშრომი ერთადერთია სოციალურ ურთიერთობათა პრობლემიდან სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისადმი მიღვნილ გამოკვლევათა შორის. სხვა ნაშრომებში განხილულია რელიგიისა და მითოლოგიის საკითხები, რითაც მკვლევარმა დიდი წვლილი შეიტანა სულიერი კულტურის კვლევის სფეროში. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელობის მქონე ნაშრომია „ახალი წელი ანუ კალანდა სამეგრელოში“, რომელშიც აღწერილი და გამოკვლეულია საახალწლო წესები და რიტუალები. კვლევის შედეგად გამოჩნდა როგორც საკუთრივ სამეგრელოსათვის სპეციფიკური მოვლენები, ისე მთელი საქართველოსათვის საერთო ჩვეულებები. ნაშრომში — „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში“ გამოყენებულია უმთავრესად XIX საუკუნის ეთნოგრაფიული მასალები, მაგრამ ავტორმა დაადგინა ისეთ ჩვეულებათა გამონაშობიც, რომლებიც ყოფაში აღარ სრულდებოდა და ოდესლაც ფუნქციონირებადი წესების მანიშნებელი ზოგიერთი ელემენტი მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობით ინარჩუნებდა არსებობას მისთვის უცხო ახალ ეთნოგრაფიულ სიტუაციაში. დიდი ხნის წინათ მივიწყებული ჩვეულების შესწავლის ძირითად წყაროდ მკვლევარი იყენებს ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალებს, ხოლო შედარებისათვის მნიშვნელობას ანიჭებს განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხების ცხოვრებისათვის ნიშანდობლივ მოვლენებს. თ. სახოკიამ სამეგრელოში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით დაწერა ნაშრომი — „წმინდა გიორგის კულტი და ლვთის სამართალი“. ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, წმინდა გიორგი წარმოგვიდგება როგორც მიწიერ, ისე ზეციურ ლვთა ებად. ნაშრომში შეტანილია ამ ლვთაების მიწიდან ზეცაში გამგზავრების ლეგენდა, ნაჩვენებია ხმელეთზე თუ ზეცაში მისი მოქმედების ასპა-

რეზი, უფლება-მოვალეობანი და მისი საღიღებელი სალოცავები. კიდევ პარიზში ყოფნის დროს აღიარება ხედა წილად ნაშრომს „**უფლება-ბატონები საქართველოში**“, რომელშიც აღწერილია გადამდებ სწორებათა მკურნალობის ხალხური წესები და მასთან დაკავშირებით გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები. ძველ სამეგრელოში ავ სულებთან ბრძოლის სურათი და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების არსია ნაჩვენები ქართული მითოლოგის შესწავლისათვის ფრიად მნიშვნელოვან ნაშრომში — „სამეგრელოს მითოლოგიიდან“. მოპოვებული მანამდე უცნობი მასალისა და მისი ინტერპრეტაციის მიხედვით გამოჩენდა, თუ როგორი იყო მორწმუნე ადამიანის რელიგიური მსოფლმხედველობა, გაღმონაშოთის სახით რა იყო შენარჩუნებული მითოლოგიიდან და ამ მხრივ რა შესაძლებლობანი არსებობდა მისი შესწავლისათვის.

დასავლეთ საქართველოს კუთხეებში ეთნოგრაფიული კლევა-ძიებით თ. სახოკიამ გადაარჩინა და ოქროს ფონდში შეიტანა მრავალი ისეთი ფაქტისა და მოვლენის აღწერა, რომლის მოძიება დღეს უკვე შეუძლებელია. ცხოვრების განვითარებამ ბევრი რამ დავიწყებას მისცა, ბევრი რამ არსებითად შეცვალა, რის გამო თ. სახოკიას მასალებს და ნარკვევებს პირველწყაროს მნიშვნელობაც ენიჭება.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია თ. სახოკიას განმარტებითი ლექსიკონის სამტომეული(8), როგორც ერთ-ერთი უნიკალური ცნობარი. მასში ბევრი ისეთი ტერმინი და ხალხურ მეტყველებაში თუ მხატვრულ ლიტერატურაში არსებული გამონათქმამებია აღნიშნული და თანაც საფუძვლიანად ახსნილ-განმარტებული, რომ მათ გვერდს ვერ აუვლის ქართველი ხალხის ყოფისა და ტრადიციების ვერც ერთი მკვლევარი.

თავის ეპოქის ყოფა-ცხოვრების ნიუანსებზე დაკვირვებას გვთავაზობს თ. სახოკია მემუარული უანრის წიგნებში (9,10).

ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებიდან საინტერესო მოვლენებია აღწერილი თ. სახოკიას ავტობიოგრაფიაში (5, გვ. 201-245). თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მატიანეში ავტორი მიღებულ შთაბეჭდილებათა სახით გზადაგზა ხება ყოფის ისეთ რეალიებს, როგორიცაა სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის ტრადიციულად არსებული ვალ-

დებულებანი, ტაძრისაღმი ყმობის გამომხატველი რიტუალი, გამომუვების ჩვეულება, სოფლის ცხოვრების სურათები, სამეურნეო პრინციპები და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები. ავტორი ასევე გვაცნობს ეთნოგრაფიული კვლევის რეგიონებს, აფხაზეთის დემოგრაფიულ მონაცემებს, ლაზური სოფლის სტრუქტურას, მეგრული დასახლების ტიპთან მის მსგავსებას და ყოფა-ცხოვრების დეტალებს. მის მიერ შეფასებულია აგრეთვე ხალხური ზეპირსიტყვაობის მნიშვნელობა და ხაზგასმულია მისი შესწავლის აუცილებლობა.

თ. სახოკია ქართული ეთნოგრაფიის თვალსაჩინო ფიგურაა არა მარტო საუკეთესო ეთნოგრაფიული ნაწერებით, არამედ სამუზეუმო საჭმიანობითაც. იგი იყო ეთნოგრაფიული ნივთების შესანიშნავი კოლექციონერი. მის მიერ შეკრებილი ნივთები დაუნაშებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რუსეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების მუზეუმში და სხვ.

ორმოცდამეოთხე წელია მას შემდეგ, რაც თ. სახოკია სამუდამოდ ჩამოცილდა თავის საყვარელ საქმიანობას. ამჟამად, როდესაც მის ამაგს ვეხებით, მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში თ. სახოკიას საპატიო აღვილი აქვს დამკვიდრებული როგორც მოპოვებული პირველხარისხოვანი მასალით, ისე მისი გაანალიზების დონით. ამის შესახებ ითქვა რამდენიმე პუბლიკაციაში (2, 3, 4, 12, 13, 14, 15), მაგრამ ეს საქმარისი არ არის. ამიტომ გადავწყვიტე დამეტერა ვრცელი ნაშრომი, რომელშიც შეფასებულია თ. სახოკიას დამსახურება ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში. ამ მონოგრაფიის გამოქვეყნებამდე კი (თუ ამის შესაძლებლობა მომეცა), ამჟამად ამ სტატიით შემოვიდარგლე.

## გამოყანაგული ლიტერატურა:

1. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, თარგმანი რუსულიდან, პირველად გამოქვეყნდა სანკტ-პეტერბურგში 1878 წ.

2. ვალ. იოონიშვილი, ქართული ეთნოგრაფიის მოამაგვა „ლიტერატურული საქართველო“, 1981, №35.

3. ვალ. ითონიშვილი, ქართველი ხალხის საქორწინო და სამოქადაცურთიერთობის საკითხები თედო სახოკიას შრომებში, „გვეგმების მუნიციპალიტეტის აღმონთაშორისო სამხარეთცოდნეო მუზეუმის XXVII სამეცნიერო სესიის თემისები“, გეგმეკორი, 1982.
4. გ. რუხაძე, დიდი მოამაგვე, „ლიტერატურული საქართველო“, 1993, №13.
5. თ. სახოკია, ავტობიოგრაფია — კრებულში „თედო სახოკია“, თბ., 1969.
6. თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950.
7. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.
8. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ.I (ჭ. ძიძიგურის რედაქციით), თბ., 1950; ტ.II (გ. ჩიტაიას რედაქციით), თბ., 1954; ტ.III (გ. ჩიტაიას რედაქციით და ბოლოსიტყვაობით), თბ., 1955.
9. თ. სახოკია, როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1955.
10. თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969.
11. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში (წიგნში — „გორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ“), ბათუმი, 1960.
12. გ. ჩიტაია, თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობა — კრებულში „თედო სახოკია“, თბ., 1969.
13. გ. ჩიტაია, რედაქტორისაგან — თ. სახოკიას წიგნში „მოგზაურობანი“.
14. გ. ჩიტაია, რედაქტორისაგან — თ. სახოკიას წიგნში „ეთნოგრაფიული ნაწერები“.
15. გ. ჩიტაია, ბოლოსიტყვაობა — თ. სახოკიას წიგნში „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, ტ.III.

## საქართველოს ჩალახაბში მიმდინარე თანიკური პროცესების თავისებურებაზე

ეთნიკური პროცესების შესწავლა თანამედროვე ეთნოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა. 1984 წლიდან ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს საქართველოს ქალაქებში მიმდინარე ეთნიკური პროცესების საერთო ბუნებისა და ხასიათის დადგენა წარმოადგენს. მდიდარი საარქივო და ეთნოგრაფიული მასალის საფუძვლზე ჩვენს მიერ შესწავლილია საქართველოს ქალაქების (თბილისი, გორი, თელავი, სიღნალი, ახალციხე, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, ზესტაფონი, სამტრედია) ეთნიკური პროცესები. გამოვლენილია თითოეული ამ ქალაქის ლოკალური და ზოგადი თავისებურებანი, მისი წარმმართველი და მონაწილე ეთნოსების ვინაობა, ასიმილაციისა თუ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ფაქტები. მმაჩის ბიუროს რესპუბლიკურ არქივში დაცული საქორწინო აქტების შესწავლის საფუძველზე დამოწმებულია შერეულ ქორწინებათა ტიპები, მექორწინეთა ეროვნული შემადგენლობა, რაც ეთნიკური პროცესების შესწავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. დადგენილია როგორც საერთოდ საქართველოს ქალაქებისათვის დამახასიათებელი ეთნიკური პროცესების ძირითადი ნიშნები, აგრეთვე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეთნიკური პროცესების თავისებურებანი.

მოპოვებული საველე და საარქივო მასალების საფუძველზე ნათლად იკვეთება საქართველოს ქალაქებში მიმდინარე ეთნიკური პროცესების ხასიათი. იგი თავისი ბუნებით რთული და მრავალფეროვანია. უმთავრესი ის არის, რომ საქართველოს ქალაქები ხასიათდებიან დიდი პოლიეთნიურობით, რაც მათ ისტორიულად მოსდგამთ. ეს მათი უძველესი ტრადიციაა. საქართველოს ქალაქები ძველთაგანვე თავისუფალი იყენენ რელიგიური და ეროვნული შეზღუდულობისაგან, რაც განაპირობებდა აქ შერეულ ქორწინებათა სიმრავლეს. მართალია, რელიგია (ისლამი, იუდაიზმი, იეზიდობა) ზღუდავდა და კრძალავდა კიდეც კონფესიონალურად სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შეუღლებას, მაგრამ დარღვევები ძველთაგანვე არსებობდა. ისე კი ყოველი ეროვნების წარმომადგენელი ცდილობდა თა

ვის ეროვნების ქალზე დაქორწინებას. XIX ს. II ნახ. და XX ს. დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ეთნიკური პროცესის წარმატებაზე ველებად ძირითადად ქართველები და სომხები გამოდიოდნენ თითქმის 30-იან — 40-იან წლებამდე. აქედან დაწყებული საკმაო რაოდენობით ხვდებით აქ რუსებს, უკრაინელებს და ბელორუსებს. ხშირია მათი ქართველებთან და ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკების (აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების) წარმომადგენლებთან და ქარწინების შემთხვევები. ჩაც შეეხება ეთნიკურ პროცესებში მონაწილე სხვა ეთნიკურ ერთეულებს, ამ მხრივ ყოველ ქალაქს თავისი სპეციფიკა გააჩნია, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ეთნოსებითაა ის დასახლებული. თბილისისათვის ეთნიკურ პროცესებში მონაწილე ეთნოსებია: აზერბაიჯანელები, ბერძნები, ქურთ-იეზიდები, გრაელები, ასირიელები და სხვა. ხოლო ქართველებთან სომხების ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად მოხდა მათი დიდი ნაწილის გაქართველება და არაერთი ქართველის გასომხება. ამავე დროს ძალიან დიდი იყო აგრეთვე თბილისის „ვეროპეიზაციის“ როლი და მისი გავლენა სხვა ქალაქებზე, განსაკუთრებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის (1918-1921 წ.წ.) დროს. აქ იმყოფებოდნენ ავსტრიის, ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, თურქეთის, სპარსეთის ქვეშვრდომები; ქართველების ჩვეულებრივი წყვილები იყვნენ გერმანელები, ფრანგები, იტალიელები, უნგრელები და სხვ.

ასევე მეტად საყურადღებოა ამ ეთნიკურ წყვილთა კონფლიქტის მონაწილეობი წარმომავლობა. გვხვდება ქრისტიანები (მართლმადიდებლები, სომებ-გრიგორიანები, კათოლიკები: ა. რომაელი, ბ. სომხები); მაჰმადიანები (სუნიტები და შიიტები), ლუთერანები - ევანგელიკურ - ლუთერანები; ანგლიკანები, კალვინისტები, პროტესტანტები - კონგრეგაციონალისტები, დუხაბორები და მალაკები (1, გვ. 2).

ჭ გორში ეთნიკური პროცესის მონაწილე ძირითადი ეთნოსებია: ქართველი, სომები, ოსი, რუსი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი. მაგრამ განსაკუთრებით ვრცელია ერთეულ წყვილთა ეთნიკური გეოგრაფია, ჩაც ძირითადად რუსი ეროვნების გარშემოა კონცენტრირებული: (კარელი, ლეკი, ჩეხი, ყირგიზი, ჩეჩენი, ბულგარელი, ბაშკირი, მოლდაველი, ყაბარდოელი, ჩერქეზი, ადილელი, ჩუგაში, ლატვიელი, ლიტველი, ყაზახი, ასირიელი, მორდოველი). შერეულ წყვილთა პოლიეთიკურობით ფორმირდა. შე-

ვადაროთ თბილისს, რასაკირველია, შემცირებული მასშტაბით. გრძელი  
ამავე დროს მაინც ძირითადად ყოფილი სსრკ-ს მოკავშირე რეპსბიტლიკურ-  
ბისა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა წარმომადგენლებია კონცენტრირებული. თბილისში მაინც უფრო მეტია „ევროპეიზაციის“ ელემენტები  
მოსახლეობაში, თუმცა გორშიაც არიან ევროპელები: ბულგარელები, ჩეხები,  
გერმანელები და სხვ. გორში დიდი ასპარეზია შექმნილი ეროვნულიათაშორისი ურთიერთობისათვის. მაგრამ ძირითადი ეროვნები, რომ-  
ლებიც ქმნიან გორში ეთნიკური პროცესების ხასიათს, როგორც აღინი-  
შნა, არიან ქართველები, სომხები, ოსები და რუსები.

განსაკუთრებით საყურადღებოა გორში ოსების ჩამოსახლებისა და დამ-  
კვიდრების ისტორია. ისინი საქართველოში დიდი ინტენსიურობით მატუ-  
ლობდნენ და ავიწროვებდნენ ქართულ მოსახლეობას. ამის აღნიშვნა აღრე-  
აკრძალული იყო, რაც თითქოს ქართულ-ოსურ მეგობრულ ურთიერთობას  
ჩრდილს მიაყენებდა. სინამდვილეში ეს იყო ეწ. „ოსიანობა“ ან „ოსობა“ —  
საქართველოში თარეშის უმძიმესი შედეგი, რაც თავისი ღრმა ფესვებით  
უფრო აღრინდელია და საშინელი, ვიდრე „ლეგიონობა“ (2, გვ 228-257).

ჭ თელავში ეთნიკური პროცესის წარმმართველნი არიან: ქართველუ-  
ბი, სომხები, რუსები, ხოლო მონაწილენი: აზერბაიჯანელები, ქურთ-  
იუდები, ქართველი ებრაელები, ბერძნები, ლევები. მათ ბევრი აქვთ  
ქართველებთან ურთიერთობაში სიახლოეს ურთიერთსესხება და გა-  
ვლენები. ამის შედეგია ისიც, რომ თელავში მცხოვრები ბერძნები —  
იორდანიდები დღეს იორდანიშვილებად იწერებიან. თელავში მოპოვე-  
ბული ეთნოგრაფიული მასალებით ბერძნების გაქართველება მომხდარა  
იმ მიზეზით, რომ ისინი განთქმული ქვისმთლელები იყვნენ და კონცუ-  
რენციას უწევდნენ ამქარში გაერთიანებულ ქართველ ხელოსნებს. ამი-  
ტომ ქართველ ხელოსნებს მოუთხოვიათ, რომ ამქრის გარეშე მომუშა-  
ვე ბერძნები იორდანიშვილებად დაწერილიყვნენ და ამქარში მათთან  
გაერთიანებულიყვნენ. ასეთია ხალხში დაცული გადმოცემა იორდანიშ-  
ვილების (იორდანიდების) გაქართველების შესახებ. თუმცა ისიც კარგად  
არის ცნობილი, რომ ქართულ ამქარში გაერთიანებულ ხელოსნებისა-  
თვის არავითარი ჩელიგიური და ეროვნული აღკვეთები არ არსებობდა.

დღეს იორდანიშვილები ნამდვილი ქართველები არიან, გამოსარჩევი  
რამ თავისი არაქართული წარმოშობისა, მათში არ დასტურდება. საფ-

როთოა მათი ყოფა და წეს-ჩვეულებანი ქართულთან. ისინი ქართველების/ სასაფლაოზე იმარხებიან, გათავისებული აქვთ ქართული სამზარეულოს/ და მატერიალური კულტურის სხვა ელემენტები.

ასევე საყურადღებოა თელავში ჩაწერილი მასალა ლეკციათან ურთიერთობის შესახებ. ლეკციი მოდიოდნენ დაღსტნიდან სეზონურად კახეთში და კვლავ უკან ბრუნდებოდნენ. თუმცა ზოგიერთი მათგანი სამუდამოდ რჩებოდა თელავში. ისინი მკალაობას და ოქრომჭედლობას მისდევდნენ. ჩვენ საშუალება გვქონდა გვემუშავა ორ ლეკციან, რომლებიც თელავში ცნობილი იყვნენ ვაჟა და ვალიკო ლეკციად, თუმცა პირველის სახელი და გვარია ბუდუნ მაგომედოვი, ხოლო მეორის — მაჰმუდ-აბდულა ხემო.

ვაჟა 20 წ. ყოფილა, როდესაც თელავში მოუყვანიათ ხელობის შესასწავლად მაჰმუდა ლეკციან. 4-5 წელი ყოფილა მასთან შეგირდად, მასთანვე ცხოვრობდა. ხელობის შესწავლის შემდეგ გადასულა სხვასთან ამხანაგად, შემდეგ კი თითონ გაუხსნია სახელოსნო და შეგირდად ყოლია ვალიკო ლეკი.

ვაჟა, როგორც აღინიშნა, თელავში შეურჩევიათ მისთვის, გვარად ლეკიშვილი ვარო, გადმოგვცემს იგი. ამ უბრალო განაცხადში კარგად ჩანს მისი ქართულ გარემოსთან დაახლოების სურვილი, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ თელავში მის მეუღლეს — სუმხარა გონჩაროვას, მაყვალას ეძახიან, ჰყავთ ექვსი შვილი, ექვსივე მახაჩკალაში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ შვილები დაღსტანში ცხოვრობენ, ისინი არ აპირებენ იქ გაბრუნებას. მათ თელავში ურჩევნიათ ცხოვრება. „აქ უფრო კარგია“, გადმოგვცემენ ისინი. ვაჟა არის მკალავი და მექვაბე.

ვალიკო ლეკიც ორმოცი წელია მოსულია დაღსტნიდან, ს. ჭარადან. მამასთან უსწავლია იქ ხელობა — მკალაობა, თელავში კი — თუნგების გაკეთება მაჰმუდასთან, რომელიც ბიძად ეკუთვნოდა. ერთი წელი ყოფილა შეგირდად, მერე ნახვარი ლსტატი, მერე ნახვარი ამხანაგი.

რაც შეეხება სილნაღში მიმდინარე ეთნიკური პროცესის თავისებურებებს, საქორწინო აქტების მიხედვით აქ წამყვანნი არიან — ქართველები, სომხები და ჩუსები. განსაკუთრებით მატულობს ბოლო წლებში რუსების მონაწილეობა. ერთეულ წყვილთა სახით აღირიცხებიან ყოფილი სსრკ-ს ჩემპუბლიკის მცხოვრებნიც: უკრაინელები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები, მოლდაველები და სხვა და რაც სილნალისათვის გან-

საკუთრებით მოულოდნელია, რუმინელ-ქართველის, უკრაინელ-სუმბა-  
ელის, ქართველ-გერმანელის წყვილები.

ეროვნული  
სოციალური

ახალციხის საარქივო მასალებით ძალიან ბევრია როგორც სომხების,  
ქართველების, რუსების, უკრაინელების, ბერძნების, ებრაელების და სხვა  
ერთა ეროვნული ქორწინებანი, ასევე ხშირია შერეული წყვილებიც, მათ  
შორის ქართულ-სომხური და მათი პირუკუ წყვილები. 1921 წლიდან 30-  
40-იან წლებამდე სომხები და ქართველები შედიან ძირითადად ქორწინე-  
ბაში, 30-იანი წლებიდან ჩნდებიან რუსები, უკრაინელები, ბელორუსები  
და სხვ. აქედან დაწყებული რუსებიც გამოდიან აქტიურ საქორწინო რო-  
ლში. ყველაზე მრავალრიცხვანი — 12 ეროვნების წარმომადგენელია რუ-  
სისა და სომხის ცალ-ცალკე წყვილებში. ეთნიკური პროცესის წარმმარ-  
თველები არიან ახალციხეში: ქართველები, სომხები, რუსები და უკრაინე-  
ლები. ისინი ქორწინდებიან როგორც ერთმანეთზე ასევე ყოფილი სსრკ-ს  
მოკავშირე რესპუბლიკების თითქმის ყველა წარმომადგენლებზე ბელო-  
რუსზე, ბესარაბიელზე, მოლდაველზე აზერბაიჯანლებზე, ლატვიელზე, ლი-  
ტველზე ქსტონელზე, უზბეკზე, თურქენებზე ვეროპელებიც საკმაოდ არიან  
წარმოდგენილები: გერმანელი, პოლონელი, იტალიელი, ჩეხი, ბულგარე-  
ლი, ებრაელი, ბერძნი. დასტურდება აფხაზის, ოსის, ინგილოს, კაზაკის  
მონაწილეობაც ამ ეთნიკურ პროცესებში. მაგრამ გაოცებას იწვევს ეროვ-  
ნული უმცირესობის წარმომადგენელთა მონაწილეობაც, ისინი არიან: უდ-  
მურტი, ბაშკირი, ჩეჩენი, ჩუვაში, მორდოველი, მარიელი. მართალია, ისინი  
ერთეულ წყვილებს ქმნიან ძირითადად რუსებთან და სომხებთან, მაგრამ  
მაინც გასაოცარია ახალციხეში მათი ასეთი დიდი რაოდენობით მონაწი-  
ლეობა მაშინ, როდესაც ახალციხისათვის შედარებით ისეთი სიახლოვის ეთ-  
ნისები, როგორც არიან თურქი, თათარი და აზერბაიჯანელი, შედარებით  
ნაკლებად ჩანს. ამ ეროვნულ უმცირესობათა ასეთი სიკარბე ახალციხეში  
შეიძლება იმით აიხსნას, რომ ის სასაზღვრო ქალაქია და აქ სამხედრო  
ვალდებულებას იხდიდა თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელი. საა-  
რქივო მასალების მიხედვით შერეული ქორწინების თითქმის ყოველი მამა-  
კაცი „წითელ არმიელია“, სამხედრო პიროვნება.

რაც შეეხება ქუთაისის, ქუთაისის ქორწინების აქტების შესწავლით  
დგინდება შერეულ ქორწინების ოთხმოცდახუთამდე წყვილი. აქ ეთნი-  
კური პროცესების წარმმართველნი არიან: ქართველები, ქართველი ებ-



რაელები და რუსები, ხოლო მონაწილენი: უკრაინელები, სომხები, ბელარუსები, აზერბაიჯანლები, მოლდაველები, ბერძნები, ასირიელები და სხვ. ამავე დროს დიდ ინტერესს იწვევს ერთეულ წყვილთა სახეობანიც, სადაც დიდი რაოდენობითაა წარმოდგენელი როგორც ეროვნულ უმცირესობათა, ასევე საქართველოს შედარებით ნაკლებად დამახასიათებელი ეროვნებების წარმომადგენლები: აი, ისინიც:

- |                               |                              |
|-------------------------------|------------------------------|
| 1. უზბეკი — მოლდაველი         | 15. უკრაინელი — კომელი       |
| 2. ლატვიელი — რუსი            | 16. უზბეკი — ყირიმელი თათარი |
| 3. რუსი — რუსი გრაელი         | 17. რუმინელი — რუსი          |
| 4. ქართველი — ესტონელი        | 18. ქურთი — თათარი           |
| 5. ქართველი — მორდოველი       | 19. რუსი — კორეელი           |
| 6. უკრაინელი — ჩუვაში         | 20. ფინელი — კორეელი         |
| 7. რუსი — ესტონელი            | 21. რუსი — ლეკი              |
| 8. ბაშკირი — რუსი             | 22. ქართველი — ჩინელი        |
| 9. ქართველი — პრუსიელი(?)     | 23. ჩინელი — რუსი            |
| 10. სომები — ქართველი ებრაელი | 24. სერბი — ქართველი         |
| 11. მორდოველი — რუსი          | 25. ქართველი — გაგაუზი       |
| 12. ქართველი — ასირიელი       | 26. რუსი — გაგაუზი           |
| 13. რუსი — ასირიელი           | 27. გერმანელი — გაგაუზი      |
| 14. უკრაინელი — აფხაზი        |                              |

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებისაგან განსაკუთრებით ქუთაისში არ ჩანს სომხური ელემენტის სიჰარბე მართალია, აյ სომხები ეთნიკური პროცესების მონაწილენი არიან და შეიძლება ითქვას უფრო მოვგიანებით, 30-იანი წლებიდან ჩანან, უფრო მეტია სომხურ-ქართული, ვიდრე ქართულ-სომხური წყვილები. არ ჩანან გაქართველებული სომხები და განსაკუთრებით გასომხებული ქართველები (ქართველი გრიგორიანები). თუ გორისა და განსაკუთობით ახალციხის მიმართ გასაკვირია ბაშკირების, ჩუვაშების, მორდოველ-მარიელების მონაწილეობა, ქუთაისში მათ ემატება კომელი, კორეელი, ფინელი, ჩინელი, სერბი, გაგაუზი. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ამ უკანასკნელის აქტიურობა. აღარაფერს ვამბობთ ყოფილი სსრკ-ს მოკავშირე რესპუბლიკისა და ვეროპელთა — გერმანელთა, რუმინელთა, ბულგარელთა და პოლონელთა მონაწილეო-

ბაზე ქუთაისის ეთნიკურ პროცესში, რაც ერთხელ კიდევ მიუთხოვდა საქართველოს ქალაქების ეთნიკურ სიჭრელეზე. მაგრამ ქუთაისის სპეციფიკაც ახასიათებს, რაც გრძელთა მრავალრიცხვნებასა და მათ მიერ ერთი ეროვნული გრძაული ოჯახის შექმნაში მდგომარეობს. აქ მოხდა გრძელთა მხოლოდ ენობრივი ასიმილაცია ქართველთა მიერ. იუდაიზმი მტკიცედ იცავდა მათ ეროვნულობას, რამაც განაპირობა კიდევ გრძელთა მიერ საქორწინო დარღვევების შეტ-ნაკლები დაუშვებლობა.

ქ. ზუგდიდში მიმდინარე ეთნიკური პროცესებიც შესწავლილია მმაჩის ბიუროს რესპუბლიკური არქივის მასალების ანალიზის საფუძველზე, რის შედეგადაც დგინდება ზუგდიდში შერეულ ქორწინებათა 80-ზე მეტი წელი. ეთნიკური პროცესების წარმმართველები არიან: ქართველები, რუსები და უკრაინელები, ხოლო მონაწილენი: ბელორუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, მოლდაველები, ბერძნები, ასირიელები და სხვ.

საარქივო მასალების საფუძველზე ასევე კარგად არის წარმოდგენილი ეროვნული უმცირესობანი ზუგდიდში: მორდოველი, ყაბარდოველი და სხვ. გვხვდებიან აგრეთვე ვროპელებიც: პოლონელი, გერმანელი, ბულგარელი, უნგრელი, ბერძენი და სხვ. რუსის ქალები ყველაზე აქტიურნი არიან და ისინი შედიან ქორწინებაში აზერბაიჯანელებთან, ასირიელებთან, აფხაზებთან, ლეკებთან, ბულგარელებთან, პოლონელებთან, მოლდაველებთან; ქართველი ქალები — ირანელებთან, ყაზახებთან, ინგუშებთან, ბოშებთან, ყაბარდოველებთან და ოსთან, ხოლო უკრაინელი ქალები მიჰყვებიან ცოლად ბერძნებსა და ლაზებს.

როგორც ვხედავთ, ის პოლიეთნიურობა, რაც საქართველოს ქალაქებს ისტორიულად ახასიათებდათ, უფრო მრავალფეროვანი გახდა რევოლუციის შემდეგ. მას დაემატა ყოფილი სსრკს მოკავშირე რესპუბლიკების მრავალეროვნებათა წარმმადგენლები. ეს მასალა, რომელიც მმაჩის ბიუროს რესპუბლიკურ არქივშია დაცული, ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის უცნობია. ის პირველად ახლა შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში და მეტად საყურადღებოა ეთნიკური პროცესის ხასიათის დასადგენად.

აღნიშნულ ეთნოსებს შორის ურთიერთობა ისტორიულად, როგორც აღინიშნა, კეთილმეზობლური იყო; იყო სესხებები და ურთიერთგავლენიანი, შერეული ქორწინებანი და ამასთან რელიგიური აღკვეთების დარღვევები, მაგრამ ეთნიკურ კონფლიქტებს აღგილი არ ჰქონდა.

ქ ფოთში ეთნიკური პროცესების წარმმართველები არიან: ქართველები, რუსები, უკრაინელები, მონაწილენი — ბელორუსები, სლავები, აზერბაიჯანლები, ბერძნები, ლატვიელები, ესტონელები, ოსები, თათრები, გერმანელები, უნგრელები, რუმინელები, პოლონელები, ჩეხები; აზია — ჩინელები, კორელები; ფოთში მოწმდება კანადელთა არსებობაც. კავკასიის სამყარო წარმომადგენელია: აფხაზებით, აბაზებით, ადიღელებით, ინგუშებით, ოსებით, ნოღაელებით, ყაბარდოელებით, ჩერქეზებით, ავარელებით, ლეზებით და ლაჯით; ეთნიკური უმცირესობანია: ჩუვაში, მორდოველი, უდმურტი, ყაზანელი თათარი, ყუმუხი, მარიელი.

ქ ფოთი საპორტო ქალაქია და გასაგებია მისი ასეთი მრავალეროვნულობა. აქ ეთნიკური პროცესები დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ქ ზესტაფონში ეთნიკური პროცესების წარმმართველები არიან ქართველები, რუსები და უკრაინელები, ხოლო მონაწილენი: ბელორუსები, ოსები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, გერმანები (ქართველი, რუსი, უკრაინელი), ასირიელები.

უროკელები წარმომადგენილები არიან: ბულგარელებით, პოლონელებით, გერმანელებით, ბერძნებით და იტალიელებით. აზია — ჩინელით და ირანელით. კავკასია — ოსებით, აფხაზებით, ყაბარდოელებით, ჩერქეზებით, ადიღელებით, ლეკებით. ეროვნული უმცირესობანია: ბაშკირი, ჩუვაში, ბოშა, ყაზახი, კაზაკი, იეზიდი, უდმურტი.

ქ სამტრედიასაც გამორჩეული თავისებურება ახასიათებს. ეს არის სომხების, ოსებისა და განსაკუთრებით ასირიელების საკითხი, რითაც იგი ქ ზესტაფონის ეთნიკურ პროცესებთან ერთგვარ სიახლოვეს ამჟღავნებს. ზესტაფონის მსგავსად, აქც სომხების რაოდენობის ზრდა ხდება 30-40-იანი წლებიდან და არა XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს ახასიათებს. ასევე დიდია ოსების დენადობა სამტრედიაში 60-იანი წლებიდან. მეტად საყურადღებოა ასევე საქართველოს ქალაქებში (ზესტაფონი, სამტრედია) ქართულ გვარებიანი ასირიელების მონაწილეობა საქორწინო აქტებში. ისინი ძირითადად ქორწინდებიან ერთმანეთთან. ეს უფრო დამახასიათებელია ზესტაფონის ასირიელებისათვის, ხოლო სამტრედიაში ადგილი აქვს როგორც ქართველ გვარებიანი ასირიელების ერთმანეთში ქო-

რწინებას, ასევე მათ არაქართველ გვარებიანთან და სხვა უწოდესუბის  
წარმომადგენლებთან ქორწინებას.



ქ. ზესტაფონის საქორწინო აქტებში წარმოდგენილი ასირიელები და  
წერილი არიან ქართული გვარებით, ესენია: იონანიძე, იჭვაიძე, იგავა-  
იძე, ყაშუაშვილი, აშკაშიძე, ბიკვაიძე, აზგანიშვილი. ეს ჩვენთვის პირვე-  
ლი შემთხვევაა, როდესაც ასირიელები ქართული გვარებით არიან წარ-  
მოდგენილნი. არსად ასეთი რამ არ გვხვდება იმ საკმაოდ დიდი რაოდე-  
ნობის ქალაქების მცხოვრებთა შორის, რომელებიც ჩვენს მიერ არის  
საგანგებოდ შესწავლილი.

საყურადღებოა ისიც, რომ ქ. სამტრედიაშიც მეორდება ქ. ზესტაფო-  
ნში დასახელებული გვარები: ბელოდიძე, მაზრაშვილი, აშკაშიძე, ადამი-  
ძე, სოლომონიძე, იონანიძე, ბიკვაიძე, ბადავიძე, ყაშუაშვილი. ისინი ხში-  
რად ქორწინდებიან ერთმანეთზე, მაგრამ სამტრედიაში მოწმდება აგ-  
რეთვე, როგორც აღინიშნა, ქართულ გვარებიანი ასირიელებისა და არა-  
ქართულ გვარებიანის საქორწინო აქტები, ასევე ქართულ გვარებიანის  
შერეული წყვილები ქართველებთან, რუსებთან, სომხებთან, და ასევე  
პირუკუ წყვილი ქართველისა ასირიელთან, რუსისა ასირიელთან, ასი-  
რიელისა უკრაინელთან და სხვ.

ასეთია მეტად საყურადღებო საარქივო მასალა ქართულ გვარებიანი  
ასირიელების შესახებ. წარმოდგენილი მასალებით, ისიც კარგად ჩანს,  
რომ საქართველოში ასირიელების ქართველებთან თექვსმეტსაუკუნო-  
ვანი თანაცხოვრების შედეგად მოხდა მათი ინტეგრაცია ქართველებთან,  
რაც გამოიხატა მათ მიერ სალაპარაკოდ ქართული ენის დამკვიდრება-  
ში და ასირიელების გვარსახელების ქართულ ყაიდაზე გაფორმებით „ძე“  
და „შვილის“ ფორმანტის წარმოებით. დიდი როლი ითამაშა იმანაც,  
რომ ეს მოხდა დასავლეთ საქართველოს შედარებით უფრო ეროვნულ  
გარემოში და, რაც მთავარია, იმანაც რომ, ასირიელები ქრისტიანები  
არიან (მართლმადიდებლები და კათოლიკები), მაგრამ ეროვნული თვით-  
შეგნებით მაინც ასირიელებლად დაჩინენ, როგორც ქართველი ებრა-  
ელები, მიუხედავად მათი საქართველოში ოცდაექსსაუკუნოვანი თა-  
ნაცხოვრებისა. ამ შემთხვევაში რელიგიამ (იუდაიზმა) ითამაშა გარკვეუ-  
ლი როლი, რომელიც ყოველთვის ეროვნულობის დამცველად გამოდის.  
თუმცა საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა თავიანთი ეროვნუ-

ლობის განმსაზღვრელი ნიშანი „ქართველი“ დაიმკვიდრეს. ქართველი / გარებიანშა ასირიელებმა კი თავიანთი ეროვნული მეობა მაინც შემდგრადებული ჩუნქს, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები არიან და უფრო ადვილია მათი გაქართველება, რადგან ქართულად ლაპარაკობენ და ქართული გვარები აქვთ, მაინც თავს ასირიელებად აცხადებენ და არ ლალატობენ თავიანთ ეროვნულ მეობას.

ამ ეროვნულ მეობას იცავდა საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელი, რის შესახებაც სიამაყით მიუთითებენ ჩვენი მთხრობელები. ამით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მრავალეროვანი თბილისი და მისი ძველი უბნები, სადაც მოსახლეობა ხუთ და მეტ ენაზე (ქართული, რუსული, სომხური, ბერძნული, აზერბაიჯანული, სპარსული, ქურთული და სხვ) თავისუფლად მეტყველებდა. მაგრამ ქართული მაინც გამორჩეული იყო, იგი იყო ამ ხალხებს შორის საერთო სალაპარაკო ენა. 76 წ. ნინა არქადის ასული პოპვა-ავლიშვიას (თბილისი, 1984 წ. ორხევის გასაგალი, №4, „კაზარმის უბანი“) თქმით, „მამაპაპური ენა ჩვენი ქართული ენაა, ეროვნებაზე არ იყო ლაპარაკი ძველ თბილისში, ახლა დაიწყეს“.

ასეთი მნიშვნელოვანი და საყურადღებოა საქართველოს ქალაქებში მიმდინარე ეთნიკური პროცესების თავისებურებანი.

## მითითებული ლიტერატურა:

1. ნ. აბესაძე, თანამედროვე ეთნიკური პროცესები თბილისში — „ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ტრადიციები“, თბ., 1988 წ.
2. ნ. აბესაძე, შერეული ქორწინებანი თბილისის მოსახლეობაში შმაჩის ბიუროს მონაცემებით, I (1911-1921 წ.წ.), „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991 წ. №2.
3. ნ. აბესაძე, შერეული ქორწინებანი თბილისის მოსახლეობაში, II (1921-1980 წ.წ.), „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992 წ., №3.
4. ნ. აბესაძე, რეცენზია ი. ანჩაბაძის და ნ. ვოლკოვას ნაშრომზე „ძველი თბილისი (ქალაქი და ქალაქები XIX ს.)“, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1991 წ., №3.
5. ვახტ. იოლონიშვილი, ოსიანობა კრებულში: „ოსთა საკითხი“, თბ., 1996 წ.

მეცნიერებების საკითხები ვაჭრობულობაში

XI-XII სს. საქართველო დიდად განვითარებულ ფეოდალურ ძეგლანას წარმოადგენდა. ამ პერიოდში გაინაცურებით დაწინაურებული ჩანს სოფლის მეურნეობა, რაზეც მოწმობდა დიდი სარწყავ-საირიგაციო სისტემა; ამათგან გამოიჩინდა ტირიფონის, რუს-ურბნისის, მუხრანის, სამგორის, შიგნით კახეთის, გაღმა მხრისა და სხვ. არხები.

აღნიშნულ პერიოდში, სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელი ისიც უწყობდა, რომ გლეხი მონისგან განსხვავდებოდა, მას „საკუთარი“ მეურნეობა გააჩნდა და დაინტერესებული იყო შრომით, მეურნეობისა და საწარმოო იარაღების გაუმჯობესებით, ბალ-ვენახების გაშენებით, ჯიშთა შერჩევით და სხვ. (1, გვ. II), ისე რომ ინტენსიური მეურნეობისა და ფართო აღებ-მიცემის წყალობით იმ დროის საქართველო კუნიგურად და ფინანსურად ერთ-ერთ მდიდარ ქვეყანას წარმოადგენდა, რომლის წლიური სახელმწიფოს სალაროს ფულადი შემოსავალი 3, 750 ათას ლაროს მანეთს უდრიდა, მაშინ როდესაც მცირე აზიის საერთო შემოსავალი 2,475 ათას მანეთს შეადგენდა (2, გვ. 96).

საქართველოს ძლიერების ამ ეპოქაში, ხელოვნებისა და კულტურის სხვა დარგებთან ერთად, განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს ქართული მხატვრული მწერლობა. „მაშინდელი მხატვრული ქართული მწერლობის უდიდესი ნაწილის დაკარგულობის გამო — აღნიშნავს აკად. ივ ჯავახიშვილი — ამჟამად საშუალება არა გვაქვს, იმდროინდელი ქართული მხატვრული მწერლობის მრავალფეროვნება და ღირსება მთელი სისრულით წარმოვიდგინოთ, მაგრამ მარტო შოთა რუსთაველის უკადავი ქმნილება ვეფხისტყაოსანიც, სხვაც რომ აღარაფერი გვქონდა შერჩენილი, მაშინდელი ქართული მხატვრული მწერლობის განვითარების მაღალი დონის ცხადსაყოფად კმარა. შესაძლებელია გადაუჭირდებლად ითქვას, რომ შოთას ვეფხისტყაოსანი არაჩეულებრივი მოვლა ნაა იმდროინდელი, როგორც აღმოსავლეთისა, ისევე დასავლეთის მწერლობისათვის. პირველი სტრიქონიდან მოყოლებული დასასრულამდე ეს ქმნილება მომავადობებელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებზე, მა-

რტო იმიტომ კი არა, რომ მისი ლექსი უზადოა, რომ მისი  სიმღლიდრითა და მუსიკალობით სწორუპოვარია, რომ მისი შეფარგვების ისეთივე მარჯვე მოხდენილი და ლამაზია, როგორც თვით საქართველოს ბუნება, არამედ იმითაც, რომ თავიდან ბოლომდე მთელი ნაწარმოები მარტო სიყვარულის გრძნობით — კი არ არის გამსჭვალული, როგორც ეს ჩვეულებრივ რომანებში და პოემებში იყო ხოლმე, არამედ იქ თვით მგოსანიცა და მისი გმირებიც დიდ საზოგადოებრივისა და სოციალურ პრობლემებსაც დასტრიალებენ“ (2, გვ. 92).

ამ ჭრილით, ვეფხისტყაოსანში, სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საკითხებთან ერთად, ყურადღებას იქცევს მებალეობის რაობის ამსახველი მონაცემები, რომელიც ნაწარმოებში საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა მისა, რომ ამ პერიოდის საქათროთველო ყოველმხრივ შემკობილ ქვეყნად წარმოვიდგინოთ, რომლის ფონზეც პოემაში იშლება ყველა ის დამახასიათებელი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სურათები, რაც ქვეყნის შესაბამის ეპოქას ახასიათებდა. გაერთიანებული საქართველოს ზემოაღნიშნული ეპოქისათვის, ფრიად დამახასიათებელი ჩანს მეფე-დიდებულების სასახლეების განსაკუთრებული, მდიდრული იერსახე, რაზედაც შავთელიც შენიშნავს: „თუ უქო სრანიმე მასა, რანი? გალავნისა შემკულობანი, მტილსამოთხენი, თვალთ სამოთხენი, ზედ ავაზანთა შეთქმულობანი“ - თ

ბალ-სამოთხეთა და ბალ-წალკოტთა მოწყობა, საღაც ბალის მწვანე მოლი, ვარდყავილების სურნელება, ხეხილის საამო ხილვა, ჭამა-სმასა და სიმღერა-საკრავების ტებილ ხმასთან ერთად, აღამიანის გულს ახარებდა და ყოველდღიური ცხოვრების მძიმე ტვირთს ავოწყებდა ხოლმე (3, გვ. III).

ვეფხისტყაოსანში მებალეობის საკითხის შესწავლის ინტერესს ისიც იწვევს, რომ ამ ეპოქაში გარკვეულწილად მიმღინარეობდა უძველეს ქართულ ტერმინოლოგიაში უცხო სიტყვების დამკვიდრება. კერძოდ „მტილის“, „სამოთხის“, „წალკოტის“, „ედემის“ ნაცვლად ფეხს იკიდებს „ბალი“, „ბალჩა“, „ბოსტანი“ და სხვ. აღნიშნულ გარემოებაზე მიგვითოთებს ის ფაქტიც, როცა უძველესი დროიდანვე საქართველოში ხეხილის შემცველ მიწის ფართობის სასოფლო-სამეურნეო დარგის აღსანიშნა-

ვად „სამოთხე“ იხმარებოდა, რასაც დაბადების ქართული თანგმანეც გვიდასტურებს. ხოლო ითანე საბანისძეს ხეხილის ბალის აღმნიშვნელთან „მტილიც“ აქვს ნახმარი, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ბოსტან-ბალის აღმნიშვნელი სახელი ქართულ ტომებს საერთო ჰქონიათ (3, გვ. 98).

აყალ. ით. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ უძველესი დროიდანვე ქვეყანას მიწა ერქვა, რაც, მისივე სიტყვით, მიწათმოქმედებილან უნდა ყოფილიყო წარმოებული. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამოთხედ ზოგ შემთხვევაში ქვეყანაც იწოდებოდა, ხოლო ზოგჯერ მიწის გარკვეული ნაწილი, სადაც აღამიანი შვება-სიამოვნებას პოულობდა. ამიტომ, რუსთაველის მიხედვითაც სამოთხე საამო ქვეყანაშია გაიგივებული:

„სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესქნელს ვიყო დასანთქმარი

შენი მკვლიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“ (4, გვ. 31).

ამასთან ერთად, სამოთხედ, უძველესი დროიდანვე იწოდებოდა ის ულამაზესი ადგილი, სადაც ბალიც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: „მივმართო სამოთხესა მას მეფისასა, ვი. მეფის ბალისაკენ გავემართო — ასე ესმოდა იგი აკად. ივ. ჯავახიშვილს. ხმისა შენისა მესმა მავალისა შორის სამოთხისაო“ და სხვ. რომელიც ქრისტიანულ მწერლობაში სანეტარო ადგილს ეწოდებოდა, ხოლო სომხურ თარგმანში „დრახტ“-ია, რაც იმავე ბალს, სამოთხეს და პარკს ეწოდებოდა. ქართული ტერმინი „სამოთხე“, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ბერძნულ-ლათინურ-ებრაულ-სპარსულ-სომხურ ტერმინებისგან არის შეძენილი და აგებულობით სასიამოვნო ადგილს ნიშნავს. საბა ორბელიანის განმარტებითაც წალკოტი „მშვენიერი, გინა ფუფუნება, გინა ყვავილთა მტილი, რომელ დასხა უფალმან აღმოსავლისა მხარესა ქვეყანასა ზედა“, ხოლო სამოთხეველი, საბას სასეირნოდ აქვს განმარტებული.

აღსანიშნავია, რომ სამოთხესთან ერთად დაბადების ქართულ თარგმანში (V-VI სს) გვხვდება ტერმინი „ედემი“. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ედემი სასიამოვნო, ნათელ ადგილს ნიშნავს, სადაც ნაგულისხმევია აგრეთვე გარკვეული ტიპის საჩრდილობელი, ნაყოფმომცემი ხემცენარეულით შერეული ადგილი. ამის გამო, ყოფაში ფართოდაა დამკვიდრებული „ედემის ბალი“, „ედემის ანგელოზი“, „ედემის ვარდი“, „ედემის

ბულბული“, „ედემის მსგავსი“ და სხვ. ხალხის რწმენაში ედემის წარმოება წმინდა აღგილია, სადაც ყოველი სახის სასიამოვნო ხემცენარეულობა მოღვენილი და ნაყოფიერების სიმბოლურ გამოხატულებასაც ულისმობას. ამიტომ, საბაც აღნიშნულ ტერმინს სულიერი სიმშვიდისა და ფუფუნების გამომხატველ აღგილად განმარტავს. ამასთან, რუსთაველიც ედემს შევტის, გრძნობების სიმშვიდისა და სილამაზის გამოსახატავად ხმარობს:

„ვინცალა ნახავს, აწ ნახოს, აჟა დღე ედემს ხლებული,

გვერდსა დაისვი, ორნივე სრას დამხვდა მოვალ შვებული“ (4, გვ. 35).

ჩანს, რომ ოდითგანვე ედემი სიამოვნების, სილამაზისა და სიმღიდრის აღმნიშვნელი აღგილიც ყოფილა:

„მეფეთა შიგან სიუხვა ვით ედემს ალვა რგულია,

უხესა მორჩილობს ყოველი, იგინიც, ვინც ორგულია“. (4, გვ. 12).

ამასთან ერთად, პოემა ედემისა და ბალის განუყოფლობა-ერთობლიობაზეც მიგვანიშნებს, სადაც როგორც ბალში, ისე ედემში წარმოდგენილი მცენარეულობანი, კერძოდ ალვის ხე ტექსტში გვხვდება როგორც ბალის, ისე ედემის აღწერა-განხილვისას: „ანუ ბალ ალვა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს, ახიოს...“ (3, გვ. 134).

როგორც ეთნოგრაფიული სინამდვილიდანაც ვიცით, ალვის ხის კულტი საქართველოში ოდითგანვე მომდინარეობს, რომელიც არამარტოკარმილამოებისა და საკულტო აღგილების მშვენებას წარმოადგენს, არამედ ნაყოფიერების სიმბოლოსაც. ამიტომ, უძველეს ნაწარმოებებში, მხატვრულ სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშებში განსაკუთრებით ფიგურირებს ალვა, სარო, ბროჭეული, ნუში, ნარინჯი თუ სხვათა სახეობები. აქვე უნდა ითქვას, რომ ვ. ნოზაძის მიხედვით ბალში ალვას — კიბარისს — რომში სპეციალურად ჩავალნენ და მას „მზითვის ხეს“ უწოდებდნენ, რომელსაც ფალოსური მნიშვნელობა ჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათი სურვილით ის ასულისათვის გაზრდილიყო, რომ ქმარი ჰყოლოდა (5, გვ. 198).

საამო-სასიამოვნო აღგილის აღმნიშვნელად ძველ ქართულში იხმარებოდა აგრეთვე „წალკოტი“, რომელიც ივ. გავანიშვილის სიტყვით სავარდის, საყვავილისა და ბალის აღმნიშვნელი ყოფილა. საბა რაბელიანის განმარტებით წალკოტი ხილის ალაგი-ბალია, ხოლო ფარსადან გორგიგანიძეს ქართული წალკოტის შესატყვისად სპარსული ბალი აქვს

დასახელებული. ამიტომ, ვახუშტი ბატონიშვილსაც ხეხილი სწორეთ წალკოტებში ეგულებოდა. აქედან გამომდინარე, რამდენადაც რუსთაველს წალკოტი არ აქვს ნახმარი, ამდენად უნდა ვივარაულოთ, რომ ამ ეპოქაში მიმღინარეობდა ამ და ზოგიერთი ტერმინის თანდათან მივიწყება და მათ ნაცვლად უცხო სიტყვების დამკვიდრება.

საქართველოს ამ პერიოდის სამოსახლოების, ქალაჭ-დაბების იერსახის მაღალმხატვრულ გემოვნებაზე მიგვანიშნებს რუსთაველის ცნობა".

„ზღვა გაიარა ავთანდილ, მივა განითა მჟევრითა.

ნახს მოცვული ქალაქი, გარე ბაღისა ტვერითა,

გვარად უცხონი ყვავილნი, ფერითა ბევრის ბევრითა,

მისი ქვეყნისა სიტურფე რა გაგაგონო ენითა" (4, გვ. 189).

თუ გავითვალისწინებთ ამ პერიოდის საქართველოს გლეხის მღვმარეობას, როდესაც მისი ფუძე შედგებოდა საყანე მიწის, ვენახის, ბაღის, ბოსტნის, საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო სათავსოსაგან, ნათელი გახდება, თუ ამგვარი შერწყმული კომპლექსით, მისი კარმიდამო, რომ აღარაფერი ვსთვეათ დიდგვარიანთა ეზო-კარმიდამოზე, რაოდენ კეკლუცად იქნებოდა მოწყობილი:

„იქ ბაღსა შიგან ტურფანი სახლნი, ნატიფად გებულნი,

მაღალნი, ყოვლნგნით მხედველნი, ზღვას ზედა წაკიდებული" (4, გვ. 199).

ან კიდევ: „ღამით შევლო, მოვიდოდი, ზღვისა პირსა აჩნდეს ბაღნი,

ჰევანდეს ქალაქს, ვეახლენით, ცალ-კერძ იყვნის კლდეთა ნაღნი.,

არ მიამის კაცთა ნახვა, მიდაღვიდა გულსა დაღნი.,

მუნ გარდავხე მოსვენებად, დამხვდეს რამე ხელნი ლაღნი" (4, გვ. 114).

ქალაჭ-ბაღების, ეზო-კარმიდამოების, კელესია-მონასტრების კომპლექსების მაღალი გემოვნებით მოწყობას ბუნებრივია შესაბამისი ცოდნა გამოცდილების მქონე მებაღე-დეკორატორები საჭიროებდა. ამიტომ, ისტორიულად მომდინარეობდა ამ სამუშაოებისათვის არა მარტო ადგილობრივი მოხელეების, არამედ მოწვეული პიროვნებების გამოყენებაც.

გ. მთაწმინდელის ცნობით, მონასტრის საჭორეში „ყოველნი ძმანი იყვნენ მეგორედ: და ორნი ერისგანნი ჰყვიან მსახურად და მხოეტლად „საერო დაქირავებული მუშები ხომ ხშირად იყვნენ გამოყენებულნი მონასტრის შინასამეურნეო ცხოვრებისათვის. მაგ. ვენახის დასხმისათვის, მებოსტნედ, მებაღედ და სხვ. (6, გვ. 63). დავით გარეჯში, საღაც VI

საუკუნიდან ყალიბდებოდა სამონასტრო კოლონია, რომელიც განსაზღვრავთ თრებულ აყვავების აღწევს IX-XII სს. და რამდენიმე სოფელს ფლობის ტერიტორიაზე დღიურობის წამყვან დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა, ინტენსიურობით გამოირჩეოდა მებალეობა-მევენახეობა, რის გამოც რთული სარწყავი სისტემის მოწყობა, შესაბამისი დარგების მაღალკვალიფიციური მოხელე-სპეციალისტების მოწვევა აუცილებელი გამხდარა. თუმცა ძირითად სამეურნეო სამუშაოებს აღილობრივი ბერები ასრულებდნენ. და, რომ „ერთ-ერთ სოფელში არის ზვარი და ბალი, ბერების შრომით და სოფლის გარჯით აღშენებული, რომლისგანაც მოგვივა ღვინო და ხილი სხვადასხვა გვარის სიმრავლე, რომელსაც ბერები ვერცალა შემთხვევად მიემთხვევიან... ნათლისმცემლის მონასტერს მანავის სოფელში აქვს ზვარი, რომლისგანაც ბერების მუშაკობით მოვისოფლებთ ას საპალნე ღვინოსა, იმავე სოფლიდამ შემოგვივა მონასტრის სამყოფი ნიგოზი, და სხვ. (7, გვ. 32).

ბიზანტიული ისტორიკოსის პროფესი კესარიელის სიტყვით (VI ს.) მესხეთში, ამ თემის მთაგორიანობის მიუხედავად, იქაურ მკიდრო თა-  
ვიანთი შრომითა და ცოდნით, ვითარცა დახელოვნებულ მიწისმოქმედთ,  
ხეხილიცა და ვენახებიც გაუშენებიათ და ხილნაყოფიც საკმაოდ ჰქონიათ.  
აჭ უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსთაველს სწორედ ამ როულ ბუნებრივ  
პირობებში აქვს ნაგულისხმევი ბალების გაშენება, როდესაც აღნიშნავს:  
ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტა არ აჩენდა,  
გველი მოშლით მოეკეცნეს, ბალი შელმა შერეშენდა...

„უჩივენებს, უტყვის: სედავო ბაოსა ზედა“ ქვა მღვმელსა?

იქ წევს ძილად, იკუთხ, ანუ მაგ ჰპოვიბ მჯდომელსა „, (4, გვ. 197).

5.

„მობილუნდეს გამარჯვებულნი, ჩამოსხდეს ჩრდილთა ხეთასა, ტურითა რასმე ბალჩათა, ყოლ არ კატართა ტყეთასა...“

მათ ბალთა პირსა დააბნეს ნავი საბლითა სამითა

ავთანდილ ტანსა ჭუბანი ჩაიცვა, დაგდა სკამითა“ (4, ვ3, 305).

როგორც ნაწილობრივ ავღნიშნეთ, ვეფხისტყაოსნიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობდა ბალისაგან ცალკე ადგილის-ბალჩის გამოყოფა, რაც დარჯთა ინტენსიურობაში განაპირობა:

„მამისა ტახტისა საჭდომად თავი არ ელირსებოდა,

ამად ტირის, ბალი ვარდისა ცრემლითა აივებოდა“ (4, გვ. 64).

ამ მხატვრული შედარებიდანაც ჩანს, რომ „ბალი ვარდისა“ დამოუკიდებელი აღგილია. მაგრამ, როდესაც ვარდ-ყვავილები სხვა ხელცენარეულთანაა შერწყმული და ამასთან შედარებით მცირე ფართობზე, მაშინ იგი ბალჩადაა წოდებული. ამიტომ, რუსთაველს მის გამოსახატავად ზოგჯერ ბალი, უმთავრესად კი ბალჩა აქვს ნახმარი. და რომ ბალჩას ისეთ კონტექსტში ხმარობს, როდესაც წარმოადგენს ან ნახულობს შედარებით მცირე ზომის საამო აღგილს. აღსანიშნავია, რომ შემდგომ ხანებშიც ასევა იგი განმარტებული. მაგალითად, თეიმურაზ ბაგრატიონის მიერაც: „ბალი — სპარსული წალკოტს ჰქვიან — ბალჩა მცირე წალკოტს“ (8, გვ. 47).

ბალჩა, რომ ეზოს გარკვეულ, შედარებით მცირე აღგილს წარმოადგენს, კარგად ჩანს რუსთაველის მხატვრულ გამოთქმაშიც:

„მეფემან სახლი ააგო, შიგა სამყოფი ქალისა,,

ქვად ვაზირი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, თვალისა,,

პირსა ბალჩა და საბანლად სარაჭი ვარდის წყალისა,,

იგი მუნ იყვის, მედების ვისგან სახმილი აღისა“ (4, გვ. 68).

თითქმის ამავე გააზრებითაა ნახმარი ბალჩა მომდევნო ტაეპშიც:

„დღედალაძე მუჯამითა კუმევოდის ალვა თლილი,,

ზოგჯერ კოშკს ჭდის, ზოგჯერ ბალჩას ჩამოვიდის, რა დგის ჩრდილი“ (4, გვ. 68).

რუსთაველის ეპოქაში ხელოვნების ეს დარგი მაღალ რანგში რომა აყვანილი იქიდანაც ჩანს, რომ პოემა მისი სიმშვენიერე სულიერ საზრდოდ მიიჩნია და იგი ნაირფეროვან ნაქსოვ ფარდაგს შეადარა:

„ბალჩა ვნახე უტურფესი ყოვლისავე სალხინოსა:

ფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა,,

მრავლად იყო სარაჭები ვარდის წყლისა აბანოსა.

კარსა ზედა მოჰყარვიდა ფარდაგები ოქსინოსა“ (4, გვ. 72).

აღსანიშნავია, რომ რუსთაველი პოეტური სილამაზის ფორმების გამოხატვისას მარჯვედ იყენებს რა ჩვენთვის საინტერესო ტერმინებს, ამასთან ნათელ წარმოადგენას გვიქმნის ეზო-კარმიდამოების მოწყობის ზოგადი სურათის საჩვენებლად:

„შევჭრ, წაველ, ბაღჩას მიველ, ვითა სცნობდნენ ლხინთა ზომად.“  
ბაღჩა შევლუ კოშკი დამხვდა, ასმათ ვნახე ძირსა დგომად“ (4, გვ. 102).

მებაღე-დეკორატორების კატეგორიის არსებობის შესახებ საქართველოში მოგვეპოვება არაერთი ისტორიული და ეთნოგრაფიული დოკუმენტი, რომელიც განსაკუთრებული მასშტაბურობით ჩანს განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის პირობებში, როდესაც მსოფლიოს ცალკეული სახელმწიფოების მაღალი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელოვნების ამ დარგის განვითარებამ გაიტაცა. და, რომ ჩვენშიც მებაღის ინსტიტუტი არსებობდა, კარგად ჩანს ვეფხისტყაოსნიდანაც:

„მოვიდა მისი მებაღუ, ბაღსა ეახლნეს რომელსა,

მას ყრმასა უჭვრეტს შეფრთრინვით, პირსა, ელვითა მკრთომელსა,,  
ავთანდილ უხმო, ეუბნა, კაცსა არ სიტყვა მცდომელსა:

ვისი ხართ, ვინ ხართ, რა ჰქვიან, მეფესა აქა მჯდომელსა?

მე ვარ მებაღე უსენის, ვაჭართა უხუცესისა,

ესეცა გეაღრო, საქმე მისისა წესისა:

თვით ესე ბაღი მისია, თქვენი სადგომი დღისისა,,

პირველს მას მართებს ჩვენება, ყოვლისა უტურფესისა.

ავთანდილ უთხრა: წაღიო, აგრექენ, რაცა გწადიან.

მებაღე მირბის, ახარებს, ოფლი ქვე მკრდამდინ ჩასდიან“ (4, გვ. 189).

როგორც ცნობილია, მაღალი წრის საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს გააჩნია საზამთრო და საზაფხულო სადგომ-საცხოვრებლები, სანადირო თუ სანადიმო აღგილები, სადაც, ბუნებრივია, შესაბამისი ნაგებობებიც იყო მოწყობილი. აღსანიშვნია, რომ ამ ტიპის, უმეტესად დროებით საცხოვრებელ ნაგებობას „მცირე სახლაკი“ ეწოდებოდა. მცირე სახლაკებს, ბუნებრივია, მუდმივი მომელელ-მეთვალყურეც ყავდა ძირითადად მათი მცირე მოცულობის შესაბამისად „ხულა“ ეწოდებოდა, რომელიც ეთნოგრაფიულმა ყოფამ „ხულა-ხუხულას“ სახით შემოგვინახა და დღესაც სახელდახელოდ აგებულ თავშესაფარს ჰქვია.

ხულა თეიმურაზ. ბაგრატიონის განმარტებით „ქართული არის — სენაკია, კელია. ხულა საკუჭნაოს ნიშნავს, ე.ი. მცირეს რასმე სახლსა შესანახავად ხილთა და საჭმელთა“ (7, გვ. 80). ამავე მიმართულებით საყურადღებოა ვეფხისტყაოსანში ნახმარი ხულას რაობა, რაც ბაღში ნაშენი მცირე თავშესაფარის მნიშვნელობით უნდა იყოს მოტანილი:

„თუ ვერა ვიქ საწადელსა, შენსა. შენთვის განზრახხულსა, არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულსა“. (4, გვ. 252).

მებალეობა, ხილის წარმოება-მოხმარება ფეოდალურ საქართველოში იმდენად უხვად ყოფილა, რომ მისი ფასი შოთა რუსთაველს ერთობ დაბალ-ჩირად მიუჩნდება:

„მან თქვა: ტკარე ჰპოებს, სჭობს იქნების რაცა ძვირად, რდეს ტურთა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად“ (4, გვ. 161).

და ბოლოს, შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის შექება-შეფასებისას დავით გურამიშვილი წერს:

„ოდესაც ბრძენმა რიტორმა  
შოთამ რგო იგავთ ხეო და,  
ფესვ ლრმა-ყო, შრტონი უჩინა,  
ზედ ხილი მოიწეოდა.  
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა,  
ვისგანაც მოირხეოდა,  
ლექსი რუსთვლისებრ ნათქვამი  
მე სხვისა ვერ ვნახეო და“.

## გამოყანებული ლიტორატურა

- დ. გვრიტიშვილი, ნარკვები საქართველოს ისტორიიდან (XIII-XIV სს), თბ., 1962წ.
- ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს ისტორია XI-XV სს, თბ., 1949 წ.
- ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი II, თბ., 1935წ.
- შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სოლ. ყუბანეიშვილის გამ. თბ., 1961წ.
- ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავომეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957წ.
- შ. მესხია, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხი X-XII სს. საქართველოში, „მომომხილველი“, I, თბ., 1949წ.
- შ. ქაგთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965წ.
- თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960წ.

## საცხოვრებელ ნაგადობათა ცრთი სახაობა საქართველოში (ფაცხა)

ფაცხა საქართველოში ერთ-ერთი უძველესი საცხოვრებელი ნაგებობა იყო, რომელმაც ჩვენი დროის 40-იან წლებამდე რამდენიმე სახესხვაობით მოაღწია.

დასავლეთ საქართველოში ფაცხა ეწოდებოდა გვიმრით, ჩალით, თოვით ან ისლით გადასურულ წნულებით სახლს. აღმოსავლეთ საქართველოში მას „წნულს“ (11.157), „წნურს“ (5.186) ან ქოხს უწოდებდნენ. თუშების ბარის სოფლებში იგი „ლასტურაუს“ სახელწოდებით იყო ცნობილი (11. 157. 385). საინგილოს ქართული მოსახლეობა მას „კედლის სახლს“ ეძახდა (11. 125). აფხაზურად ფაცხას „აფაცხა“ და „აქუაცა“ ეწოდებოდა. „აფაცხა“ ხის საძირკველზე დადგმული ნაგებობა იყო, ხოლო „აქუაცა“ უსაძირკველო გახლდათ (2. 32).

სახელწოდება „ფაცხის“ განმარტებისათვის ყურადღებას იქცევს ჩედა ცხ. ძირის მქონე ისეთი სახელწოდებები როგორებიცაა: ფარჩხი, ფარჩხა, ფარცხი, ფოცხი, ფუცხი, ფიჩხი და სხვა. ფარჩხი გაუსხეპავი წნელია, რომლისგანაც კეთდებოდა ფარცხი, ცოცხი და კარავი (13). „ფარჩხა“ იხმარება „ბორჯლიანი“, — გრძელი, ფხიანი ფეტვის აღმნიშვნელად (13). „ფარცხი“, „ფოცხი“, „ფუცხი“ — (მეგ.) ხის ფოცხია ნათობის მოსაგროვებლად, გასაშლელად, მიწის გასაფხვიერებლად ან მოსასწორებლად.

ამრიგად, როგორც ჩანს, ფაცხა სახლის ადრეული ფორმები გაუსხეპავი წნელით — ფარჩხით იგებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ ტიპის საცხოვრებლის შენება გასხვებილი, გათლილი წნელით დაიწყეს, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში „წნული“ თუ „წნური“ სახლი და უფრო გვიან კი, კედლების ტალახით შელესვის გამო, „ქოხი“ ეწოდა.

ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ პერიოდში საქართველოში ფაცხა სახლის უძველეს სახეობად მიჩნეულია ჩვენს დრომდე ჩელიქტის სახით შემორჩენილი „კუნჭულა“ და „ამხარა“ (10. 245). „კუნჭულა“ მეგრულად საკვამლე ხერელს ეწოდება და ამ ნაგებობამაც სახელწოდება აქე-

დან მიიღო. ფორმისა და დანიშნულების მიხედვით მათ შორის ის „განსხვავებაა, რომ „კუნჭულა“ გეგმაზე მრგვალი ფორმის მეტად: მათვალი წოპიანი სახურავის მქონე ნაგებობა იყო, რომლის ფართიც 3X3 კვ. მ უდრიდა. (იხ. ტ.II სურ. 1.3.5.) და იგი მხოლოდ ადამიანის სამყოფად გამოიყენებოდა (10. 245). „ამხარა“-ს კი სახურავი შედარებით დაბალი ჰქონია, თუ „კუნჭულა“ ფაცხა გვიმრით იხურებოდა, „ამხარ“-ს უკვე ისლით ხურავდნენ. მის კედლებს შიგნით და გარედან თხა — ტალახით ლესავდნენ. ფაცხას სარკმელი არ ჰქონდა (10. 245). ამგვარ ფაცხაში ზამთრობით ადამიანებთან ერთად ამყოფებდნენ საქონელსაც. მათ შორის სხვაობა იმაშიც შეინიშნებოდა, რომ თუ პირველ შემთხვევაში ფაცხის წნული კედლები წრეზე ერთ რიგად დასმულ მესრებზე იყო ამოყანილი, მეორე შემთხვევაში, ნაგებობისათვის მეტი სიმაგრის მიცემის მიზნით, გარედან კედლის პირზე უდგამდნენ საკედლე სარებთან შედარებით უფრო მსხვილ ძელებს (იხ. ტაბ. I. სურ. 2.5,6,7). ამდენად, როგორც ჩანს, „ამხარა“ ფაცხა „კუნჭულა“ ფაცხის განვითარების შედეგად მიღებული ნაგებობაა, რომელმაც დროთა განმავლობაში გეგმაზე მიიღო ჯერ ოვალური ფორმა (იხ. ტაბ.II სურ. 9. 10), შემდეგ ოთხუთხა ფორმა ორქანობიანი, ხოლო საბოლოოდ ოთხქანობიანი სახურავით (იხ. ტაბ.II სურ. 11.12.13.15.17).

ამხარა ფაცხა ფორმით რამდენიმე სახესხვაობას ქმნიდა: 1) გეგმაზე ოთხკუთხედი უაივნო (იხ. ტაბ.II სურ. 11.13). 2) ოთხკუთხა აივნიანი (იხ. ტაბ.II სურ. 12.15), 3) ოვალური უაივნო (იხ. ტაბ.II სურ. 9.10). 4) წინა და უკანა ფასადებზე აივანი (იხ. ტაბ.II სურ. 15). 5) ოთხკუთხა, ირგვლივ აივნიანი (იხ. ტაბ.II სურ. 17).

დანიშნულების მიხედვით ფაცხა იცოდნენ: სასტუმრო, საწესო, ახლადდაქორწინებულთათვის (4. სურ. 421), სამეურნეო დანიშნულების (8. 135) და ოჯახის ძირითადი საცხოვრებელი შუაცეცხლიანი.

ფაცხას გლეხი თითონ იშენებდა. ამისთვის იგი ჯერ აირჩევდა საფაცხე ადგილს, რომლის ფართობი უდრიდა 3X3 კვ. მ., შემდეგ ჩასვამდნენ სარებს და მას გარშემო წნელით შემოლობავდნენ (10. 245). წნულ კუდლებს შელესავდნენ ტალახით ან შეფუთავდნენ ჩალით ან გვიმრით. ამგვარად შელესილ თუ შეფუთულ ფაცხას სატიბა (მეგ.) დათბუნული ფაცხა ეწოდებოდა.



1



2



3



4



37




6



7



8



5

ფაცხის ადრეული ფორმები უსაძირკვლოდ შენდებოდა, გვიჩვენ კი ფაცხას ხის საძირკველზე სვამდნენ. საძირკველზე სარის სისქის ზომაზე  
ამოღებულ ორმულებში ჩასვამდნენ სარებს და შემდეგ კედლებშის ლო-  
ბვას შეუდგებოდნენ. წნული კედლების ამოყვანის შემდეგ საკედლებზე  
სარტყელს — ორტყაფუს (მეგ.) ჩამოაცმვდნენ, წინა და უკანა კედლებზე  
თავხეს — ომპა-ს (მეგ.) გასდებდნენ. თავხეზე — შუა წელზე მოკლე ხის  
ძელს ციგ-ს (მეგ.) აღმართავდნენ. ციგის თავზე „ქუდა“ დასდებდნენ  
მასზე ოთხი ნივნივის თავი იდებოდა და შემდეგ ლარტყებით — ჭოკა-  
ბით გააწყობდნენ გადახურვას, რომელიც შემდეგ „ხაიათი“ (ისლის მა-  
გვარი მცენარეა), ჩალით ან ისლით გადახურავდნენ. კარგბად ჩელტუ  
„ლვლეჭით — წკულეტით (მეგ.) — დაგრეხილი წკნელით ჩამოჰკიდე-  
ბდნენ. შიგნით მიწას მოაყრიდნენ, მოასწორებდნენ და დატკეპნიდნენ  
(8. 134-135) და ამ მიწური იატაკის შუაში კერას — შუაცეცხლს გამარ-  
თავდნენ. ამგვარი ფაცხის სიმაღლე 5,70 მ. აღწევდა (2.29.36).

კახეთში სახლის მშეებლობა იწყებოდა სახლის დასაღველ ადგილზე  
ბრტყელი ქვების დაწყობით, შეტალახებით და ზედ ოთხკუთხად დიროვ-  
ბის — ხის საძირკვლების დაწყობით. დირე ამობურლული იყო დაახლო-  
ებით ერთი ადლის ერთმანეთზე დაშორებით, რომელშიც მანებს — სა-  
რებს სვამდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც დირეც კი არ იდებოდა და  
მანები პირდაპირ მიწაში იყო ჩარჭობილი. დირებშივე სვამდნენ სამ აფრას.

მანებზე — სარებზე შინდის, მუხის, იფნის ან რცხილის დახეთქილ  
წნელს ცალპირად წნავდნენ. დაწნულ კედელს და აფრას ზემოდან სარ-  
ტყელი ედებოდა, რომელიც დირეს მსგავსად იყო ამობურლული და მა-  
ნების ზედა ნაწილი შიგ იყო ჩასმული. სარტყელზე კოჭემი ეწყობოდა  
სარტყლის წინა და უკანა მხარეს ჩასმული იყო ორი აფრა, რომელზეც  
საყვავე ან თავხე იდებოდა. საყვავეს იკავებდა ერთმანეთში გაყრილი  
კავები. კავების ბოლოები სარტყელზე იყო დამაგრებული. კავებზე ლა-  
ტნები იყო გაწყობილი და ზედ ჩალა იყო დადგებული. ჩალა წალმის,  
ლელის ან ჩიხისა იყო. ჩიხი ამოწნული იყო ლატანში. ზემოდან ჩიხს  
მუქუნს ამაგრებდნენ, რომ ქარს არ აეხადა მრგვალი სახურავი. სხვენი  
თვეზითხურად მოწნული წნელით იყო შემორაგული. წნურის კარი „ქა-  
რთული“ იყო მთლიანი ხისა, სანათური კი (რომელიც იშვიათად კეთ  
დებოდა) ლასტისგან იყო მოწნული.

36136340  
5161410033




9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20

წნურის კედლები ხელით არის შელესილი (იხ. ტ.ბ.II სურ. 13). სახლის შიგნით, შუა აღილას, დედამოძი იღვა, რომლის წინა კურეულები მოწყობილი (5. 186). სამეგრელოში გარდა დათბუნებული ფაცხვისა სკოდნიათ საჰავო ფაცხა — ის ტალახით არ იღესებოდა და სტუმრის მისაღებს წარმოადგენდა. მისი კედლები თხილის და თლილი წნელით ლამაზად იღობებოდა. (10. 385).

გეგმარების მიხედვით ასევე ყურადღებას იქცევს ოთხკუთხა და სწორკუთხა ფაცხა სახლები. ჩვეულებრივ ოთხკუთხა ფაცხა სახლის ფართობი 9-17 კვ-მ აღწევდა, ხოლო სწორკუთხა ფაცხა სახლის საერთო ფართი 18X6 კვ.მ.-ს. ჩვეულებრივ, წინა საფასადო მხარეს მას დართული ჰქონდა სახლის გადახურვის ქვეშ მოქცეული ერთი მეტრი ან ორი და ზოგჯერ მეტი სიგანის ღია აივანი, გვიან კი სოციალურად დაწინაურებულ პირთა სახლების აივნებს უჩნდებათ მოაწირი ფიცრული კარებით (იხ. ტ.ბ.II სურ.20) და საცხოვრებელი ფართის ერთ მხარეს მომცრო ზომის სათავსო, რომელსაც აფხაზები თავლად იყენებდნენ, ხოლო მეგრელები და სვანები მსხვილფეხა საქონლის სადგომად. საქონლის საზამთრო საღვომსა და საცხოვრებელ ფართს შორის ტიხარი თავდაპირველად დაბალი ყოფილა. მას შემდეგ კი, როცა თავლა თუ ბოსელი ფაცხას ცალკე ნაგებობის სახით გამოჰყოფია, ეს ფართობი სასტუმროდ ან საოჯახო ინვენტარის შესანახ სათავსოდ გადაუქცევიათ (2.61). ე.ი. ამგვარი სახლის სიგრძე სამჯერ აღემატებოდა მის სიგანეს, რაც იძლეოდა საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსოთა წნული ტიხარებით ერთმანეთისგან გამოყოფის საშუალებას. შემდგომში შეძლებულ პირთა გრძელი სახლების ორი კედელი (წინა და უკანა ან გვერდითი კედლები) ძელებისგან ან ფიცრისგან იგზოდა, შემდგომისათვის ხის მორებით — გარგვლის და გათლილი ფიცრებით — პიტაფიცარა სახლების მშენებლობის დაწყებამ ჭერ ნაწილობრივ ხოლო შემდგომ მთლიანად შეცვალა საკელდე მასალის სახეობა, რამაც შექმნა ფიცრული სახლის გეგმის შემდგომი კანონზომიერი განვითარების საფუძველი (1.82).

კუნძულა თუ ამხარა ფაცხა სახლებში საცხოვრებელი ფართის პირობითი დანაწილება-გამოყენება ქვეყნის მხარეების გათვალისწინებით იწყებოდა. უშუალოდ აღმოსავლეთის — სამზეო მხარე სამამაკაცო იყო, ხოლო დასავლეთისა — საქალებო. სამამაკაცო მხარეს — შესასვლელი

დან მარცხნივ იდგა ხის გრძელი, ღამალი, უზურგო სკამი (იხ. ტექსტი სურ.5), საქალებო მხარეს კი — რამდენიმე ღამალი, ერთიანი სტატუსი გამოთლილი ჭორკო (ქ. რაჭ. გურ.) კველა (მეგ.) ან ხის კუნძი, ანდა საჯდომად საერთოდ იატაკზე დაფენილ ჩალას, ქრის ან ტყავს იყენებდნენ. ამავე კუნჭულა ფაცხის გეგმაზე კარგად ჩანს, რომ ოჯახის წევრთა საწოლად გამოყენებული ყოფილა კერის გარშემო შემოწყობილი იმდენი ჩელტი, რამდენი სულიც ცხოვრობდა ამ ფაცხაში. დღისით კი ჩელტებს ფაცხის გარეთ კედელზე ჰკიდებდნენ. უფრო ხშირად საწოლად მიწურ იატაკზე დაფენით თივას, ტყავებს, ჭილოფს, ნაბდებს ან მატყლის თუ ბამბის ფარდაგებს იყენებდნენ, როგორც საჯდომად ასევე საწოლადაც (2. 29-36), (5. 187).

კერის თავზე თავხიდან ჩამოშევებული იყო საკიდელი. ადრე ეს საკიდელი ხისა ყოფილა, რომელიც გვიან რკინის საკიდელმა შეცვალა და ხის საკიდლები, თავხეზე მიმაგრებული, გამოიყენებოდა კალათების, გამოსაშრომი ყველისა და ხორცის ჩამოსაკიდებლად.

ერთოთახიანი ოთხუთხა ფაცხის განვითარებულ ფორმას ქმნის სამურზაყანოში (გალის ჩ-ნი) აღწერილი ფაცხა სახლი, რომელიც მხოლოდ საცხოვრებელს წარმოადგენდა, ხოლო სამეურნეო ნაგებობანი (საძროხვ, ნალია-მაღაზა) ცალკე ეზოში ყოფილან განთავსებულნი.

საცხოვრებელი ფაცხა ოთხუთხა, შუაცეცხლიანი, უსარემელო, გვიმრით გადახურული და გვიმრითვე კედლებშებურული ნაგებობა ყოფილა. ფაცხაში, შუა ალაგს, კერის თავთან, ერთი დიდი ჭირკვი დებულა, რომელსაც იქ „ბუკი“, ანუ დედა შეშა რქმევია. ამ ბუკზე წვრილი შეშის თავებს ჩამოდებლენ ცეცხლის გასაღვივებლად. რამდენადაც ფაცხას საკვამლე ხერელი არ ჰქონია, კერიდან ასული კვამლი ოთახში ტრიალებდა, რის გამოც დირევბი და სახურავის ქვედა ნაწილი გამურული ყოფილა. კერის ორ მხარეს ხის გათლილი, ღამალი სკამები — კველები მდგარა.

კერის ორი მხარე ჰქონია: ერთი სავაუკაცო — „საქომლო“ და მეორე საქალებო — „საოსურო“. სამამაკაცო მხარეს მხოლოდ მამაკაცები სხდებოდნენ — აქაური გლეხის ფანიასი (ფანია სამურზაყანოში, გალის რაიონში მრავალრიცხვან ოჯარს ეწოდებოდა გ.გ.), მეორეზე — ქალები სუფრასაც ცალკე უსხდებოდნენ. კერასთან ჭდომისა თუ საოჯა-

ხო ტრაპეზის დროს არსებული ეს წესი მკაცრად ყოფილა და შედგნა სტუმრიანობის დროსაც. ჟალები მხოლოდ საქალებო მხარეს საჭმალო ბდენენ.

ფაცხის გვერდითი, კედლების გაყოლებაზე მიღმული ყოფილა გაჩორკნილი ფიცრისგან გაკეთებული ვიწრო საწოლები, საქალებო მხარეს საწოლზე ლოგინი ყოფილა დაწყობილი. აქვე ტახტის ერთ კუთხეში, ზანდუკი — (სკივრი) მდგარა, რომელშიც ინახებოდა ოჯახის წუკრთა ტანსაცმელი... ზანდუკის ერთ კუთხეში კიდევ უნდა დებულიყო თაფლის სანთლის ნაჭერზე მიკრული ორშაურიანი თეთრი ფული... ავადმყოფობის დროს ილორის წმ. გიორგისათვის შეწირული და ავადმყოფის თავზე შემოვლებული ორი ან სამი აბაზი შავი დღისთვის გამოზოგილი.

საქალებო მხარეს მდგარა აგრეთვე ძალზე ვიწრო, მტკაველნახევარი სიგანის აკვანი, რომელშიც გაზრდილა ამ ოჯახის მამა და მისი ხუთი შვილი. ამავე მხარეს ეწყო აგრეთვე ფქვილით სავსე ტომარა, ბარქაში — გობი — ნისორი (მეგ), თუგის ქვაბი, სუთი — კირზა (მეგ), ჩოგანი... იქვე კუთხეში დაყუჩებული იყო წიწილებიანი კრუხი.

კერის თავზე ჭერში მიმაგრებული იყო ხის კავი ქვაბის ჩამოსაკიდებლად.

ფაცხის ერთ მხარეს მდგარა თხემლის ფიცრისგან გამოთლილი ოთხეტეხა ორი ალაბი — (ადლი) სიგრძისა და ნახევარი ალაბი სიგანის ოთხეტეხა ფიცარი, მასზე ეწყო ბლის ხისგან გამოთლილი ქვიჯა — ფილი, ბუყუნი — მაწვნის შესანახი ხის ჭურჭელი, ხის ხუთი ჯამი, ხის ორი თეფუში, ბზისგან გამოთლილი ოთხი კოვზი. ტაბლის ახლოს კედელზე კიდა: ნიგა (ჩასაწველი ხის ჭურჭელი), მწარე გოგრის ჭრეჭისგან გაკუთხებული ჭურჭელი კვეთისათვის და ოჩეჩე (ხის ჭურჭელი ახლად ამოღებული ყველის ჩასაღებად და საწურალ). ტაბლის ახლოს მდგარა ერთი თავშომტკრუეული თიხის კოკა და ერთიც დოქი. იქვე ყოფილა გათლილი ფიცრის ოთხეტეხიანი გრძელი დაბალი მაგიდა — ტაბაკი (მეგ.), რომელზედაც პირდაპირ აგებდნენ ღომს და წინ დაიღვამდნენ ხოლმე საღილვახშის დროს.

სტუმარ მამაკაცს დასაძინებლად ცალკე აწვენდნენ სამამაკაცო მხარეს, ხოლო შეორე ტახტზე ოჯახის უფროსი კაცი თავისი ფანიას-თან

ერთად წვებოდა (12. 271-274).

იმერეთის მაგალითზე ჩამდენადმე განსხვავებული ფორმისა,  ტერიტორიაზე წნულკედლიანმა საცხოვრებელმა ნაგებობაში ასახვა ჰქონდა აგრეთვე ქართულ პოეზიაშიც:

„ჩალური სახლი მიღია,  
ხულა დერეფნით სრულია,  
სხვენი აქვს წიფლის ფიცრისა,  
კედლები გამოწნულია.  
წინ და გვერდებზე კარები,  
ურდულად დიდი კეტია,  
ხულის კარებს კი ჩაზა აქვს  
შიგნიდან დასაკეტია.  
შიგ შუა სხვენში ჰყიდია  
ჩალხანის საკიდარია,  
ხულისკენ — თარო ჭამ-ჭურჭლით  
და კრუხის საბუდარია.  
კერასთან შუა ბოძია,  
ბოძთან-ძმრის ქოცო თხლიანი,  
ბოძს უკან — ფქვილის გოდორი  
და კოდი ბარაქიანი!“

ლამე დასაძინებლად ასეთი სახლის ოჯახის წევრები ჩულებს (ქეჩის მაგვარი ქსოვილია) იყენებდნენ (6.75).

ფაცხა სახლის ადრეული ფორმების გავრცელების არეალი, როგორც ჩანს, მთიან ზოლს მოიცავდა. თუ გავითვალისწინებთ ჰიპოკრატეს ცნობას იმის შესახებ, რომ კოლხეთში აღამიანებს საცხოვრებელი ჭაობში აქვთ და ნისა და ლერწმის სახლები წყალზე აქვთ გამართული (14.45) უნდა გულისხმობდეს არა მიწაზე დადგმულ წნულკედლიან სახლს, არამედ მიწიდან აღმართულ ოთხ ბოძზე შეყენებულ წნულ თუ ძელურკედლიან ნაგებობას, რომლის აღმნიშვნელადაც სამეგრელოში, რელიქტის სახით, ათაბოგია შემორჩენილი.

ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ათაბოგი მაღალი, ძელებზე შეყენებული გვიმრით, ან ხაიათი გადახურული სახლი იყო. მისი მეორე სართულის კედლები შეიძლება ყოფილიყო როგორც წნულის,

ასევე ძელურიც. სიტყვა „ათაბოგი“, როგორც ჩანს, ორი ნაწილისგან შედგება ათა და „ბოგი“. ათა აწეულს, მიწის დონიდან აცილებულს, ზედას ნიშნავს, ხოლო ბოგი, ბოგა, ბოგილი გადებული ძელი, შელური იატაკის, ამ შემთხვევაში, აწეული იატაკის აღმნიშვნელი ტერმინია. მე-გრულ-ქართულ ლექსიკონში მოცემული განმარტებითაც, ათაბოგი ოთხ ბოძზე შეკენებული სახლია, დაახლოებით, 6-7 მეტრის სიმაღლეზე მაღალ, ოთხ ბოძზე არის ღობური ერთი ოთახი იატაკით, ჭერით, ღობურს აქვს ფართე კარი და ორკეცხი — სარქმლები ან ღია საჭვრეტები. ბოძებზე არის მიმაგრებული საფეხურიანი კიბე, სამი-ოთხი მოსახვევით. ასეთი სახლი შენდებოდა ჭაობიანი, კოლოებიანი კარ-მიღამოს ცენტრში, საღაც ღამით ისვერნებდა ოჯახი, კოლოებისაგან დაცვის მიზნით (7).

ამრიგად, როგორც ჩანს, ფაცხა სახლის აღრეული ფორმები გავრცელებული უნდა ყოფილიყო მაღლობ, მთიან და მთათა ფერდობების ზოლში და ასევე როგორც ეს ბ.ა. კუთტინს დასაშვებად მიაჩნია, კოლხეთის დაბლობზე ხელოვნურ გორასამოსახლოებზე (9.173).

## გამოყენებული ლიტერატურა:



1. ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება წიგ.II თბ., 1968.
2. И.А. Ажинжал, Жилище Абхазов (საკ. ნ. ღისერ.) 1949.წ.
3. კ. გრიგოლია, ზემო სამეგრელო. მასალები საქართველოს შინამ-რეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. თბ., 1976.
4. დონ კრისტოფორი დეკასტელი. ცნობები და ალბომი საქართვე-ლოს შესახებ, ბ. გიორგაძის რედაქციით 19.
5. გ. დავითაშვილი, გ. ჯავახიშვილი. საცხოვრებელი ნაგებობანი კახე-თში, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნე-ბის ისტორიის სერია, №2.
6. ჩ. ერისთავი, საბუას სახლ-კარობა და შეძლება, „რჩეული თხზუ-ლებანი“ თბ., 1953.
7. გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტ. თბ., 1997 წ.
8. ნ. თოფურია, ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი სამეგრელოში, წიგ.II, თბ., 1968.
9. Б.А. Куфтин, Археологические разведки в районе Очамчирского порта, “Материалы к археологии Колхида”, II, თბ., 1950.
10. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
11. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ის-ტორიისათვის. ტ.I, თბ., 1976.
12. თელო სახოკია. მოგზაურობანი, თბ., 1950.
13. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, თბ., 1986 წ.
14. თ. ყაუხეჩიშვილი. ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.

## ოჯახის სტრუქტურა იმართვის

ნაშრომი ემყარება ავტორის მიერ 1986-1990 წლებში იმერეთში (ჭკუთაისი, სამტრედისი, ზესტაფონის, თერგოლისა და ტყიბულის რაიონები) ინდივიდუალური მივლინების დროს შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალას, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას და საარქივო მასალებს.

ქრონოლოგიურად ნაშრომი მოიცავს XIX და XX საუკუნეებს.

საოჯახო ყოფის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ოჯახის სტრუქტურა, რადგან ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ოჯახის ეკონომიკურ მდგრძმარეობას, მმართველობის სისტემასა და შრომის ორგანიზაციას, ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებას, გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების პრინციპებს.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, იმერეთში ძირითადად კერძო საკუთრებაზე და ფუნქციული პატარა, ინდივიდუალური ოჯახი არსებობდა, რაც არ გამორიცხავდა მის პარალელურად დიდი ოჯახის არსებობასაც.

ქართული საოჯახო თემის კვლევისას მოის ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად ჩ. ხარაძემ დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს ბარის (ქართლი, იმერეთი) ეთნოგრაფიულ მასალებსაც და მეცნიერულად დასაბუთა, რომ საოჯახო თემის გამომნაშოური ფორმა (დიდი ოჯახი) XIX საუკუნის ბოლომდე ბარის მოსახლეობაშიც ფართოდ გავრცელებული ინდივიდუალური ოჯახის გვერდით არსებობდა (26, გვ. 16). წერილობითი წყაროების, სპეციალური ლიტერატურის მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ჩანს, რომ არა მარტო რიგით მოსახლეობას, არამედ პრივილეგირებულ ზედაფენასაც ახასიათებდა რა მდენიმე თაობის გაუყოფლად ცხოვრების წესი, რაც საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად გავრცელებული იყო იმერეთშიც. (5, გვ. 168).

სახელმწიფო სამართალი და გაბატონებული კლასი მრავალრიცხოვნი იმართვის მომხრე იყო, რადგან იგი ეკონომიკურად ძლიერ სამეცნიერო ერთეულს წარმოადგენდა (18, მუხლი 98), მაგრამ გაყრის პროცესს ეს მაინც ვერ აჩერებდა.

ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, იმერეთშიც პატარა იჯახების მომრავლებას ხელს უწყობდა მოსახლეობის ჩაბმა კაპიტალიზაციაზე სტურ სასაქონლო ურთიერთობაში, რაც, ბუნებრივია, იწვევდა საქორწინო წყვილთა ცალკე ცხოვრების სურვილს.

იმერეთში პატარა ოჯახის ძირითად ფორმას წარმოადგენდა ორ — და სამთაობიანი ოჯახები. ორთაობიანი ოჯახი შედგებოდა ცოლ-ქმრისა და მათი შვილებისაგან. სამთაობიან ოჯახში კი ცოლ-შვილიან ვაჟთან ერთად ცხოვრობდნენ აგრეთვე მისი მშობლები ან ერთ-ერთი მათგანი და დაუქორწინებელი ძმა ან გაუთხვარი და.

ოჯახის შემადგენლობის განსაზღვრისათვის ეთნოგრაფიული მასალის გარდა მოგვეპოვება XIX ს. მოსახლეობის აღწერის რამდენიმე საბუთი. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული დოკუმენტები სათაურით „იმერეთის ეპარქიალური კანცელარია“ (ფონდი №21), საღაც მოცემულია იმერეთის მოსახლეობის აღსარების მთქმელთა სია ცალკეული სოფლებისა და სალოცავების მიხედვით. ეს საარქივო მასალა საშუალებას გვაძლევს ოჯახის სრული შემადგენლობა დავადგინოთ, ორივე სქესის წარმომადგენელთა სახელის, გვარის, ასაკისა და ნათესაური კავშირის ჩვენებით.


აღნიშნული მონაცემები იმას ადასტურებს, რომ ამ პერიოდში იმერეთში უმთავრესად აჩინებობდა პატარა ოჯახები, რომელებიც ორი ან საში თაობისაგან შედგებოდა. ორთაობიან ოჯახში, როგორც წესი, ცხოვრობდნენ მშობლები და შვილები. მოგვავს საარქივო მონაცემები:

1842 წ. ცნობით, ნატრია დიმიტრის ძე ნუცუბიძის ოჯახი ორი სულისგან შედგებოდა. ოჯახში იყვნენ თვითონ ნატრია და დედა ნატრიისი ჭრივი გულქან დავითის ასული (6).

1843 წ. ცნობით, გიორგი ივანეს ძე მხეიშვილის ოჯახი შედგებოდა გიორგის, მისი ცოლის თამარისა და მათი 5 შვილისაგან, ე.ი. ოჯახი შვიდი სულისაგან შედგებოდა (10).

სტეფანე დავითის ძე ქვანიას ოჯახი შედგებოდა სტეფანეს, მისი ცოლის მარიამ ლაზარეს ასულისა და მათი ხუთი შვილისაგან, ე.ი. სულ 7 სული (11).

მღვდელ ათანასე სვიმონის ძე ნალიჩაძის ოჯახი შედგებოდა ეჭვისი სულისაგან: ათანასე, მისი ცოლი მარიამ მამისთვალის ასული და მათი ოთხი შვილი (12).

აზნაურ მარკოზ პართენის ძე ქორიძის ოჯახი შედგებოდა ექვსი სულისაგან: მარკოზი, მისი ცოლი მზება დავითის ასული და  შვილი (13).

მსგავსი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ორთაობიანი ოჯახები საშუალოდ ხუთი-რვა სულისგან შედგებოდა. ეს ოცხვი მეორე თაობის რაოდენობით განისაზღვრებოდა.

პატარა სამთაობიანი ოჯახები ასეთი შემადგენლობის იყო: ძირითადად ოჯახში ძმების გამოყოფის შემდეგ რჩებოდნენ შმობლები (ან ერთერთი მათგანი) და ვაჟიშვილი თავისი ცოლ-შვილით. დავიმოწმოთ საარქივო მასალები:

დავით მახარბელის ძე ბუბუტეიშვილის ოჯახი შედგებოდა შვიდ სულისგან — თვითონ დავითი, ცოლი მისი ხვახვა გიორგის ასული, შვილი მათი გულებან, ეგნატე, მარინე (14).

ივანე კაცის ძე ბალდავაძის ოჯახი შედგებოდა ხუთი სულისგან — თვითონ ივანე, მისი ცოლი ელენე მათი ორი შვილი და ივანეს დედა დარიჯანი ხაბეიშვილის ქალი (15).

ამგვარად, სამთაობიანი ოჯახის სულადობას მესამე თაობის რაოდენობა, ე.ი. მეორე თაობის შვილების რიცხვი განსაზღვრავდა.

სამთაობიან ოჯახში შეიძლებოდა ყოფილიყო აგრეთვე მეორე თაობის დაუქორწინებელი ვაჟი ან გაუთხოვარი ქალი, რომელთა ოჯახში ცხოვრება ძირითადად ხანმოკლე, ზოგჯერ კი მუდმივი მოვლენა იყო ასეთ შემთხვევაში ოჯახის წევრთა რიცხვი შესაბამისად მატულობდა.

XIX ს. მონაცემებით ლაზარე ბერის ძე უორუმლიანის ოჯახი 4 სულისგან შედგებოდა — თვითონ ლაზარე, შვილი მისი დათია, ცოლი ამისი ელისაბედ იოვანეს ასული, ასული ლაზარესი ნათია (7).

თამაზა გიორგის ძე ადეიშვილის ოჯახი შედგებოდა შვიდი სულისაგან — თვითონ თამაზა, ცოლი მისი თამარ გაბრიელის ასული, შვილი მათნი ლევან, ოქროპირი, შავო, თამაზას ძმა ანდრია (14).

სამთაობიანი იყო ის ოჯახიც, რომელშიც ზედსიძე — დასიძებული ცხოვრობდა, რაღანაც ზედსიძის მოყვანა იმერეთში, საქართველოს ზოგიერთი კუთხის მსგავსად, ქალის შმობლების სიცოცხლეში ხდებოდა. ზედსიძე თავის გვარზე რჩებოდა და შვილებიც მის გვარზე ეწერებოდნენ. მოგვავს ეთნოგრაფიული მასალა: „ალექსიმ დეისიძა ენუქიძე სა

ზანოლან, დაიწერა ის ოჯახი ენუქიძეზე. ახლა იმათ სამი გოგო და ერთი  
ბიჭი ჰყავთ, ყველა ენუქიძეზე წერია“ (21, ჩვ.4 გვ. 63). თუმცა ეს წერია  
საქართველოს ყველა კუთხეში როდი მოქმედებდა.

ცალკეული შემთხვევების მიუხედავად, საყოველთაოდ ვერ მივიჩნევთ  
ოთხთაობიანი ოჯახების არსებობას. ოჯახში ოთხი თაობის ერთად ცხო-  
ვრებას, ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, დროებითი ხასიათი ჰქო-  
ნდა, მალე გაიყრებოდა ოჯახი.

ერთთაობიანი ოჯახების მხოლოდ ცალკეული შემთხვევები დასტურ-  
დებოდა, რომლის ძირითადი მიზეზი უშვილობა ჩანს. მაგ. მარტო ცხო-  
ვრობდნენ საბა გიორგის ძე ჭილაძე და ცოლი მისი მარიამ სიმონის  
ასული (8).

გვხვდება ერთსულიანი ოჯახებიც, რომლებშიც მხოლოდ უცოლო  
მამაკაცები არიან. საარქივო მასალით ჩანს, რომ მარტო ცხოვრობდნენ  
სიმონ აბერის ძე ნიუარაძე, მანუჩარ აბერის ძე ნიუარაძე, აქვეა მოცემუ-  
ლი იოსებ აბერის ძე ნიუარაძის და დიმიტრი აბერის ძე ნიუარაძის  
ოჯახის შემადგენლობა. მიზეზი, თუ რატომ ცხოვრობდნენ ძმები სიმონ  
და მანუჩარ ცალ-ცალკე და მარტო, ამ საბუთში არ ჩანს (8).

საისტორიო საბუთებსა და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატუ-  
რის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ  
XVIII-XIX ს.ს. მიჯნაზე იმერულ კომლში საშუალოდ 7 სული ითვლე-  
ბოდა (3, გვ. 13-14). ამგვარი ანგარიშით 1782 წლის მონაცემებით (19010  
კომლი), იმერეთის მოსახლეობის რაოდენობა 133070 სული უნდა ყო-  
ფილიყო (3, გვ. 13-14).

სტატისტიკა ამ დროისთვის ყოველ კომლზე საშუალოდ 5 სულს  
ანგარიშობს. ასევე მოქცეულა ლიტვინოვი 1820 წელს, როდესაც იმე-  
რეთის მოსახლეობა 4000 ოჯახით განსაზღვრა. მაგრამ უნდა აღინი-  
შნოს, რომ იმერული ოჯახის სულადობა ამ დროისთვის სინამდვილეში  
საშუალოდ 7 სულს უფრო შეესაბამებოდა (3, გვ. 13-14).

XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში კომლზე 7 სულის ანგარიში  
სწორი გამოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ 1820 და 1825 წ.წ. ჩატარე-  
ბული აღწერის ცნობებს იმერეთის სამეფო ყმათმფლობელობის შესა-  
ხებ (17).

ზოგიერთ ცნობაში მოცემულია კომლზე მხოლოდ მამრ. სქესის წე-

ვრთა რაოდენობა. ამგვარი აღწერის ცნობებიდან ჩანს, რომ 1820 წელს ერთ კომლზე საშუალოდ 3,9 სული (მამრ. სქ.) მოდიოდა, ხოლო 1825 წელს ეს რიცხვი 4,2 სულამდე (მამრ. სქ.) გაზრდილა. თუ კომლზე 1820 წ. 3,9 სული (მამრ.), ხოლო 1825 წ. 4,2 სული (მამრ.) მოდიოდა, მაშინ კომლზე საშუალოდ 7 სული მაინც უნდა ვიანგარიშოთ. საქართველოში ხომ XIX ს. II ნახევარში ყოველ 1000 მამაკაცზე 925 ქალი მოდიოდა (3, გვ. 13-14).

1810 წლის ცნობების მიხედვით იმერეთის მეფე ჭ. ქუთაისსა და 30 სოფელში ფლობდა 1452 კომლ ყმას, ანუ დაახლოებით 8 ათასამდე სულს (4, გვ. 72). საშუალოდ კომლში 5-6 სულს უცხოვრია.

1817 წლის ცნობით ქუთაისში 195 კომლი ანუ 1000-მდე სული ცხოვრობდა (4, გვ. 63), ე.ი. თითოეულ კომლში საშუალოდ 5 სული ყოფილა.

ქუთაისის გუბერნიის 4784 მფლობელ მემამულეს ჩეფორმის მომენტში 24136 კომლი ყმა (97732 სული) ჰყავდა (4, გვ. 380), ე.ი. თითოეულ კომლში საშუალოდ 4-5 სული ცხოვრობდა.

ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული „იმერეთის საეკლესიო ყმათ-მფლობელობა 1820 და 1825 წლების აღწერათა მიხედვით“ გვაწვდის ცნობებს გელათის ეპარქიის ცალკეულ სოფელში კომლთა რაოდენობისა და სულადობის შესახებ. ამ მონაცემებით მხოლოდ კომლში სულადობის საშუალო რიცხვის დადგენა შეგვიძლია, რაც 1820 წლისთვის დაახლოებით 3-6 სულს შეადგენდა (17, გვ. 76).

ფ. მარკოვი და ი. იოსელიანი, რომელებიც ქუთაისის მაზრის სახელმწიფო გლეხთა XIX ს. II ნახევრის ეკონომიკურ მდგომარეობას ეხებოან, ასეთ ცნობებს გვაწვდიან: ქუთაისის მაზრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ირიცხებოდა 6756 კომლი (აქვე ცნობები ცალკეული სოფლების მიხედვით), რომელშიც ცხოვრობდა 24315 მამრ. სქესის და 22893 მდედრ. სქესის (24, გვ. 211). გამოდის რომ საშუალოდ კომლში 6-7 სული ყოფილა, ხოლო ამავე მაზრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ირიცხებოდა (1873 წ.) 4566 კომლი, რომელშიც ცხოვრობდა 160007 სულ მამრ. სქესი, 15129 სული მდედრობითი სქესი (აქაც ცნობები ცალკეული სოფლების მიხედვით არის (23, გვ. 220). ამ მონაცემებითაც კომლისაშუალოდ 6-7 სულით განისაზღვრებოდა.

ზემოთმოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ იმერეთში, ძირითა

დად, გავრცელებული ყოფილა პატარა, მცირერიცხოვანი ოჯოხები, შეგრამ ეს არ გამორიცხავდა დიდი ოჯახების არსებობას. ამას ადამიტონი რებს როგორც ეთნოგრაფიული მასალა, ასევე საარქეოლოგიური და სპეციალური რი ლიტერატურის მონაცემები.

პატარა ოჯახის აღსანიშნავად რაიმე ტერმინი არ დაგვიდასტურებია. ამისგან განსხვავებით, ზემო იმერეთში დიდი ოჯახის აღსანიშნავად დასტურდება ტერმინი „ჯალაბი“ — ოჯახი. ეს ტერმინი სპეციალურ ლიტერატურაშიც არის მოხსენიებული (26, გვ. 67; 2, გვ. 47). ჩ. ხარაძის აზრით, ტერმინით „ჯალაბი“ ქართულში აღინიშნებოდა ოჯახის წევრები, „ჯალაბი ოჯახი“ კი სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ოჯახის ოჯახის წევრებით, ე.ი. ოჯახს მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებით (26, გვ. 67). დიდი ოჯახის აღსანიშნავად იმერეთში დადასტურებულია აგრეთვე ტერმინები „ერიანი ოჯახი“ და „ჯავარიანი ოჯახი“ (2, გვ. 47).

ხშირ შემთხვევაში მთხოობლები დიდ ოჯახს მრავალრიცხოვან ოჯახსაც უწოდებდნენ, თუმცა მასში უმეტესად მრავალსულიან პატარა ოჯახს გულისხმობენ.

რა განაპირობებდა იმერეთში მრავალრიცხოვანი ოჯახების შემოჩენილობას? გ. ჯავახიშვილის აზრით, მრავალრიცხოვანი ოჯახების არსებობა იმერეთში გამოწვეული იყო სოფლის ეკონომიკური მდგომარეობით. ადგილობრივი მოსახლეობა მრავალრიცხოვან ოჯახად ცხოვრებაში განსაზღვრულ ეკონომიკურ სარგებლიანობას ხედავდა (22, გვ. 68).

ი. ფუტკარაძე თვლის, რომ ეს თვალსაზრისი განსაზღვრულ მომენტში სწორია, მაგრამ მრავალრიცხოვანი ოჯახის არსებობის აქსნისათვის საკმარისი არ არის, რადგან ეს რომ ერთადერთი საფუძველი ყოფილიყო, მაშინ სოფლად მცხოვრებ გლეხებს თითქმის ყველას მრავალრიცხოვანი ოჯახი უნდა ჰყოლოდა (19, გვ. 119).

გ. ჯავახიშვილის აზრით, ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახები ძველი პატრიარქალური ოჯახებისგან განსხვავებით კაპიტალისტური დროის წარმონაქმია, ახალ პირობებში უკეთ შეგუებისა და შეთვისების მიზნით ჩამოყალიბებული (22, გვ. 68). ამ მოსაზრებას სამართლიანად არ იზიარებს ი. ფუტკარაძე, რადგან მრავალრიცხოვანი ოჯახები საქართველოში კაპიტალისტურამდელ პერიოდშიც არსებობდა (19, გვ. 119).

ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით ოჯახის გაყრა მიზან-

შეწონილი არ ყოფილა (18, მუხლი 98), რაც გვაფიქრებინდეს, რომ  
მრავალრიცხვანი ოჯახების შემორჩენას XIX საუკუნეში და XX საუკუნეში და  
საწყისში არა მარტო ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ ერთად ცხო-  
ვრების ტრადიციის არსებობაც განაპირობებდა, ინდივიდუალიზმის გა-  
მოვლინების მიუხედავად, წერდა XIX ს. ბოლოს მ. სალარაძე, რომელიც  
იმერეთში კაპიტალისტური წყობის განვითარებას უკავშირდება, ოჯა-  
ხების გაუყოფლობისა და ერთად ცხოვრების წესი კვლავ საკმაოდ ჩვე-  
ულებრივ მოვლენად ითვლება (25, გვ. 41). გაუყრელად ცხოვრება ცალ-  
კეულ შემთხვევაში იმათვის წევრთა კარგი ურთიერთდამოკიდებულე-  
ბით აისწენება. დღესაც კი უდიდესი პატივისცემით ისენიებენ ისეთ ოჯახს,  
რომელშიც თუნდაც ცოტა ხნით ორი (ან მეტი) დაჭორწინებული ძმა  
ერთად ცხოვრობს. ასეთი ოჯახის ყველა წევრი, განსაკუთრებით ოჯახის  
უფროსი მამკაცი, გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობს.

XIX საუკუნის მრავალრიცხვანი ოჯახის საილუსტრაციოდ გამოგ-  
ვადგება ზემოდასახელებული აღსარების მთქმელთა სია. მოვიყვანთ რა-  
მდენიმე მაგალითს:

საბა იქეს ძე ჩაჩუას ოჯახი 12 სულისგან შედგებოდა: თვითონ საბა,  
ცოლი მისი ხვახვა იქეს ასული, შვილი მათი ბარბალე, გლახუა, ანუსია,  
ბიძაშვილი საბასი დიანოსა, ცოლი მისი თინათი იქეს ასული, შვილი  
მათი ალექსი, საბას ძმა ანდრეა, ცოლი მისი გულექან იქეს ასული,  
შვილი მათი სვიმონ, დედა ანდრეასი თინათი (16). (ოჯახში 3 თაობა  
ყოფილა).

ივანე როსაპის ძე ჭაშის ოჯახი 17 სულისგან შედგებოდა: თვითონ  
ივანე, ცოლი მისი (სახელი არ იყითხება — გ.ც.), შვილი მათი თედორე  
ცოლი მისი ელენე ივანეს ასული, შვილი მისი ირინე პავლე, სურათი,  
თედორეს ძმა ტატუ, ცოლი მისი ბარბალე გაბრიელის ასული, ძე მათი  
ბესარიონ, ტატუს ძმა გიორგი, ცოლი მისი სოფიო აბერის ასული,  
შვილი მათი კონსტანტინე, გიორგის ძმა გლახუა, იქე, მარიამ, ელისა-  
ბედ (16) (სამი თაობა).

ეგნატე ბერის ძე ჭინჭველაშვილის ოჯახი შედგებოდა 16 სულისგან:  
თვითონ ეგნატე, ცოლი მისი ჭუფა დავითის ასული, შვილი ამათი  
იოსებ, სუსანა, ევდუკი, სალომე, ეგნატეს ძმა ლუკა, ცოლი მისი ტასია  
სვიმონის ასული, ამათი ასული ბარბალე და ელისაბედ, ეგნატეს ძმის

წული პავლე მამისთვალის ძე, ცოლი მისი მარიამ დავითის ასული,  
ამათი ძენი სამსონ და იოვანე, პავლეს ძმისწული იოვანე დიმიტრის ძე  
ამისი ძმა ზაქარია (9) (3 თაობა).

ივნე მახარებელის ძე კარკამიძის ოჯახი 12 სულისგან შედგებოდა:  
ოჯახის უფროსი ივანე, მისი ცოლი მარიამი, მათი ვაჟი ზაქარია, ზაქა-  
რიას ცოლი მარინე, ზაქარიას ვაჟები ნიკოლოზ და გელევანი, ზაქარიას  
ქალიშვილი აღათი, ივანეს შვილიშვილი ბასილ ალექსის ძე, ბასილის  
ცოლი ელისაბედ, ბასილის ვაჟი კაპიტონი, ბასილის ქალიშვილები პა-  
რასკია და დომინიკა (24, გვ. 260). (4 თაობა).

ალნიშნული ოჯახები ძირითადად სამი, ზოგჯერ ოთხი თაობისგან  
შედგებოდა. მასში ერთად ცხოვრობდნენ დაქორწინებული ძმები (სამი  
ან ოთხი) თავიანთი ცოლ-შვილით, ასევე ცოლ-შვილიანი ბიძაშვილები,  
გაუთხოვარი დები.

მთხოვნელთა გადმოცემით, „სამსონ და ამბაკო კუბლაშვილების ოჯა-  
ხისა მიაღწია ერთად 52 სულმა (მათი „გაყოფილობის ფარიდი“ ქუთაისის  
ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული — გ.ც.). ამ გაყრის  
მედიატორე ყოფილა ბასილა ობოლაძე. XX ს. დასაწყისში გაყრილა ეს  
ოჯახი. დედა, მამა, ძმები, შვილები და შვილიშვილები იმ გაყოფის საბუ-  
თში ყველა არის მოხსენიებული. ერთ სახლში ცხოვრობდა ეს ოჯახი.  
ძლიერი, დიდი ოჯახი ჰქონდათ, თვისებიანი ხალხი იყო ძალიან. ახალდა-  
ბის ადგილები თითქმის მათი იყო“ (21, რვ. 3 გვ.4).

საკვლევ რეგიონში ძმების გაუყრელად ცხოვრების შემთხვევებზე მი-  
გვანიშნებს ტერმინი „სამმო სახლი“, რომელიც საქართველოს სხვა კუ-  
თხებშიც არის ცნობილი (1, გვ. 18-19; 20, გვ. 17). ვთიქრობთ, გაუყრე-  
ლი ოჯახის არსებობა დიდი ოჯახიდან პატარა ოჯახზე გარდამავალ პე-  
რიოდს უკავშირდება და მას დროებითი ხასიათი ჰქონდა.

თანამედროვე ოჯახისათვის დამახასიათებელია პატარა ოჯახებად ცხო-  
ვრების წესი, განსხვავებით წარსულისაგან, როდესაც შენარჩუნებული  
იყო გაუყრელად ცხოვრების ტრადიცია.

თანამედროვე ოჯახში შვილიერების კლებასთან ერთად სულადობის  
ძლებაც შეინიშნება. დღევანდელ პირობებში ჭარბობს 2-3 შვილი, რა-  
ზედაც გავლენას ახდენს ურბანიზაციისა და მიგრაციის პროცესი.

ამჟამად, ოჯახი, ძირითადად, ორ ან სამ თაობას მოიცავს. ასეთი

ოჯახი ტიპიურია მთელი იმერეთისათვის, თუმცა რიცხობრივად როგორ ამინი მომდინარეობს. გარდა ამისა, თანამედროვე პირობებში შეიძლება ნიშნება ერთობიანი მომავლების სიმრავლე, ეს აღრეც იყო, მაგრამ ასეთ მასშტაბით — არა. ეს ისეთი ოჯახებია, სადაც მხოლოდ მშობლები (ა ერთ-ერთი მათგანი) ცხოვრობენ. საკვლევ რეგიონში მშობლების მარტო დარჩენის 2 ძირითადი მიზეზი გამოიკვეთა: 1. ვაჟიშვილების ქალა ქში ცხოვრება, 2. უშვილობა, რაც წინანდელთან შედარებით ახლა უფრო ხშირია.

მშობლებისა და შვილების ერთად ცხოვრების ტრადიცია საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და მას დღესაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ამგვარად, ეთნოგრაფიული მასალის, საარქივო მონაცემებისა და წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე ჩანს, რომ იმერეთში XIX-XX სს.-ში მომავლის ერთი ფორმა - კერძო საკუთრებაზე დამყარებული პატარა ოჯახი (ორ — და სამთაობიანი) დომინირებდა. ეს არ გამორიცხავდა მის პარალელურად გაუყოფელი ოჯახების თანაარსებობასაც. როგორც დიდი, ისე პატარა ოჯახების შემადგენლობას მომავლი წვრთა ნათესაური კავშირი განსაზღვრავს, რაც ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებში აისახება.

თანამედროვე პირობებში ცვლილებები მოხდა საოჯახო ყოფის ყველა სფეროში, მათ შორის ოჯახის სტრუქტურაშიც, მის რიცხობრივ შემადგენლობაში, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საოჯახო ყოფის მთელ სისტემაზე.

## მითითებული ლიტერატურა და ცყაროები:

1. თ. აჩუგბა, ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბ., 1990.
2. თ. გელაძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები იმერეთში, კრ. „იმერეთი“, თბ., 1978.
3. მ. გონიქიშვილი, იმერეთი, XVIII-XIX სს. მიზნაზე, თბ., 1979.
4. მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში, თბ., 1957.
5. ვალ. იოონიშვილი, ისტორიული ეთნოგრაფიის კვლევის შედეგები, „მნათობი“, თბ., 1985, №8.

6. იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, აღსარების მთქმელთა სია, იმერეთის ეპარქიის სოფლის ოფშევეთს წმინდა გიორგის ეკლესიისა, 1842, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული ორქივი (ქვემოთ — ქია), ფონდი №21, წ. №2, საქმე №2248.

7. იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, აღსარების მთქმელთა სია, იმერეთის ეპარხიის სოფლის ზედა ბაშის მაცხოვრის ეკლესიისა, 1842, ქია, ფ. №21, საქმე №2248.

8. იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, აღსარების მთქმელთა სია, იმერეთის ეპარხიის ხონის უჩასტეკის სოფლის ბაღლევის მაცხოვრის ეკლესიისა, 1842, ქია, ფ. №21, წ. 2, საქმე №2448.

9. იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, აღსარების მთქმელთა სია, იმერეთის ეპარხიისა სოფლის ზედა საყულიას მაცხოვრის ეკლესიისა, ქია, 1842, ფ. №21, წ. 2, საქმე №2448.

10. იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, Списки исповидующихся церкви Гадиди Сабевского участка, 1843, ქია, ფ. №21, წ. 2, საქმე №2446.

11. იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, აღსარების მთქმელთა სია, იმერეთის ეპარხიის საბევის უჩასტეკის სოფლის ვანის მთავარანგელოზის ეკლესიისა, 1843, ქია, ფ. №21, წ. 2, საქმე №2248.

12. იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, აღსარების მთქმელთა სია, ქუთაისის ეპარხიის საბევის უჩასტეკის სოფელ ზენობნის საბევის ეკლესიისა, 1843 (ვანი რ-ნი), ქია, ფ. №21, წ. 2, საქმე №2248.

13. იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, აღსარების მთქმელთა სია, იმერეთის ეპარხიის გამოჩინებულის წმ. გიორგის ეკლესიისა, 1843, ქია, ფ. №21, საქმე №2249.

14. იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, Список исповедующихся по приходским церквам Имерети, 1843, ქია, ფ. №21, წ. 2, საქმე №2247.

15. იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, აღსარების მთქმელთა სია, ქუთაისის ეპარხიის საბევის უჩასტეკის სოფელ ჭყვიშის წმინდა მთავარანგელოზის ეკლესიისა, 1843, ქია, ფ. №21, საქმე №2249.

16. იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, აღსარების მთქმელთა სია, იმერეთის ეპარხიის საბევის უჩასტეკის სოფლის საჯაოხოს გამოჩინებუ-

- ლის წმ. გიორგის ეკლესიისა, 1843, ქსია, ფ. №21, საქმე №2450.
17. იმერეთის საეკლესიო ყმათ-მფლობელობა 1820 და 1825 წელის შერათა მიხედვით, გამოსცა ს. კაკაბაძემ, „საისტორიო კრებული“, IV, თბ., 1929.
18. სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დააღინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981.
19. ი. ფუტკარაძე გლეხთა საოჯახო ყოფა, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, თბ., 1971.
20. გ. ცეცხლაძე გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., 1991.
21. გ. ცეცხლაძე იმერეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1988.
22. Г.Н. Джавахишвили, Быт и культура горняков Грузии, Тб. 1980.
23. И.О. Иоселиани, Экономический быт государственных крестьян юго-западной части Кутаисского уезда, "Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края. VII, 1887.
24. Ф.Т. Марков, Экономический быт государственных крестьян северо-восточной части Кутаисского уезда, "Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края", II, 1885.
25. М. Сагарадзе, Обычай и верования в Имерети, "Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа", XXVI, отд. I, 1899.
26. Р. Харадзе, Грузинская семейная община, т. I, Тб., 1960.

## ბავშვის აღზრდის ხალხური

### ნის-ჩვეულებაზი რაჭაში

### (ეთნოგრაფიული მასალების მიმღებლები)

აღზრდა, ეთნოლოგიური კვლევის ურთულესი პრობლემათაგანია და ოჯახურ-საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ვინაიდან ბავშვის მართებულად აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დღესაც, მას ფრთხილი და გონივრული მიდგომა ესაჭიროება. ჩვენს ქვეყანაში მიმღინარე ისტორიული პროცესები, როგორც მატერიალური ისე სულიერ სფეროში, მოითხოვს ჯანმრთელი და ყოველმხრივ განვითარებული მომავალი თაობის აღზრდას, რაშიც ძალიან დიდი როლი განკუთვნება ხალხურ პედაგოგიკას, კურძოდ ბავშვის აღზრდის ხალხურ წეს-ჩვეულებებსაც.

ბავშვის აღზრდის შესახებ საგანგებო გამოკვლევა, მონოგრაფია ან რაიმე მნიშვნელოვანი ცნობები რაჭის მაგალითზე არ მოგვეპოვება, საარქივო და პრესის მონაცემების გარდა.

მნიშვნელოვანი მასალები იბეჭდებოდა „საქართველოს მოამბეში“, განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთი „დროება“, რომელიც აქტიურად ეხმაურებოდა სწავლა-აღზრდის პრაქტიკისა და თეორიის საკითხებს, საღაც საყურადღებო წერილებს აქცენტებდა გ. წერეთელი, იგი წერდა: „მანამ შინაურ აღზრდას გონიერი საფუძველი არ მიეცემა, ჩვენს გამჭობინებასაც არა ეშველება რა“!

ბეჭრი საინტერესო სტატია დაიბეჭდა გაზეთ „კვალში“ და უურნალ „მოამბეში“.

60-იანი წლების განმანათლებლებიდან პედაგოგიკის (რომელიც ყველაზე ახლოსაა ხალხურ აღზრდასთან), როგორც მეცნიერების დეფინიცია პირველად ილია ჭავჭავაძემ მოგვცა. „პედაგოგია ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს ყმაწვილის აღზრდას, მეცნიერებას ყმაწვილის აღზრდაზედ“?<sup>2</sup> მეორე განსაზღვრება — კი გიორგი წერეთელს ეკუთვნის: „პედაგოგია ნიშნავს სწავლას აღზრდის შესახებ“... ეს მეცნიერება გვასწავლის იმას, თუ „რარიგად უნდა გაზრდა ყმაწვილს ან რა თვისების არის

ყმაწვილის ნორჩი აგებულება, ან როგორ უნდა მოჰყობა ყმაწვილს, არა გარემოებაში უნდა ჩადგეს ყმაწვილი, რომ იმას შეეთვისეს, მათულ ზნე და მაგარი აგებულება, რომ შემდეგ გახდეს ყოვლისფრით სასაჩრდების ბლოკაცია თავის ქვეყნისათვის“.<sup>3</sup>

რაჭაშიც, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ბავშვის აღზრდა, დიდი ყურადღება იქცეოდა.

„ქალი თავისი დაფეხბიმების შესახებ, პირველად დედამთილს ეტყოდა, პატარძლის დაფეხბიმებას რომ შეიტყობლნენ, მისი ავტორიტეტი და დაფასება იზრდებოდა ოჯახში. მიუხედავად ამისა, ფეხბიმე ქალი მიმართ რაიმე განსაკუთრებული აკრძალვები არ ყოფილა, მაგრამ მძიმე საქმეს არ დაავალებდნენ. წასვლით, თვეში ჩადგომამდე ყველგან წავიდოდა, მხოლოდ, თუ სავალდებულო და აუცილებელი არ იყო, გასვენდაში არ წავიდოდა. ჭამით, თითქმის ყველაფერს ჭამდა.

მუცლის ფორმით იცოდნენ ხოლმე შეტყობა ბიჭი თუ გოგო შეეძნებოდათ. ბიჭმა მუცელი მაღალი და წარვეტილი იცისო, გოგომ – დაბალი და ფართოო. განსაკუთრებით უხაროდათ ბიჭის დაბადება, გოგოს ვინ აქცევდა ყურადღებას. პირველი ფეხმძიმობიდანვე მომავალ დედა იმედოვნებდა, რომ შეეძინებოდა ვაჟი – მემკვიდრე მამისეულ გვარის გამგრძელებელი და მოხუცობაში მშობლების იმედი. გოგო – კი გათხოვების შემდეგ გადადიოდა სხვა ოჯახში, რომელიც მას მშობლიური ოჯახის ნაცვლად ჰქონდა. გოგო რომ დაიბადებოდა, შეიცხადა ბლნენ ხოლმე, ვინაიდან მამულს პატრონი სჭირდებოდა, გვარს – გაჯრძელება. ბიჭის შეძენა იმიტომაც უხაროდათ, რომ რაჭაში უმეტესად მამაკაცის სამუშაოები იყო. ბიჭის შეძენას მამას მიულოცავდნენ, ყურებს აუჭიმავდნენ – სიხარულის გამოსახატავად, ხოლო მისი ვაჟკაცობის ნიშნად თოვს ისროდნენ. აღრე საგანგებოდ ზრდიდნენ კურატს 3 წელი და ბიჭი რომ შეეძინებოდათ, სასიხარულოდ დაკლავდნენ. გოგო დაბადებას მამას არ ახარებდნენ, უბრალოდ ეტყოდნენ: არა უშაგს, მეორე ვაჟი გყოლოდესო, ასე ანუგეშებდნენ, თუმცა ამ ბოლო დროს ას აღარ მსჯელობენ და მიაჩინათ, რომ ღვთის მოცემული რაც არის, ერთია. ახლა შეხედულებაც შეიცვალა, ქალი გადარჩეს, ბავშვი საღი და ბაღოს და, სულ ერთია, ქალი თუ ვაჟი დაიბადება<sup>4</sup>. მიუხედავად ამისა ბიჭის დაბადება მაინც განსაკუთრებულოა სასიხარულოა მთელ საჭარ

თველოში. აი ჩას წერს მინდია არაბული: „ძალიან გაუხარდა ბაბუა ჩემს, რომ უმაღლესში ჩავირიცხე და უფროსი შვილიშვილი ნასწავლი ეყოლება: სხვებთან მისვლა აღარ დასჭირდება სამთავრობო საქმეებზე, მისი ნასწავლი შვილიშვილი მოუვლის თვითონ. მამაჩემს კი შევატყვე, რომ ეწყინა კიდეც. ეწყინა იმიტომ, რომ მუშახელი დააკლდა, ჭირლებინში გვერდზე ამომდგომი კაცი დააკლდა, სახელ-სირცევილის მამძევი კაცი წაუვიდა. მანამდეც სულ იმას ცდილობდა, რომ სკოლიდან გამოვსულიყავი და ხენასა და თესვაში მივხმარებოდი, მასთან ვყოფილიყავი თიბვასა და მყაში, მტრისა და მოკეთის დახვედრაში გვერდზე ვდგომოდი. მაგრამ მეოთხე კლასის დამთავრება მაინც მაცალა წერაკითხვის კარგად ისწავლის, თანაც გაიზრდება და ძვალნიც გაუმაგრდებიანო. ამ დროისათვის მართლაც წამოვიზარდე წამამდგარა ვაჟყაცს დავეფერა დედამ პირველად გამიყოლა სასტუმროს, ხანჯალიც პირველად შევიბი და ლუდის ჭალაც ისე ავიარე, რომ დედაჩემის წინ მივდიოდი, როგორც წესი იყო დახარებული ვაჟყაცისათვის, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მტრისათვისაც უნდა შემექცია და მოკეთესთვისაც“.<sup>5</sup> აქედანაც ნათლად ჩანს თუ რატომაც ანიჭებდნენ ბიჭის დაბადებას უპირატესობას. ეს განპირობებული იყო როგორც სოციალური ისე მატერიალური ეკონომიური მდგომარეობიდან, რომელშიც მაშინ უხდებოდა ადამიანს ცხოვრება.

„ბავშვი, რომელიც ქუდ-ბედით დაიბადებოდა, ამბობდნენ ბედნიერი იქნებათ.

მუცლის მოშლა, როგორც წესი, მიღებული არ იყო, თუ თავისთავად არ გაუცუდდებოდა. ღმერთი გვწამდა და გვეშინოდა ცოდვის ჩადენის, რამდენიც ჩაგესახებოდა, იმდენი უნდა გაგეჩინა. ამიტომ მრავალშვილიანი ოჯახებიც ბევრი იყო. მაგრამ, ზოგჯერ, იშვიათად, მაინც ხდებოდა ხოლმე ხელოვნურად მუცლის მოშლა, რა თქმა უნდა პრიმიტიულად, მაგალითად: თითის ტარით, წინდის ჩხირებით, რაც რასაკვირველია, ჰიგიენურად არ იყო გამართებული და ხშირად ქალის სიცოცხლე გადაყოლია ხოლმე ასეთ მცდელობას და დაღუპულა“.<sup>6</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის შექმნის საფუძველი შვილის გაჩენა და გაზრდა იყო, უშვილო ქალს ქმარი მაინც არ გაუშვებდა, მაგრამ უშვილოდ ოჯახი არ დარჩებოდა. „ვიცოდით ახლობლის შვილის აყვანა,

უმეტესად მაზლისშვილის და გავზრდიდით მას შვილივით. ბავშვის აფეთქება ნამდე, შვილის შეძენის იმედით, ვიცოდით მღოცველთან წასკორებული დიოდით ეკლესიაში და სანთლებს ვანთებდით, ცხვარს ან მამალს შვებირდებოდით“?

„ოჯახის გამრავლებას, წერს სერგი მაკალათია, შესთხოვდნენ სახლის ანგელოზს და, ამ მიზნით, გათხოვილი ქალები იხდიდნენ „სანამეალეოს“, სოფელ ჭიორაში მას უწოდებდნენ „არ ვარგიას“. ხუთშაბათ დღეს, საღილის შემდეგ, ყველა მამაკაცს და ბავშვს სახლიდან დაითხოვდნენ, რადგანაც, ხალხის ჩრდილი, ამ საღოცავის დანახვაზე მათ თვალები ასტყივათო. შემდეგ „ნაგვირგვინევი“ ქალები აიღებდნენ განატეხს, ლვინოს, იმავე დღეს დაკლული ცხოველის ასოს და ლოცულობდნენ, რომ სახლის ანგელოზმა ოჯახი გამრავლოს. დასასრულ, კვერებს იქვე მალულად შეჭამდნენ“.<sup>8</sup>

იყო შემთხვევები, ქალს შვილი ებადებოდა და არ რჩებოდა, უკვდებოდა. ასეთ დროს იცოდნენ გამკითხველთან წასვლა. გამკითხველი ეტყუდა: „საძირკველთან ამოთხარე მიწა, შიგ ჩააგდე შეჭრილი თმა, იქნებ, შეგრჩეს შვილი; ან დაიბადებოდა თუ არა ბავშვი, საჩერელეს ხუნდაში უნდა გაეკრინათ.

ახალმოყვანილ ქალს პატარძალს ეძახდნენ. რძალი მამათილის, დედამთილის და მაზლების მიმართ ძალიან მორიცებული იყო. ის ერთი წელი მამათილს არ დაელაპარაკებოდა. წლის შემდეგ დაუწყებდა ლაპარაკს. მეზობლებს დაელაპარაკებოდა, მაგრამ მეტად მორიცებული იყო, ამით გამოხატავდა პატივისცემას, მოკრძალებას და მორიცებას მათ მომართ. მამთილის სიტყვა კი კანონად იყო მიჩნეული.

კარგ პატარძალს ევალებოდა ოჯახის სისუფთავე დალაგება, საქონლის მოვლა, დილით აღრე წყლის მოტანა, უფროსი კაცების ქალამნებიდან სველი თომის ამოღება და ახალი მშრალი თომის ჩაფენა. დედამთილ-მამათილისათვის ფეხის დაბანა, საღილის დროს მომსახურება, მოკლედ, პატარძალი „დაბრუნებდა“ (უკლიდა) ოჯახს.

ქალი მშობიარობდა იმ სახლში, სადაც ცხოვრობდა, როდესაც დაუდგებოდა მშობიარობის დრო, მისი ქმარი მოძებნიდა „ბებია“ ქალს, „ბებია“ ქალი იყო სოფელში გამოცდილი, მარჯვე ხელის ქალი. აღრე ქალი მშობიარობდა მიწაზე დაფენილ ჩალაზე, შუაცეცხლთან. მშობია-

რობის დროს, მშობიარეს თავქვეშ დანა ედო, ხოლო კარებში ჭაჭაჭა  
ნაჯახს და ცეცხლს დაუდებდნენ, რათა ქალი ავი თვალისაგან ყოფილიყო  
დაცული. „ბებია“ ქალი აიყვანდა ბავშვს, ჭიპს მაკრატლით მოჭრილი  
და მოყოლს დამარხავდა მიწაში. მოყოლის მიწაში ჩაფვლა დაკავშირე-  
ბული უნდა იყოს აღრეული ხანის რელიგიურ წარმოდგენათა გადმონა-  
შთან, რომელსაც მაგიური ქმედებით ხელი უნდა შეეწყო ნაყოფიერე-  
ბის და ამდენად შთამომავლობის ზრდისათვის. მოჭრილი ჭიპი მეშვიდე  
დღეს მოძვრებოდა, რომ გახმებოდა სკოლაში გადააგდებდნენ — კა-  
რგად ისწავლისო ან გაახმობდნენ და ერთი წლის შემდეგ „გურგუმალ“  
(ბევრ) ხალხში გადააგდებდნენ. „ბებია“ ქალი ბავშვს რომ დაბანდა, გა-  
მოხვევდა „ბლეკვებში“ (ძველი ჭინჭები) და მიუგორებდა დედას. ქა-  
ლსაც დაბანდა, გაასუფთავებდა და დააწვენდა. სადაც ქალმა იმშობიარა,  
იმ ადგილს ნაკურთხი წყლით მოასუფთავებდა, „ბებია“ ქალს გასამრჩე-  
ლოს არ უხდიდნენ, ვისაც რისი საშუალება ექნებოდა, იმას მისცემდა,  
ამავე დროს იგი ოჯახის ახლობელ ადამიანად ითვლებოდა.

„ბებია“ ქალს „გარეთული“ ბებია ერქვა, „გარეთული“ ბებია ერთი  
კვირა უვლიდა ბავშვს. როგორც უკვე ითქვა, ბავშვი დაიბადებოდა თუ  
არა, „ბებია“ ქალის მას თბილი წყლით მაშინვე დაბანდა. წყალში ნა-  
ხშირს ჩააგდებდა — წყალს არაფერი ამოყვება, თვალი არ ეცემაო,  
წყალში ცოტაოდენ ღვინოსაც გაურჩედნენ — ბავშვი მაგარი იქნებაო.  
ნაბან წყალს სუფთა ადგილზე დაღვრიდნენ, სახლს გარეთ. „ბებია“ ქა-  
ლი ბავშვს მაშინვე მოუყვანდა დედას, რომელიც მოაწოვებდა ძუძუს.  
დედას ბავშვი ლოგინში ჰყავდა ორი დღე, ხოლო მესამე დღეს აწვენდნენ  
აკვანში. ბავშვისათვის წინასწარ არაფრის ყიდვა არ შეიძლებოდა. ამი-  
ტომ აკვანი მისი მასალა მოწყობილობით მხოლოდ მესამე დღეს მოჰ-  
ქონდა ქალის მშობლებს, ე.ი. სახლობას, თან მოჰქონდათ ძღვენი.

ბავშვს პირველად აკვანში აწვენდა გამოცდილი შინაური ქალი, დე-  
დამთილი ან „ბებია“ ქალი, უმეტესად „ბებია“ ქალი აწვენდა ხოლმე  
თავქვეშ სალაფავს დაუდებდა, რომ ლამაზი თავის ფორმა ჰქონდა.  
პირველად ბავშვის აკვანში ჩაწვენის დროს, „განატეხს“ გამოაცხობდნენ  
და თან სანთელს დაანთებდნენ. „ბებია“ ქალი დალოცავდა ბავშვს ტკბი-  
ლი ძილი და მოსვენება რომ ჰქონდა და კარგად გაზრდილიყო.

აკვანზე აბამდენენ სხვადასხვა კაკულებს, სათვალავს, ჭვარს, ქარვას.

თავჭერაში დანას უდებდნენ — ეს ყველაფერი საჭირო იყო ავთ თვალის  
საწინააღმდეგოდ. ბავშვთან პირველად რომ შევიდოდა ვინმე აკვანში  
ფულს ჩაუდებდა.

მშობიარობის შემდეგ იწყებოდა „ლოგინობის პერიოდი“, რომელიც  
გრძელდებოდა 40 დღეს. „ლოგინობის პერიოდის“ დროს ქალი იწვა და  
ისე უვლიდნენ, ზეზე არ ააყენებდნენ. მას ლოგინში უვლიდა დედა ან  
დედამთილი, დროდადრო „ბებია“ ქალი ნახულობდა. „ლოგინობის პერიოდში“  
ქალი გარეთ არ გამოვიდოდა, ეს ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობისათვის ხდებოდა. 40 დღეს არც გაკეთებით არათერს არ გააკეთებდნენ. ყველა ცდილობდა „ლოგინობის პერიოდში“ ქალი კარგად  
გამოშუშებულიყო.

„ლოგინობის პერიოდის“ დროს ნათესავები და მეზობლები მიდიოდნენ ბავშვისა და ქალის სანახავად და მიჰქონდათ ძლვნი! ბაჭულები (ლობიანი, ხაჭაპური, ქადა კოტეტა პური, ღვინო, ქათამი, გოჭი, ბავშვისათვის — ლოგინი).

მელოგინესათვის პირველი საპატივცემლო საკვები იყო შავი ფქვილის ფაფა ერბოთი. ამავე დროს მელოგინე ქალს დღეში ერთ ჭიქა ღვინოს ასმევდნენ — ძუძუ მოუვაობავშვს ძუძუს დიდხანს აწოვებდნენ, 2 წლამდე მაინც — მაგარი გამოვაო. ბავშვის კვება ნორმირებული არ იყო. როგორც კი მოუნდებოდა ბავშვს ჭამა და ძუძუს შეატყობდა, რომ რეგ მოადგებოდა — აჭმევდა. ჯანმრთელებიც მეტად იყვნენ.

„ლოგინობის პერიოდი“ რომ დამთავრდებოდა და ქალი წამოდგებოდა, ბავშვის სახელზედ აწყობდნენ პურმარილს, რომელზედაც მეზობლებსა და ახალ ნათესავებს პატივებდნენ, ამას „ძეობას“ ეძახდნენ. „ძეობაზე“, უსათუოდ პატივებდნენ „ბებია“ ქალს, შეიძლება ითქვას, ის პირველი სტუმარი იყო“?

„როდესაც სამკალში მივდიოდით, აღნიშნა მთხოობელმა, აკვნიანი ბავშვი ბეჭზე შედგმული თან მიგვაცდა. აკვანთან კონტის წერს დავდგამდით და მის ჩრდილში — აკვანს.

ბავშვის საბანშიც და ლეიბშიც ბამბას ვდებდით, ლებქვეშ — ჩალას, როგორც ჩანს იმიტომ, რომ უფრო აღრე ბავშვის ლეიბში ჩალას და ბდნენ — ბავშვს ნაკლები ოფლიანობა და სწორი ტანი ექნებაო“.<sup>10</sup>

„მამაც და ბაბუაც ხელოსნები იყვნენ. აღრე ბაბუაჩემი ბალას სარო

საგან ახდენდა ხის დამუშავებას. ხე რომ არ გახეთქილიყო, საროს ძირი  
მოხარ შავდნენ, წაუსვამდნენ ხეს და ალარ დასკდებოდა. ახლა მას ჭრილი გადა  
ვხმარობთ და მზესუმზირის ზეთს ვუსვამთ.

აკვნის დასამზადებლად ყველა ფოთლოვანი ხე გამოიყენება. აკვნის  
სიგრძე 90-სმ-ია. ახლა აკვანს იშვიათად ყიდულობენ, ძირითადად სარწევ-  
ველა აკვანს ხმარობენ და აძლევენ უპირატესობას. იქ ბავშვის არტახებით  
ჩაერთო გამორიცხულია აკვნის ლეიიბში ქერის ჩაღას დებდნენ, ზემოდან  
ბამბის ლეიიბს ადებდნენ. აკვნის შემაღებელი ნაწილებია: გარა, ბურთუ-  
ლებით დამაგრებული რკალი, ოთხი ქვედა გარა, რიკულები, საგორავი<sup>11</sup>.

„ჩვილი ბავშვი ფეხს აიღგამდა წლის ან წლის და ორი თვის. ოჭოჭო-  
ნაში (ჭოჭიალაში) ჩასვამდნენ და სიარულს კარგად ისწავლიდა. საე-  
რთო კვებაზე წლის შემდეგ გადაყავდათ, რასაც ოჯახი ჭამდა, ყველა-  
ფერს აჭმევდნენ მასაც.

ჩვილი ბავშვი ავად ხდებოდა საყმაწვილოთი: ჩაბჟირდებოდა, ჩაშავ-  
დებოდა, ამას მკურნალობდნენ წამლით, რომელსაც საყმაწვილოს ეძა-  
ხდნენ. საყმაწვილოს წამალს ექიმბაშები ამზადებდნენ. ლოცვაც ვიცო-  
დით ნათვალავისა, მოდებულისა, ძირს რომ დაჭდება — ბავშვმა აყოლა  
იცისო.

პირველ ჩასაცმელ პერანგს შეუკერავდა ბებია, დედა ან მოზარდი,  
ახალი ქსოვილისაგან მიტკლისაგან, მოუმთავრებლად. არც სახელოებს  
შეუკეცავდა, არც ბოლოს, არც საყელოს, რომ ბავშვი კარგად გაზრდი-  
ლიყო. მალევე ჩააცმევდნენ, რომ ჩასაცმელები მალე ჰქონდა.

ბავშვს, ერთი წლის შემდეგ, პირველად თმას შეჭრიდა დედა, შე-  
ჭრილ თმას არც გადაყრიდნენ და არც დაწვამდნენ, დედა გამოხვევდა  
მას ქსოვილში და შეინახავდა, რომ არაფერს წაელო და ბავშვი არ  
დაბნეულიყო.

პირველად ფრჩხილსაც ერთი წლის შემდეგ მოჭრიდა დედა და ინა-  
ხავდა ან ცეცხლში ყრიდა.

ბავშვი პირველ კბილს რომ მოიცვლიდა, დედა პერანგს გაუხვედა,  
კარგად რომ ამოსვლოდა კბილი, მოცვლილ კბილს ნაჭერში გახვევდა,  
შეინახავდა ან სალორის თავზე შეაგდებდა და თან იტყვოდა : „თაგვო,  
თაგვო შენი ოქროს კბილი მე და ჩემი — შენო. ჩვილი ბავშვი სარკეში  
არ უნდა ჩაახედო, თორემ მშიშარა იქნება“.

კბილები, თმები და ფრჩხილები, ხალხის წარმოდგენით, როგორც ჩანს, შეიცავდა ცხოვრებისეულ ძალას. ეს ძალა მათი რწმენით ჩატარდა როგორც შეჭრილ თმაში, ისე ფრჩხილშიც და კბილშიც პარტოზას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველად თმის შეჭრას, ფრჩხილის მოჭრას, კბილის მოცვლას.

„ბავშვს ნათლავდნენ დაახლოებით წლინახევრისას. ნათლიერად აყვდათ ის ვინც ქორწილის მეჯვარე იყო. ესენი იყვნენ და — დიანი და ძმა — დიანი. რაჭაში ბავშვს ნათლავდა მღვდელი ეკლესიაში, ამბროლაურში, კერძოდ ჭყვიშში, იყო ლაბეჭინას მთავარანგელოზის ეკლესია, სადაც ნათლავდნენ ბავშვს. ნათლიას ნათლულისათვის მიჰქონდა ტანსაცმელი, რაც შეეძლო ძლვენი და ჭვარი. საპასუხოდ, ნათლულს აღდგომას აუცილებლად გაუგზავნიდნენ — ძლვენს, ჩასაცმელს, პერანგს, წინდას, ცხვირსახოცს.

ნათლია თუ გარდაიცვლებოდა, სამაგიეროს იმავე ოჯახიდან აიყვანდნენ და გააგრძელებდნენ ნათელ-მირონს.

რაჭველი კაცი ჩვილ ბავშვს ხელს არ მოჰქიდებდა, ვიდრე არ წამოიზრდებოდა, წლამდე მამაკაცს აკვანშიც რომ ჩაეხედა, სირცევილად ითვლებოდა. ეს წესი და ჩვეულება იყო ჩვენთანო, თქვა გიორგი გოგორჭიანმა (მოხრობელი), მამაკაცის ავტორიტეტის დაცვა იყო ესო. ვიდრე ბავშვი არ მოიზრდებოდა, კაცს, მამას ხალხისათვის არ უნდა ეჩვენებინა მისი დამოკიდებულება შვილის მიმართ, განსაკუთრებით თუ ვინმე უყურებდა, ის ერიდებოდა ბავშვთან კონტაქტს, ამაში მამაკაცის სისუსტის გამოხატვას ხედავდნენ.

ბავშვს სახელს დაარქმევდა ოჯახის უფროსი, მშობელი ან მღვდელი ბებია ბაბუის სახელის დარქმევა იცოდნენ, სახელი რომ არ დაკარგულიყო.

ავი თვალი ადამიანს მუდამ თან სდევდა დაბადებიდანვე კი არა და მუცლად ყოფიდანვე. ავი თვალის არსებობის შესახებ ბევრი რამ გამოგონია, კერძოდ ის, რომ ავი თვალის მატარებელი იყო თვითონ აღამოანი. ასეთ ადამიანებთან შეხვედრას ერიდებოდნენ, თუ შეხვდებოდნენ — გზას აუქცევდნენ. ბავშვს პირველად გარეთ რომ გამოიყვანდნენ, შუბლზე ნახშირით ჭვარს გაუკეთებდნენ, გულზე მძივებს შეჰქიდებდნენ, ბავშვის ტანსაცმელს ლამე გარეთ არ დატოვებდნენ. მდინარეზე ბა-

ვშვით არ გადააბიჯებდნენ, რომ ბავშვს უჟმური არ აყოლოდა.  იუვნენ მლოცვავი ქალები, რომლებიც ბავშვებს ულოცავდნენ აუთიკურულის წინააღმდეგ<sup>12</sup>.

„ავი სულის და ავი თვალის მატარებლები იუვნენ, განსაკუთრებით ქალები, მამაჩემს დახვედროდა ბალათექნთ მარინე გზაში ლამით, შეუშინებია იგი და თან უთქვამს, არსად არ თქვაო. მათგან დასაცავად სახლებს ცხენის ნალებს უკეთებდნენ. ლამე თუ ვინმე შემოვიდოდა ბავშვთან, თუნდაც ოჯახის წევრი ყოფილიყო, ასანთი უნდა აენთო ან დაანა უნდა სჭეროდა ხელში. ნაკვერჩხალს და შაქარს ააბოლებდნენ და აკვანზე შემოავლებდნენ სამჯერ — ავი სულების დასაფრთხობად. ავი სული ანუ ეშმაკეული ძალა ადამიანში იყო, რომელიც შემდეგ კაცად იქცეოდა. მაგალითად, მოხდა ასეთი შემთხვევა, ცოლ-ქმარს რამდენი შეილიც ყოვლებოდათ, იმდენი უკვდებოდათ, ერთხელ, პატარა, აკვნით ჰყავდათ გაყვანილი ყანაში. უცებ ბავშვმა დაიწყო ტირილი. მამა დაინტერესდა ბავშვის ტირილით, მივიდა და ნახა, რომ კატა ტრიალებს აკვანთან. მამა მიხვდა, რომ ის ავი სული უნდა ყოფილიყო, დაიჭირა კატა, ცემა და ულვაშები მოუწვა. მეორე დღეს ამ ბავშვის მამამ ნახა, რომ ქალი მოდის ნაცემი და საულვაშე მომწვარი აქვს. როცა ქალს ჰქითხეს, რა დაგემართაო, მან უპასუხა, არათერი ისეთი, ბუხართან დავეცი და ულვაშიც მომეწვაო. ამით მიხვდნენ, რომ ეს ქალი იყო ავი სულისა და ავი თვალის მატარებელი.

ავი თვალისაგან დასაცავად იცოდნენ შელოცვებიც. შენალოც ნივთს პატარა ბავშვს გულზე ქინძისთავით მიამაგრებდნენ ან იღლიაში გაუკეთებდნენ.

იყო აღგილებიც, რომლებსაც ნაძრას აღგილებს ეძახდნენ და იქ თითქოს ეშმაკები იუვნენ ჩაბუდებულნი. მაგალითად, ჭრებალოსა და ქვიშარს შუა ჩამოდის დიდი ღელვა ერთხელ იქ მოდიოდა მამაჩემი. წისქვილიდან. ამ დროს გამოსულა ღორი გოჭებით. მამაჩემი, თურმე, ხარებს ურტყამს და ხარები აღარ მიღიან. რა ქნას აღარ იცის, არც ხარები მიღიან, ვეღარც ვეღარათერს აკეთებს. მერე მოუფიქრებია, დანა ამოულია, ხანგალიც თან ჰქინია, მოუქნევია მას დანა — ხანგალი და ისინი გაქცეულან სოფელ ქვიშარამდე. ასევე ჰყებოდნენ, რომ, თითქოს თაბორსა და ჰყების შორის ტყებში ეშმაკი ქალი ხვდებოდა ცხენიან

კაცს. იგი გამოვარდებოდა ტყიდან, დახვდებოდა წინ თეთრ ჭამიწყობილი და თან კიოდა. ზოგჯერ ადამიანებს ენასაც დაუძირდნენ, ისინი განსაკუთრებით ეტანებოდნენ ორსულ და მშობიარე ქალებსა და ასევე ჩვილ ბავშვებს. ამიტომ ორსულ ქალს ჭიბეში მუდამ ედო რკინა, ასათი. გულსაბნევს შეულოცავდნენ და ისე დაიძინებდნენ.

რაჭის პირობებიდან გამომდინარე, შრომით საქმიანობაში ბავშვები პატარაობიდანვე ჩააბამდნენ. ბავშვებს ასაქმებდნენ და ამუშავებდნენ. ოჯახში, წამოზრდილ ბავშვს, ასაკთან შესაფერის პატარ-პატარა საქმეებს ყველაფერს ავალებდნენ. ოჯახის უფროსი რასაც დაგვავალებდა, ყველაფერი უნდა შეგვესრულებინა. გოგოები სახლს გვიდნენ, ბიჭები მწყემსებად მიღიოდნენ, პურის თავთავს იღებდნენ, ხარებს უძლვებოდნენ.

ზემო რაჭა განთქმული იყო ხელოსნებით. ძირითადად ხეზე მუშაობდნენ, ქვის ხელოსნებიც იყვნენ, პურის მცხობელებიც ბევრი იყვნენ. ვისაც მარჯვე ხელი ჰქონდა, მშობლის ხელობას სწავლობდა ისიც<sup>13</sup>:

ამასვე ადასტურებს ფრანგი მოგზაური გამბა წიგნში „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში და ამიერკავკასიაში“. „გლეხეაცთა უმეტესობა რომელიღაც ხელობას არის დაუფლებული. ზოგი მაღანი ნაყიდ ბამბისა-გან ტილოს ქსოვს, ღებავს მას ძალზე კარგი მინდვრის ენდროთი... ზოგი ამზადებს უხეშ ქსოვილს მაუდნ, რომლისათვის მატყლს ქართლში საქონლის გაცვლით შოულობენ. ამ მაუდნ ჰყიდიან კავკასიის მთიანეთში და თვით თბილისში. რაჭელები აკეთებენ აგრეთვე ხის სახლებს და ჰყიდიან მას მეზობელ მხარეებში“<sup>14</sup>.

„რაჭაში ძირითადად „დიდი ოჯახები“ იყო, სადაც ერთად ცხოვრობდნენ მშობლები და მათი ვაჟიშვილები ოჯახებით. „დიდი ოჯახი“ საშუალოდ ოცი სულისაგან შედგებოდა, ძმები არ იყოფოდნენ, სირცხვილად მიაჩნდათ გაყოფა. სიამაყით იტყოდნენ: სახლი არ გაუყვიათ შეხმატებილებულად ცხოვრობდნენ.

ოჯახის უფროსი იყო ბაბუა ან მამა. ბაბუაჩემს მარტო ჩვენი ოჯახი კი არა, მთელი სოფლის ჭეუაც ეკითხებოდა, ვინაიდან ჭეუით გამორჩეული კაცი იყო. განაგებდა ოჯახს და მის მეურნეობას. ბაბუაჩემი სპირო დონ ტურქელაძე შეძლებული კაციც იყო. ფოთში ნიკო ნიკოლაძესთან ერთად დიდ საქმიანობას ეწეოდა. სოფელ ზნაკაში (ამბროლაურის



რაიონი), სამეურნეო საქმიანობას მისდევდა. მოჰყავდა სიმინდი, ბიო, ლინოც გვერდა, მესაქონლეობასაც მისდევდა. ძირითადად კულტურული იყო ოჯახის მომმარაგებელი და ოჯახში შემომტანი. ქალის ძირითადი საქმე ოჯახში საქმიანობა იყო: სადილის კეთება, სისუფთავის დაცვა. ბოსელში ქალს არ გაუშვებდნენ, საქონელს კაცი უვლიდა. ვენახში, ყანაში კაცი მიღიოდა, თიბავდა. ქალი სადილს მიუტანდა. ოჯახში ყველამ თავის საქმე იცოდა ბავშვმაც, კაცმაც და ქალმაც<sup>15</sup>. ისე როგორც რაჭაში, ასევე მთელ საქართველოში XIX საუკუნიდან მოყოლებული გრძელდებოდა ქართული ოჯახის განახლების პროცესი. გაუყრელად ცხოვრება მხოლოდ მთაში იყო შემორჩენილი, როგორც ეს იყო მთის რაჭაში (გლოლა, ჭიორა, ღები). ბარში და ქალაქებში დიდი ქართული ოჯახები საბოლოოდ იშლებოდა. გარკვეულ ცვლილებას განიცდიდა, თანდათანობით, ოჯახის სამეურნეო ფუნქციაც, ცოლ-ქრის, მშობელთა და შვილთა ურთიერთდამოკიდებულებაც. მამაკაცის საშოვარზე თუ სამსახურში სიარულის გამო, ქალს საღიასახლისო საქმესთან ერთად მამაკაცის საქმის კეთებაც უხდებოდა. შვილებისგანაც მეტს მოითხოვდა. ახალ ვითარებაში შრომასთან ერთად სწავლა-განათლებაც იყო საჭირო. ქართული ოჯახის ბატონ-პატრონად მიჩნეული იყო უფროსი მამაკაცი, რომელიც ისმენდა ოჯახის დანარჩენ წევრთა რჩევას, მაგრამ შეეძლო საოჯახო საქმე მათი ნება-სურვილის გაუთვალისწინებლადაც გადაეწყვიტა. საეკლესიო მორალისა და სახელმწიფო კანონმდებლობის გარდა, ამას ის გარემოებაც განაპირობებდა, რომ მამაკაცი მშოვნელი და მარჩენალი იყო, ქალის როლი კი უპირატესად სარჩოს გონივრული მოხმარებითა და შვილების აღზრდით განისაზღვრებოდა.

ამჯერად შემოვითარებულეთ მხოლოდ ხალხში მოპოვებული მასალების მიმოხილვით და დავინახეთ ის თავისებურება, რაც რაჭაში ბავშვის აღზრდის ხალხური წეს-ჩვეულებებისათვის იყო დამახასიათებელი.

- „დროება“, 1866, №26.
- ილია ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1938, გვ. 136.
- „დროება“, 1866, №26.
- მარიამ ჩეხვიაშვილი (მთხრობელი).
- მინდია არაბული — გიგას აღმართ-დაღმართები, თბ., 1986, გვ. 9.
- მარიამ ჩეხვიაშვილი (მთხრობელი).
- მარიამ ჩეხვიაშვილი (მთხრობელი).
- ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987, გვ. 75, 76.
- მარიამ ჩეხვიაშვილი (მთხრობელი).
- სონია ჩეხვიაშვილი (მთხრობელი).
- გივი ლობჯანიძე (მთხრობელი).
- სონია ჩეხვიაშვილი (მთხრობელი).
- თელო ჩეხვიაშვილი (მთხრობელი).
- უკა ფრანსუა გამბა — მოგზაურობა ამიერკავკასიაში.
- რუსულან ტურძელაძე (მთხრობელი).

ქართულ-ვაინახური

## ԿՐԵԱԿԱՆ ՎՐԱԵՐԱԿՈՒՄՆԵՐԻ ՍՖՐԱՌՈՒՅՆԱԳՐԻ

ხალხთა შორის ურთიერთობა მსოფლიო ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მრავალასპექტიანი პრობლემაა, რაც შეისწავლება ენობრივი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და კულტურის ფასეულობათა მონაცემების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა მრავალეროვანი და მრავალენოვანი კავკასია, რომლის ჭეშნები და ხალხები სხვადასხვა დარგის მკლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ. საქართველო კავკასიის ერთ-ერთი ისეთი ჭვეულაა, რომელსაც მეზობლობა აკავშირებს როგორც ამიერკავკასიის ჭვეულებთან (აზერბაიჯანი, სომხეთი), ისე ჩრდილო კავკასიის ჩრდილოებთან (დაღისტანი, ჩაჩნეთი, ინგუშეთი, ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი). ჩრდილო კავკასიის ჭვეულებთან, მათ შორის ჩაჩნეთინგუშეთთან საქართველოს ურთიერთობის ფორმებსა და ხასიათზე მეტყველებენ საისტორიო წყაროები, ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემები. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ყოფითი ურთიერთობიდან აღსანიშნავია ისეთი კომპონენტები, როგორიცა ეთნიკური ისტორია და ეთნიკური პროცესები, ჭვეულებს შორის დამაკავშირებელი კომუნიკაციები, მატერიალური კულტურა, თემის სტრუქტურა, სტუმარმასპინძლობის ტრადიციები, ნათესაურ ურთიერთობათა ფორმები, საქორწინო წეს-ჩვეულებანი, მეურნეობის ფორმები, სამხედრო დემოკრატიის გადმონაშთები (მექობრეობა), ენა და სულიერი კულტურა. ამ საკითხების შესწავლა ავლენს როგორც საერთოკავკასიურ, ისე სპეციფიკურ მოვლენებს ყოფისა და კულტურის სფეროში.

ქართულ-ვაინახური ურთიერთობის ხასიათს პირველ რიგში განსაზღვრავდა ეთნიკური, ენობრივი და სარწმუნოებრივი მაჩვენებლები, რის შესახებაც წერდნენ ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი და იმპერატორი გიულა-დენშტედტი. ამასთან დაკავშირებით დამაფიქრებელია პირველ რიგში ვახუშტის ცნობა თუშეთის შესახებ: „ხოლო რომელნი არიან მკარეთა ძისტა და ლლიოლუთა, უწყიან ენანი უფროს მათნი. გარნა თარსმანის

კევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქიხტნი“ (1, გვ. 555). ორმხრივი შერევის მაუწყებელია ი. გიულდენშტედტის „ცინ-ბაც: „თუშები, როგორც ამას მათი ენა მოწმობს, რომელიც ქართული დიალექტია მრავალი ქისტური სიტყვით შენარევი, რასაკირველია, არიან ქართველები, ქისტებთან შერეულნი“ (2, გვ. 263).

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, ვაინახებსა და ქართველი მთიელების ნაწილს ერთმანეთთან აკავშირებდა არა მარტო ეთნიკური, არამედ ენობრივი ნათესაობაც. მნიშვნელოვან ფენომენად წარმოგვიდგება სარწმუნოებრივი ურთიერთობაც. ამჯერად ჩვენს მიზანს შეადგენს შევეხოთ ურთიერთობის ხასიათს ენობრივი და სარწმუნოებრივი მონაცემების გათვალისწინებით.

ვაინახური ენის ცოდნით თუშეთიდან პირველ რიგში გამოიჩინა დნენ წოვა-თუშები. შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ენობრივი ბარიერი არ არსებობდა. რაც შევხება სხვა ქართველ მთიელებს, მათ შორისაც მოინახებოდნენ ვაინახური ენის მცოდნენი, ისევე როგორც ვაინახებიდანაც ზოგიერთს სცოდნია ქართული ენა. ენის ცოდნა უმთავრესად შეინიშნებოდა ერთმანეთთან ახლო მეზობლობით დაკავშირებული ორივე მხარის მკვიდრთა შორის. ინგუშებმა იცოდნენ ქართულ ენა. თვით მოხვევებს შორისაც ზოგიერთს სცოდნია ქისტური (ვაინახური) ენა. იგივე ვითარება შეინიშნებოდა ხევსურებისა და ვაინახების მეზობლობაში. ეს მკაფიოდ ჩანს პირიქითი ხევსურეთისა და მის ახლო მდებარე ჩაჩნეთის თემების მცხოვრებთა შორის.

ქართულ-ვაინახური ურთიერთობის შესწავლის საფუძველზე ა. შავჭელიშვილმა მიუთითა: „მთხოვბელთა გადმოცემით, თუშეთში ქისტური ენის მცოდნე კაცი ავტორიტეტიანი იყო იგი ქისტებთან ურთიერთობის დრო მოენედაც იყო გამოყენებული. საერთოდ კი ქისტურის ცოდნა, ისევე როგორც სხვა ენებისაც, საამაყოდ ითვლებოდა თუშისათვის“ (7, გვ. 79).

ვახუშტის და გიულდენშტედტის ცნობებთან ერთად ა. შავჭელიშველის ეს ცნობა დამაჯერებელია, მაგრამ ამასთან შეუსაბამო ჩანს შემდგრი მტკიცება: „საქართველო-ჩეჩენეთ-ინგუშეთს შორის მჭიდრო კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობას აღასტურებს ის ფაქტიც, რომ ჰიანოს, ხილდიხიანოს, მაისტის, ასის ხეობის მცხოვრებთა უმრავლესობამ კარგად იცოდა ქათული სალაპარაკო ენა, ხოლო

ხევსურეთის, ხევის, მთათუშეთის მოსახლეობამ, გომეწრისა და ჩანალის  
ხეობის გამოკლებით, — ქისტური ენა” (7, გვ. 78-79).

საეჭვოა, რომ ფართო მასშტაბით ენის ცოდნის შემთხვევაში ენის მცოდნეს განსაკუთრებული ავტორიტეტით ესარგებლა და ეს ცოდნა ქსოდენ სამაცყ ყოფილიყო. როგორც ჩანს, ენის ცოდნა ვაინახებსა და ქართველებს შორის არ იყო საყოველთაო ხასიათისა და ამიტომ გამორჩევით აფასებდნენ იმას, ვინც ენას ფლობდა. საყოველთაო ცოდნის პირობებში არ იქნებოდა მოენის გამოყენების საჭიროება.

მკლევართა დიდმა ნაწილმა ენობრივ ურთიერთობასთან ერთად ყურადღება მიაქცია ქართულ-ვაინახური ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს სულიერი კულტურის განვითარებაში. თითქოს ყველა მათგანი იმ საერთო შეხედულებას ავითარებს, რომ საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში მისი გავლენა ვრცელდებოდა ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში, მათ შორის ჩაჩნეთ-ინგუშეთშიც. ეს საკუთრივ კანონზომიერი იყო, ვინაიდან იმ ქვეყნის სახელმწიფო წყობილება, ენა და რელიგია აღწევს პრიორიტეტულ მდგომარეობას, რომელიც ძლიერია და ჰეგემონის როლში იმყოფება. ეს ჰქონდა მხედველობაში ყველა მკლევარს, რომელიც ქართული ენისა და ქრისტიანული რელიგიის გავლენის ფაქტობრივ მაჩვენებლებს აფიქსირებდა. საქართველოსადმი ჩრდილო კავკასიის ქვეყნების ვასალურ დაქვემდებარებამდე მათი მოსახლეობისათვის უცნობი იყო როგორც ქრისტიანობა, ისე ისლამი. ამდენად, ისინი წარმართული რელიგიის მიმდევარნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ქართული ენისა და ქრისტიანული რელიგიის გავრცელება უნდა დაწყებულიყო ჩრდილო კავკასიის ქვეყნების საქართველოს გავლენის სფეროში მოქმედის დროიდან.

ინგუშეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელების ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლად მკლევარნი ასახელებენ ისეთ ძეგლს, როგორიცაა თხაბა-ერდის ეკლესია ასას ხეობაში. მისი დამოწმებით ვ. ხრისტიანოვიჩი (25, გვ. 69). აღიარებს ქართული ფეოდალური კულტურის დიდ გავლენას და უარყოფს ზოგიერთი დამკვირვებლის მცდარ შეხედულებას, თითქოს ასეთი გავლენა არ არსებობდა. უარყოფის საფუძლად მიიჩნევს აგრეთვე ქართული ლექსიკის ნაკვალევს, რასაც სხვა მონაცემებთან ერთად ქვემოთ გავცენობით.

ზოგიერთი მკვლევარი ქრისტიანობის ოდესლაც არსებობას ჩამონახული ისე გამოკვეთილად ვერ ხედავს, როგორც ინგუშეთში. შეინიშნება იმის მტკიცების ცდაც, თითქოს ჩაჩნეთში გამატონებული და ერთადერთი რელიგია იყო ისლამი და რომ ჩაჩნები ქრისტიანები არასღროს არ ყოფილან. ამას ამტკიცებდა ა. იპოლიტოვი, თუმცა იმასაც აღნიშნავდა რომ ღალატების (ინგუშების) მეზობლად მცხოვრებ ზოგიერთ ჯგუფში შესაძლებელია ოდესლაც ქრისტიანობაც ყოფილიყო (მაგალითად, აკის საზოგადოებაში). მისივე მითითებით, ტბის პირად მდებარე სოფელ გალანჭოჩი ბორცვზე მდგარა ეკლესია. გაღმოცემით, ის ოთხი საუკუნის წინ აუშენებით „ფირენგებს“ („ევროპელებს“, ე.ი. ქრისტიანობის მიმდევრებს), რომლებიც ღალატის თემიდან მოსულან. ეკლესიაში იკრიბებოდნენ ჩაჩნები, ქართველები, ღილავები და ადგილობრივი მცხოვრებნი (19, გვ. 48-49).

ამ ეკლესის ნანგრევები აღწერა ვ. მილერმა. მანვე შატოის ციხიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით, სოფელ მახალოის ახლოს ნახა ქრისტიანული ჯვარი და აღნიშნა, რომ საერთოდ ჩაჩნეთ-ინგუშეთში ქართულის ანალოგიური მრავალი ჯვარი არსებოდა. მკვლევარმა კონკრეტულად დაასახელა დიდ ჩეჩენეთში, არღუნის ხეობის დასაწყისში აღმოჩენილი დიდი ქვის ჯვარი, რომელიც ფორმით ჰგავდა ძველ ქართულ ჯვარს. მისივე მოწმობით, ჩეჩენეთ-ინგუშეთში ნაპოვნი რენის ჯვრები არ განსხვავდებოდნენ ხევის სოფელ სნოში არსებული ჯვრებისაგან (22, გვ. 6-7, 21-22, 46).

ქრისტიანობის გავრცელების საბუთად ქვის ჯვრების ჩაჩნეთში არსებობის ფაქტები გამოვლენილია სხვა დამკვირვებელთა მიერაც. ასეთი ჯვარი ჩეხერლოის საზოგადოების სოფელ ხოის ახლოს უნახავს ნ. ზერდლიცს (17, გვ. 154-155). გაზეთი „დროებაც“ იტყობინებოდა, რომ 1884 წელს ციხე-სიმაგრის მშენებლობის დროს ჭ. გროზნოს ახლოს მიწაში აღმოუჩენიათ და ციხის ეზოში დაუდგამთ ქვის ორი ჯვარი (8).

ვეღენოს საზოგადოების სოფელ გუნიბში ხალხისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ი. პოპოვი წერდა, რომ ისინი ადრე ქრისტიანები იყვნენ და ყველაზე დაგვიანებით გამაჰმადიანდნენ. უფრო მეტიც ნაშრომში დაბეჭდილია ფორმულარათი ქრისტიანული საფლავის ქვისა რომლის მსგავსი ბევრი ყოფილა ამ მიღამოებში (23, გვ. 12).

ჩაჩნეთში ქრისტიანობის არსებობის საჩვენებლად ნ. ღუბროვინი თვლის კლესის ნანგრევებს და ხალხურ გადმოცემებს (16, გვ. 383) და შემორჩენილი გადმოცემების მიხედვით ა. ზისერმანიც წერდა, რომ ოდესლაც ისინი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ ბარად ჩამოსახლების დროისათვის უკვე მაპმარიანობას მისდევდნენ (18, გვ. 438).

ვ ვეიდენბაუმის შეხედულებით, ჩაჩნეთში წარმართული რწმენა-წარმოდგენების შენარჩუნებასთან ერთად ერთ დროს გავრცელდა ქრისტიანობაც, რის დამამტკიცებლადაც მიჩნია ზოგიერთი ჩვეულების შესრულების ტრადიცია ძველი კლესის ნანგრევებთან (14, გვ. 94).

ქრისტიანობის კვალს ჩაჩნეთში ხედავდა ვ. მაქსიმოვიც. მისი დაკვირვებით, XVIII საუკუნის დასაწყისისათვის პრიორიტეტული მდგომარეობა მოიპოვა ისლამშა, მაგრამ ამის მიუხედავად ზოგიერთი გვარი ქრისტიანობასაც ინარჩუნებდა (20, გვ. 27).

კველა მკლევარმა ჩაჩნეთ-ინგუშეთში და, საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიის ჰვეუნებში, რომლებიც შუა საუკუნეებში ქართული სახელმწიფოებრივი გავლენის სფეროში შემოდიოდნენ, ქრისტიანობის გავრცელების საბუთად დაიმოწმა საკულტო ძეგლებსა და საფლავის ჰევზე შემორჩენილი ქართული წარწერები და ქართული საეკლესიო სამოსელის ნაშთები, ან მისი მსგავსი ადგილობრივი სამოსელი საეკლესიო პირთათვის. ამ რიგის მონაცემები საკმაო სისრულითაა ნაჩვენები სპეციალურ გამოკვლევაში (15). ამავე ნაშრომში და თითქმის კველა წინამორბედ დამკვირვებელთა ნაწერებში აღნიშნული ვითარების კველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლად გამოყოფილია ჯვარი - მისთვის დამახასიათებელი ქართული და ჩრდილო კავკასიის ხელხების ენაში მისი შესატყისი სახელწოდებებით. ეს კარგად იცოდა ს.ჭანაშიამ, როდესაც წერდა: „ქართული ტერმინი „ჯვარი“ შენახულია კავკასიის მთიანეთისა და ჩრდილო კავკასიის მრავალ ადგილას (ჩერქეზებში: შავიზლვისპირა შაფსულებში, ყუბანის შაფსულებში, საერთოდ კიახების სხვადასხვა ტომში; ყბარდოელებში: აბაზებში (პირიქითა აფხაზებში); ოსებში; ქისტებში“. იქვე შენიშნავს: „საკურადღებოა, ამასთან, ტერმინის დღვიანდელი მნიშვნელობანი, რომელთაგანაც ძირითადია ორი: 1) ტერმინს შერჩენილი აქვს ძველი აზრი, იგი გამოხატავს ქრისტიანულ სიმბოლოს, 2) ტერმინი აღნიშნავს წარმართულ ღვთაებას, კერპს“ (11, გვ. 251).

სპეციალურ ლიტერატურაში „გვართან“ ერთად აღნიშნულია უმ-  
 თავრესად ქართულიდან მომდინარე და ჩრდილო კავკასიის კულტურულ-  
 ბრძინებული ტერმინები ადგილობრივი ლექსიკის ხარმძინი-  
 ქართული „გვარი“ (ინგუშური „გლარ“ ან „გლარკ“; ჩაჩნური „დუვარ“;  
 ოსური „ძუარ“). ქართული „ეკლესია“ (ინგუშური „ჸილს“). ქართული  
 „მოძღვარი“ (ინგუშური „მოზლარ“). ქართული „მთავარანგელოზი“ (ო-  
 სური „თარანგელოს“). ქართული „ორშაბათი“ (ინგუშური „ორშოთ“).  
 ქართული „პარასკევი“ (ინგუშური „პერესკა“ // „პერაქეს“; ჩაჩნური „პე-  
 რესკე“; ოსური „ბარასკა“). ქართული „შაბათი“ (ინგუშური „შოოთ“  
 „შუათთა“; ჩაჩნური „შოოთ“). ქართული „კვირა“ (ინგუშური „კირა“  
 „კირე“; ოსური „კუირი“). ქართული „კვირადლე“ (ინგუშური „კირი-  
 ნდე“). ქართული „მარხვა“ (ინგუშური „მარხ“ // „მარხა“). ქართული  
 „გიორგობა“ (ოსური „გიორგობა“). ქართული „სამება“ (ოსური „სანი-  
 ბა“). ქართული „მიქელგაბრიელი“ (ოსური „მიქალგაბირთა“). ქართუ-  
 ლი „მარიამი“ (ოსური „მაირამ“) და ა.შ. (25, გვ. 69; 7, გვ. 74; 15, გვ.  
 110). ზ. ვანევი წერდა, რომ იქ्सო ქრისტეს სახელიც კი ოსურში  
 უშუალოდ საქართველოდან შევიდა (13, გვ. 170). ჩაჩნეთ-ინგუშეთში  
 ქრისტიანობა ისლამმა შეცვალა. იქ ერთდროულად ორი რელიგია არ  
 არსებობდა. ერთადერთი, რაც ქართველ მთიელებთან მათ აკავშირე-  
 ბდათ, იყო უფრო მეტად წარმართული, ხოლო შედარებით ნაკლებად  
 ქრისტიანობის გაღმონაშობი. ამ მხრივ სულ სხვანაირი მდგომარეობა  
 იქმნებოდა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დასახლებულთა ცხოვრებაში.  
 ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ პანკისის ხეობა, საღაც ერთდ-  
 როულად მოსახლეობის ერთმა ნაწილმა შეინარჩუნა თან მოტანილი  
 მაჰმადიანობა, მეორე ნაწილმა მიიღო ქრისტიანობა და შემდეგ თანდა-  
 თანობით ეს ორი რელიგია ერთიმეორეს ენაცვლებოდა გარდამავალი  
 უპირატესობით. ამასთან, შენარჩუნებული ჰქონდათ წარმართობის გა-  
 დმონაშობებიც.

იმის შესახებ, თუ პანკისის ქისტები როდის რა დამოკიდებულებას  
 იჩენდნენ სხვადასხვა რელიგიისადმი, ღ. მარგოშვილი წერს: „აღსანიშ-  
 ნავია ისიც, რომ სამამულო ომამდე პანკისის ხეობის ქისტები ორი  
 რელიგიის (ქრისტიანული და მუსლიმანური) მიმდევრები იყვნენ. სოფელ  
 დუისის მცხოვრებნი მუსლიმანობას მისდევდნენ (თუმცა მათ, პირველი

ტალღა საქართველოში წარმართული სარწმუნოებით მოვიდა), ხოლო ჭოყოლოს და ომალოს მცხოვრები კი — შიგადაშიგ, ზოგიერთ პირის გარდა, — ქრისტიანობას. მათი სასაფლაოც ორად იყო გაყოფილი. ცალ მხარეზე ასაფლავებდნენ ქრისტიანებს, ხოლო მეორე მხარეს — მუსლიმანებს. საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ დღემდე შემონახულ სოფელ ომალოს სასაფლაოზე. სოფელ დუისის სასაფლაო შემოლობილი იყო. თუ სოფელში ვინმე ქრისტიანი გარდაიცვლებოდა, მას ღობის გარეთ მარხავდნენ. სამოსსაც ჩელიგიის მოთხოვნებს უფარდებდნენ. ამჟამად პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების სარწმუნოება მუსლიმანურია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ორივე ჩელიგიის მიმართ იგრძნობა ფორმალური დამოკიდებულება (ვის როგორ აწყობს, რომ საზოგადოებაში მოპოვოს ავტორიტეტი). მათ ჩელიგიისადმი თავდაღებად მიაჩნიათ სექტებში მონაწილეობა, საღაც გართობის მომენტიცაა ჩაქოვილი. რაც შეეხება საქართველოს მთიანეთის ქართველ მოსახლეობაში მცხოვრებ ქისტებს, მათ მთლიანად დაკარგული აქვთ მიცვალებულთან დაკავშირებული ყოფითი წეს-ჩევეულებები, მათი ჩელიგიური რწმენაც ქრისტიანულია, თუმცა ყოფაში ძლიერ ემჩნევა წარმართობის კვალი“ (6, გვ.134).

პანკისის მოსახლეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ლ. ხუციშვილმაც ანალოგიური სურათი დაინახა. მისი დაკვირვებით, პანკისის ქისტები ზოგიერთ რიტუალს თუშებთან ერთად ასრულებენ. მკვლევარი ამის საფუძველს ხედავს ჯერ ერთი იმაში, რომ მათ აკავშირებდათ წარმართული ჩელიგიის გადმონაშთების ფუნქციონირება და მეორე მხრივ ქრისტიანობის გავლენა და ქისტების დიდი ნაწილის მისაღმი ზიარება, ქრისტიანულ სალოცავებში მონაწილეობა შესაბამისი წესების დაცვით (26).

სულიერი კულტურის სფეროში ქართულ-ვაინახური ურთიერთობის ხასიათის მაჩვენებელია ხანგრძლივად შემორჩენილი რწმენა-წარმოდგენები და დღეობათა შესრულების წესები, რაც კარგად ჩანს გვიანდელი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვითაც. ამის შესახებ წერდან. ხიზანაშვილი, როდესაც ეხებოდა ქრისტიანების სალოცავში ხევსურების მიერ შესრულებულ ერთ-ერთ რიტუალს: „ივლისის პირველ რიცხვებში, როცა გუთანი აეშვება, სოფელი და საზოგადოება შეიკრიბება

და დაადგენს — ესა და ეს დღეები ვიუქმოთ, რომ სეტყვამ არ გაგვითქუჭის, ნათესი და სათიში არ წაგვიხდინოს: „მეუქმეებს“ ირჩევენ, უამშევლნიც თვალყურს ადევნებენ არავინ დაარღვიოს დარისხება, უძმე დღე არ გასტეხოსო. დარისხების გამტეხელს „სარბიელი“, დასარბევი ერთმევა. საყურადღებოა, რომ სოფ. ხახმატში სეტყვის მოსაშორებლად ჭისტების ხატს ლოცულობენ, მაისტის ხატს. ეს ხატი ჭვისა ყოფილა და კაცი იყო გამოხატული ვერცხლ-პირიანი; ღრუბელი და ბურუსი მაისტის მხრის მოდის და სეტყვა-ხორხოშელას იქაური ხატი მოგვავლენს ხოლმეო: საკლავსაც უკლავენ ამ ხატს: (9, გვ. 71).

ს. მაკალათიას დაკვირვებით, თვით ხახმატის ჭვარიც ხევსურებისა და ჭისტების ერთობლივი სალოცავი ყოფილა: „ხევსურების თქმით, ხახმატის ჭვარის ნებით, ჭურდი საქონელს ვერ მოიპარავსო. ამიტომ ჭისტებიც თურმე ლოცულობდნენ ხახმატის ჭვარს, რომ ხევსურეთის ამ ხატმა მათ ხელი მოუმართოს საქონლის ჭურდობაში“ (4, გვ. 242).

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა იმდენად ჭურდობის მოზნით ლოცვას, არამედ იმ ფაქტორს, რომ ხახმატის ჭვარი „რჯულიან-ურჯულოს“ სალოცავად ითვლებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სალოცავში ქრისტიანი ხევსურებისა და მაჰმადიანი ჭისტების ერთდროული მონაწილეობა გამოძახილია იმ ეპოქისა, როდესაც მათ რწმენას აერთონებდა წინაქრისტიანული თუ წინაისლამური რელიგია წარმართობის სახით. აქედან მომდინარე ტრადიცია ინერციით განაგრძობდა არსებობას სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შორის. აღნიშნულის დამადასტურებელია ს. მაკალათიას მეორე ცნობაც: „ამღაში ხუცესს წილაურის გვარიდან ირჩევენ და ხატობას მხვეწარს ის ამწყალობების იახსარის ხატში ათენგენობას წინათ ჭისტებიც მიღიოდნენ თურმე. ქრისტები ამ ხატს კვიცებს უკლავდნენ და იახსარს ცხენების გამრავლებას შესთხოვდნენ. დღეს კი იახსარის ხატს ამღელები სარემაოს უხდიან. ამ მიზნით, როდესაც ცხენი კვიცს მოიგებს, ცხენის პატრონმა კვიცის შეგიერ იახსარს ციკანი ან ბატყანი უნდა დაუკლას, თორემ, ხალხის რწმენით, კვიცი არ გაიზრდება“ (4, გვ. 265).

ქართულ-ვაინახური კავშირის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასხელოთ კიდევ ერთი სალოცავი შატილში, რომელიც საერთო იყო შატილის, ანატორისა და მოსაზღვრე ჭისტების სოფლებისათვის (ჯარები

სახანო და ა.შ.). ა. რობაქიძეს 100 წლის მთხოვობლის ხეთისო აბულევთხმა ჟე ჭინჭარაულისაგან ჩაუწერია შემდეგი: ამ სალოცავში ამაღლებადოფება იქრიბებოდნენ ქისტები და ხევსურები. როგორც წესი, დეკანოზი ყოველთვის შატილელი ყოფილა, ხოლო მედროშე — ქისტი. საკლავები თავთავისი მოჰყავდათ, რომლებიც ხევსურ დეკანოზს უნდა დაეკლა, მაგრამ ვინაიდან მაჰმადიანური რელიგია ქისტს უკრძალავდა ქრისტიანი დეკანოზის მიერ დაკლული საკლავის ხორცის ჭიმას, ამიტომ დეკანოზი საკლავს ყურზე უმნიშვნელო ჭრილობას მიაყენებდა, რომ სისხლი გამოედინა და თავს კი თვით ქისტს მოაჭრევინებდა. დეკანოზი ამწყალობნებდა ყველა იქ დამსწრეს ქართულად, ამ ლოცვაში გაისმოდა ღმერთის თუ ქრისტეს სახელი, ცალ მუხლზე დაჩოქილი და ქუდმოხდილი ქისტებიც ისმენდნენ ამ დამწყალობნებას, ქისტი მედროშე დროშას აქარუნებდა და ასე ტარდებოდა დღესასწაული გვიან გამაჰმადიანებული ქისტებისა და ქრისტიანი ხევსურებისა, რომლებიც არ ივიწყებოდნენ წინაქრისტიანულ ჩრდენა-წესებს. შემდეგ იმართებოდა საერთო ქეითი. ხევსურები სვამდნენ არაყს და მაგარ ლუდს, ხოლო ქისტები უალკოჰოლო ლუდს. ამბობდნენ ერთმანეთის სადღეგრძელოებს. აქედან მიდიოდნენ ქისტების სოფლებში და იქ აგრძელებდნენ ლრეობას (24, გვ. 100).

ფიქსირებული მონაცემებიც იმ ურთიერთობის მაჩვენებელია, რაც საუკუნეების სილრმიდან მოდის და დამახასიათებელია ისეთი რეალობისათვის, როდესაც ქართველებსა და ვაინახებს შორის სარწმუნოებრივი ბარიერი არ არსებობდა ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის სახით და ორივენი წარმართული რელიგიის სამსახურში იმყოფებოდნენ. ახალი რელიგიებისადმი ზიარების მიუხედავად ბოლომდე ვერ მოიშალა ოდინდელი ერთობა სულიერი კულტურის სფეროში. ამდენად, რწმენა ერთერთი კომპონენტია იმ მრავალმხრივი ურთიერთობისა, რაც არსებობდა და ვითარდებოდა ქართველი და ვაინახი მთიელების ცხოვრებაში, მათ საზოგადოებრივ ყოფაში, მატერიალურსა და სულიერ კულტურაში.

სულიერი კულტურისათვის დამახასიათებელ პარალელურ მოვლენებს შორის ზოგიერთი თავისებურება შეინიშნება მიცვალებულის გლოვსთან დაკავშირებითაც. ამ მხრივ საყურადღებოა ერთწლიანი გლოვის დამაგვირგვინებელი რიტუალი, რაც მხოლოდ თუშეთში სრულდებოდა

„დალაობის“ სახელწოდებით. ამ ჩვეულების არაერთი აღწერილობის მიხედვით (27; 5, გვ. 171-178), რასაც ახლავს ლექსად თქმის „ნომეშიცა მიცვალებულის წლისთავზე დალაობა იმართებოდა ხუთი მხედრის შონაწილეობით. მათ შორის რიტუალის მთავარი შემსრულებელი მიცვალებულის ცხენზე ჯდებოდა. ცხენი შავი საფენით იყო შემოსილი და ხურგინიც ეკიდა. მხედრებს შუაში ჩამდგარი მთავარი მოდალავე სევდიანი კილოთი სიმღერით იწყებდა მიცვალებულის შექებას, ხოლო დანარჩენები შეუბანებდნენ. მთავარი მოდალავე მოთქმით ჩამოთვლიდა მიცვალებულის ღირსებებს, თემში და ოჯახში მის დამსახურებას, კაი ყმის სახელიანობას, მისი სიკვდილით გამოწვეულ უსაზღვრო მწუხარებას, ხოლო დანარჩენი მხედრები ყოველ მის ნათებამს „დალაი-დალაის“ განმეორებით აგრძელებდნენ ლექსად ხოტბის შესხმას. დალაობას მოყვებოდა დოლი, ნიშანში სროლა, გამარჯვებულთა დასაჩუქრება და შესანდობარის თქმა.

მკვლევართა შორის პირველად ი. ცისკარიშვილმა 1849 წელს აღწერა დალაობა და თანაც წოვა — თუშებში. მის მიერ ჩაწერილი ტექსტზე ბი აღწერილია წოვური ტერმინებით. მომდევნო პერიოდში ამ ჩვეულებას აღწერდნენ გომეწრის, ჩაღმის და პირიქითის თემების თუშებში. ლარგოშვილის ცნობით, 1940-იანი წლებიდან წოვა — თუშების ცხოვრებაში ეს ჩვეულება მოიშალა (6, გვ.73). როგორც ჩანს, მთიდან დიდი ხნის წინ ჩამოსახლებულმა წოვებმა ზოგიერთ სხვა მამაპაპურ ჩვეულებასთან ერთად ეს რიტუალიც დაივიწყეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშავს, რომ მათთვის დალაობა არ იყო ცნობილი. პირიქით, სხვა რომ არაფრიი, სახელწოდების მიხედვით მაინც წოვა — თუშების პრეროგატივა საგულვებელი. ამ მხრივ დამატიქრებელია პირველ რიგში გიულდენშტედტის ცნობა ქისტების შესახებ: „მათ სწამდათ ერთი ღმერთი, რომელსაც დაულა-ს უწოდებდნენ და არ იციან არც კერპები, არც სხვა ღმერთები და წმინდანები“ (2, გვ. 71). ანალოგიურ მდგომარეობას აღნიშნავს ინგუშებში: „მათ სწამთ მხოლოდ ერთი ღმერთი, რომელსაც დაილას უწოდებენ, თუმცა არ იციან არაფერი წმინდანების ან რელიგიაში მნიშვნელოვანი პიროვნებების შესახებ“ (2, გვ. 121).

ღვთაების ორივე ხსენებული სახელწოდება, უფრო მეტად კი მეორუაჭტიურად იგივეა, რაც „დალა — დალე“, რასთან დაკავშირებითაც უ

გავახიშვილმა შენიშნა: „ღმერთის XVIII ს. ქისტური სახელი დალა-<sup>დ</sup>  
გვაძეს აღბეჭდილი. თანამედროვე ქისტურად კი დალა-ს ეძახიან“<sup>ცალკეული</sup>  
ტურთან მიმართებაში ივ. გავახიშვილი წოვურ ენობრივ მონაცემებისაც  
ეხმა: „წოვურში XVIII ს. სახელად დალა გვაძეს. ეხლა ღმერთს წოვები  
დალა-ს უწოდებენ, დალა კი ნათ. ბრ. ფორმაა. დალობა უკვე ლვთაებას  
ნიშნავს“ (10, გვ. 185). ნათვამის დამადასტურებელია სხვა მკვლევართა  
განმარტებებიც: ზ. მალსაგოვი და ბ. ალბოროვი მიუთითებენ, რომ  
„დალა — დალე“ ვეინახური სიტყვაა და ღმერთს ნიშნავს“ (21, გვ. 139;  
12, გვ. 356), ხოლო ს. მაკალათიას დაკვირვებით, „დალა“-დან წარმოე-  
ბული თუშური „დალაობა“ ნიშნავს „ღმერთი ვახსენოთ“ (5, გვ. 172).

არსებული მონაცემების მიხედვით დალაობა თუშეთის ყველა თემის  
მცხოვრებთა ჩვეულებას წარმოადგენდა, მაგრამ, როგორც მისი სახელ-  
წოდებიდანაც ჩანს, თუშეთში შემოსული უნდა იყოს ჩაჩნეთ-ინგუშე-  
თიდან. თანაც ამაზე მიგვანიშნებს მისი ანალოგიური ჩვეულება ვაინა-  
ხებში, რის შესახებაც ლ. მარგოშვილი წერს: „თუშური დალაის წარ-  
მოთქმა, სახელდობრ, ბანის მიცემა, გვაგონებს ვეინახურ ძიქარ-ს, რო-  
მელიც სრულდება მიცვალებულის გასვენების დღეს და მასთან დაკავ-  
შირებული წესების (ორმოცი, დოლი) შესრულების დროს. ვეინახებში  
10-12 მამაკაცი წრედ დაღვებიან და დამწუხრებული ხმით ერთი წამო-  
იწყებს „სიმღერას“ და სხვები კი ბანს აძლევენ. შესაძლებელია დალაი  
მეზობლობის, ნათესაობის შედეგად ერთიმეორისაგან გადაღებული წე-  
სი იყოს და შემდგომ, რელიგიის შესაბამისად, ყოფაში თავისებურადაა  
განმტკიცებული. ფაქტია ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში დალაის  
შესრულება მარტო თუშეთშია დადასტურებული“ (6, გვ. 73).

ის გარემოება, რომ ერთიმეორის მსგავსი ორი ჩვეულება პარალე-  
ლურად არსებობდა ვაინახებსა და თუშებში, დამატებით იმის გათვალი-  
სწინებაც, რომ ვაინახური სიტყვა დალა ღმერთს ნიშნავს და მიცვალე-  
ბულის კულტთან დაკავშირებული რიტუალი თუშეთშიც ვაინახური  
სახელწოდებით იყო ცნობილი, ვაინახებისა და თუშების მეზობლობით  
განპირობებული ურთიერთობის მაჩვენებელია. როგორც ჩანს, მათი ეს  
კავშირი გამოვლინადა პირველ ჩიგში ვაინახებისა და წოვა — თუშების  
ცხოვრების წესში, ხოლო შემდეგ გავრცელდა დანარჩენი თუშების ყო-  
ფაშიც.

1. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ.IV, თბ., 1973.
2. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ.I, თბ., 1962; გერმანულიდან თარგმნა, შესავალი წერილითა და კომენტარებით გამოსცა გ. გელაშვილმა.
3. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ.II, თბ., 1964.
4. ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1935.
5. ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1933.
6. ლ. მარგოშვილი, ჩაცმულობა, რომელიც მოდას არ დაგიდევთ თბ., 1992.
7. ა. შავხელიშვილი, საქართველო-ჩეჩენეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI-XVIII საუკუნეებში, თბ., 1980.
8. რ. ძამსაშვილი, მგზავრის შენიშვნები, გაზ. „დროება“, 1880, №123.
9. ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.
10. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.
11. ს. ჯანაშია, შრომები, ტ.I, თბ., 1949.
12. Б. Алборов, Ингушское “галъерды и осетинское “аларды”, “Известия Ингушского научно-исследовательского института краеведения”, Владикавказ, 1918;
13. З. Ванеев, Средневековая Алания, Сталинри, 1956.
14. Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1888.
15. З. Диебуладзе, Из истории средневековой культуры народов Северного Кавказа, “Грузино-Северокавказские взаимоотношения”, Тб., 1981.
16. Н. Дубровин, История войн и владычества русских на Кавказе, т.1, кн.1, СПб., 1871.
17. Н. Зейдлиц, Поездка в Чечню, к верховьям Аргуна, в Ичкерию и через Хасав-Юрт, вверх по Тереку до Моздока, “Известия Кавказского отдела русского географического общества”, т.11, №4, Тифлис, 1873.
18. А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, т.11, СПб, 1879.



19. А. Ипполитов, Этнографические очерки Аргунского округа, “Сборник сведении о Кавказских горцах”, т.1, Тифлис, 1868.
20. Е. Максимов, Чеченцы, “Терский сборник”, вып. III, кн. ІІ, отд.І, Владикавказ, 1893.
21. З. Мальсагов, Ингушская грамматика со сборником ингушских слов, Владикавказ, 1915.
22. В. Миллер, Археологические наблюдения в области чеченцев, “Материалы археологии Кавказа”, вып.1, Москва, 1888.
23. И. Попов, Ичкерия (историко-этнографический очерк), “Сборник сведении о Кавказских горцах”, т.ІV , Тифлис, 1870.
24. А. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей, “Кавказский этнографический сборник”, т.ІІ, Тифлиси, 1968.
25. В. Христианович, Горная Ингушетия, Ростов на Дону, 1928.
26. Л. Хуцишвили, Из грузино-вейнахских культурно-исторических взаимоотношений, “Кавказский этнографический сборник”, т, VI, Тбилиси, 1986.
27. И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. “Кавказ”, 1849, №10.

## დვალეთა მიზრაციის საკითხებისათვის

დვალეთი ცენტრალური კავკასიონის სანახებში მდებარეობდა და ორი ათასწლეულის მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპირე მთის კუთხეს წარმოადგენდა.

ნ. ბერძნიშვილის თქმით „საქართველოს თითოეული „ქვეყნის“ თავდასავალი ჩვენ მეცნიერული კვლევის საგნად უნდა გავიხადოთ, საქართველოს ისტორიაში თითოეული „ქვეყნის“ ისტორიული მნიშვნელობა უნდა წარმოვაჩინოთ (ესა თუ ის ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნა“ გარეულს დროსა და ვითარებაში ჩნდება, სახეს იცვლის დროსა და ვითარების შესაბამისად, იზრდება, მცირდება თუ მოიშლება)“ (4, გვ. 345).

ამ თვალსაზრისით დვალეთის შესწავლა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ვინაიდან აღნიშნული „ქვეყნის“ ხანგრძლივი ისტორიულ-გეოგრაფიული კონსულტაცია თანაზომიერად არის შენივთებული როგორც გარეული დროისა და ვითარების შესაბამისი ზრდა-განვითარების, ისე თანდათანმიმდითი შემცირებისა და ტერიტორიული მთლიანობის მოშლის ქრონოლოგიური მონაკვეთებით, ხოლო საკუთრივ დვალთა ტომის ისტორიული თავგადასავალი უთუოდ გამოდგება ცენტრალური კავკასიონისათვის დამახასიათებელი რთული ეთნიკური პროცესების ერთ-ერთ შთამბეჭდავ ილუსტრაციად.

როგორც წერილობითი და ეთნოგრაფიული მასალების შეჯერება ცხადყოფს, დვალეთი ერთ დროს მთლიანად იმიერკავკასიაში ლოკალური დებოდა, მოიცავდა რა მდ. არდონის (თერგის მარცხენა შენაკადის) ხეობის სათავეებს. ვახუშტი ბაგრატიონის განმარტებით, „დუალეთი“ თავდაპირეველად შეერქვა მდ. თერგის დასავლეთით, „კავკასის მთასა შინა“ წარმოქმნილ იმ ქვეყნას, რომელიც „... განიყოფების კვ-ების და იწოდების კვენი ესრეთ: კასრის კევად, ზრამაგად, უღელედ, ზროგოდ და ზახად“ (2, გვ. 633). დღესდღეობით აღნიშნული ტერიტორია (ფართობი 400 კმ<sup>2</sup>) ეწ. ჩრდილოეთ-ოსეთ-ალანეთის საზღვრებში არის მოქცეული და თანამედროვე ოსებთან თუალგომის (Туалгом) ან თუალთას (Туалтა) სახელწოდებით არის ცნობილი. ის აწინდელი ოსე

თის ერთ-ერთ უმთავრეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს წარმოადგენს (დიგორის, ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის გვერდიში) მელიც 11 ხევისგან (1. ზაყაგომ, 2. ჭინათქომ, 3. ზრუგომ, 4. უარწევომ, 5. ნარქომ, 6. ფალაგქომ, 7. გურკუმთიქომ, 8. ცმიაგქომ, 9. მამისონგომ, 10. ადაიქომ, 11. კასარაგომ) და 100-ზე მეტი სოფლისა თუ ნასოფლარი-სგან შედგება. ნარ-მამისონ-ზახის ქვაბულს (აწინდელ თუალგომ-თუალთას) ჩვენ პირობითად „ბუდე დვალეთიც“ შეიძლება გუწოდოთ, ვინაიდან არდონის ხეობის სათავეებში გაჩენილი დვალეთის ქვეყნისათვის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების პროცესში ნამდვილად არ ყოფილა უცხო როგორც საგრძნობი გაფართოების (კერძოდ, დიდი ლიახვისა და თერგის ხეობათა მაღალმთიან მონაკვეთებზე განვრცობის), ისე თანდათანობითი დავიწროებისა და საბოლოო ანგარიშით, სამ ურთიერთმომიჯნავე ტერიტორიულ ერთეულად (1. დვალეთ-თუალგომად; 2. თრუსოდ და 3. მაღრან-დვალეთად) დანაწევრების ტენდენცია. მართლია, ცალკეული მკვლევარი ხელალებით უგულვებელყოფენ დვალეთის ქვეყნის ოდინდელი ტერიტორიული ზრდა-გაფართოების ყოვლად უტყუარ ფაქტს და ვერ მაღავენ თავის გალიზიანებას მარიენტირებული ტერმინის „ბუდე დვალეთის“ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის გამო, მაგრამ დვალეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხების თვითნებური გაშუქების აღნიშნული ცდები საკმაოდ იოლად ბათილდება, რაშიც სულ მაღა საბოლოოდ დავარწმუნებთ დეზორიენტირებულ მკითხველს.\*

\* ის აბსურდული თვალისაზრისით, თითქოს დვალეთის ქვეყანა ხაუკუნების მანილზე მართოდენ არავინის ხეობაში ლოკალურ წმინდა და იგი არახოდება ას მოიცავდა თერგისა და დიდი ლავაზის ხეობების ხათავებს, კულა ზე დიდი გულმაღაფიერებით და არა შეათავად, ქუადაქვარი შეცნერისათვის შეუცველებელი უტიცრისით რ. თოფხისშეიღის ერთ-ერთ მონიშრავაში (რ. თოფხისშეიღის, ხავაზოველაში სათა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ერთიანობრივის ხაყოთხები, თბ., 1997) იხტევება, ავტორის აკადემიურებული მტკიცებათ დვალეთის ქვეყანას ას შეიძლება ძიგაუთვისთ თვით მარან-დვალეთიც ით, ანუ ის მარე რომელის ხახლწოდებას შემდეგვარის (მათ შოთის რ. თოფხისშეიღის სტუდიის ნორმით აღმურვილი სწავლული ქ. გვანალი) ცალკეურ შეფრავენ, როგორც „ტყიანი დვალეთს“. ამდენად, რ. თოფხისშეიღის უსუბრივესობით ძალაუნებურად იმ გამოიდის, რომ „ტყიანი დვალეთი“ ას წარმაადგენს დვალეთის ნაწილს, ხოლო ტყის ხაფარის მოკლებელი ნაზ-მამასონ-ზახის ქაბული უსურე დვალეთის (sic). რა დავაჩეკათ ამათის „ნახიბისძენებ“, თუ არა ინფანტილური ძეითხელის დამხეცა ზე გათვალისწინებული შემთხვევას? ცადათ, თოფხისშეიღისის უსუბრივესობის ამ დასხვა ძაღლითების თანმიმდევრული გამოსტრუქტურების და ქრისტიული შეფახების მოელის, რაც ხელისა ნაშრომში გვაქცებ დაგვეძმილი. იმდრა, ამის შემდეგ მათიც დატემება ხაბოლითი წერტილი დვალეთის იტორისული გეოგრაფიისა და დავალთა ერთიაური გინაობის ხაკითხების შერელულ შენარჩუნების გროვის არასარიბიერო პრაქტიკას.

ცხადია, დვალეთის ქვეყნის იშვიათ ისტორიულ-გეოგრაფიულ მდგრად ტიურკობას თავისი ლოგიკური ახსნა მოეძებნება და მას პირველი ქვეყნის დვალთა ტომის გამორჩეულ მიგრაციულ აქტიურობას უწინდა ვუძალ ლოდეთ.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს-ის მიწურულიდან ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენელ ნაწილად ქცეული და თავდაპირველად მთლიანად არღონის ხეობაში მდებარე დვალეთის ქვეყანა იმთავით მჭიდროდ აღმოჩნდა ინტეგრირებული აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალთან.

ამასთან, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფსა და გვერდით ქვედგებ შორის მოკეცეულ და ყოველი მხრიდან მთებით გარშემოზღუდულ ნარ-მამისონ-ზახის ქვაბულს (ანუ იმ ტერიტორიას, რომელსაც ჩვენ პირობითად „ბუდე დვალეთს“ ვუწიდებთ) იმიერკავკასიის ქვეყნებთან ფაქტობრივად ორი ხეირიანი გასასვლელ-გადასასვლელი აკავშირებდა ქასრის ქარად წოდებული კლდეკარისა და ქურთათის ხეობაში გადამყანი ხილფის უღელტეხილის სახით, მაშინ როდესაც თერგის, დიდი ლოახვისა და რიონის ხეობებთან მას 11 ზეკარი აერთებდა.

აღნიშნული გზა-გადასასვლელების სრული სია ძველი და თანამედროვე ნომინაციის დაცვით შემდეგნაირად გამოიყურება: 1. **თრუსო** (ოს. Тырсыйы фىئەг; VI-X\*; ზღვის დონიდან 3132 მ.); 2. **აფსანდურანდაფი** (ოს. Әфсанфәндаг; VI-X; ზ.დ. 3339 მ.); 3. **ქბა** (ოს. Сыбайы фىئەг; V-X; ზ.დ. 2904 მ.); 4. **როყა** ან **როყი** (ოს. Ручыы фىئەگ; V-X; ზ.დ. 2995 მ.); 5. **კუთიხი** (ოს. Къутых; V-X; ზ.დ. 2681 მ.); 6. **ჯომბილი** ან **ბახფანდაფი** (ოს. Дзомаг, Бәхфәндаг; V-XI; ზ.დ. 3037 მ.); 7. **ზექარი** (ოს. Зикъарайы фىئەگ; VII-X; ზ.დ. 3184 მ.); 8. **ძედო** (ოს. Дзедо; VI-X; ზ.დ. 2994 მ.); 9. **კუდარო** (ოს. Къудыдар; VI-IX; ზ.დ. 3532 მ.); 10. **ქოში** (ოს. Къозы фىئەگ; VII-X; ზ.დ. 3072 მ.); 11. **მამისონი** (ოს. Мамисоны фىئەگ; V-X; ზ.დ. 2819 მ.) (იხ. სქემა №1). ამათგან ყველაზე მოსახურებულია თრუსოს, ქბის, როყის, კუთიხის, ჯომბილის, ზექარისა და მამისონის უღელტეხილები, რომელნიც სხვებთან შედარებით უფრო დიდი ხნის მანძილზე („მთის გატეხვის“ ან „მთის გაშრობის“ უამიდან ვიდრე „მთის

\* რომაული ციფრებით აღნიშნულია თითოეული უღელტეხილის ექსპონატაციის თვეები.

დახურვამდე<sup>\*\*)</sup>) იყო ვარგისი ინტენსიური მიმოსკლისათვის. მართალიც, ვახუშტის თქმით „... ზაფხულს გზებთა ამათ ზედა ვლენენ ცხენითა გარნა ჭირითა, და თუნიერ ზაფხულისა, ვერცა ერთი სულიერი“ (2, გვ. 648), მაგრამ იმავე ავტორის ცნობით ების მახლობლად „გარდავალს გზა ზამთრისა და ზაფხულისა“ (2, გვ. 372), საიდანაც ირკვევა, რომ ების უღელტეხილი მთელი წლის განმავლობაში გამოიყენებოდა.

ამდენად, ზემოხსენებულ გზა-გადასასკვლელთა ექსპლოატაციასთან და-კავშირებული სირთულეების მიუხედავად, მათი თვალშისაცემი სიმრავლე უთუოდ იმის მეტყველი საბუთია, რომ არღონის ხეობაში წარმოშნილი დვალეთის ქვეყანა ოდითგანვე ცენტრალური საქართველოს მაღალმთიან მხარეებთან უფრო მეტად იყო ტერიტორიულად მიგრილი, ვიდრე იმიერკავკასიის ჩეგიონთან, რაც თავის დროზე მართებულად იქნა შენიშვნული ივ. ჯავახიშვილის მიერ (3, გვ. 6-9).

წინათქმულიდან კი ლოგიკურად გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოს ფარგლებში დვალეთის საქმაოდ ნააღრევმა მოქცევამ პრაქტიკულად მოუხსნა ყველა დაბრკოლება თერგის, დიდი ლიახვისა და რიონის ხეობებისაკენ დვალთა სტიქიურ თუ ორგანიზებულ მიგრაციას და სამეურნეო სავარგულებით ღარიბ მთელებს იმთავითვე გაუხსნა ახალი სამოსახლო ალაგების ათვისების გზით ჭარბი მოსახლეობის თანამდევი პრობლემის გადაწყვეტის ფართო შესაძლებლობანი.

არადა, ის რომ თითქმის ყველა მაღალმთიანი ქვეყნისათვის წარსულში ერთნაირად დამახასიათებელი იყო სწორედ მიგრაციული პროცესების წყალობით მწვავე ეკონომიკური თუ დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტის ტენდენცია, მშვენივრად ილუსტრირდება თუნდაც დვალეთის აღმოსავლეთით მდებარე დურძუკეთის ნამეტი მოსახლეობისგან განტვირთვის ერთი კონკრეტული მაგალითითაც. როგორც ლეონტი მროველის თხზულებიდან ვგებულობთ, იმიერკავკასიაზე სკვითთა მოძალების ეპოქაში დურძუკენი „... ყოველნივე მშედობით დარჩომილ

\* ქადაგასიონის შეკართა ექსპლოატაციის ხეზონურ ხასიათში გარკვეული მთავრები თავსი დაბაზისას შემდეგ უდევტებილებზე მიმისვლის განახლებას „მთის გატეხვას“ ან „მთის გაშრებას“ უძახდებოდა, ხოლო დაზამთრებისას მათ ჩატერგვას „მთის დატერგვას“ უწოდებდნენ (ცატტ. თოვნიშვილი, „მთისულეთის ეთნოგრაფიული მახალები“, 1983 წ., რე. №3, გვ. 18).

იყვნეს სიმაგრისაგან ქუეყანისა, და ვერლარა იტევდა დურძუჭულო. შაშინ ამან საურმავ წარმოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასის ნათესავთა წახურნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასწინ მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე რომელ არს სუანეთი“ (1, გვ. 27); ვახუშტის „აღწერაში“ კი ვკითხულობთ: „...შაშინ ძურძუქეთ ვერლარა იტევდა კაცთა სიმრავლისაგან, აჟყარა კავკასითურთ საურმავ და დასწნა დიდოეთს და სუანეთს ეგრისამდე“ (2, გვ. 58).

თუ დავუშვებთ იმას, რომ აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოებრიობის გარიერაჟზევე ქართლის (იბერიის), „ნაპირის ალაგად“ ცეკვულ და „სიმაგრისაგან ქუეყანის“ ნიაღაგ „მშედობით დარჩომილი“ დვალუთი დურძუქეთის დარად დროდადრო ასევე „ვერლარა იტევდა კაცთა სიმრავლისაგან“, დვალთა ინფილტრაცია ნარ-მამისონ-ზახის ქვაბულის მეზობელ ხეობებში ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის წინარე ხანის ორდინარულ მოვლენად შეიძლება ვიგულოთ. თანაც, აქვე უპრიიანი საგანგებოდ შეინიშნოს, რომ დვალეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულმა თუ ვისებურებებმა და აღგილობრივ მკვიდრთა ნაადრევმა ჩარიცხვამ ქროლის (იბერიის) მთიელთა სიაში ბუნებრივად გაანელა მათი ლტოლუ კასრისკარ-ხილაკის ჩრდილოეთით მდებარე და ძველთაგანვე აგრძელებული ნომადების კონტროლქვეშ გადასული რეგიონებისაკენ და კანონზომიერად განსაზღვრა თერგის ხეობისა და კავკასიონის სამხრეთი კალთებისაკენ მათი მიგრაციის მარშრუტის პრიორიტეტულობა.

საინტერესოა, რომ ოსური ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით მხოლოდ დიგორის თემის შემადგენელი უალაგქომის ხევი წარმოჩნდება იდესლაც დვალებით (ოსური ნომინაციით თუალებით)\* დასახლებულ მხარედ (გადმოცემით უალაგქომის სოფელ გალიათში სულ თავიდა.

\* როვოც ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ონომასტიკური ფაქტების ანალიზი ზოგადული ტერმინ „დვალისგან“ მიღებული „თუალი“, რომლის ხაახალი ზო ფორმა (ფონეტიკური შეცვლილობა, წარმოთქმა, დაწერილობა) ციინტროლქვეშ განხვავდება წყარო ენაში მიღებული წერძმისგან, დანამდვილებით წარმოთქმების ერთ-ერთ ხაამძღვრო ახალილირებულ თუ ხახურები ეთნონიმები, გინაიდან ის უთუად შეფინვებულია ოსური ენის მიერ მიხი ფონეტიკური ხახური და თხილური მოდელების შეხაბმიხადა.

აღმართ არ შეკვედებით თუ ვიტევით, რომ „თუალი“ ოხებთან იმ დროიდან უნდა მოექმნა ფეხი, რა დროიდანაც იხინი დაგადოთა უშეალი მეზობლებად იქცენ და მათ ტომობრივ თვით ხახურებიდებაც გაეცნენ. მათთავია, დაგალებითა და ოხების მიუამინდელი სამეზობლების თუ თუალების ხახათან და მათ შორის ეთნოგრაფიული ინფორმაციის გაცვლის ინტენსივობაზე შემცირდა უკიდურესად ჭიხს, მაგრამ ამიხან დამოუკიდებლად ერთი რამ მაინც სრულიად ხახათა — XV ს-მდე, ანუ ნარ-მამისონ-ზახის ქვაბულში („მუდა დვალეთში“) ოხათ განხობის

კრ. ცარციათებს უცხოვრიათ, რომელიც ღმერთს გაუწყვეტოს შე  
მღვე მათ ადგილას თუალები დასახლებულან და ისინიც დაღუპულან  
5, გვ.43), ხოლო ნარ-მამისონ-ზახის ქვაბულის მეზობლად მღვებარე ალა-  
გირის, ქურთათის, თაგაურისა და დიგორის თემების ტერიტორიაზე  
ერთი შეხედვით, დვალთავე იქ გადასახლების შანიშნებელი ხუთიოდე  
მიკროტოპონიმი თუ ფიქსირდება: **Туалты адаг** (=,,თუალების ხრამი“)  
— ტყიანი ხრამის სახელწოდება ალაგირის თემის სოფ. თამისქის აღმო-  
სავლეთით; **Туалты ком** (=,,თუალების ხეობა“) — ტყიანი ხეობის სახელწ.  
სოფ. ჩმისთან, თაგაურის თემში; **Туалтæ** (=,,თუალები“) — საძოვრის

შემოხი შენაძე, ოხთა მიერ გამოუხერხული ეთნონიმი „თუალი“ უცილობლად აღნიშნავდა  
ცხრილალური კავკასიონის ხანაგებში მცხოვრებ დგალთა ტომბ, რომელსაც ეთნიკური ნიშით  
ნიაღაგ არაუგირი ჭირნდა ხაერთო ჩრდილოსინაული მოდგმის მოხახლეობასთან. მაგრამ მას  
შემდეგ, რაც ოხებმ „მუდგ დგალუთი“ დამტკრებ და აღვილობრივი მოხახლეობა აღანიშავი-  
ს პროცესი ჩაითვის, მათ აღარ გახსინდებიათ ეთნონიმ „თუალის“ მიხატორებაც; იქ ძიმ-  
დინარე თბილისური კავკასიონის შედეგად „თუალებად“ სახელდებას ქრთავად გაოსე-  
ბული დგალები (ან დგალუთილი ოხები) და უკერძოდაზებარება, რომელიც ენიმძინი-  
ვის მოხედვადა როგორც ჩანს, კიდევ დიდიანს ინარჩუნებობრივ თავითავადი ეთნიკური  
ჩეულის (იხთა ერთვაგარი ეთნოსმბითებების) სტატუს-კუთხის და იხს ხალხის შემახლელობა-  
ში ძებამე სუბტონის ქმნიდნები იხონების (აღმოხავდეთელი იხების) და დაფიქსირების (და-  
საგლოეთელი იხების) გვერდით; ხოლო ჩაუამს თუალებისა და ოხი-იხონების ურთიერთდაა-  
ლოებით მათ შემოს არაბული თვალშისაც მისაცემი ეთნოგრაფიული სხვაობაც მოისარება, ჩვე-  
ნთვის საინტერესო ტრენინი გადაიქცა არა მაინცადამაც დგალუთილი თებებისგან დაკომ-  
ლებული ხუბრითი ჩეულის, არამედ დგალუთ-თუალების მთელი მოხახლეობის აღ-  
მისუნელ ხახლებრივდებად, რომელიც თანა შომიერდ მიხადავა თუალებელ იხთა, ვითარება  
იხონისა (აღმოხავდეთელი იხთა) სუბტონის შა აღა იხელების, ქრთათელების და თავაუზე-  
ლების დარად შემავალი ლიკალური ეთნოტერიტორიული ჩეულის, უკლებლივ კვეთა წარ-  
მიმაღდებელს, იძინებან დამოუკიდებლად, ის დგალუთილი იხის შემომვლად დავლიდა თაებ,  
თუ თავაკარა იხი-იხონისა. უფრო მოვივანებით კი ე.წ. ჩრდილოეთელ იხთა ერთმა ნაწილმა  
(სახელდობრ ალაგირელების) ეთნონიმი „თუალი“ გააგრცელა კავკასიონის ხამჩევ კალთე-  
ბშე მცხოვრებ თანა შემამულებელიც, რომელთა შემოს (კურმად კუდაროელ იხებში) ეთნო-  
გრაფიული ძიგიბონ დგალით გრძელობის დონეზე „თუალისაც“ გამოუხების ტრადიციაც. მაგრამ ამდაგარა ნომინაცია შეძირინებული ჩანს ხახლებრივ იხთა არეთუ  
შეირ ნაწილის ხწირედ თუალების მიღების ტრანსიტური ჩეულის განხა-  
ხლების არეალიდან) ხახლების განხახლების განხახლების განხა-  
ხლების განხახლების და არა იმ უფლად უტუური ფაქტის ქრთავის შეფასებით, რომ ხაქა-  
უზელობშე მცხოვრებ იხთა ეთნოსაუგალური ჩეული მართლაც გვარიანად არის გაქტირებული  
გაონებულ დავლით ეთნოგრანილური ფერმენტით.

ამრითად, წარახო ენიდან (უფრორე დგალურიდან) ნახებები იხთა „თუალის“ ხემანტი-  
შური გრადაციის ხურათი შეძერებნათაც აღდევება: თავალისიზებულად „თუალი“ აღნიშნავდა  
იხებისგან იზოლირებულად მცხოვრებ და ქახლოს მთელთა ხია შეკეთებულ  
დგალთა ტომბ; დგალთა იხანიშაციის მცხოვრები (XV-XVIII სს.) „თუალი“ ქრთა გაოსებული  
დგალების (ან დგალუთილი იხების) აღმისუნელ ხახლებრივდება იქცა, ძებმე კი ის „მუდგ  
დგალუთის“ (თუალების) ხანაგებში მცხოვრებ იხთა ლიკალურ ტრანსიტურ ჩეულ  
(თუალებელ იხებში) აღმოჩენა მასაგრებული მართლია, ამის შემდეგ „თუალის“ იხთა-  
შური უცნებელი ამას განვითარა აღარ შეცლილია, მაგრამ ჩრდილოეთელ იხთა ერთმა ნაწილმა  
აღნისუნელი ეთნონიმი ხახლებრივ იხებშეც გავრცელება მთი უშრალებობის ხწირედ თუალ-  
გობიდან გაღმოხახლებულებად მიჩნევით მოტივით, რაც თავისთავად, ხამიებელი ეთნონიმის  
დახაბმითი შინაგანი ხწირების დასკნითაც.

სახელწოდება სოფ. სანიბასთან, თაგაურის თემში; **Туалæгон** (=,,თუალელი“) — მდელოს სახელწ. სოფ. ხუსართან, შესრულებული თემში; **Туалæки ком** (=,,თუალების ხეობა“?) — საობის სახელწ. სოფ. ახსაუსთან, დიგორის თემში (6, გვ. 41, 124, 360, 432). თუმცა, აღნიშნული ტოპონიმები, ადვილი შესაძლებელია, არა ძველი დვალების, არამედ გვიანთეოდალური ხანის თუალების (დვალყოფილი ოსების ან სულაც, თუალგომელი ოსების) სახელთან იყოს დაკავშირებული, რის გამოც მათზე დაყრდნობით დვალთა მიგრაციის ოდინდელ პროცესზე რიგიანი მსჯელობა ფრიად სათუოდ გვეჩვენება.

სამაგიეროდ, „ბუდე დვალეთიდან“ ჭარბი მოსახლეობის სხვაგან გადინებაზე და დვალთა მიგრაციის ძირითად მიმართულებებზე საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს ონომასტიკური მასალა (პირველ რიგში კი არალოკალური ტოპონიმია), რასაც თვალნათლივ მოწმობს არდონის ხეობასა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს (უპირატესად კი ნარ-მამისონ-ზახის ქვაბულის მომიჯნავე მხარეებს) შორის თავჩერილი შემდეგი ტოპონიმიური შეხვედრები:

1. **თლი ან თლე** (ნასოფლარი მამისონის წყლის ხეობაში)\* — **თლი** ან **თლი, თლია** (დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადის — თლიას წყლის ხეობაში ლოკალიზებული სოფლისა და მის მახლობლად წარმოქმნილი კიდვე 6 დასახლებული პუნქტის კრებითი სახელწოდება); „ძეგლი ერის-

\* „ბუდე დვალეთიდან“ და მისი მიმდებარე ნადგალარი წესის ხეობის ტოპონიმების უმრავლესობა ამოკრებითია ან ხევლულის ა. ცაგაევას ნაშრომიდან (А.Л. Цагаева, Топонимия Северной Осетии, т. II, Владикавказ, 1975, с. 143-196, 199-289), ხოლო შედარებით მცირე ნაწილი და მათთან ფარეტიური ხასიათის თვალსა ზრისით დინებების შენახვი შევიზუალური მაქრო თუ ძირითადობის მატანილია XVI-XIX სა-ს წერილობითი წარმოქმნილი ხევლური ლიტერატურიდან და ეთნოგრაფიული დღიურებიდან („ხევლეთის წერილობითი ძეგლი“, 1, გალ. ხელოვანის გამოც., თბ., 1980, გვ. 115; გაზუშტი ბაგრატიონი, „აღწერა ხახუ ფონა ხაქართველობა“, თბ., 1941 — ხელფეთი ხა — გვ.201; გიულდენშტედტის მოვ ზაფხულის ხაქართველობა, ტბ., გ. გელაშვილის გამოც., თბ., 1964, გვ. 61; „История Юго-Осетии в документах и материалах“, сост. И.Н. Чховребов, т. II, Стальшир, 1960, с. 92-93, 100; ხ. მაკათათია, მთის რაჭა, ტფ., გვ. 1930, გვ. 69-71; გალ. იოთბი შვილი, ხევაბ ტოპონიმი, თბ., 1971, გვ. 15, 39; თ. ბერაძე, რაჭა ფეოდალური ხანაში, „ხაქართველობის ისტორიული გეოგრაფიული“, V, თბ., 1975, გვ. 137; 3. დ. ჭხვერია, топонимия Южной Осетии в письменных источниках, Тб., 1979, с. 33, 127; გ. ხორნაული, მთები და ხახულები, თბ., 1983, გვ. 82; ალ. ღლონტო, ჭრილების ხეობების ტოპონიმი, თბ., 1988, გვ. 43; გ. გაბეგანი, ხახუ ვევები შეა ხაუკუნების ხევლეთის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 194; ბ. ჭობეგო, გეოგრაფიული ხატარებელი (გლობის ტოპონიმია), გამ. „რაგო“, 1993, №8, გვ. 10; „რაგო“, 1996, №2, გვ. 10; №3, გვ. 10; №8, გვ. 17; №9, გვ. 16; 1997, №9, გვ. 16, №10, გვ. 18; 1998, №7, გვ. 19; გვ. იოთბი შვილი, „თრუხების ეთნოგრაფიული მახალები“, 1958, რე. 1, გვ. 2, 29; ვატე. იოთბი შვილი, „ქვების ხეობის ეთნოგრაფიული მახალები“, 1985, რე. 2, გვ. 25; რე. 3, გვ. 59; რე. 4, გვ. 29).

თავთას“ მიხედვით დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრებ „ქვემო დვალთა“ ერთ-ერთი თემ-სოფელი XIV-XV სს-ში);

2. **ცხუბერი** (მყინვარი ზრამაგის ხევის დასავლეთით) — **ზღუბერი** (სოფელი დიდი ლიახვის ხეობაში, თანამედროვე ორთოგრაფიით, „ზღუბირი“; „ძეგლი ერისთავთას“ ჩვენებით „ქვემო დვალთა“ თემ-სოფელი);

3. **წევი** (ტერიტორიულად „ბუდე დვალეთზე“ მიკონებული და თავის დროზე, როგორც ჩანს, მასში შემავალი ხევი და სოფელი) — **წევიწითი** (მთა დიდი ლიახვის ხეობის სათავეებში; წევიწითი < წევი+ოს. წითი „მყინვარი“; ე.ი. წევიწითი იშიფრება, როგორც „წევის მყინვარი“; შდრ.: წი — ყოფილი სოფელი დიდი ლიახვის ხეობის სათავეებში, „მაღრან-დვალთა“ თემ-სოფელი XIII-XIV სს-ში);

4. **ჭომაღი** (ნასოფლარი გინათის ხევში) — **ჭომაღი** (სოფელი დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადის ჭომაღის წყლის ხეობაში);

5. **ფსი** (ნასოფლარი და ხევი ფალაგქომში) — **ფსისგორი** (მთა ხევის კავკასიონზე);

6. **სატათი ან შატათი** (სოფელი მამისონის წყლის ხეობაში) — **შატათ-გორი** (ყოფილი სოფელი შიდა ქართლში, გვერდისძირის თემში);

7. **ხევწია** (მდინარის სახელწ. ზრამაგის თემში) — **ხევწე** (სოფელი დიდი ლიახვის ხეობაში), **ხევწია** (მთა რაჭის „მთიულეთში“);

8. **უარწე ან გარწე** (სოფელი და ხევი ნარის თემის დასავლეთით) — **არცევი** (სოფლები მეჯუდისა და ძამის ხეობებში);

9. **კამახი ან კამახი, კიმახა** (ნასოფლარი გინათის ხეობაში) — **კიმახი** (სოფლები დიდი ლიახვის შემდინარე გუდისის წყლისა და აღმ. ფრონეს ხეობებში);

10. **ლესე** (ყოფილი სოფელი „ბუდე დვალეთში“; გიულდენშტედტის ნაშრომში მოხსენიებულია Lesse-s ფორმით) — **ლესე** (სოფელი დიდი ლიახვის ხეობაში; შდრ.: **ლესევი** — ნასოფლარი ყვირილას ხეობის სათავეში);

11. **ძუღმიანი** (ერთ-ერთი რუსული დოკუმენტის კუდმან — ყოფილი სოფელი „ბუდე დვალეთში“, სავარაუდო ლოკალიზაციით ნარის თემში) — **კუდუმბა** (დიდი ლიახვის ხეობის სოფ. ჭრიას უბანი; შდრ.: **კოდმიანი** — სოფელი ქართლში);

12. **სოხსი** (მთა კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე როკის უღე-

ლტექნილის დასავლეთით; ველის სახელწოდება სოფ. კესათისყაუსთან, ზახის ხევში) — **სოსხო** (ყოფილი სოფელი დიდი ლიახვის ხეობის სათავეში, ვეგში, „ძეგლი ერისთავთას“ თანახმად მაღრან-დვალთა ზემ-ცოტელ XIV-XV სს-ში და მაღრან-დვალეთისა და პატარა-ლიახვის ხეობის გაბ. მიზნავი მთის სახელწ.);

13. **საგოლ** (სოფელი არდონის მარჯვენა შენაკადის ცმიაქომდონის ხეობაში) — **საგო**, **საგოი** (ყოფილი სოფელი ქსნის ხეობის სათავეებში, უამურის თემში; გიულდენშტედტთან მოხსენიებულია Sagoi-ს ფორმით);

14. **კურთა ან კურთა** (სოფ. უარწეს ერთ-ერთი უბანი) — **კურთა** (1. სოფელი დიდი ლიახვის ხეობაში; 2. სოფელი ქსნის ხეობაში; 3. მდინარე იმერეთში), **ხურთისი** (სოფელი ხევში);

15. **ბაბიათი** (ნასოფლარი ფალაგქომის ხევში) — **ბაბიეთი** (ერთ-ერთი რუსული დოკუმენტის ნაბიეთი; ყოფილი სოფელი პატარა ლა-ახვის ხეობაში), **ბაბია** (ნასოფლარი ქვემო ქართლში), **ბაბეური** (ნასოფლარი სოფ. გლოლის თავზე, რაჭის „მთიულეთში“);

16. **ესისი** (აღგილის სახელწ. ზროგოს ხევში) — **ესსიქომი** (=„ესის ხევი“; მთა ხევის კავკასიონზე და თერგის მარჯვენა შენაკადის სახელწ.);

17. **ზახა** (ხევი „ბუდე დვალეთში“) — **ზაქაგორი ან ზაქაგორი** (სოფელი თრუსოში);

18. **ცემია** (სოფელი ნარის აღმოსავლეთით, გურკუმთიქომის ხეობაში) — **ჩემშამ** (სახნავის სახელწ. ხევის სოფ. სნოში), **ცემი** (სოფელ ბაჟურიანის წყლის ხეობაში, ისტორიულ თორში);

19. **ტეფლე** (მთა ალაგირ-ქურთათისა და „ბუდე დვალეთის“ გამზადავ კლდოვან ქედზე, ტერიტორიულად თავსდება „ბუდე დვალეთში“) — **ტეფი** (სოფელი თრუსოში);

20. **დრეთა** (კლდეების სახელწ. გურკუმთიქომის ხეობაში) — **დრე** (სოფელები ხევდურეთის ხევში, ატენის, თემის და ვერეს ხეობებში);

21. **ცუდი** (მდელოს სახელწ. მამისონის წყლის ხეობაში მდებარე სუკამცხოსა და ლესრეში) — **ცუთი** (მთის და საძოვრის სახელწ. ხევს სოფ. ყანობში);

22. **ცოდაი** (ხევის და სახნავის სახელწ. ზახის ხევში) — **ჭოდამ** (აღგილის სახელწ. თრუსოს სოფ. კეტრისში; შდრ.: **ცდო** — სოფლის სელწ. ხევში);

23. **სოდა** (საძოვრის სახელწ. სოფ. აბაითიყაუსთან, ზანის ხევში) — **შოდა** (ყოფილი სოფელი რაჭის „მთიულეთში“), **სოდევე** (სოფელი ზემო გვის ხეობაში, ხანდოს ხევში);
24. **რეწი** (მთა მამისონის წყლის ხეობაში) — **რესი** (სოფელი თრუ-სოში);
25. **სუკა** ან **სუკა** (გიულდენშტედტისეული Suka — ყოფილი სოფელი მამისონის წყლის ხეობაში) — **სუკალი** (სოფელი რაჭაში), **სუკიშაუ** (მღ. ზეკარის წყლის მარჯვენა შენაკადი);
26. **რაციუ** (მდელოს სახელწ. სოფ. აბაითიყაუსთან, ზანის ხევში) — **რიცეული** (რიონის მარჯვენა შენაკადი, რაჭაში);
27. **წესი** (სოფელი გურკუმთის წყლის ხეობაში, ნარას მახლობლად) — **წესი** (სოფელი ქვემო რაჭაში);
28. **ბუბიქოში** („ბუბისხევი“; გვერდითი ხევი მამისონის ულელტეხილსა და სოფ. ქალაქის შორის) — **ბუბა** (ნასოფლარის, მთის და ხევის სახელწ. რაჭის „მთიულეთში“);
29. **გობისა** (სახნავის და საძოვრის სახელწ. სოფ. თიბთან, მამისონის წყლის ხეობა) — **გობსათიფი**, **გობა** (ადგილის სახელწოდებები რაჭაში);
30. **ბინითა** (სახნავის სახელწ. სოფ. თიბში) — **ბინითა** (სოფელი ჭეჭორის ხეობაში, კუდაროს თემში);
31. **ბუდე** (ხევი და სოფელი „ბუდე დვალეთში“) — **შხელი** (აღგილის სახელწ. სოფ. გლოლასთან);
32. **ლესრე** (ნასოფლარი მამისონის წყლის ხეობაში) — **ლესორა** (სოფლები ჭეჭორას ხეობაში, კუდაროს თემში), **ლეშორა** (საძოვრის სახელწ. სოფ. გლოლაში, რაჭის „მთიულეთში“);
33. **ქლიათი** ან **ქლიათი** (სოფელი მამისონის ხეობაში) — **ქლიათი** (სახნავის სახელწ. სოფ. უივთუბანში, ქსნის ხეობაში);
34. **ზრისა** ან **ძრისა** (სოფელი ნარის მახლობლად) — **ძრიწელი** (მთის სახელწ. სოფ. გლოლასთან, რაჭაში), **ძირისა** (მთა ხარულის ქედზე, შიდა ქართლში);
35. **ქოძი** ან **ქოზი** (მთის და ხევის სახელწ. უღელეს დასავლეთით) — **ძოზი** (სოფელი ლარულას ხეობაში, რაჭაში);
36. **ჭიპშერა** (ყოფილი სოფელი „ბუდე დვალეთში“; გიულდენშტედ-

ტისეული Dschipschera) — ჭიბშერეფაზ (ველის სახელწ. სოფ. გიმარა  
სთან, თრუსოში);



37. **ბერაუ** (საძოვარი სოფ. თიბთან) — **ბერაულა**, **ბერალი** (ყანისა  
და მინდვრის სახელწ. რაჭის სს. ჯვარისაში და ღებში);

38. **ბოჭახი** (სახნავის სახელწ. სოფ. ზრამაგასთან) — **ბოჭახი** (ნასო-  
ფლარი ფშავში, ჩარგლურას ხეობაში);

39. **ხალაჭინი** (ადგილის სახელწ. წეის ხეობაში); **ხალაჭი** (მამისონის  
წყლის მარჯვენა შენაკადის და კავკასიონის მთავარ ქედზე აღმართული  
მთის სახელწ.) — **ხალაჭინი** (სოფელი პანკისის ხეობაში);

40. **ფრი** (მიკროტოპონიმი წეის ხეობაში) — **ფრისი** (სოფელი დიდი  
ლიახვის ხეობაში);

41. **ბაძიგათი** (ველის სახელწ. სს. უღელესთან და კლიათთან) — **ბაჯი**  
(სოფელი რაჭაში), **ბაჯიგათი** (სოფელი დიდი ლიახვის შენაკადის თლი-  
სის წყლის ხეობაში);

42. **ელი**, **უელთა**, **ელთა** (ადგილის სახელწ. წეის ხეობაში) — **ელ-**  
**თურა** (სოფელი პატარა ლიახვის ხეობაში);

43. **რექომ** (ადგილის და სალოცავის სახელწ. წეის ხეობაში) — **რე-**  
**ქო** (მთა პატარა ლიახვის ხეობაში);

44. **წონისხა** (სახნავის სახელწ. სოფ. წეისთან) — **წონი** (სოფელი  
ყვირილას ხეობის სათავეებში);

45. **უანელი**, **უანელითა** (სოფ. თლის სახნავისა და მამისონის წყლის  
ხეობის ერთ-ერთი გვერდითი განშტოების სახელწ.) — **უანელი** ან **ვა-**  
**ნელი** (სოფელი დიდი ლიახვის ხეობაში);

46. **ყორყორა** (ნასოფლარი ზაბის ხევში) — **ყორყოლა ველი** (მი-  
ნდვრის სახელწ. რაჭის სოფ. ბორცოში);

47. **კასრი** (ერთ-ერთი ხევი „ბუდე დვალეთში“) — **კასრი**, **კასრია**  
(საძოვრების სახელწ. სს. გლოლაში და კვაშეიეთში, რაჭა);

48. **ძიყელი** (მამისონის წყლის შენაკადი სოფ. თიბთან) — **ძიყი** (სო-  
ფელი პატარა ლიახვის ხეობაში);

49. **თბილისა** (მთა მამისონის წყლის ხეობის სათავეებში) — **თბილისა**  
(მყინვარი რაჭა-ლეჩხუმის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე);

50. **ყრუ** (სახნავის სახელწ. სოფ. ლესრეში) — **გრუ** ან **ღრუ** (სოფე-  
ლი ქსნის შემდინარე ალეურას ხეობაში);

51. **ფიტი** (ადგილის სახელწ. ფალაგქომის ხევში) — **ფიტურუ** (წყაროს სახელწ. რაჭის სოფ. წედისში); **ფიტავი** (ნასოფლარი მოსახურის ხეობაში, ანანურის მახლობლად), **ფიტილეთი** (სახნავის სახელწ. სოფ. ყველდაბაში, ქსნის ხეობაში);

52. **ბაზო წიფ** (ბაზო? + ოს. წიფ = „ჭაობი“; სათიბის სახელწ. სოფ. თიბთან) — **ბაზუანი** (სოფელი ქსნის ხეობაში);

53. **წურა** (მდელოს სახელწ. უარწეს ხევში), **წური** (ტყის სახელწ. ზროგოს ხევში) — **წურა** (ტყის სახელწ. ქსნის ხეობის სოფ. ახლოურებში);

54. **ბოძო** (ადგილის სახელწ. მამისონის წყლის ხეობაში) — **ბუძორი** (მწვერვალი რაჭაში, შოღა-კედელას კავკასიონზე);

55. **სყრესა** (კლდის სახელწ. გურკუმთას წყლის ხეობაში), **სკორი** (სახნავის სახელწ. სოფ. სატათთან) — **სკრა** (სოფელი შიდა ქართლში);

56. **წიხიყაუ** (მიკროტოპ. ზახის ხევში; წიხი? + ოს. ყაუ „სოფელი“) — **წიხეარება** (მიკროტოპ. რაჭის „მთიულეთში“);


57. **უელი ან ველი** (სახნავის სახელწ. სოფ. თიბთან) — **ველევი** (სოფელი რაჭაში);

58. **გოსა** (საძოვრის და სათიბის სახელწ. ცმიაგქომის ხევში) — **გოსო** (მიკროტოპ. სოფ. ბუღაურში, შიდა ქართლში);

59. **გუნედი** (სახნავის სახელწ. სოფ. ლესრესთან) — **ღუნდა** (სოფელი რაჭაში);

60. **რუკთა** (საძოვარი სოფ. სატათთან) — **რუკა** (წყაროს სახელწ. სოფ. ქვედში, რაჭა);

61. **არსა** (ველის სახელწ. სოფ. თიბთან) — **არშა** (სოფელი ხევში).  
როგორც დამოწმებულ ონომასტიკურ მასალაზე დაკირვება ცხადყოფს, ჩვენს წინაშეა არა მოჩვენებითი თანაბეჭერადობით ღირსშესანიშნავ სახელწოდებათა შთამბეჭდავი ჩამონათვალი, არამედ განმეორებით (პარალელურ) ტოპონიმთა მრავალმეტველი ნუსხა, სადაც ურთიერთშესაძლია არსა-არშა, ბზითა-ბზითა, ღრეთა-ღრეთა, თლი // თლე - თლე // თლი // თლია; ლესე-ლესე უღელე-შელი, სოდა-შოდა, ძომალი-ჭომალი, ცემსა-ჩემშად, წესი-წესი და სხვ. ერთი და იგივე საკუთარი სახელების პირველად და თანაურ ფორმებად ან კიდევ მათ ფონეტიკურ ნაირსახეობებად და ქრონოლოგიურ ვარიანტებად შეიძლება მივიჩნი-



### პირობითი აღნიშვნები

I ზექარი

II ქლდექარი

ციფრებით იღნიშნულია:

- 1 — ქართველის ქარი, 2 — ხილავი, 3 — თრუსო,
- 4 — აფსანთანდაგი, 5 — უბა, 6 — როეპა,
- 7 — ქუთიხი, 8 — ჭომაღი, 9 — ზექარი,
- 10 — ძედო, 11 — კუდარო, 12 — ქოში,
- 13 — მამისონი.

— „ბუდე დვალეთის“ თავდაპირველი საზღვარი

ოთ. ამასთან, აღნიშნული პოლიონიმები, თითო-ოროლა გამონაკლისის  
გარდა, საქმაოდ დახშული სემანტიკური სტრუქტურითაც გამოიჩინება ასეთი მათი წარმომავლობა მეტწილად ძნელად ეგუება ქართული ენის მორფოლოგიურ-ფონეტიკურ კანონზომიერებებს და ქართულ ენაში მოქმედ საწარმოქმნო მოდელს, ხოლო ოსური ენის მონაცემებით ისინი საერთოდ არ ეტიმოლოგიზირდება. მეტად ნიშანდობლივია, რომ ნარმამისონ-ზახის ქვაბულისა და მიმდებარე წეის ხეობის ტოპონიმთა უმრავლესობას თავად ოსი სწავლულებიც სათანადო ახსნა-განმარტების გარეშე ტოვებენ ან ვწ. სუბსტრატულ (ოსებამდელი მოსახლეობის მიერ შექმნილ) ტოპონიმებად ახასიათებენ.

ამდენად, სრული საფუძველი გვაქვს, რომ ზემოთ მოტანილ პოლიონიმთა ერთ ნაწილში (კერძოდ, ნარ-მამისონ-ზახის ქვაბულისა და წეის ხეობის ონომასტიკურ სექტორში მოკვლეულ 61 მაკრო თუ მიკროტოპონიმში) უპირატესად სწორედ დვალური ენის ნაშთი შევიცნოთ, ხოლო მეორე ნაწილში (კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირებულ თანაგვარ თუ თანამთხვევად საკუთარ სახელებში) მეტადრე დვალ მიგრანტთა მიერ გადმოტანილი სახელწოდებები დავინახოთ.

ვითარების ასეთნაირ შეფასებასთან დაკავშირებით კი მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ საქართველოს საქმაოდ ვრცელ მიწა-წყალზე (უპირატესად კი „ბუდე დვალეთის“ მეზობელ მხარეებში) აღრიცხულ მაკრო თუ მიკროტოპონიმებს მაინცდამაინც ნარ-მამისონ-ზახის ქვაბულისა და წეის ხეობის ონომასტიკურ ველთან მოექცნება განსაკუთრებით ხშირი და ზედმიწვნით საგულისხმო ტოპოპარალელები, რაც თავისთავად, აღნიშნული პოლიონიმების დიდი ნაწილის დვალურ წარმომავლობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ცხადია, ისინი ოსების მიერ რომ იყოს გადმოტანილი, მაშინ ტოპონიმიკურ მოვლენათა განვითარების შინაგანი ლოგიკით, ჩვენთვის საინტერესო ხშირი ონიმური შეხვედრების რადიუსიც გაცილებით უფრო ფართო იქნებოდა და საძიებელი ტოპოიზოგლოსების ფარგლებში უსათუოდ მოექცეოდა აღაგირის, ქურთათისა და თაგაურის ხეობების ტერიტორიებიც, ვინაიდან ვწ. სამხრეთელ ოსთა არცთუ მცირე ნაწილი დანამდვილებით ეთნოგრაფიული ოსეთის სხვადასხვა თემებიდან არის გადმოსახლებული. მაგრამ, ჩვენ სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე და საქართველოს მრავალფეროვან

ტოპონიმიკურ ნომენკლატურას თითქმის არ გააჩნია პირდაპირი შენაფის წერტილები აწინდევლი ასეთის ზემოხსენებული ხეობების ტოპონიმიკურ კონტექსტთან. არადა, ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველოში მიზრის რიგებულ სამხრეთელ ასებს მხოლოდ „ბუღე დვალეთიდან“ (ოს. თუალ გომიდან) და წესი ხეობიდან გადმოეტანათ ტოპონიმები ან მათ შერის მარტოოდენ თუალგომელ ასებს გამოეჩინათ თავი ახალ საცხოვრებელ გარემოში ცალკეულ ტოპონიმთა გადმონერგვის უნარით. ასეთი რამის წარმოდგენა ხომ უბრალოდ არასერიოზული იქნებოდა. ამდენად, ჩვენთვის საყურადღებო განმეორებით ტოპონიმთა დაშრევება-განაწილების სურათზე და მათი ადგილმონაცვლეობის შემაპირობებელ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე დაკვირვება საბოლოოდ განამტკიცებს იმ აზრს, რომ ზემოთ მოყვანილ პარალელურ ონიმთა უმრავლესობა სწორედ დვალებს უნდა ეკუთვნოდეს. აკი ამგვარ დასკვნას ზურგს უმაგრებს ის ფაქტიც, რომ არღონის ხეობიდან დიდი ლიახვის ხეობაში გადმოტანილ ზოგიერთი ტოპონიმი (მაგ.: „თლე“, „ზლუბერი“) წერილობით წყაროუბში ჯერ კიდევ იმ დროს ჩნდება, როდესაც ასების ცხოვრება ნარ-მამისონ-ზახის ქვაბულში საერთოდ არ დასტურდება და შესაბამისად, მათთვის რიგი წარმომავლობის შესაძლებლობაც ავტომატურად გამოირიცხება.

მაშასადამც არღონის ხეობის სათავეებსა და მის მომიჯნავე ქართულ რეგიონებს შორის გამოვლენილი ტოპონიმიური შეხვედრების მიუკრძოებელი ანალიზი თვალს გვიხელს „ბუღე დვალეთის“ სანახებიდან დვალთა ოდინდელი მიგრაციის სამ უძველეს და უმთავრეს მიმართულებაზე: 1. დიდი ლიახვის ხეობისაყენ; 2. თერგის ხეობისაყენ და 3. რიონის ხეობისაყენ.

წინთქმულის ფონზე კი ნიადაგ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების შუქზე აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებიდან სწორედ დიდი ლიახვისა და თერგის ხეობების სათავეები წარმოჩნდება XIII-XV სს-ში დვალებით კომპაქტურად დასახლებულ და გვარიანად განაშენიანებულ მხარეებად ხოლო დასავლეთ საქართველოში უთუოდ რაჭა გვევლინება დვალ მიზრანტთა დიდ-პატარა ჯგუფების საკმაოდ ნაადრევი ინფილტრაციის ფარაზისით სანიმუშო კუთხედ, რაზეც სხვა დროს გვექნება უფრო ვრცლად საუბარი.

# გამოყინვაბული ხყარობი და ლიტერატურა

საქართველო  
სამეცნიერო  
სამსახური

1. ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „ქართლის ცხოვრება“, ტ.I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1955;
2. ბატონიშვილი ვახტატი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, „ქართლის ცხოვრება“, ტ.IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1973;
3. ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, ტფ., 1919;
4. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990;
5. Г.А. Кокиев, Склеповые сооружения в Горной Осетии, Владикавказ, 1928;
6. А.Д. Цагаева, Топонимия Северной Осетии, т. II, Ордженоникидзе, 1975.

საქონლის ურთიერთობის  
ისტორიიდან უდიაბში  
(ძმრის სახლში ჩაღის გადასვლასთან  
დაკავშირებული რიცხალები)

ქმრის სახლში ქალის გადასვლა ბუნებრივი პროცესი იყო საქონლის ურთიერთობაში, თუმცა მას წინააღმდეგობაც იხლდა, რაც უდიაბშის საქონლინო წეს-ჩვეულებებშიც აისახა. უპირველესად, ეს გამოიხატა ქალის სახელდახელო დათავისების საშუალებებით (10, 33-41), ქალის გამოსყიდვით. ქმრის სახლში ქალის გადასვლასთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი ხასიათის რიტუალები, ტრადიციის ძალით, პატარძლის ოჯახის საქონლის წეს-ჩვეულებებშიც შემორჩა.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია: 1. ნიშანში სროლის რიტუალი. ნეფის მაყრები პატარძლის ეზოში შესვლის შემდეგ ესროლნენ ნიშანს — მაღალი ხის წვერზე დაკიდებულ ქათმის თავს (ან ვაშლს, ხახეს, კარტოფილს). ვინც ნიშანს ჩამოაგდებდა, პატარძლის მამა დაასაჩუქრებდა ქსოვილით (მანდოლით), გამარჯვებული კი თავის თოფს ნეფეს მხარზე გადაჰქიდებდა. საყურადღებოა, რომ ნიშანში სროლის რიტუალი სოფ. ნიში სრულდებოდა ნეფის ეზოში, პატარძლის მიყვანამდე და მთხრობლები მიიჩნევდნენ „ვაჟა ცობის გამოცდად“, ხოლო სოფ. ვართაშენსა და სოფ. ოქტომბერში — პატარძლის ეზოში და მთხრობლების ახსნით, ამ რიტუალის წარუმატებლიბის შემთხვევაში ნეფეს პატარძალს არ გაატანდნენ (13).

ნიშანში სროლა იცოდნენ საინგილოშიც: ნეფის მაყრიონს ჭიშკარს არ გაუღებდნენ, მანამ მაღალ ლატანზე დამაგრებულ ხახვის თავს თოფს არ მოახვედრებდნენ, ნეფის ეზოში კი პატარძლის მაყრები ესროლნენ მაშხალას (14). ლეკების სოფ. ჩანთლისყურეში, პატარძლის ეზოში, ნიშანში ესროლნენ კვერცხს. თუ ნიშანს არ ჩამოაგდებდნენ, პატარძალს არ გაატანდნენ, გაღმოგვცეს მთხრობლებმა (15).

ქართლში, ნეფის მახლობელი, პატარძლის სახლში თოფს ესროდ სახლის ბანზე დამაგრებულ მაშხალაზე დარჭობილ ვაშლს და ვაჟქაცო ბად ჩაეთვლებოდა, ვინც მას ჩამოაგდებდა (8, 86).

ალულებსა და რუთულებში პატარძლის სახლთან დგამდნენ დიდ ბოძის,  
რომლის წვერზეც კვერცხს ან ვაშლს დაამაგრებდნენ, მის გვერდით ასეთი  
— წითელ მოსახვევს. სასიძლს წარმომადგენელს უნდა ჩამოეგდო თო-  
ფით წვერზე დამაგრებული საგანი. წინააღმდეგ შემთხვევაში არ შეუ-  
შვებდნენ პატარძლის სახლში. ვინც ჩამოაგდებდა, იმას წითელი მოსახ-  
ვევით დაასაჩუქრებდნენ (17, 160).

აჭარაში ქორწილის მეორე დღეს იმართებოდა შეჯიბრი. კვერცხს  
კიდებდნენ ხეზე და მაყრებს უნდა „მოეკლათ“, ტყვით გაეტეხათ იგი.  
თუ მოახერხებდნენ, რუსუმი (მოთხოვნაა სუფრაზე კერძებისა) ორმა-  
გად უნდა შეესრულებინათ მათვის, თუ ვერა — უნდა შეეწყვიტათ  
საერთოდ (2, 68).

ნიშანში სროლის წესი ზოგი ნიშნით მსგავსებას ამჟღავნებს საქართ-  
ველოს ზოგ რეგიონსა (7, 149; 9, 30; 8, 122; 4, 108-113; 1, 232) და  
სომხეთში (18) არსებულ „განადირების“ წესთან, რომელიც შემდეგში  
მდგომარეობს: ნეფე (ან ნეფუ-დედოფალი) მაყრებითურთ ჩამოივლიდნენ  
სოფელში, ყველა ნათესავ-მეზობელს მათვის უნდა გადაეფრინა ქათამი  
და ნეფეს ან მაყრებს ქათმებისთვის ერთი დაკვრით თავი უნდა გაეგდე-  
ბინებინათ; ან მხოლოდ ქალის მაყრები ჩამოივლიდნენ ნეფის სოფელში  
და მათ ქათამს ან ინდაურს ატანდნენ; ან ნეფის ეზოშივე ხანჭლის ერთი  
დაკვრით თავი უნდა გაეგდებინებინათ ხარის ან ძროხისათვის, ხოლო  
„ზოგი ოჯახი დიდ ზარალს რომ არიდებოდა, ეზოში მდგარი რომელიმე  
ხის კერძეროზე ქათამს დაჰკიდებდა და სტუმრებიც მის ჩამოგდებას  
ლამობდნენ“ (1, 233).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უდიებში ნიშანში ესროდნენ ქათმის თავს,  
განადირების ღროსაც, უმრავლეს შემთხვევაში, ესროდნენ ქათამს; ყვე-  
ლგან, სადაც განადირების წესი არსებობდა, მას თან ახლდა ძლვენის  
მირთმევა ნათესავ-მეზობლებისგან ნეფისათვის; ასევე, უდიებშიც, ნიშა-  
ნში სროლის შემდეგ ნეფისავე სახლში ასჩუქრებდნენ ნეფეს, იწყებდა  
რა დედა ინდაურიანი ტაბაკით (განადირების ღროსაც ნეფეს პირველად  
დედა გადაუფრენდა ბანიდან ქათამს). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნეფე-  
პატარძლის მილოცვა-დასაჩუქრებისას ნეფის ეზოში მირთმეულ ხო-  
ნებზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოხარშული ქათამი.

6. ანთელავას აზრით, საქორწინო რიტუალში მოქმედი „განადირე-

ბის“ წესი ნეფის ოჯახში ქალის მაყრების აგრესიულ ქცევებთან ერთოდ განკუთვნება საქორწინო ანტაგონიზმს, რომლის საფუძველი კოლეგიუმის ტივის მიერ თავისი წევრის ნებაყოფლობითი „გასხვისებით“ გაძოვებული უქმაყოფილება წარმოადგენს (1, 233).

ვფიქრობთ, საქორწინო ანტაგონიზმით შეიძლება აიხსნას მხოლოდ განადირებისა თუ ნიშანში სროლის წესი ნეფის სახლში (ტერიტორიაზე) ქალის მაყრების მიერ, ქალის ჭრის სახლში გადასვლის შემდეგ მაგრამ ეს რიტუალი სრულდებოდა აგრეთვე ნეფის სახლში, თვით ნეფის მაყრების მიერ პატარძლის მიყვანამდე და ქალის სახლშიც, ნეფის მაყრების მიერ პატარძლის წაყვანამდე (და წასაყვანად), რაც საქორწინო ანტაგონიზმით ვერ აიხსნება.

ნიშანში სროლის წესში ჩანს ნაყოფიერებისა და ასტრალურ ღვთაებათა შერწყმის ამსახველი მომენტები, რაც პატარძლის სიმბოლოდ აღიქმება. კერძოდ, სანიშნე საგანი ნაყოფია ან ნაყოფის მომცემი: ვაშლი, კარტოფილი, ხახვი, კვერცხი, ქათამი (ქათმის თავი). სანიშნე საგანი გარეგნულად მსგავსია მნათობთა ფორმისა: მრგვალია, მაღლა მდგბარეობს (ხეზე ან ხის ლატანზე), ამას გარდა, ქათამი — ფრენის, ხახვი — ფოჩქების, ხოლო მაშხალა — ნათების გამოც ემსგავსება მნათობს. პატარძლის სიმბოლოდ ფრინველის, კერძოდ, ხოხბის წარმოდგენა ცნობილია ქიზიყშიც (11, 78). (ამის პარალელურად, ნეფის სიმბოლოდ შეიძლება აღვიქვათ მამალი, რომელიც მიყავდათ პატარძლის სახლიდან ნეფის მაყრებს, გზაში აყივლებდნენ, ქორწილის ღამეს კი მიირთმევდნენ) პატარძლის სიმბოლოდ შეიძლება აღვიქვათ მაშხალა, რომელსაც მთხობლები ასე ხსნიან: „რძალი მოდის, ნათელი იყოს“ (14).

ქალის სახლში ნიშანში სროლის წესში, პატარძლის სიმბოლოდ ნაყოფიერებისა და ასტრალურ ღვთაებათა შერწყმის რიტუალურ დანიშნულებად მიგვაჩინა ნეფის (ან მისი მაყრების) მიერ უფლების მოპოვება ქალის საგვარეულოდან პატარძლის წასაყვანად ნეფის სახლში. მთხობლებიც ასე ხსნიან ამ წესს: „თუ ქალის ეზოში ნიშანს არ მოატყამენ, პატარძალს არ გაატანენ“ (13).

რაც შეეხება ნეფის სახლში ნიშანში სროლის წესს, ვფიქრობთ, ქმოვლენა დაკავშირებული იყო ინიციაციის პროცესთან, რის წარმატებით შესრულების შემდეგაც მამაკაცს ქალის შერთვის უფლება ეძლევა

ამრიგად, შესაძლებელია, ნიშანში სროლის რიტუალი თავდაპირვე-  
ლად დაკავშირებული იყო ინიციაციის პროცესთან, რის წარმატებით  
შესრულების შემდეგაც მამაკაცს თავისი საგვარეულო აძლევდა ქორწი-  
ნების უფლებას, ხოლო მოგვიანებით — უფლებას აძლევდა როგორც  
თავისი საგვარეულო (ნეფის ეზოში ნიშანში სროლის შემდეგ), ასევე  
ქალის საგვარეულო (პატარძლის ეზოში ნიშანში სროლის შემდეგ) ქა-  
ლის თავის სახლში (საგვარეულოში) გადასაყვანად.

2. სხვადასხვა სახის გამოსასყიდის არსებობა. როდესაც ნეფის მაყრი-  
ონი პატარძლის ეზოს ჭიშკარს მიუახლოვდებოდა, პატარძლის ძმა (ან  
ბიძაშვილი) კარს ჩაუკეტავდა და საალაყაფო გადასახადს მოსთხოვდა.  
ქორწილის მეთაური გადაიხდიდა სიმბოლურ თანხას, რის შემდეგაც  
ნეფის მაყრიონს ეზოში შეუშვებდნენ. ნეფის მაყრებს წინააღმდეგობა  
ხედებოდათ სახლიდან პატარძლის გამოსვლის დროსაც — ჩაკეტილი  
იყო სახლის კარიც. კარს იქიდან პატარძლის მამიდა ან უფროსი რძალი  
ნეფის ქორწილის მეთაურს კარის გასაღებ თანხაზე შეუთანხმდებოდა.  
ფულის გადახდის შემდეგ მამიდა (ან უფროსი რძალი) ლამთას აანთე-  
ბდა და კარს გააღებდა.

მსგავსი რიტუალები სრულდებოდა არა მხოლოდ საქართველოს სხ-  
ვადასხვა კუთხეში: ქართლში (8,88), სამცხე-ჯავახეთში (6,16), სამეგრე-  
ლოში (12, 99), არამედ კავკასიისა (19,45) და ცენტრალური აზიის ხალ-  
ხების (21, 109) ყოფაშიც.

როდესაც ნეფების პატარძალს გაბეღნიერებას მიულოცავდნენ, ეზოში  
გამოიტანდნენ მზითვეს, მასზე დაჭდებოდა პატარძლის ძმა ან ნათესავი  
პატარა ბიჭი, რომელიც იღებდა ან დაასახელებდა მზითვის თითოეულ  
ნივთს, რომელსაც ნეფის ქორწილის მეთაური ყიდულობდა. ქორწილის  
მეთაურს უნდა შესყიდა აგრეთვე ნეფების პატარძლისათვის ნაჩუქარი ნი-  
ვთებიც. ყველაფრის შესყიდვა სიმბოლურად მცირე თანხით ხდებოდა.  
მსგავსი წესი დამოწმებულია სამცხე-ჯავახეთშიც (4,77).

როგორც ვხედავთ, ყველა აღნიშნულ რიტუალში, რომელშიც გამო-  
სასყიდი არსებობდა, ერთიმეროვეს უპირისისპირდებოდა, ერთი მხრივ —  
პატარძლის გვარის წარმომადგენელი (ძმა, ბიძაშვილი, მამიდა...), მეორე

მხრივ — ნეფის გვარის წარმომადგენელი (ნეფის ქორწილის შეთაური), რისი შედეგიც ქორწილის ხასიათის შესაბამისად გამოიხატებოდა — პატარძალი მიჰყავდათ ნეფის სახლში.

3. პატარძლის და ნეფის ან მათი წარმომადგენლების შექმნება ნეფის ქორწილის შეთაურის მიერ პატარძლის სახლის კარის გასაღები თანხის გადახდისა და კარის გაღების შემდეგ პატარძლის მამა კარის ზოურბლზე ქსოვილის (მანდილის) ან ჭოხის ერთ ბოლოს აღლვდა ნეფის, მეორეს — პატარძალს, რათა ორივეს თავისკენ გაეწია, პატარძალს — ნეფის სახლში შესაყვანად, ხოლო ნეფეს — პატარძლის გარეთ გასაყვანად. ეს პროცესი ყოველთვის ნეფის გამარჯვებით მთავრდებოდა არსებული ქორწინების ხასიათის გამო (თანაც ნეფეს მაყრებიც ეხმარებოდნენ), მაგრამ უდიების რწმენით, თუ როგორმე მოახერხებდა პატარძალი ნეფის გადაძალვას, იმ დღეს ნეფე პატარძლის სახლში უნდა დარჩენილიყო, ან, უკიდურეს შემთხვევაში, რიტუალი უნდა გაემეორებინათ.

როდესაც პატარძალი მიყავდათ ნეფის სახლში, პატარძლის სოფელში (ან თუ ქორწილი ერთსა და იმავე სოფელში იყო, პატარძლის ნათესავებით დასახლებულ უბნებში), გზებზე, ნეფის მექორწილებს პატარძლის ახლობელნი დიდ მორებს უწყობდნენ — გზას უხერგავდნენ. ქორწილის მეთაურს უნდა ეჭიდავა გზის ჩამხერგავთან, თუ გაიმარჯვებდა — გაატარებდნენ, თუ ვერ გაიმარჯვებდა — ფული უნდა გადაეხადა მსგავსი წესი ჩავიწერეთ საინგილოს სოფ. მეშაბაშშიც (14). გზაში ნეფის მაყრებისა და პატარძლის ახლობლების ჭიდაობა იცოდნენ მესხეთშიც (2, 109); გზის გადაღობვა და პატარძლისთვის გამოსასყიდი, პატარძლის სხვა გზით წაყვანა და ა.შ. ცნობილია, დაღესტანშიც (17, 157-160-164).

უდიებში, ნეფის ოჯახის ქორწილში, პატარძალს თან მიჰყებოდა პატარა ძმა („ბინე ღარ“), რომლის ჩამოშორებასაც, როგორც გზაში, ასევე ნეფის სახლში, ყოველნაირად ცდილობდნენ ნეფის მაყრები: ხან ფიჩხზე აგზავნიდნენ, ხან-წყალზე თავის მხრივ პატარძლის ძმა ცდილობდა არ შეეშვა თავისი და ნეფის სახლში — იმ მანდილის ბოლოს ექჩებოდა თავისკენ, რომელიც პატარძალს ეჭირა ხელში. ეს იყო ნეფის ოჯახი საღმი პატარძლის ოჯახის კიდევ ერთი გაბრძოლების სიმბოლური გზასატულება. ქალის ძმის ან ძმების (თუმცა უფროსების) და ბიძაშვილის

ლების წასვლა ნეფის ქორწილში და მათ მიერ თავიანთი უფლებების გამოხატვა არა მშვიდობიანი გზით (ხანჭალს ურტყამდნენ საკუთრებული ნაჭას) ცნობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც (16, 90; 7, 134; 5, 252; 11, 85-87). საინტერესოა, აგრეთვე ქიზიუში ქალის ძმის მახარობლად მისვლა ნეფის სახლში (სატევარს ამოიღებდა, ხოხობზე სანადი-არდ წავიდოდა, მოკლავდა და სხვ.) (11, 85-86).

საყურადღებოა, პატარძლის ძმის („ბინე ღარ“) ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. „ბინე ღარ“ სიტყვასიტყვით ნიშნავს პატარძლის ბიჭს, ვაჟიშვილს. (პატარძლის ძმა იქნება „ბინე ვიჩი“). თუმცა, ზოგადად შვილის აღმნიშვნელი ტერმინი უდიებს არ მოეპოვებათ. სავარაუდოა, მისი აღმნიშვნელი იყოს მარცვალი „არ“ („ღ-არ“ — ვაჟიშვილი; ხინ-არ, ხოვ-ა, ხო-არ — ქალიშვილი). ამიტომ, ვთქიქრობთ, ტერმინი „ბინე ღარ“ აღნიშნავდა პატარძლის შვილს, რომელიც ჯერ კიდევ იმ დროს ჰყავდა, როცა ქმარი ქალის სახლში ცხოვრობდა. ასეთ ვითარებაში გაჩენილი შვილი, უქეველია, იმ საზოგადოების ინტერესს გამოხატავდა, სადაც ის დაიბადა და ამიტომაც ცდილობდა, არ შეეშვა უცხო გარემოში — ქმრის საზოგადოებაში (ქმრის სახლში) პატარძალი (დედა). სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე გაჩენილი შვილები დედის გვარს (დედის ძმას) ეკუთვნოდა (დედის ძმის როლი, ულიებში, მკვეთრად არის შემორჩენილი). იქნებ ამიტომაც უნდა ყოფილიყო „ბინე ღარ“-ი ბევრად პატარა პატარძალზე, იქნებ ამიტომაც ითხოვდა ის გამოსასყიდს მზითვეზე, იქნებ ამიტომაც ცდილობნენ მის ჩამოშორებას ნეფის მაყრები? მაგრამ მიუხედავად იმისა, ვინ იყო „ბინე ღარ“-ი, შვილი თუ ძმა, მის მოქმედებაში მაინც ერთი მიზანი ჩანს — სიმბოლურად გამოხატოს პატარძლის გვარის პრეტენზია.

ამრიგად, ყველა რიტუალი, რომელიც გამოხატავს პატარძლის და ნეფის ან მათი წარმომადგენლების შექმებას, გამოწვეულია პატარძლის გვარის სურვილით — წინააღმდეგობა გაუწიონ ქალის ქმრის სახლში გადასვლას.

4. მახარობლის (ჩაბარებალ) — ამბის მომტანი) ფუნქცია. ნეფის მაყრებიდან რომელიმე დაწინაურდებოდა, რათა ნეფის ოჯახისთვის პატარძლის მიყვანა ეხარებინა, მაგრამ თუ მზითვის ნიშანს არ აჩვენებდა, მას არ დაუჭერებდნენ.

მახარობლის არსებობა დადასტურებულია საქართველოს სხვადასხვა/კუ-  
ონეში (6, 92; 5, 250; 7, 86; 2, 64; 3, 98-110) და სხვა ხალხებშიც (21, 100; 24).  
სადაც მახარობლის ფუნქციის წარმოადგენდა არა მხოლოდ ნეფის ოჯახის  
გახარება მაყრიონის მიახლოებით, არამედ პატარძლისაც, თუმცა მისი და-  
ხვედრის წესები უმეტესად ერთიმეორის საპირისპირო იყო ქალისა და ვა-  
უის ოჯახებში. ვაუის ოჯახში თუ სიხარულით ხედებოდნენ მახარობელი,  
ქალის ოჯახში მის გამოჩენას უარყოფითი რეაქცია მოჰყვებოდა ხოლმე.

უდიებში მახარობელი არ მიღიოდა ქალის სახლში ნეფიონის მი-  
სვლის შესატყობინებლად. მახარობლის დანიშნულების გაჩენა ქმრის  
სახლში ქალის გადასვლას უკავშირდება. მახარობელი იყო უშუალო  
მოწმე და მონაწილე, პატარძლის ქორწილში, პატარძლის გვარის მიერ  
შექმნილ დაბრკოლებათა დაძლევისა.

5. ქალის გადასვლას ქმრის სახლში ასახავს პატარძლის გამოთხოვება  
მშობლიურ კერასთან და „ხელში ჩათვლის“ რიტუალი. როდესაც ნეფე  
და მისი მაყრები პატარძლის სახლის კარის გასაღებად გამოსასყიდუ  
გადაიხდიდნენ, პატარძალი მივიღოდა კერასთან, სადაც იჯდა პატარძლის  
მამა, აკოცებდა მიწას, შემდეგ მამას, დედას და იქ მყოფ ნათესავებს,  
რომლებიც დალოცავდნენ. კარის გაღებისა და ჭოხის (ან მანდილის)  
გაწვევ-გამოწვის რიტუალის დამთავრების შემდეგ პატარძლის მამა პა-  
ტარძლის ხელს ჩაუდებდა ნეფეს ხელში და დალოცავდა: „შვილო, ჩემს  
გოგოს შენ გაბარებ, შენ კიდევ-ღმერთს, თქვენი ქალამანი და ქულ-  
ყოველთვის ახალი იყოსო“.

„ხელში ჩათვლის“ წესი სხვადასხვა სახელწოდებითა და მეტ-ნაკლები  
თავისებურებით უმრავლეს ხალხთა საქორწილო რიტუალში კერასთა  
სრულდებოდა (5, 246; 16, 83-95), ზოგან კი — კერის გარეშეც (8, 102),  
ისვევ როგორც უდიებში.

სპეციალურ ლიტერატურაში „ხელში ჩათვლის“ რიტუალი საქორ-  
წინო ურთიერთობის გაფორმების აქტად (8, 76), ქორწინების საბო-  
ლოო საფეხურადაა მიჩნეული (4, 70), რომელსაც შემდეგ ჩაენაცვლ  
ჭვრისწერა (4, 70; 11, 76).

6. პატარძლის გვარი თავის უფლებას ნეფე-პატარძალზე გამოხატა-  
ვდა საეკლესიო ჭვრისწერის ღროსაც. უდიებში ჭვრისწერა ხდებოდ  
პატარძლის სოფლის ან გვარის კუთვნილ ეკლესიაში.

7. ქმრის სახლში ქალის გადასვლის ბოლო საფეხურია ქორწილი /  
ნეფის სახლში და მისთვის დამახასიათებელი ის საქორწილო რიტუალური  
ლები, რომლებიც გამოხატავენ პატარძლის ნაყოფიერების სურვილსა  
და ქმრის გვართან პატარძლის ზიარებას. მაგრამ ამ რიტუალებს ამჟა-  
მად არ განვიხილავთ, რადგან ისინი სრულდებოდა ნეფის ოჯახის ქორ-  
წილში და მათ უკვე აღარ ჰქონდათ წინააღმდეგობრივი ხასიათი.

პატარძლის გვარი თავის უფლებას ნეფე-პატარძალზე სიმბოლურად  
გამოხატავდა ქმრის სახლში ქალის გადასვლის შემდეგაც. ა). უპირატე-  
სად, ეს გამოჩნდა ქმრის ოჯახისგან განცალკევებით, ნეფე-პატარძლის  
საცხოვრისის გამოყოფით, რომელიც შეიქმნა მზითვეში მოყოლილი ჭრე-  
ლი ფარდით. სპეციალურ, ამაღლებულ ადგილას ნეფე-დედოფლის სა-  
წოლის ფარდით გამოყოფა ცნობილია აგრეთვე აჭარაში (2, 69), დაუ-  
სტანში (18, 53). მსგავსი წესები, რომლებიც ასახავენ ქალის განცალკე-  
ვებულ საცხოვრისს, აღწერილი აქვს მ. კოსვენს და აღნიშნავს, რომ ამ  
ფორმის ძირითადი შინაარსი შეიძლება აიხსნას გათხოვილი ქალის თა-  
ვის გვარისადმი მიეუთვნების გადმონაშთით (21). ბ). ქორწილის დღიდან  
ორი კვირის შემდეგ კიდევ ერთხელ გამოხატავდა პატარძლის გვარი  
ნეფე-პატარძალზე თავის უფლებას — პატარძალი სტუმრად ეწვეოდა  
მშობლებს და ორი ღამე იქ ჩემბოდა, მესამე დღეს კი ნათესავების  
თანხლებით ბრუნდებოდა ქმრის ოჯახში. მშობლების სახლში პატა-  
რძლის დროებითი დაბრუნება ცნობილია არა მხოლოდ კავკასიის, არა-  
მედ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხისთვისაც, რაც მკვლევართა აზრით  
გამოხატავს მატრილოკალური დასახლებიდან პატრილოკალურზე  
გადასვლის გამოძახილს (21, 30; 5, 41).

ამრიგად, პატარძლის ოჯახის ქორწილში ნათლად გამოიკვეთა ქორ-  
წინების მოგვიანო საფეხურისთვის (პატრილოკალური ქორწინება) და-  
მახასიათებელი რიტუალები იმ წინააღმდეგობებით, რასაც უწევდა პა-  
ტარძლის გვარი ნეფის გვარს ნეფე-პატარძლის თავისთან დასატოვე-  
ბლად. ქალის გვარი თავის უფლებას ნეფე-პატარძალზე გამოხატავდა  
ქორწილის შემდეგაც.

# გამოყენებული ლიტერატურა და მასალები:

საქონლები  
შემუშავები

1. ნ. ანთელავა, ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, 1989, ხელნაწერი.
2. გ. ბეჭაია, ძელი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974.
3. გ. გოცირიძე, ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში, თბილისი, 1987.
4. თ. იველაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, 1987.
5. ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960.
6. ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, ტფ. 1938.
7. ს. მაკალათია, ფშავი, თბილისი, 1985.
8. ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბილისი, 1978.
9. ლ. მელიქიშვილი, ტრადიციული საქორწილო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია, თბილისი, 1986.
10. თ. მისკალიშვილი, უდიების საქორწინო ურთიერთობის ისტორიიდან (ქალის სახელდახელო დათავისების ზოგიერთი წესი), კრ. „ძირი ბანი საქართველოს ეთნოგრაფიაში“, თბილისი, 1991.
11. ბ. ნანობაშვილი, საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში (ქორწინება ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბილისი, 1988.
12. თ. სახუკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1956.
13. თ. შარაბიძე, უდიების ეთნოგრაფიული მასალები, სოფ. ვართაშენი, სოფ. ნიში, სოფ. ოქტომბერი, 1980-89 წწ.
14. თ. შარაბიძე, ინგილოების ეთნოგრაფიული მასალები, კანის რაიონი, 1980-89 წწ.
15. თ. შარაბიძე, დალესტნელების ეთნოგრაფიული მასალები, ქ. მახარალა, სოფ. უსიშა, სოფ. ბაშლიყი, სოფ. ჩანთლისყურე, 1980-89 წწ.
16. რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, ტფ. 1939.
17. Булатова А.Г. Традиционные праздники и обряды народов горного Дагестана в XIX - начале XX вв. Ленинград, 1988.
18. Варданян Л.М. Пережитки института инициации у ар-

мян (по материалам свадебной обрядности), "Историко - фи-  
лологический журнал" Ереван, 1967, №4, (39).

19. Карапетян З. Выпуск в свадебных обрядах армян и его  
социально - экономические корни. Автореферат на соиска-  
ние ученой степени кандидата наук, Ереван, 1949.

20. Кисляков Н.А. Семья и брак у таджиков. По материа-  
лам конца XIX - начала XX вв. (труды института этнографии  
им. Н.Н. Миклухо-маклая), Новая серия, т, 44, М.-Л. изд-во  
Академии наук СССР, 1959.

21. Косвен М.О. Обычай возвращения домой - "Институт  
этнографии. Краткие сообщения", М., 1946, №1.

22. Косвен М.О. Этнография и история Кавказа, М., изд-  
во Восточной литературы, 1961.



# მამილევის ისტორია

## (ცოდნაული მარტივოფი)

თითოეული სოფელი საკუთარი მმართველობის სისტემითა და სამკურნეო ყოფით ხსიათდება. საქართველოს ყოველი კუთხისთვის ღმერთის უხვად უბოძებია ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის წყალობითაც მოსახლეობას საშუალება ეძლევა დიდი შრომის ფასად საკუთარი სოფლის იმედით იცხოვროს.

ერთ-ერთი ასეთი სოფელია მარტყოფი, თავისი უძველესი მრავალ-ტანჯული და საუკუნეებგამოვლილი საამაყო ისტორიისა და ტრადიციული სამეურნეო ფორმების მქონე საღაც საუკეთესოდაა ათვისებული მთაცა და ბარიც, ტყეცა და მინდორიც, წყაროცა და რიყეც... ეს ყოველივე სამეურნეო ბაზად ითვლება და ამიტომაცაა, რომ დროთა მანძილზე მარტყოფელი გლეხები მიწათმოქმედიც იყო და მევნეახეც, მესაჭონლეცა და მეცხვარეც... და არა მხოლოდ მარტყოფელი გლეხები ასეართველოში სოფლის მეურნეობის წარმოების მაღალ საფეხურზე მიგვითითებს ის, რომ „ქართველ კაცს მამულ-დედული კლასიფიცირებული ჰქონდა დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით“ (6, გვ. 37).

ეთნოგრაფიული დიდ ყურადღებას აქცევენ სამეურნეო პირობების შესწავლას, რამეთუ ამ საკითხის გაშუქების გარეშე შეუძლებელია საოჯახო და სასოფლო ყოფისა და კულტურის ელემენტების განხილვა. მეურნეობაა სწორედ განპირობებელი სოფლის ცხოვრებისა. ამ საკითხის შესასწავლად საქართველოში მეტად მდიდარი ემპირიული ცოდნაა, რა დგან, „ქართველ კაცს საკეთილო დაგალების შესრულებაზე უკან არა სოდეს დაუხვია“ და მით უმეტეს სოფლის მეურნეობაში. ხვნა-თესვის, მევენახეობა-მექანიზას, მექონიზას ის ყოველთვის თავის ღვიძლ საშედესთვლიდა და მარტო შემსრულებელი კი არ იყო იმ საქმისა, რომელიც მას მოსავლით უზრუნველყოფდა, არამედ ხვალინდელზეც ფიქრობდა ყოველთვის ახლის მაძიებელი იყო და, რაც მთავარია, შემოქმედი და კეშმარიტი შემოქმედი (6, გვ. 37).

მიწათმოქმედება საქართველოში უძველესი და კულტურული ტრა

დღიურებით მდიდარი დარგია. იგი მესაქონლეობის კულტურასთან მჟა-  
ლრო კავშირში არსებობს და ვითარდება. მნიშვნელოვან სამეცნიერო და  
ნაშრომებთან ერთად ეს საკითხი ერთი სოფლის მაგალითზე კარგად  
არის შესწავლილი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში (9, 11,  
13). ციური ლაფაძი სამხრეთ-საქართველოს საფელ ბარალეთის მაგალი-  
თზე მიუთითებს, რომ „მემინდვრეობა — მესაქონლეობა ძველთაგანვე  
მტკიცედ შერწყმულ და განუყოფელ დარგებს წარმოადგენდა, ორივე  
ერთმანეთს ავსებდა და ერთ-ერთის დაჭვებითება-დაკნინება მეორის და-  
ჭვებითება-დაკნინებასაც იწვევდა. სწორედ ამიტომ, მეურნეობის ეს ორი  
ძირითადი დარგი მოსახლეობის ეკონომიური ძლიერების საფუძველთა  
სივრცეში წარმოადგენდა“ (14, გვ. 14).

პურის კულტურა განსაკუთრებით სათაყვანო იყო მუდამ, ვინაიდან ბუნებრივად მოწოდებულ წყალთან და ჰაერთან ერთად იგი ყველაზე უფრო აუცილებელია ადამიანის არსებობისათვის. ამიტომ იყო ჩვევად ქცეული და დღვევანდლამდე მოლწეული მოსახლეობაში ის, რომ ქართველი კაცი ძირს დავარდნილ პურის ნატეხს სულს შეუბრავდა, აკოცებდა და გადასაგდებად ვერც გაიმეტებდა. საჭმელად უკვე უვარგისსა და მოძველებულ პურის ნატეხს კი — ეამბორებოდა, რითაც უთუოდ პატივებას ითხოვდა და ისე გაამწესებდა მას ცხოველთა ან ფრინველთა საკვებად. ამდენად, პურის არც ერთი ნამცეცი არ იყო გამოუყენებელი.

სხვადასხვა კუთხეში, საკუთარი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მარცვლეული კულტურის ცალკეული სახეობები ხარობს. ეს პურის სახელწოდებებსა და ცხობის სხვადასხვაობაშიც (თონე და ლუმელი) გამოიხატია.

სოფელ მარტყოფს სახნავ-სათესები ჰქონდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ მხარეზე. ამ ადგილებს მინდობს ან ყანას ეძახდნენ. აღმოსავლეთითა და დასავლეთით არსებული მინდვრებით მათ ახლოსვე მოთავსებული უბნების მოსახლეობა სარგებლობდა, სამხრეთით მდებარე ყანები კი, რომელიც უფრო დიდ ნაწილს შეადგენდა თითქმის ყველა ოჯახზე იყო განაწილებული. აღმოსავლეთიდან სამხრეთისაკენ შემდეგი სახნავ-სათესები მდებარეობდა: ოსიანთ უბნის გაღმა ძაგნაანთ გვერდა; ძაგნაანთ უბანზე მიმშული წითლობი; მისგან აღმოსავლეთით — ნაზირი მიწა, იქვე — ტიტიკაანთ მიწები, მწარე წყალი, კანდელაკი წყალი,

კუნტატის გადაღმა-დიდგორა და ძელახო; მათ ქვემოთ — კონცვარი და პატარა გორა; აპარნის წმინდა გიორგის გარშემო — შვინდუჭხვის და მარუშანთ ლელუ; აპარნის სასაფლაოს გაღმა — ტბები. ჩრდილო დასავლეთით ვარდანელის პატარა ტყის ზემოთ მდებარეობდა ფარცხისი; ბორკილის ჭვრის წმინდა გიორგის ქვემო მხარეს — თათელაური, იქვე სასაფლაოს ზემოთ ტყისკენ — დილებაანთ მიწები; სოფელ ნორიოსკენ — მწრივგაგები; მარტყოფის სამხრეთით აპარნის დაბლა — მოხვეული, ულვარი, თამარას ლელუ დაჭრილები, ჭიათური, მლაშე, ქაცნია, ლოჭინი, ტარიმანა, თათრიაანთ ჭალები, საჭრნო, ლეკთახევი, გლემურჩი; მარტყოფის ხევს გამოღმა სამხრეთ-დასავლეთით — ნორიხევი.

სახნავ-სათესები, ისევე როგორც საცხოვრებლები, გვარების მიხედვით იყო დაყოფილი ათ-ათ ოჯახზე ცალკეულ დანაყოფს „ათ — კაც“ ეძახდნენ. სოფელთან ახლოს მდებარე მინდვრებზე თითოეულ ოჯახს ნახევარი ჰქექტარი ერგებოდა, უფრო მოშორებით კი — ორ-სამ ჰქექტარზე მეტი. გაყრილ ოჯახს საშუალოდ ოთხ ჰქექტრამდე აღგილი ჰქონდა. თითოეული ნაწილი მიზნით იყო გაყოფილი. ჭავს დადგებდნენ და აქეთ-იქით ხის პატარა ნაჭრებს ჩაურჭობდნენ. ხვნა-თესვისა და მკის დროს სახლიდან მოშორებით ყანებში იყვნენ და შინ არ ბრუნდებოდნენ. ჭალი მინდორში სამუშაოდ არ მიღიოდა. ზოგგან ქოხები ჰქონდათ მოწყობილი, რომლებიც წნელით და ძელით იყო გაკეთებული, თავზე თიჩხს დააწყობდნენ და ჩალას დაახურავდნენ. მკის დროს ზოგჯერ ძნებით შემოღობილში ათევდნენ ღამეს, ზოგს ურემშივე ეძინა (15, გვ. 25).

ვიდრე სოფელი დღევანდელ ტერიტორიაზე „ჩამოვიდოდა“ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ეს ყანები მოსახლეობისაგან საკმაოდ შორს მდებარეობდა, ამან განაპირობა შრომის ორგანიზაციის თავისებური ფორმა, რომელზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

„გარე კახეთის ველებზე, განსაკუთრებით სამგორ-ვაზიანის მინდორში ითესებოდა ღოლის პური, თავთუხი, ქერი და ფეტვი“ (12, გვ. 238). სამგორ-ვაზიანი მარტყოფის სამხრეთ-აღმოსავლეთ მდებარე ტერიტორიაა. ვაზიანიდან მარტყოფამდე დაახლოებით 5-6 კილომეტრია იგი მარტყოფის მინდორს ეკუთვნოდა (1, გვ. 67). მარტყოფელი მკის დრის შაჭრო იორდანაშვილის გადმოცემით, „ეხლა უფხო პური ითესების გადაღმა-დიდგორა და ძელახო; მათ ქვემოთ — კონცვარი და პატარა გორა; აპარნის წმინდა გიორგის ქვემო მხარეს — თათელაური, იქვე სასაფლაოს ზემოთ ტყისკენ — დილებაანთ მიწები; სოფელ ნორიოსკენ — მწრივგაგები; მარტყოფის სამხრეთით აპარნის დაბლა — მოხვეული, ულვარი, თამარას ლელუ დაჭრილები, ჭიათური, მლაშე, ქაცნია, ლოჭინი, ტარიმანა, თათრიაანთ ჭალები, საჭრნო, ლეკთახევი, გლემურჩი; მარტყოფის ხევს გამოღმა სამხრეთ-დასავლეთით — ნორიხევი.“

ბა, მაშინ ფხიანი პური იყო. იმ პურის გაგლეჭა რო გდომოდა, გაგლეჭამდი ისეთი ძარღვიანი იყო (15, გვ. 34).

როგორც ნიკო კეცხოველი მიუთითებს, დოლის პური ჩბილი პურის ერთი სახეობაა. იგი ძირითადად ვაკე ადგილის მცენარეა. მაგრამ გთაში უნდა იყოს შექმნილი (მთის რეგიონში გარეულებულია დიკა), სახელიც ბექოს თემის სოფ. დოლიდან უნდა ჰქონდეს მიღებული. მეცნიერი დოლის პურის ასამდე ქვესახეობას მიუთითებს, რომელთაგანაც ასახელებს: წითელ დოლის, თეთრ დოლის, ბოლისფერ დოლის, თეთრმარცვალა დოლის, წითერმარცვალა დოლის, შავფხა დოლის, უფხო დოლისა და სხვა მრავალს. ნიკო კეცხოველს, ბუნების ქომაგსა და დიდ მცოდნეს, დოლის პური ევროპის ქვეყნებში საქართველოდან გასულ მცენარედ მიაჩინა და განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დოლის პური ერთ-ერთი ისეთი ჯიშია, რომელშიც საქართველოს ისტორია და წარსულია ჩაქსოვილი და ჩახატული“ (8, გვ. 46).

მარტყოფელი მთხრობლები ასახელებენ ფხიან პურს, ზოგნი კი შავფხიანს. მამხობელა თვითონ ერეოდაო მინდორში. მამხობლიან პურს კარგი სუნი ჰქონია. შავფხიან ქერს ფქვავდნენ და პურში ურევდნენ. ხოლო რაც შეეხება ფეტვს, იგი არარაობისა იყო ომიანობის პერიოდში.

ჩვენს მიერ აღებული მასალისა და ივ არჩევანიძის აღწერილობის საფუძველზე მარტყოფუში გუთნეულის მინდვრად გასვლის (1, გვ. 160) შემდეგი სურათი იხატება. ამ მნიშვნელოვანი სამუშაოს დაწყებას წინ სამხთოობა უსწრებდა, რომელიც მაისის 10-12 რიცხვებში იმართებოდა. ვინაიდან მარტყოფი საქმაოდ მოზრდილი სოფელი იყო, სამხთოობა უბნების მიხედვით ეწყობოდა. იგი იმართებოდა ან რომელიმე სახლის ბანზე, ანდა კალოზე, ეს სუფრა აუცილებლად მღვდელს უნდა ეკურთხებინა. აქ თავს იყრიდნენ გუთნისდედები, გუთნეულის ღამისა და ღღის მეხრეები, ზუშა საქონლისა და გუთნის ნაწილების მეპატრონეები. აქ ხდებოდა არა-მარტო დალოცვა და ღვთის დიდება, არამედ ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, კერძოდ, გუთნეულის განრიგის მოწესრიგება, სამუშაო დღეთა განაწილება: გუთნისდედას 4-5 დღიური ჰქონდა განსაზღვრული, ღმის მეხრეს — 2, ღღის მეხრეს — 1, ცალკეული ხარის მეპატრონეს — თითო ღღ ასევე ღვედისა და ჭაპანის მეპატრონეებს. იქვე თათბირო-

ბდნენ, სად რამდენი დღიური იყო საჭირო უბნის ქვრივ-ობლების ყანების მოსახნავად. მსჯელობდნენ, თუ როგორი დამუშავება ესაჭირო იყო მათ და თუ იმ მინდორს. სუფრის თამაღა ერთ-ერთი სახელგანთქმული და კარგად მოლაპარაკე გუთნისდედა უნდა ყოფილიყო. დალოცავდნენ ხარის ქედს, ცის ნამს, კაცის მარჯვენას, დედამიწის მოსავალს. ერთმანეთს ღვთის წყალობასა და რისხვის არიდებას უსურვებდნენ. ახსენებდნენ სამებასა და ერთარსებას. გუთანს გზას დაულოცავდნენ და სუფრა ისე დაიშლებოდა, რომ მთვრალს ვერავის ნახავდით. სადღეგრძელო „ხარის ქედის, კაცის მარჯვენისა და ცის ნამის“ არა მხოლოდ მარტყოფელის არამედ ყველა ქართველი მხენელ-მთესველის სამხოოს სუფრაზე ისმეოდა“ (11, გვ. 34). ამდენად, სამხოოს სუფრა ღვთის საღიღებელიც იყო და შრომის ორგანიზაციის მოგვარებასაც ემსახურებოდა.

გიორგი ჭალაბაძე მემინდვრეობის შესწავლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში მიუთითებს, რომ „კახეთის რაიონში ეთნორგაფიული მასალის შეკრებისას დიდ გუთანზე უფრო მარტივი სახვნელის შესახებ მასალა ვეღარ დავათიქსირეთ, როგორც ჩანს, მარტივი სახვნელები აქ XIX საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ ყოფილა ზოგიერთ სოფლებში გამოყენებული. მაგ., უკანა მხარის მთის სოფლებში“ (12, გვ. 241).

გარე-კახეთის სოფელ მარტყოფშიც ანალოგიური მდგომარეობაა აქ მთხრობლების გაღმოცემით, ვიცით ექვსი ან შვიდულელა გუთანი, რომელიც მუხისგან ან რცხილისგან მზადდებოდა. რკინისა ჰქონდა სახნისი ან საკვეთელი. სახნისი გუთნის წინამდლოლია. გუთანმა რომ არ იწვალოს, სახნისის წინ საკვეთელი ჭრის, კვალს აკეთებს. გუთანს ჰქონდა აგრეთვე რკინის ღვედი, რომელმაც აღრეული ჭაპანი შეცვალა. ქუკანასკნელი თურმე საქონლის ტყავისგან, იშვაათად კი თხის ბეჭვა საგან იყო დაწნული, მას ისეთივე სიმაგრე უნდა ჰქონდა, რომ შვიდულელა ხარს არ გაეწყვიტა ღვედს სამაგრი ტაბიკებით ჰქონდა მიერთობული. გუთანი იყო ერთფრთიანი, ოვალური ფორმის, რომელსაც ბეღლტი უნდა გაეჭრა და გადაებრუნებინა კიდეც. ხარები ება კაბროში. გუთნისდედა მრგვალ საორეველზე იყო გამარტინული, ხელები სახელურის მანჭებზე ჰქონდა მოკიდებული, რომლებიც სისგან მზადდებოდა ღვეთანზე იყო ჩამაგრებული.

მთხრობლების მითითებით, მარტყოფში მძიმე მიწებია, ამიტომ შე

ტი ძალა იყო საჭირო. ერთი მეხრე, რომელიც ღვედსა და ხარს შორის  
იდგა, ოთხ ხარს მიერეკებოდა. მოხნულზე ერთი წყვილი ხარი მიღებოდა  
ხენის დროს ვისაც სიმღერა ეხერხებოდა ის შემოსძახებდა:

საქართველოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

„გადი გამოდი გუთანო,  
ლირლიტავ ბანი უთხარო,  
სახნის საკვეთო გაუსვი,  
რომ ბალახს ძირი უთხარო“.

ლირლიტა „ყელმოლრეცილი“ მისაბმელი იყო, რასაც გუთანი ეწეოდა.  
როგორც ზემოაღნიშნულიდანაც ჩანს, ხენას შესაბამისი შრომის ორ-  
განიზაციის ფორმები გააჩნია. საქართველოში ცნობილია მოდგამი, ხენა-  
თესვის სამუშაოზე შეკრებილი ხალხის გაერთიანება. გაზაფხულზე, ზა-  
ფხულსა და შემოდგომაზე თითეულ სამუშაო სეზონის ხანგრძლივობას  
განსაზღვრავს მოდგამში მონაწილეობა შემადგენლობა, როგორც აღამი-  
ნების ისე ცოცხალი გამწევი ძალისა და ინვენტარის სახით (12, გვ. 85,  
250). კახეთის ზოგიერთ სოფელში ხენასთან დაკავშირებულ შრომის  
ორგანიზაციის კოპერაციულ გაერთიანებას „ამბაზი“-ც ერქვა, სხვაგან  
კი მოდგამს უწოდებდნენ (11, გვ. 90).

მარტყოფში განსაკუთრებით აღნიშნავენ ანეულის ხენას, რომელიც  
დაახლოებით მაისის ნახევარში (ძვ. სტ.) იწყებოდა და შემოდგომის ხენას  
ნაოში. სამეცნიერო ლიტერატურაში, ეთნოგრაფიული მასალებიდან გა-  
მომდინარე, თესვის ვადებთან დაკავშირებით, თბილისის გუბერნიის მა-  
გალითზე, დაბლობ ზოლში მითითებულია, რომ საშემოდგომო სამუ-  
შაოები მიმდინარეობდა სექტემბერ-ოქტომბერში, ხოლო საგაზაფხუ-  
ლო მარტის შუა რიცხვებიდან აპრილის ბოლომდე (2, გვ. 49).

მარტყოფში ხენა სოფლის სამხრეთით მდებარე ტერიტორიიდან იწ-  
ყებოდა. ამ ადგილს „ბოლოს მინდორს“ ეძახდნენ. აქ გაზაფხულის ამი-  
ნდები შედარებით აღრე იწყებოდა. შემდევ თანდათან ჩრდილოეთისა-  
კენ ინაცვლებდნენ. უკანასკნელად ხნავდნენ „ფარცხისის წვერს“.

ამხანაგობაში შედიოდნენ უმთავრესად ერთი პატრონიმისის — „ბუ-  
ლობის“ (4,5) ხალხი. გუთნისდედებიც თვითონ იყვნენ და მეხრეებიც.  
თუ ბულობის წევრებს საკმარისად არ ჰყავდათ საჭირო ხარები, ან არ  
ჰქონდათ გუთნის ცალკეული შემადგენლო ნაწილები, მაშინ მეზო-  
ბლად მცხოვრებ სხვა გვარის ხალხსაც შეიამხანაგებდნენ.

როგორც ზემოთაც ალვნიშნეთ, მარტყოფში სახნავ-სათებული ჩაქმა  
ოდ მოშორებული იყო მოსახლეობისაგან. ამიტომ იყო, რომელიც მარტყოფში ასულები  
წასულები კვირების მანძილზე შინ ვერ ბრუნდებოდნენ. სახლიდან კი  
მორიგეობით მიჰქონდათ „ჯერი“. ვის მიწასაც ხნავდნენ, მასპინძელიც  
ის უნდა ყოფილიყო. „ქიზიყურ მოდგამს მთელი ერთი კვირის სამყოფი  
საკვები მარაგი მიჰქონდა, ადგილზე იცხობდნენ პურს ისე, როგორც  
მეცხვარე მწყემსები“ (12, გვ. 247).

ყანის მკასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის საუკეთესო  
ფორმაა „მამითადი“, რომელიც ჩვენს მიერ აღებული მასალის გარდა  
მარტყოფისა და მის ახლო-მახლო სოფლების (ნორიო, ხაშმი, პატარძე-  
ული, საგარეჭო) აღწერილი აქვს ივანე არჭევანიძეს (1, გვ. 169). ვინაიდნ  
ყანის მკა მკათათვეში, ზაფხულის პაპანაქტა სიცხეში, ტრიალ მინდო-  
რში საკმაოდ მძიმე სამუშაოს წარმოადგენდა, შეუძლებელი იყო, რომ  
იგი მარტოხელა გლეხკაცს შეესრულებინა. ამიტომაც აწყობდა იგი „მა-  
მითადი“, რომელშიც მას ემარტებოდნენ ბუდობის წევრები, შეზობლე-  
ბი, ცნობილი მომკელები. მკაში გუნდ-გუნდად გაიყოფოდნენ, შეგიბრს  
გამართავდნენ და შაირებით, სიმღერებითა და შეძახილებით შრომას  
იიოლებდნენ.

სამხარზე მამითადის მასპინძელი დიდი ხის ძირში გაშლიდა სუფრას,  
ჯერ თვითონ დაილოცებოდა, შემდეგ სათითაოდ ყველას ჩამოურიგებდ  
ლვინოს. ველად ცოტას წაიხემსებდნენ.

მკა რომ მთავრდებოდა, საუკეთესო თავთავებისაგან მომკელები ჯვარს  
აკეთებდნენ, რომლითაც ერთ-ერთი მომკელი მივიღოდა ყანის პატრო-  
ნის ოჯახში. ეს წესი მთელ ქართლ-კახეთში იყო ცნობილი (11, გვ. 160).

ოჯახში ჯვარს ჩამოართმევდნენ და საჩუქრად ცოცხალ მამალს მიარ-  
თმევდნენ, ხოლო დანარჩენ მომკელებს ჩითის ბალდადებს აჩუქებდნენ.  
მამითადში დაახლოებით 10-12 კაცი შედიოდა. ყანის პატრონი შეძლე-  
ბისდაგვარად გაშლიდა სუფრას, ცხვარს დაკლავდა და ისე გაუმასპინძლდ-  
ბოდა. თავთავის ჯვარს სახლში დედაბოძზე მიამაგრებდნენ, ხოლო რო-  
ცა ხორბალს დააბინავებდნენ (ხისგან გაკეთებულ ამბარში და ორმოში),  
ავი სულისაგან დასაცავად ჯვარს ზედ დაადებდნენ.

თავთავის გასალეწად განსაკუთრებით ემზადებოდნენ. საბძელ-კალ-  
უმეტესად სახლთან ახლოს ჰქონდათ გამართული. თუ აქ ამისი ადგილი



არ იყო, მაშინ უახლოეს მიწის ნაკვეთში, ვენახთან ან ყანასთან. ვალო დღაგონალზე დაახლოებით 15 მეტრი სიგრძის იყო. მრგვალად გამოიყენებოდნენ, შემდეგ „ნათოხნის დასაჭდომად“ მორწყავდნენ, ნალექს (წინა წელს საბრძელში შენახული ბზე) დაყრიდნენ. ძნის კონებს (ულოთი გადაკრულს) გახსნიდნენ და ფენა-ფენა ჩამოიძნენ. მომკილი ყანა ძირი-ანი არ იყო, ულო - კი პირიქით. ცხენს ან ხარებს კევრში შეაბამდნენ. მისი წინა მხარე ვიწრო იყო და თანდათან განიერდებოდა. ძირი კი უკანა მხრიდან შესობილი შავი ქვის კოხებით ჰქონდა „მოკოხილი“, ამით თავთავი ილექტებოდა. ორი ხარი თოკით იყო უღელზე მიბმული, რომელსაც ჰქონდა ხის ტაბიკები. ცხენს პირში ლაგამს ამოსდებდნენ, რომელიც უკნიდან „ოუებით“ ეჭირათ და ისე მართავდნენ. კევრზე დიდი და პატარა ყველა ჭდებოდა. თუ საკმარისი ხალხი არ იყო, სიმძიმი-სთვის ქვებსაც ალაგებდნენ. დილიდან თითქმის 5 საათამდე ტრიალებდა კევრი კალოზე. თავთავი ნაწილობრივ რომ გაილექტებოდა, ხის გრძელი ორთითით გადააბრუნებდნენ, კიდევ გალექტილ ძნას არნადით შუა კალოზე გრძლად შეხვეტავდნენ, შემდეგ „გლარგანა“ (სპეციალური მაგარი) ცოცხით შეგვიდნენ. გაანიავებდნენ „ვილკით“, შემდეგ - ნიჩბით. საითაც ნიავი არ იყო, იქით ორი ქალი ხოვს (ნიჩბით განიავებულს) მიაეროვებდა. ხორბალს გამოაცლიდნენ ჩელებს (მსხვილ ბზეს). ცხრი-ლით გაცხრილავდნენ და დააბინავებდნენ.

საბჭოთა პერიოდში სახნავ-სათესები ხეხილის ბალებთან ერთად მთლიანად მეურნეობაში ირიცხებოდა. ახლა კი უმეტესი მათგანი მოსახლეობაშია დანაწილებული. სოფელთან ახლოს მდებარე მიწები სასახლეა-რეებად „დაჭრეს“ გაზრდილი ოჯახებისათვის. მარტყოფელი მკვიდრის არქიტექტორ ზურაბ მათაშვილის სურვილი იყო, რომ იგი გვარების მიხედვით დანაწილებულიყო ეს ხელს შეუწყობდა პატრონიმიული განსახლების ტრადიციის გაგრძელებას, მაგრამ სამწუხაროდ ასე ვერ მოხერხდა. არსებობს მის მიერ გაკეთებული სქემები, რომლებიც ამ უბანზე სკოლის და სხვა აუცილებელი ნაგებობებისა და ქუჩების გაყვანას ითვალისწინებს. საღვეულის და ადგილები სათესებად გამოიყენება. დანაწილებულია აგრეთვე სოფლიდან მოშორებული სახნავ-სათესები და ბალები, სადაც ცალკეული ბუდობების ერთად ყოფნა უფრო უკეთაა დაცული.

# გამოყენებული ლიტერატურა და ცყალობები:

საქართველო  
სამეცნიერო კულტურული მუზეუმი

1. არჩევანიძე ივ. თბილისიდან ალაზნის ველისაკენ, თბ., 1958 წ.
2. ერიაშვილი ქ., მაისურაძე ნ. თესვის ვადები, საქ. ეთნოგრ. ატლასი (მასალები), მემინდვრეობა, თბ., 1985 წ.
3. ილურიძე მ. სოფელი მარტყოფი (განსახლების სტრუქტურა) თბ., 1998 წ.
4. ილურიძე მ. გვარები და „ბუდობები“ სოფელ მარტყოფში, თბ., 1998 წ.
5. ილურიძე მ. ნათესაობის სისტემა და ნათესაურ ურთიერთობათა ფორმები სოფელ მარტყოფის მოსახლეობაში, თბ., 1998 წ.
6. კეცხოველი ნ. ადამიანი და ბუნება, თბ., 1974 წ.
7. კეცხოველი ნ. კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957 წ.
8. კეცხოველი ნ. მთა და ბარი, თბ., 1948 წ.
9. მღებრიშვილი ლ. სოფელი მუხრანი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1997 წ.
10. რუხაძე ჭ. ხალხური აგრიკულტურა დას. საქართველოში, თბ., 1976 წწ.
11. რუხაძე ჭ., ლეკიაშვილი ან., ჭყონია ი. სოფელი აკურა, თბ., 1964 წ.
12. ჯალაძე გ. მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986 წ.
13. გოგალაძე ვ. სოფელი ავნევი ძველად და ახლად, სადისერტ. ნაშრ. თბ., 1970 წ.
14. ლაფაჩი ც. სოფელი ბარალეთი, სადისერტ. მაცნე, თბ., 1993 წ.
15. ილურიძე მ. სოფელი მარტყოფი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), სადისერტ. ნაშრომი, თბ., 1998 წ.
16. ილურიძე მ. მარტყოფის ეთნოგრაფიული მასალები: 1990 წ., რვ №1, №2; 1992 წ., რვ. №3; 1993 წ., რვ. №4, №5; 1996 წ., რა. №6.
17. მათიაშვილი ზ. მარტყოფის სქემური გეგმა, 1996 წ., (ინახება მილურიძის საველე მასალებში).

## სტუმრის მიღების ფასი სპასატში

თითოეული ეთნოსი თავისი განვითარების ხანგრძლივ პროცესში, საუკუნეების მანძილზე ქმნის ტრადიციათა მთელ სისტემას, რაც ამ ეთნოსის ხასიათის და იერ-სახის აღვევატურია. დროთა განმავლობაში ხდება ტრადიციების განვითარება, მათი ტრანსფორმაცია და საბოლოოდ გარკვეული სახით ჩამოყალიბებული მტკიცედ მკვიდრდებიან კიდეც ხალხის ყოფასა და კულტურაში.

თანამედროვე ცხოვრების პირობები, ცივილიზაციის განვითარება და მსოფლიოში სწრაფი ტექნიკით მიმდინარე ინტეგრაციის პროცესები ცვლიან ეთნოსების ტრადიციული ცხოვრების წესს, რომლის შედეგადაც ქრება ბევრი ისეთი ტრადიცია, რომელთა შენარჩუნება და თანამედროვე პირობების შესაბამისად განვითარება უფრო დადგებითი და სასარგებლო მოვლენა იქნება ამა თუ იმ ხალხისათვის, ვიდრე მათი სრული გადავიწყება.

ტრადიციათა შესწავლა გარკვეულწილად მათი შენარჩუნების მიზანსაც ემსახურება. ამა თუ იმ ტრადიციის წარმოშობის მიზეზების დადგენა, მისი შემადგენელი ელემენტების ანალიზი, განვითარების პროცესის მთლიანობაში კვლევა, საშუალებას იძლევა ეთნოსის თანამედროვე განვითარებისათვის სწორი მიმართულების მიცემისა და ამასთანავე, ამა თუ იმ ტრადიციის დღვევანდელი ცხოვრების წესის შესაბამისად ტრანსფორმაციის და მისი შემადგენელი პოზიტიური ელემენტების ყოფაში შენარჩუნების ნიადაგსაც ქმნის.

სტუმარმასპინძლობის ტრადიცია, როგორც ამას მკვლევარები მიიჩნევენ (მორგანი, ტეილორი, ლევი-ბროული და ა.შ.), ადამიანთა ცხოვრების გარიერაჟზეა გაჩენილი და მეტ-ნაკლებად ყველა ხალხისთვისაა დამახასიათებელი. მან განვითარების ხანგრძლივი და რთული გზა განვლო და საბოლოოდ მეტად საინტერესო ფორმით ჩამოყალიბდა.

სამეცნიერო ლიტერატურიდან და ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ სტუმარმასპინძლობა, სანამ იგი დღვევანდელი სახით ჩამოყალიბდებოდა, არ გულისხმობდა ნათესავთან, მეზობელთან და თანასოფლე-

ლთან ურთიერთობას. სტუმარმასპინძლობის ტრადიცია, თვისის განვითარების აღრეულ საფეხურებზე უცხოსთან, სხვასთან ურთიერთობის ფორმად შეიძლება ჩაითვალოს, რაც ჩანს ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვითაც. ანალოგიურ ვითარებაზე მიგვითითებს კონკრეტულად სვანური ეთნოგრაფიული მასალაც. სვანის გაგებით სტუმარი პირველ ყოვლისა უცხოს, გარეშე პირს ნიშნავდა. ახლო ნათესავი და მეზობელი სვანეთში სტუმრად არ ითვლებოდა. ა. შანიძემ ასეთივე ინფორმაცია მიიღო ხევსურეთში: „სტუმარი ჩვენ გვიშვიან სხვა სოფელშით მასულს. თავის სოფლის კაცს სტუმარი არა ქვიან“ (9, 403).

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ქართული და სვანური ენობრივი მონაცემებიც. ი. აბულაძე ძველ ქართულ წერილობით ძვლებზე დაყრდნობით განმარტავს: „სტუმარი — უცხო, წვეული“ (1, 403). ხოლო სტუმართმოყვარეობაზე აღნიშნავს: „სტუმარი/სტუმრის მოყვარე — უცხოთმოყვარე“ (1, 403).

სტუმარი სვანურად გამოითქმის ორგვარად: „მუშგვრი“ და „ნაქშ“. აქედან მეორე „ნაქშ“ დღეს თითქმის მივიწყებულია. „ნაქშ“ (აშ, არ) ბ. ზ., ნაქამ — ბ.ქ — სტუმარი, გარეშე კაცი“ (8) — სიტყვასიტყვით ნიშნავს გარეშეს, გარეთ ნამყოფს, ნაწარმოებია სიტყვიდან „ქშ“ — გარეთ. ამ სიტყვაში პირდაპირ არის ჩადებული სტუმრის თავდაპირველი მნიშვნელობა — გარეშე, უცხო.

თუ, თავდაპირველად სტუმრად გარეშე, უცხო კაცი ითვლებოდა შემდეგ, დროთა განმავლობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების წესის ცვლილებასა და განვითარებასთან ერთად, სტუმრის მნიშვნელობა გაფართოვდა და მისი სტატუსი ნათესავ, მეზობელ და თანასოფლელ აღმიანებზეც გავრცელდა, ანუ ოჯახში მომსვლელ ყველა პირზე, რომელსაც ოჯახი მასპინძლობას უწევდა. ძირითადად კი შენარჩუნებულ იქნა მისი თავდაპირველი მნიშვნელობა და მაინც სტუმრად ითვლება პირველ რიგში უცხო და უცნობი აღამიანი, რომელიც ოჯახში შემოდის და მას მასპინძლობენ აღნიშნული ტრადიციის ყველა წესის დაცვით.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციის არსი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მასპინძელს უცხო, გარეშე პირი ისე შემოყვანა იჯაშა რომ მას თავი პატივსაცემ და ამასთანავე შინაურ აღამიანად ეგრძნოს ქართველი კაცი არ კმაყოფილდებოდა სტუმრის უბრალო გამასპინძლების



თა და მისთვის თავშესაფრის მიცემით. იგი ცდილობდა სტუმარი თავი / „შინაში“ ეგრძნო, რისთვისაც რიტუალთა მთელი სისტემა იყო უსაკუთრებული. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ი. სურგულაძის მოსაზრება, იგი ადამიანის გარემომცველ სამყაროს სივრცობრივად ორ ასპექტად „შინა და გარეთად“ ყოფს. „შინაში“ ნებისმიერი მოსული „გარეთას“ ნაწილია, რომელთანაც ადამიანი ცდილობს კეთილგანწყობილური ურთიერთობის დამყარებას. სტუმარი — ამ შემთხვევაშიც უცხო „გარეთა“ სამყაროს ნაწილია, რომლის შემოყვანასაც თავის „შინაში“ ცდილობს მასპინძელი (6, 155-157).

სვანეთში, სტუმრის წესისამეტრ მიღებისათვის სათანადო რიტუალი სრულდებოდა. მასპინძელი აზიარებდა მას თითქმის ყოველივე იმასთან, რაც მისთვის ძვირფასი და საკრალური იყო ოჯახში. პირველ რიგში, სტუმრის შემოსვლისთანავე კერიაში დიდ ცეკვლს გააჩაღებდნენ და მოსულს ცეკვლთან ახლოს, სამამაკაცო მხარეს დასვამდნენ. ეს არ ნიშნავდა სტუმრის უბრალოდ გათბობას, არამედ წარმოადგენდა მის სიმბოლურ ზიარებას კერიასთან, რომელიც ოჯახში ყველაზე საკრალურ და წმინდა ადგილად ითვლებოდა.

ოჯახში სტუმრად პირველად მოსულ მამაკაცს სვანეთში მასპინძელი თავის ეზო-გარემოს მოატარებდა და ციხე-სიმაგრეს დაათვალიერებინებდა. შემდეგ ეტყოდა: „აწი ჩემსავით იცი ჩემი სახლ-კარი შენც და თავი ისე იგრძნი, როგორც საკუთარ სახლში“ (ინფ.5). ეს უესტი მასპინძლი-საგან სტუმრისადმი დიდი ნდობისა და პატივისცემის გამოხატულება იყო. ამის შემდეგ სტუმარს თავისუფლად შეეძლო გადაადგილება სახლსა და ეზო-გარემოში, სადაც მოესურვებოდა, გარდა საქალებო ნაწილისა. სანაცვლოდ, სვანეთში მიღებული იყო უცნობი სტუმრისათვის ვინაობისა და სადაურობის გამოყითხვა. მასპინძელი კითხავდა მას, თუ ვისი „სამხუბის“ (საძმოს) წარმომადგენელი იყო და რა მიზანს ემსახურებოდა მისი ამ სოფელში სტუმრობა. მას შეიძლებოდა სტუმრისათვის თავისი დამარებაც შეეთავაზებინა, თუ რაიმე პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი. ეს წესი ასევე იყო დამახასიათებელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის (4, 21).

სტუმრის მიღების წესი სრულიად განსხვავებულად სრულდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც სტუმარს მასპინძელი არასოდეს კითხავ-

და ვინაობასა და მოსვლის მიზეზს. თუ სტუმარი თვითონ იტურდა ვინ იყო, ხომ კარგი, თუ არა და მასპინძლისგან გამოეითხვა უტარტუტად ითვლებოდა. სამაგიეროდ, ჩრდილოეთ კავკასიში სტუმარს თავისუფალი გადაადგილება ეკრძალებოდა და იგი საყონალოს კედლებს ვერ გასცდებოდა (4, 21).

როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში, ასევე სვანეთშიც სტუმარს ოჯახში შესვლისას იარაღის მოხსნა და მისი მასპინძლისთვის ჩაბარება ევალებოდა. ეს, ერთი შეხედვით უბრალო უქსტი, სინამდვილეში დიდი ურთიერთნობისა და პატივისცემის გამოხატულება იყო ორივე მხრიდან: სტუმარი ამით მასპინძელს აგრძნობინებდა, რომ მას ამ ოჯახში იარაღი არ სჭირდებოდა და უსაფრთხოდ გრძნობდა თავს. თავის მხრივ, მასპინძელი, იარაღის გამორთმევით თავის თავზე იღებდა სტუმრის უსაფრთხოებასა და დაცვას. იყო გამონაკლისი — როცა სტუმარი ძალიან მტრიანი იყო, მასპინძელი იარაღს დასანახ და მისაწვდომ ადგილს დაუდებდა, რათა მას თავი უფრო უშიშრად და მშვიდად ეგრძნო.

სვანურ სინამდვილეში ჩვენს მიერ დაფიქსირდა თავხედი სტუმრის სახლიდან უიარალოდ გაშვების წესი (უკიდურესი ფორმა ოჯახში სტუმრის დასჯისა), რამაც იმისი ფიქრის საფუძველი მოგვცა, რომ სტუმრის მიერ იარაღის ნებაყოფილებით ჩაბარებაში მხოლოდ მასპინძლისადმი ნდობა და პატივისცემა არ იგულისხმებოდა. აქ, შესაძლებელია, ფარულად ის აზრიც იყოს გატარებული, რომ სტუმარი, მართალია, კეთილი ნებითაა მოსული და მას იარაღი ოჯახში არ სჭირდება, მაგრამ თუ დასჭირდა, მაინც უიარალო აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში სტუმრის უსაფრთხოება მასპინძელს აქვს თავის თავზე აღებული და იგულისხმება რომ სტუმარს იარაღი სხვა არაფრისთვის არ სჭირდება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სტუმარმასპინძლობას ტომებისა და თემების ურთიერთდაახლოების დროს გაჩენილ ტრადიციად თვლიან, მაშინ შესაძლებელია დავუშვათ, რომ სტუმრისათვის იარაღის ჩამორთმევაში მარტო ნდობის კი არა, სიფრთხილის მომენტიცაა გათვალისწინებული.

სტუმრისათვის გამორჩეულ პატივისცემად ითვლებოდა მისთვის ფქის დაბანვის ჩვეულება. აღნიშნული მოვლენა მთხოობლებს კარგად ახსოვთ სვანეთში. ოჯახში მოსულ სტუმარს უმცროსი რძალი ან ქალი შვილი ფქის დაბანდა. სტუმარი თავის მხრივ ცდილობდა არ შეეფრქ

ბინა ასეთი პატივისცემა, მაგრამ მას ფეხს აუცილებლად დაბანდუნენ და /  
სტუმარიც ორმაგად მაღლიერი რჩებოდა მასპინძლისა. სტუმრის შეზღუდვა  
ფეხის დაბანვის ჩვეულება თ. სახოკიას დაფიქსირებული აქვს სამეგრე-  
ლოში: „პატიარა გოგონამ აქაური ჩვეულებისამებრ ფეხთ გამხადა, პატიარა  
ჯირკი მოიტანა, რათა ფეხები ზედ შემეწყო, ძმამ წყალი დაუსხა და  
თვითონ კი ფეხები დამაბანინა“ (7, 274).

რა აზრი იყო თავდაპირველად ჩადებული ფეხის დაბანვის ჩვეულება-  
ში? შესაძლებელია, მისი საფუძველი სტუმრისადმი პატივისცემის გა-  
რდა სხვა რამეშიც მდგომარეობდეს. როგორც ვიცით, ყველა ხალხისა-  
თვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია მაგიური ელემენტები აზროვნე-  
ბასა და ყოფაში, რომელთა უმეტესი ნაწილი დროთა განმავლობაში ან  
რელიგიურ რწმენა — წარმოდგენებში გაითქვითა, ან გაურკვეველი სა-  
ხით შემორჩა ყოფას. ჩვენი აზრით, შესაძლებელია ფეხის დაბანა ერთ-  
ერთი ასეთი ელემენტი იყოს სტუმარმასპინძლობის ტრადიციაში.  
ყურადღება მივაძიროთ, თუ რას ამბობს ოჯახში პირველად შემოსული  
სტუმარი: „კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ სახლში“ (ხორა ჭიშხუ მიქიდა ალ  
ჭორთესგა). წასვლისას იგი იტყვის „კარგი ფეხი დამეტოვებინოს“ (ხორა  
ჭიშხუ მიცვირა). სვანეთში აღნიშნული ფრაზები მისალმებისმაგვარ აუ-  
ცილებელ სათქმელს წარმოადგენენ. გავიხსენოთ აგრეთვე თუ რამხელა  
შინიშვნელობა აქვს ახალ წელს ოჯახში შემოსულ მეკვლეს — მას სპეცი-  
ალურად არჩევენ, გაიკითხ-გამოიკითხავენ — როგორი „ფეხი“ აქვს და  
სხვას როგორ აქვს დაცდილი მისი მეკვლეობა. ოჯახში შემოსული მე-  
კლეც ოჯახის დალოცვისას ხაზგასმით აღნიშნავს: „კეთილი ფეხი მომე-  
ტანოს“ და ა.შ. როგორც ვხედავთ, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ  
როგორი „ფეხით“ შემოდიოდა აღამიანი ოჯახში. შესაძლებელია, სტუ-  
მრისათვის ფეხის დაბანა, სიმბოლურად მის განწმენდას, განბანასაც  
გულისხმობდა პატივისცემასთან ერთად, რათა მის „ფეხს ცუდი რამე“  
არ შემოყოლოდა ოჯახში.

სტუმრის გამასპინძლების რიტუალში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღ-  
ზილი მის სუფრასთან დასმას და პურიობას უკავია. ოჯახში შემოსვლის  
შემდეგ სტუმარს აუცილებლად სუფრას გაუშლიდნენ და სტუმარ-მას-  
პინძლის ურთიერთობა უკვე სუფრასთან გრძელდებოდა. აღსანიშნავია,  
რომ სვანეთში სტუმრის გამორჩეულ პატივისცემად ითვლებოდა ოჯა-

ხის უფროსის მიერ მისთვის საუფროსო სკამის — „საკარტბულის“ დათმობა და სუფრის თავში დასმა, რასაც, მართალია, იშვიტრებოდა გრამ მაინც ჰქონდა აღგილო. ჩვეულებრივად კი სტუმარს ოჯახის უფროსის მარჯვენა მხარეს დასვამდნენ, კერიის სიახლოვეს. თუ სტუმრები ბევრნი არ იყვნენ, სუფრას სარიტუალო — მოჩუქურობებულ მრგვალ მაგიდაზე „ფიჩქე“ გაუშლიდნენ. „ფიჩქი“ მხოლოდ სტუმრისათვის და სარიტუალო დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა. სტუმრის საოჯახო სუფრასთან დასმა, სიმბოლურად ასევე მის ოჯახთან ზიარებას, შინაურად მიღებას ნიშნავდა. ი. სურგულაძე წერს: „ერთად პურობა სისხლით მონათესავეთა, ერთად მცხოვრებთა პრეროგატივას შეადგენს, უცხო პირთათვის სუფრის გაზიარება მასთან დანათესავებას ნიშნავდა. ეთნოგრაფიულად ცნობილია, რომ ქართველები „პურის გატეხვის“ ჩვეულებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს პროცესი ადამიანთა დაახლოების ძალზე ეფექტურ საშუალებად ითვლებოდა“ (6, 156). მართალია, სტუმრის საოჯახო სუფრასთან დასმა დანათესავებას სიმბოლურად ნიშნავდა, მაგრამ ოჯახში „პურის ჭამას“ დიდი მნიშვნელობა რომ ენიჭებოდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სვანეთში „დატუსაღებული დამტუსაღებლის სახლში შესვლისთანავე ცდილობდა პური მარილში ჩაეწო და შეეჭამა. თუ ამას მოახერხებდა, ამის შემდეგ აღარ ეშინოდა, რომ მოკლავდნენ. სხვა შემთხვევაში ტყვე შეიძლებოდა მოეკლათ“ (2, 145).

სტუმარიასპინძლობა ორი მხარის — სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთობაა, რომელსაც უფლება — მოვალეობათა განსაზღვრული ნორმები გააჩნია, საიდანაც მოვალეობათა უმთავრესი ნაწილი მასპინძელზე გადადის. მაგრამ გარკვეული წილი მოვალეობებისა, რომელიც ადამიანთა ურთიერთობის ეთიკური ნორმებიდან გამომდინარეობს, სტუმარსაც ეყისრება — მას მასპინძლის ოჯახში კეთილსინდისიერი მოქცევალება. სტუმარს ბოროტად არ უნდა ესარგებლა მასპინძლის ნდობოთა და პატივისცემით, ხელმრუდე არ უნდა ყოფილიყო და რაც განსაკუთრებულ შეურაცხყოფად ითვლებოდა — ოჯახში მყოფი ქალებისათვის, როგორც სვანები ამბობენ „ცუდი თვალით არ უნდა შეეხედა“. ყველა ფრის პატივიბა უფრო იოლად შეიძლებოდა, გარდა ამ უკანასკნელისა მიუხედავად ამისა, სტუმრის გალახვა მაინც არ იყო მიზანშეწონილ ოჯახში, მას ეტყოდნენ, რომ წასულიყო სახლიდან. უმაღლური სტუმრის

დასჭის რადიკალურ ფორმას მისი უიარაღოდ გაშვება წარმოადგენდა. მიბარებულ იარაღს მასპინძელი უკან არ დაუბრუნებდა. შერიცვის შემდეგ, იარაღი უმეტესწილად პატრონს უბრუნდებოდა, მაგრამ იყო შემთხვევებიც, როდესაც შეურაცხყოფილი მასპინძელი იარაღს თვითონ იტოვებდა (ინფ. 3).

სტუმრის დაცვა კავკასიის ცენტრალური ხალხში სავალდებულო წესად იყო მიჩნეული. ასევეა იგი სვანეთშიც. აქ, ოჯახში შემოსული სტუმრისათვის შეურაცხყოფის მიყენების უფლება არავის არ ჰქონდა. მისი დამცველი მასპინძელი იყო, რომელიც თავის სტუმარზე საკუთარი სიცოცხლით აგებდა პასუხს. სვანეთში თუ დასკინოდნენ პურძვირ და ძუნწ მასპინძელს, სტუმრის დაუცველობა ხომ საშვილიშვილოდ საგინებლად რჩებოდა.

სვანეთში სტუმარი ხელშეუხებლად ითვლებოდა იმ შემთხვევაშიც, როცა სისხლით მტრობა და მკვლელობა იყო საქმეში ჩარეული. მეზობელთან თუნდაც მეზობლის მკვლელი მოსულიყო, ეს უკანასკნელი მასპინძლის ხათრით ვერაფერს დაუშავებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში შუღლი უკვე მეზობლებს შორის ჩამოვარდებოდა. უფრო მეტიც, სტუმარმასპინძლობის ადათი იმდენად ძლიერი იყო, რომ ოჯახისათვის იგი სისხლის აღების ჩვეულებაზე მაღლაც იღგა. საილუსტრაციოდ მოვიყანთ ერთ ნამდვილ ამბავს, საიდანაც კარგად ჩანს, როგორც ვაუამ თქვა: „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“, რომ ოჯახში შემოსული მტერიც კი პირველ რიგში სტუმარია და არა მტერი: „სოფელ ადიშის მკვიდრნი, გვარად ავალიანები მიემგზავრებოდნენ საქმეზე სვანეთიდან. შორმა გზამ და თოვლმა დაღალა მგზავრები და თანაც შემოაღამდათ კიდევც, სოფელ ლატალთან. როგორც ეს წესად იყო, მიადგნენ სტუმრად ოჯახს, რომელიც გზასთან ყველაზე ახლოს ცხოვრობდა. ამ სოფლის მკვიდრი, გვარად სტეფლიანი მოკლული ყავდათ ავალიანებს და ისინი შემთხვევით სწორედ იმ ოჯახს მიადგნენ, ვისი სისხლიც ემართათ. არც სტუმრები და არც მასპინძლები ერთმანეთს არ იცნობდნენ. ისინი მიიღეს, როგორც წესი და რიგი იყო: დიდი ცეცხლი დაუნთეს, ფეხზე გახადეს, დაბანეს და ვახშამიც გაუწყვეს. ამასობაში სტუმრებს საუბარში ვინაობა ჰკითხეს. მთელი ოჯახი სახტად დარჩა, როცა გაიგეს, რომ მათი სტუმრები მათივე ოჯახის წევრის მკვლე-

ლები იყვნენ. ვახშმის შემდეგ ოჯახის უფროსმა ჩუმად გაიხმო თავისი ნები და უთხრა: „სისხლის აღების დრო მოვიდა და მივხედოთ აშადობის ცენტრის საქმეს“. ოჯახის წევრებს შორის დიდი ბჭობა და კამათი გაიძართა, მათი აზრი ორად გაიყო: „სახლში შემოსულ კაცს ძალი არ ერჩის და ჩვენ როგორ ვიკადროთ ასეთი რამდე მერე სოფელში თავს ხომ ვერ გამოვყოფთ სირცხვილით“. საბოლოოდ გადაწყვიტეს არაფერი ეგრძნობინებინათ სტუმრებისათვის, კერასთან გაუშალეს ლოგინები, მოსვენეს და მეორე დილით, როგორც წესი იყო, ისე გაისტუმრეს სახლი-დან“ (ინფ.1).

ამრიგად, სტუმარმასპინძლობის აღათი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მტრობა უკან გადაწია და უარი ათქმევინა ოჯახის წევრებს ასევე ძლიერ სისხლის აღების ჩვეულებაზე. ამასთანავე, არ იქნა მახვშის ჩემვა მიღებული, როცა სხვა დროს ოჯახის უფროსის გადაწყვეტილების უარყოფა ძნელი იყო.

სტუმრად ყოფნის დრო საქართველოს არც ერთ კუთხეში რეგლამენტირებული არ ყოფილა. სტუმარს შეეძლო რამდენი ხანიც უნდოდა, იმდენ ხანს დარჩენილიყო ოჯახში — მას არავინ ეტყოდა — შენი წასვლის დროაო. მაგრამ სტუმარი თვითონ სამ დღეზე მეტანს არ გაჩრდებოდა, თუ სერიოზული მიზეზი არ ჰქონდა და მისი დარჩენა რამე აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. წასვლისას მას საგზალს გაუზადებდნენ და ისე გააცილებდნენ.

სტუმრის შორ მანძილზე გაცილება სვანეთში არ იყო მიღებული იმ შემთხვევის გარდა, რაღესაც სტუმარს აღნიშნულ სოფელში მტერი ჰყავდა. რადგანაც მასპინძლის მიერ მისგან გასული სტუმრის გზაზე შეურაცხყოფაც პირად შეურაცხყოფად იყო აღქმული, იგი მას მიაცილებდა უსაფრთხო ადგილამდე: „სვანს თავისი სტუმრის გალანძლვა, არა თუ მაშინ, როცა ის მის ოჯახში იმყოფება, ოჯახიდან გასვლის შემდეგაც დიდ სირცხვილად მიაჩნია. და, ამიტომაც, თუ სვანის სტუმარს მისი ოჯახიდან გასვლის შემდეგ, მოგზაურობის დროს რაიმე ხიფათი მოვლის, მასპინძელი მიყვება მას, სანამ სამშვილობო ადგილას არ მიიყვანს“. (3, 143). მაგალითად მოვიყვანთ კიდევ ერთ ნამდვილ ამბავს, რომელიც კაბლიინსაც აღწერილი აქვს და რომლის გამოც თავიანთი წინაპრებით დღესაც თავს იწონებენ მათი შთამომავლები: „რამოდენიმე ათეუ



ლი წლის წინათ, სვანეთში მოვიდნენ მღვდლები ქუთაისიდან. ჰევერი /  
სვანეთში ისინი ესტუმრნენ თავად გარდაფხაძეს, ზემო სვანეთში მარგიანებს. გარდაფხაძებს ამ დროს ემტერებოდნენ მესტიაში მცხოვ-  
რები ჭაფარიძეები. ჭაფარიძეებმა როცა გაიგის, რომ ზემოს ენებული  
მღვდლები გარდაფხაძეების სტუმრები იყვნენ, გარდაფხაძეებისათვის შე-  
ურაცხოფა რომ მიყენებინათ, გადაწყვიტეს მათი დაჭრა და სოფლის  
გარეთ დაუდარაჯდნენ. ამ მღვდლებს მიაცილებდა მათი მასპინძელი მუ-  
ჩაზა მარგიანი. როცა მან გაიგო, რომ ჭაფარიძეებს მისი სტუმრების  
გალანძლვა უნდოდათ, სტუმრები უკან დასტოვა და თვითონ წინ წავი-  
და. მონახა დადარაჯებული 6 ჭაფარიძე და სთხოვა ასეთ განზრახვაზე  
ხელი აეღოთ. მათ შორის საქმე გამწვავდა, მოხდა ჩხუბი, რომლის დროსაც  
მურზას მიერ მოკლული იქნა ერთი ჭაფარიძე და რამოლენიმე დაჭრი-  
ლი. თვით სტუმართმოყავარეობის მსხვერპლი მურზაც ვაჟკაცურად მო-  
კვდა იქვე. ხოლო მღვდლებმა თავი გადაირჩინეს უბედურებას, იქვე გა-  
ვლენიან აზნაურ სვინჩილდ ჭაფარიძესთან თავის შეფარებით“ (3, 143-  
144). როგორც დავინახეთ, სტუმრის დაცვას მასპინძლის სიცოცხლე  
ეწირება, რაც არ იყო იშვიათი მოვლენა არც სვანეთში და არც საქარ-  
თველოს დანარჩენ კუთხეებში. საინტერესოა ისიც, რომ ჭაფარიძეებმა  
გარდაფხაძეების შეურაცხოფა იმით განიზრახეს, რომ მათთან სტუ-  
მრად ნამყოფი მღვდლების დაჭრა გადაწყვიტეს, რადგანაც, კარგად  
იცოდნენ, რომ სტუმარმასპინძლობის ადათიდან გამომდინარე, ეს მა-  
რთლაც გარდაფხაძეების შეურაცხოფის მიყენება იქნებოდა.

სტუმარმასპინძლობის წესი გარკვეულწილად იცვლებოდა იმ მოვ-  
ლენათა შესაბამისად, რის გამოც ოჯახში სტუმარი მოდიოდა. სხვადას-  
ხვანაირი იყო სტუმრის დახვედრა ქორწილის, სახალხო-რელიგიური  
დღესასწაულებისა და ჭირის დროს. შესაბამისად ზოგიერთი ელემენტი  
ან აკლდებოდა, ან ემატებოდა სტუმრის მიღებისა და გამასპინძლების  
მდიდარ ჩვეულებას.

ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ, თუ როგორი სახით  
იყო წარმოდგენილი აღნიშნული ტრადიცია ჩვეულებითი სამართლის  
სრულების დროს, როცა მომჩივან-მოპასუხის ოჯახებს მორიგეობით  
შევეოდნენ მედიატორები (მორვალ) — საქმის განსახილველად.

ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუმრად მოდიოდნენ

თემში, სოფელში გამორჩეული და პატივსაცემი აღამიანები. მათი დასკვერდა და გამასპინძლებაც ასევე გამორჩეული უნდა ყოფილი მიზრადა ამ დროს სტუმარიასპინძლობა იმგვარად სრულდებოდა, რომ სტუმრების პატივისცემის პარალელურად მასპინძლის ფაქტორიც მაქსიმალურად წინ წამოწეული ყოფილიყო. ამ დროს ყოველთვის ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ მასპინძელი თავისი ოჯახის სრულუფლებიანი ბატონ-პატ-რონი იყო და სტუმრებს ისე ხვდებოდა და „ოჯახის სახელით ისე მოშენდებდა, როგორც სუვერენული სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მეორე ამგვარ სახელმწიფოს წარმომადგენელთან დამოკიდებულებაში“ (10, 18-19).

„მორვებს“ მომჩივან — მოპასუხე თანაბარი რაოდენობისას ირჩევდა სანამ მორვები საქმის გარჩევას დაიწყებდნენ, ერთად უნდა სტუმრებოდნენ ხან ერთ და ხან მეორე მხარეს. ასეთი სტუმრობა 4-5 დღეს გასტანდა ხოლმე. მასპინძლები მოვალენი იყვნენ სანაქებოდ გამასპინძლებოდნენ მორვებს, ამიტომ მორვების სტუმრობა საარაკოდ იყო გამხდარი. ბ. ნიუარაძეს აღწერილი აქვს აღნიშნული სტუმრობა: „პირველად მორვებს მომჩივანი უნდა გამასპინძლებოდა და მასპინძლობაც, რაც შეიძლებოდა, გულუხვი უნდა ყოფილიყო სასმელითა და საჭმელით. შეგროვდნენ მორვები მომჩივანის სახლში, მასპინძელი მზად არის. ჩამოსხდნენ სკამებზე, სუფრის თავში მასპინძელი ჭდება. სუფრა საესეა პურით, ხორცით, ყველით. მასპინძელი პირველი შეეხო პურს, მაგრამ სანამ ჭამას დაიწყებდეს, მიმართავს მორვებს ამ სიტყვებით: „ჩემი მაღლი თქვენ გქონდეთ, ჩემს მოწყალე — შემწე კაცებს, ღმერთმა ქნას, რომ ამგვარი შემთხვევა არ ყოფილიყოს თქვენს ოჯახებში“ და იწყებს ჭამას. მორვებიც უპასუხებენ: „ღმერთმა ამიერითგან მოსპოს ამგვარი ხარჯი შენს ოჯახში და სამხიარულო სუფრაზე მოვსულიყავით ყოველთვის“. ამით იწყება პურის ჭამა. მწდე არაყს ასხამს ქარახსში და მიართმევს ჭერ მასპინძელს, და მერე ყველას ჩამოურიგებს. ასე ჩამორიგდება მეორედ, მესამედ. ყველამ ჭამას თავი დაანება და შესცემრიან მასპინძელ — მომჩივანს, რომელმაც თავისი სარჩელი იმათ უნდა მოახსენოს. მაშინ მომჩივანი აღგებულებზე, კათხით ხელში, ქუდ-მოხდილი წარდგება მორვების წინ და დალაგებით მოუყვება თავის სარჩელს. მორვები სიტყვა-სიტყვით ცდილობდნენ ნათქვამის დამახსოვრებას, როცა მომჩივანი მორჩება, დალა-

კათხას. მორვები აიმედებენ, რომ ღვთისა და მომჩიგან-მოპასუხის- როდ დაბოლოვონ საქმე და დაცლიან სავსე ქარახსებს, რომელნიც მათაც აქამდე ხელში ეჭირათ. მერე აგრძელებენ ჭამა-სმას“ (5, 95-96).

გამასპინძლების იგივე სცენა მეორდებოდა, როცა მორვები მოპასუ-  
ხსთან მიდიოდნენ და ასე გრძელდებოდა, სანამ საბოლოო განაჩენს არ  
გამოიტანდნენ.

როგორც ზემოთ ავლიშნეთ, ამგვარი გამასპინძლებისას ყოველთვის ხაზგასმული იყო მასპინძლის ადგილი და პრიორიტეტი თავის ოჯახში. მართალია, სტუმრების პატივისცემა ნაკლები არ იყო, ვიდრე სხვა შემ-  
თხვევებისას, მაგრამ ამჯერად მასპინძელი შეძლებისდაგვარად თავის სა-  
სარგებლოდ იყენებს სტუმარ-მასპინძლობის ზოგიერთ რიტუალს. მაგა-  
ლითად, ამ შემთხვევაში გამორიცხული იყო მასპინძელს თავისი ადგილი  
და „საკარცხული“ საპატიო სტუმრისათვის დაეთმო: „აღსანიშნავია, რომ  
ამ შემთხვევაში ქორა მახვში მუდამ თავის საპატიო ალაგს, საპატიო  
სკამზე ზის, რაგინდ საპატიო სტუმრები არ უნდა იყონ მორვების რი-  
ცხვში: სოფლის მახვში, პაპი, მღვდელი და თუგინდ თვით ხევის მახვშიც  
კი“ (10, 18).

აღწერილ სიტუაციაში გამასპინძლებისას, როგორც აღვნიშნეთ, წინ  
იწევს მასპინძლის ადგილისა და მდგომარეობის ხაზგასმა და ამისათვის  
ის კველაფერს იყენებს: საპატიო ადგილს სუფრის თავში, მახვშის საკა-  
რცხულს, სუფრაზე პურის გატეხვის პირველობას და სავსე სასმისსაც  
მას აწვდიან პირველად, როცა სხვა დროს შეიძლება პირველი კათხაც  
სტუმრისათვის ყოფილიყო მირთმეული.

წარმოდგენილი მცირე მასალაც კი საქმარისია იმისათვის, რომ და-  
ვინახოთ, თუ რა საინტერესო და მდიდარი ფორმითაა წარმოდგენილი  
სვანეთში სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია, სახელდობრ კი სტუმრის  
მიღებისა და გასტუმრების წესი. იგი საქმაოდ ჩამოყალიბებულ და და-  
ხვეწილ რიტუალთა წყებას განეკუთვნება, რომელშიც სვანების რწმენა  
- წარმოდგენები და სოციალური ურთიერთობებიცაა არეკლილი.

აღნიშნული ტრადიცია სვანეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მტ-  
კიცე და განუყოფელი ნაწილია და დღესაც მოქმედ და ერთ-ერთ უმთა-  
ვრეს ტრადიციად რჩება.

# გამოყინვებული ლიტერატურა



1. ი. მულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ვ. ბარდაველიძე, საარქივო მასალები, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს მატერიალური კულტურისა და სამეცნიერო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში დაცული არქივი,  $M^2$  კარადა.
3. ე. გამლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925.
4. მ. მოწერელია, სტუმარმასპინძლობის ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1987.
5. ბ. ნიუარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ.I, თბ., 1962.
6. ი. სურგულაძე, სივრცობრივი ასპექტები ქართველთა რელიგიურ და მითოსურ წარმოდგენებში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, XXIII, თბ., 1987.
7. თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1959.
8. მ. ქალდანი, ვ. თოფურია, სვანური ლექსიკონი, (დაკაბადონებულია და გამზადებულია გამოსაცემად ენათმეცნიერების ინსტიტუტში).
9. ა. შანიძე, თხზულებანი 12-ტომად, ტ.I, თბ., 1984.
10. გ. ჩიტაია, სვანური „საკურცხილ“, „მოამბე“, ტ.II, ტფ., 1924.

## 06 ფორმატორები

1. ავალიანი სიდონია სიმონის ას, მესტიის რაიონი, ს. მულახი, დაბ. 1928წ.
2. ზურებიანი საშა პავლეს ას, მესტიის რაიონი, ს. მულახი, დაბ. 1921წ.
3. იოსელიანი დავით ბესარიონის ძე, მესტიის რაიონი, ს. მულახი, დაბ. 1928წ.
4. იოსელიანი ნინა ბესარიონის ას, მესტიის რაიონი, ს. მულახი, დაბ. 1921წ.
5. მარგიანი იოსებ ტრიფონის ძე, მესტიის რაიონი, ს. მულახი, დაბ. 1914წ.

6. მარგიანი ჭიჭიკო ზაქარის ძე, მესტიის რაიონი, ს. მულახი, დაბ.,  
1910წ.
7. მარგიანი თეიმურაზ შოთას ძე, მესტიის რაიონი, ს. მულახი, დაბ.,  
1959წ.
8. ქოჩქიანი სილევან მაქსიმეს ძე, მესტიის რაიონი, ს. მულახი, დაბ.,  
1928წ.

## სამურზაყალოს ისტორიული ადგილები

ისტორიული სამურზაყანო (თანამედროვე გალის რაიონი) მოიცავდა მდინარეების ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის უდიდეს ნაწილს. ძველად ეს „შუამდინარეთი“ ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხეს წარმოადგენდა, რომელიც სხვადასხვა დროს შედიოდა კოლხეთის, ეგრისის, აფხაზეთის, საბედიანოს, ოდიშის (სამეგრელოს) ფარგლებში.

ზოგადი ცნობები ზემოაღნიშნულის შესახებ:

ცნობილია, რც. წ. აღრიცხვის VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში შეიქმნა ადრეკლასობრივი ტიპის სახელმწიფო, რომელიც შორს იყო გადაჭიმული ლიხის ქედიდან შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო-მდე — ეს იყო კოლხეთი. ბერძნები ამ სამეფოს ერთი დასავლურ-ქართველური ტომის — კოლხების სახელის მიხედვით ეძახდნენ. სინამდვილეში კი სამეფოში წამყვან ძალას მეორე დასავლურ ქართული ტომი — ეგრები წარმოადგენდა (5, გვ.3). ადგილობრივ მას ეგრისი ერქვა (32, გვ. 45). როგორც იჩვევა, საკუთრივ ეგრი ტომის თავდაპირველი გავრცელების ძირითად არეს მდინარე ენგურის ქვემო წარმოადგენდა. ენგურის ახლოს ძვწ. III საუკუნეში მდებარეობდა ეგრისიც. დღვენდელი გალის რაიონი ამ ტერიტორიაში ექცევა. ამ ქვეყანას ანტიკურ ხანაში „შიდა ეგრისი“ ეწოდებოდა. იგი მოიცავდა დასავლეთ საქართველოს დაბლობ ნაწილს, მოქცეულს მდინარეების რიონსა და ღალიძგას შორის.

ეგრისის სამეფოს გული იყო საკუთრივ ეგრისი, ანუ ქართული წყაროების „შიდა ეგრი“, (22, გვ. 106). ისტორიული „შიდა ეგრის“-ის დასავლეთი ნაწილი (დღვენდელი გალის რაიონი) მდიდარია წარსულის ყველა დროის (ქვის ხანიდან დაწყებული გვიან შუა საუკუნეების ჩათვლით) ისტორიული ძეგლებით. არქეოლოგების მიერ რაიონის ტერიტორიაზე ორასამდე არქეოლოგიური ძეგლია მიკვლეული (30, გვ.4). კერძოდ, ოქუმის ხეობაში (ენგურ-ღალიძგის აუზი) ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდის თხუთმეტი მღვიმე და ოცდაათამდე ღია სადგომია მიქვლეული, ხოლო შუა საუკუნეების ფიქსირებული ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლთა რიცხვი სამოცდაათს აჭარბებს (31, გვ. 26.გვ.1).

კოლხეთის ტერიტორიაზე ჩვეოლუციამდე აღმოჩენილი განძების/ერთი ნაწილი, ერმიტაჟსა და მოსკოვის ისტორიულ მუზეუმშია გვითვის/გვითვის ლი. ცალკეული ნივთები ან ნივთების ჯგუფი ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ სხვა მუზეუმშიაც მოხვედრილა მაგრამ დამახასიათებელია, რომ იმ დროს პირველ რიგში ყურადღება ექცეოდა და გროვდებოდა მხატვრული ღირებულების მქონე ძეგლები. საქმარისია გავიხსენოთ 1890 წ. სოფ. ჭუბურხინჯში (გალის რაიონი) აღმოჩენილი შესანიშნავი განძის ბეღი, დიდი ნაწილი ამ განძისა, რომელიც ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ზოდებისა და სხვა მრავალრიცხოვანი ნივთებისგან შედგებოდა, გაქრა და დაიკარგა, იმის გამო, რომ საიმპერატორო ერმიტაჟმა ისინი არ მიიღო და უკან დააბრუნა, როგორც არქოლოგიურ მნიშვნელობას სრულიად მოკლებული. ერმიტაჟში მოხვედრილია მხოლოდ ოქროს ორი საყურე და აგრაფი (საკიდი) (25, გვ. 5).

შევდა პალეოლითის (აშელი, მუსტიე) იარაღები ოქუმის ხეობის მრავალ პუექტშია (გალი, აჩიგვარა და სხვა) აღმოჩენილი.

ზღვისპირა აშელური სადგომებიდან უნდა აღინიშნოს ნაბინაცრები სოფ. კოლხიდაში, გუდაუთაში, სოხუმში, იაშთხვაზე გალში, ჭუბურხინჯში. აქ ნაპოვნია ეპოქისათვის მეტად დამახასიათებელი თითქმის უნივერსალური იარაღები, ხელცულები. (6, გვ. 87). შავიზღვისპირა რაიონებში მუსტიეს ეპოქის ძეგლები აღმოჩენილია ლიხნეში, სოხუმში, ოჩამჩირეში, ოლორში, გალში, ოქუმში, რუხსა და ბევრგან სხვაგან. (6, გვ. 91).

ნეოლითის შუა საფეხურს უნდა მივაკუთნოთ (ძვწ.VII-VI ათასწლეული) ღუმურიშის (გალის რაიონი) ცენტრალურ ნამოსახლარზე მოპოვებული მასალა, რომელთა საერთო რაოდენობა ოცი ათასს აღემატება და ოცდაათიოდე დასახელების ნივთს მოიცავს (16, გვ. 128).

ქრონოლოგიურად ამავე პერიოდისაა მეორე მძლავრი ნამოსახლარი, რომელმაც მასალის სიმრავლის მიხედვით (სხვადასხვა ქანის ქვის ოცდაათი ათასამდე ინვენტარი) კავკასიაში დღემდე ცნობილ ყველა სინქრონულ ნამოსახლარს გადააჭარბა. ნამოსახლარი მიკველულია გალის რაიონის სოფ. ჩხორთოლში. ამასთანავე, ჩხორთოლის ნეოლითური ნამოსახლარის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იქ კულტურის ნაშთები (შევდა პორიზონტებში) განსაზღვრულ მონაკ-

ვეოზე უძრავ მდგომარეობაში გვხვდება, რასაც მოკლებული ყოფილია ვლეთ საქართველოს ლია ტიპის ნამოსახლარები (17, გვ. 187) ეროვნული სიმუზიუმი

კოლხეთის დაბლობზე აღრე და შუა ბრინჯაოს ხანაში ხელოვნურად შექმნილ გორაკ-ბორცვებზე წარმოქმნილი ნამოსახლარებია მოჭარბებული. ერთეულების სახით გვხვდება შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ფენების შემცველი გორა-ნამოსახლარები (ანაკლიის დიხაგუმუბა II, თეკლათის ნაოხვამუ, გალის ფიჩორის ნამოსახლარი, ჭალადიდის ზურგა და სხვა (9, გვ. 5).

გვიანი ბრინჯაოს პერიოდის და მისი მომდევნო ხანის დასავლურ-ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია განძებს. სწორედ განძების შემადგენლობაშია დიდი ნაწილი იმ სამეურნეო იარაღებისა, რომელიც ძირითადად განსაზღვრავენ კოლხური კულტურის დამოუკიდებელ, თვითმყოფად სახეს. უნდა აღინიშნოს, რომ განძები შემთხვევითაა ნაპოვნი, ამიტომ ცნობები მათი აღმოჩენის შესახებ, ყოველთვის ზუსტი არ არის. ზოგიერთი განძიდან მხოლოდ ნივთების ნაწილია მოხვედრილი მუზეუმში, ნაწილი კი — დაკარგულია.

საყურადღებო განძია ნაპოვნი 1930 წ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, გალის რაიონში, სოფ. ტაგელონში (თაგილონში — ი.კ.). აქ აღმოჩენილი იყო ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და რკინის საგნები, რომელიც სამარხის ინვენტარის ნაწილს შეადგენდა. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დაიკარგა. დიდად საყურადღებოა ოქროდან გაკეთებული შიგნიდან ცარიელი ირმის თავი. ნივთი მშვენივრადაა შენახული. იგი შესრულებულია იშვიათი მოხდენილობით (4, გვ. 78).

თაგილონის განძი ძვ. წ. აღრიცხვის XII-XI სს. თარიღდება. ქრონლოგიურად ამავე პერიოდისაა ლეკუმხარის განძი. მის შემადგენლობაშია: I და II სახეობის ორი კოლხური, ორი სეგმენტი, თოხი, სხვადასხვა სიღიდის რვა ზოდი.

დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ნუმიზმატიკური მასალა. კოლხეთის დასავლეთი რაიონებისა და ზღვისპირა ქალაქების ნუმიზმატიკური მასალა ცხადყოფს, რომ აქ ძირითადად იგივე მონეტები იყო მიმოქცევაში, როგორც რომის პროვინცია კაბადოკიაში, ფიქელი პონტოს სამეფოს ტერიტორიაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, კოლ

ხეთის დასავლეთ ნაწილში დიდი რაოდენობა კაპადოკიის კესარიაში მოქრინილი მონეტებისა. პოლიტიკურად და როგორც ჩანს, ეკონომიკურად რადაც კაპადოკიასთან დაკავშირებული კოლხეთიც სწორედ ძირითადად კესარიულ მონეტას ხმარობდა. ამის უტყუარი დადასტურებაა გალის რაიონის სოფ. ნობაქეში (ნაბაკევი — ი.კ.) აღმოჩენილი ცამეტი დიდრაქმიანისაგან შედგენილი განძი (20, გვ. 59-60). 1967 წ. ნაბაკევში კოლხური თეთრის ოთხასი ცალისაგან შემდგარი ძვ. წ. აღრიცხვის IV-II სს. დათარიღებული განძი აღმოჩენილა. 1966 წ. საბერიოში (გალის რაიონი) შემთხვევით აღმოჩენილია კოლხური თეთრის განძი, რომლიც ორმოცდაოთხი მონეტისაგან შედგება. 1981 წ. მიწის სამუშაოების დროს ბარღებში შემთხვევით იპოვნეს 387 მონეტისაგან შემდგარი კოლხური თეთრის განძი, რომელთაგან 359 ცალი ვერცხლის, 28 სპილენძის ნახევარდრაქმიანებია. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ პირველად კოლხური თეთრი ოქუმის ხეობაში 1925 წ. აღმოჩენილა, ადგილ კოხორაში. ნაპოვნი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (31, გვ. 35).

ზემოთ აღნიშნული განძები დაუნგებული იყო რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამჟამად მათი ადგილსამყოფელი გაურკვეველია.

ამრიგად, მხარის მდიდარი ისტორიული წარსული საუკუნეთა სიღრმეში იყარება. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ აღნიშნული ტერიტორია ქართველი ტომების ეთნიკური ჩამოყალიბების თვით უადრესი პერიოდიდან ყოფილა დასახლებული და ქალაქ ეგრისით წარმოადგენდა ეგრისის პოლიტიკურ — გეოგრაფიულ ცენტრს. აქედან მოყოლებული ანტიკურ ხანამდე და მის შემდგეაც ეს ტერიტორია ყოველთვის დასახლებული ყოფილა.

როგორც ცნობილია, ძვ.წ. VI ს. შექმნილი ეგრისის სამეფო მომდევნო საუკუნეში დასუსტდა. ძვ.წ. II საუკუნის დამლევს ეგრისი პონტოს მეფებ მითრიდატემ დაიპყრო, დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ იგი რომაელების ხელში გადავიდა. ეგრისის სამეფოს ხელახლა აღდგენას და გაურთიანებას რამდენიმე საუკუნე დასჭირდა. ძვ.წ. VI ს. ჩამოყალიბებულ სამეფოს რომაელები და შემდეგ ბიზანტიელები ლაზიებს უწოდებდნენ, დასავლურ-ქართულ ერთ-ერთი ტომის, ლაზების მიხედვით.

ქართული საისტორიო მწერლობა ქართულ ტომთა დასავლური გაერთიანების შესახებ მცირე ცნობებს გვაწვდის, რისთვისაც მივმართავთ უცხოურ წყაროებს. ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა ლაზეთის

ეპარქიაში შემავალი საეპისკოპოსო ცენტრის „ზიგანევის“ ლოკალიზაციის საყითხი, სადაც ჩვენთვის ამოსავალი უცხოური წყაროების აღმოჩენა ნიუს სეკუნდუ ფლავიუს არიანე, V საუკუნის ანონიმი ავტორი, კლავდი პტოლემე საეპისკოპოსო ნოტიციები, ორიენტიონისისა და ძმათა წამება (15, გვ. 231). ასევე მნიშვნელობას არაა მოკლებული ზოგიერთი ცნობა, რომელიც შემონახულია ძველ ქართულ ხელნაწერში, კერძოდ, XI საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის სქოლიოში აღნიშნულია: „გუდაყუას იტყვის ზიღანეოსადო“. „მატიანე ქართლისამში“, იქ სადაც ლაპარაკია აფხაზთა მეფეების საეკლესიო პოლიტიკის შესახებ, „ბაგრატმა ააგო ბედიის ტაძარი და იქ გადმოიტანა „მოცვალა“ გადისი (ქ ცხ: გუდაყუას) საეფისკოპოსო“ (19, გვ. 64).

ცნობილია, რომ გუდაყუა არის ბიზანტიური წყაროების ძილანეოსი (ზიგანეოსი), ამასთან ძველი ბერძნების სიგანეოს (ქალაქს და მდინარეს) შეესაბამება. საყითხის უკეთ გასაშუქებლად განვიხილოთ ზოგიერთი წყარო.

როგორც ავლნიშნეთ, ზინაგვე მოხსენიებულია „ორიენტიონისა და ძმათა მისთა მარტივილობა“ - ში რომელიც 305-311 წლების ამბავს შექმნავს; ამ ძეგლის გელათის მეტაფრასული რედაქციის მიხედვით, ორიენტიონს და შვიდივე ძმას ქრისტიანობაზე უარი რომ ვერ ათქმვინეს, გადაასახლეს ისინი აფხაზეთისა და ჭიქეთის დაბა-ქალაქებში. წამებულნი გზადაგზა იხოცებიან. ტრაპეზუნტიდან მეოთხე დღეს მივიღნენ აფხაროსს და „მიერ აღდგომილნი მყვანებელნი მათნი წარვიდეს სოფლად აწ ლაზთად წოდებულად, ადგილ ზიღანეოს სახელდებულად“.

საინტერესოა, რომ გელათის ამ ხელნაწერის აღნიშნული რედაქციის გარდა, ჩვენ მოგვეპოვება მისი გიორგი მთაწმინდელისეული ნათარგმნი დიდ სვინაქსარში. სვინაქსარული რედაქცია ამავე ძეგლისა ამ ეპიზოდს ასე გადმოსცემს: „ხოლო წმინდა კურიაკოს, მივიდა რა საერთოსა ქუეყანასა, ადგილსა რომელსა ეწოდების ზიღანეოს, ძილი იგი მართალთა დაიძინა“. ამ სტრიქონს გასწვრივ №97 ხელნაწერში არ შეაზე მიწერილია: „გუდაყუასა იტყვს ზიღანეოსად“ (22, გვ. 137). ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ წყაროს ორივე რედაქციაში ზიგანევი ანუ ზიგანეონი || ზიღანეოსი, ახლანდელი სოფ. გუდავა არის მოხსენიებული.

სოფ. გუდავა მდებარეობს გალის რაიონში, ზღვიდან დაახლოებით კილომეტრის დაშორებით, იქ სადაც ერთმანეთს უერთდება ორი მდი-

ნარე ერისწუალი და ოქუმი. ცნობილია, რომ შავი ზღვის აღმოსფელები /  
სანაპირო მეტად სწორხაზოვანია და ბუნებრივი ნავმისაღომებია მაკლავი  
ნაკლებია. ამიტომ ძველ დროში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მდინარეების შესართავებს, რომლებიც ასრულებდნენ ბუნებრივი ყურეების მოვალეობას (6, გვ. 234). ამრიგად, გუდავის დაწინაურების მიზეზი მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა იყო.

ძველი ბერძნები მდინარის შესართავთან დაარსებულ ქალაქს ან ჩვეულებრივ დასახლებულ პუნქტს ზოგჯერ ამავე მდინარის ან მისი შესართავის სახელს არქვედნენ ხოლმე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქალაქის სახელწოდებას მაწარმოებელია „ეონი“ დაერთვოდა. როგორც ავლი-შენეთ, თავის მხრივ გუდავა მოიცავს ოქუმ-ერისწყლის შესართავს - სინგამს. მაშასადამე, სიგანეონსაც, რითაც კიდვ უფრო მტკიცდება ის აზრი, რომ ზიღანეონი იდენტურია სიგანეონისა და გუდავა გაშენებულია იმ აღგილზე, სადაც ოდესაც ქალაქი სიგანეონი არსებობდა (19, გვ. 3).

შემდეგ ზიღანეონი იხსენიება IV-V სს. როგორც რომაული გარნიზონის სადგომი ადგილი. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდგომი რომაული გარნიზონების დანიშნულებას წარმოადგენდა რომის ვასალური ტერიტორიების დაცვა გაძლიერებული იძერისაგან, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ერთგვარი კონტროლის დაწესება და ამ მხრიდან რომის სამფლობელოთა უზრუნველყოფა და, რაც მთავარია, თვით დასავლეთ საქართველოს სამეფოებში რომის გავლენის განმტკიცება (20, გვ. 37).

ამასთანავე, კოლხეთის სანაპიროს ქალაქები მნიშვნელოვანი სავაჭრო — ხელოსნური ცენტრები იყო. ამის დადასტურებაა გუდავის არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული მასალა, სადაც შეიმჩნევა მჭიდრო სავაჭრო კონკრეტური კავშირი მცირე აზიის ცენტრებთნ თუ რომის იმპერიის პროვინციებთან.

გუდავაში დღემდე შემორჩენილია რომაული ხანის ციხესიმაგრის ნაშთი, ადრეფეოდალური ეკლესია, შუა საუკუნეების ორი ციხის ნანგრევი, ქვის ხილის ნაშთები და სხვა ნაგებობათა ნანგრევები (13, გვ. 134).

VI საუკუნიდან ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ახალი, ადრეფეოდალური ხანა დაიწყო. VI-VIII სს. მძიმე პერიოდი იყო განსაკუთრები დასავლეთ საქართველოსთვის. VII საუკუნიდან შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო (ბრძოლა ირანის, ასევე ბიზანტიის აგრძესის წინააღმდეგ)

დასავლეთ საქართველოს მრევლი სხვადასხვა საეკლესიო ცენტრებს უქვემდებარებოდა. ბიზანტიის მფლობელობის ხანაში, მე-6-8 ასტრიმანტულზე დასავლეთ საქართველოში არსებობს სამი საეკლესიო ოლქი კონსტანტინეპოლის საპატრიიარქოს ფარგლებში (8, გვ. 357) მათ შორის ლაზიკის მიტროპოლიაში, რომლის ცენტრი იყო ქალაქი ფასისი (ფოთი), შედიოდა ოთხი საეპისკოპოსო, ესენია: ა) ქალაქ როდოპოლისისა ანუ ვარდციხისა (თანამედროვე ვარციხე იმერეთში, ქუთაისის ზონაში); ბ) ქალაქ პეტრასი (თანამედროვე ციხისძირი, ბათუმის ზონაში; გარდა ბათუმის მხარისა, გურია-აჭარისა, აგრეთვე ჭანეთ-ლაზია, რიზეს მხარე რომელზედაც ვრცელდებოდა იურისდიქცია ლაზიკის მიტროპოლისა; გ) დაბა ცაიშისა (ოდიშში); დ) დაბა ძილანების ანუ გუდაყვისა, თანამედროვე გუდავა ილორის ზონაში (15, გვ. 231).

ამრიგად, ფასისის (ანუ ლაზიკის) სამიტროპოლიტოში შედიოდა ოთხი საეპისკოპოსო, მათ შორის ერთ-ერთი გუდავაში იყო.

ფასისის სამიტროპოლიტო კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში შევიდა VII ს. 30-იანი წლებიდან, ჰერაკლე კეისრის შემდეგ. მანამდე ის იყო იბერიის ეკლესიის იურისდიქციაში. ჰერეკლე კეისარმა რაღაც მიზეზების გამო დასაჭა იბერიის სამეფო და მას, მატიანეთა თანახმად, ჩამოაჭრა ზღვისპირა მიწები. ეს ჩამორთმეული ტერიტორიები უშუალოდ იმპერიაში შეიყვანა. ამის გამო ამ ტერიტორიაზე იურისდიქცია VII ს. განახორციელა კონსტანტინოპოლის საპატრიიარქომ, რომელსაც დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია უცვნია და ულიარებია X საუკუნის დამდევს (21, გვ. 90).

რაც შეეხება ქართულ საისტორიო ძეგლში — „მატიანე ქართლი-სამ“-ში დაცულ ცნობას გუდაყვიდან ბედიაში საეპისკოპოსო კათედრალის გადატანის შესახებ, სხვა მიზეზებთან ერთად, განაპირობა იმან, რომ ბედია იმ უმნიშვნელოვანეს გზაზე მდებარეობდა, რომელიც აფხაზეთს საქართველოს სხვა კუთხეებთან აკავშირებდა.

ბედიის მონუმენტურ კათედრალზე ამჟამად ყურადღებას არ გავაძახვილებთ, მხოლოდ „მატიანე ქართლისაას ცნობას დავიმოწმებთ: „ამავე დიდმან მეფემან (ბაგრატ III) აღაშენა საყდარი ბედიისა და შემნა საყდრად საეპისკოპოსოდ. შეწირნა სოფელი მრავალნი ყოველთა ხევთა და აღგილთა, განასრულა ყოველითა განგებითა, შეამკო ყოველითა სა-

მკაფილითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი. უკეთე ვისმუ ენა /  
ბოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის დიდიებისა შისტანიშვილი  
პირველად განიცადოს სამკაფილი ბედის ეკლესიისა და მისთან გულის  
ხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუებანასა  
ქართლისასა და აფხაზეთისასა“ (1, გვ. 77).

ზემოაღნიშნული ცნობა, X საუკუნეშივე აფხაზეთის მეფებმა თავი-  
სი საუფლოს საეპისკოპოსოების კონსტანტინეპოლის პატრიარქის სა-  
განმგებლოს გამოაკლეს და მცხეთის კათოლიკოსს რომ დაუჭვემდება-  
რეს, ეს მსოფლიო ეკლესიის მთლიანობისაგან განკერძოება როდი იყო,  
არამედ იმის აღიარება, რომ საქართველოს ყველა მკვიდრის ბაგეს ლო-  
ცვა ქართულად ეთქმევინება — ისევ და ისევ სულიერი ერთარსობის  
გამოხატვა. (14, გვ. 70). სწორედ ბედის სახელგანთქმული ტაძარი გვე-  
ვლინება საქართველოს ყველა მკვიდრის სულიერი ერთარსობის სიმბო-  
ლოდ, რომელიც ჩვენამდე ნანგრევების სახითაა მოღწეული.

აღრეფენდალური ხანის ძეგლებიდან ცნობილია X ს. ციხე-დარბაზი  
საბერიოში, სათანაზოს ციხე, წარჩეს ციხე, წკელიკარის (რეჩხო-ცხირში)  
ღუმურიშის, ჩხორთოლის და ილორის (ამჟამად ოჩამჩირის რაიონს  
ეკუთვნის) ეკლესიები.

საბერიოს აღნიშნული ციხე-დარბაზის შესახებ არავითარი ცნობები  
არ გვაქს. მხოლოდ იმის თქმა ძალგვიძს, რომ მოვინებით, XVII ს. 50-  
80-იანი წლებიდან, მდ. ენგურსა და მდ. ლალიძეს შორის შერვაშიძეებს  
(სამურზაყანოს მმართველები) რეზიდენცია ჰქონდა სამ სოფელში: ბე-  
დიაში, საბერიოსა და ნაბაკვეში. საბერიოში დღემდე მოაღწია მეტნაკ-  
ლებად დაცულმა შარვაშიძეთა და ჩქოტუათა ეკლესიებმა.

რაც შეეხება სათანაზოს ციხეს, ცნობილი ფაქტია, რომ იგი არა მა-  
რტო ენგურის ხეობაზე ბატონობს, არამედ მთელ კოლხეთის დაბლო-  
ბზე, ზღვის სანაპიროს ჩათვლით. ციხე მდებარეობს გალის რაიონის  
სოფლების ღიხაზურგასა და ჭუბურხინჯს შორის. ციხე ოთხსართული-  
ანია, კირქვით ნაგები. სამწუხაროდ, მის მნიშვნელობაზე გადატანილ  
ომებზე მატიანეგებში არაფერია ნათქვამი. იქნებ სათქმელს ნაწილობრივ  
ამხელს მოარული გამოთქმა, დღესაც რომ არ დაუკარგავს მნიშვნელო-  
ბა: „ჭუბურხინჯელს რომ ჰკითხო, როგორა ხარო — ჯიხასავით გე-  
ტიყვის, ე.ი. ციხესავით გაუტეხლიდ და მტკიცედ“ (2, გვ. 361).

მკვლევართა (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე) დაკვირვებით, ეგრისის მაშტაფის დასავლეთ ნაწილში დაცვის ერთიანი სისტემაა, რომლის კინგება გაჲვის რგოლებია სათანაოს ციხე-კოშკი, წარჩეს ციხე და ამჟამად ოჩამჩირის რაიონში შემავალი (აღრე სამურზაყანოს ეკუთვნოდა) რეკას ციხეები, რომლებიც ფრაგმენტულადაა შემონახული. ციხეები ტიპიური ეგრისულია, ისევე როგორც აბედათის (მარტვილი) კოტიანეთის (ნოქალაქევი), შხეფის (სენაკი — მარტვილის გზაზე), ჭავჭავის (ზუგდიდი) ეკის (სენაკი) და სხვა ციხეები (11, გვ. 126).

დასავლეთ საქართველოს თავისებურება (უმეტესი ნაწილი მთიანია, მაგრამ მისი ცენტრალური მონაკვეთი დაბლობი — კოლხეთის დაბლობი) ერთიანი დაცვის საკითხს ართულებს. ამიტომ ჭვეუნის მესვეურებს გაუაზრებიათ ეს პრინციპი და დაცვის ხაზი გაუტარებიათ დაბლობისა და მაღლობის შეერთებაზე. ციხეები ამ ხაზზე ისეა განლაგებული, რომ ზურგს ძნელად მისადგომი ან სრულიად მიუდგომელი ხეობებია. მოსახლეობას ბარში თუ გაუჭირდებოდა მთას მიაშურებდა იმ იმედით, რომ ზურგს ციხეები გაუმაგრებდათ. ეს ხაზი ნოქალაქევიდან დაწყებული ვიდრე კელასურამდე ან სოხუმამდე გამით იყო დაცული. ციხეების ჭავჭავის ნახევა ახლაც შეიძლება, მაგრამ მთლიანად არა (12, გვ. 47).

ამრიგად, ჩვენს წინაპრებს ციხე-სიმაგრეთა უმეტესობა თავდაცვის მიზნით უშენებიათ, მაგრამ ფეოდალურ ხანაში ციხეთა ერთი ნაწილი სადოლევოდ იყო გამოყენებული. მათ შორის სათანაოს ციხეც, რის გამოც ხალხური გადმოცემა, ციხის სახელწოდებას „ტანჯვისაგან“ წარმოქმნილად მიიჩნევს. მკვლევარს ვეთანხმებით იმაში, რომ ეს უკანასკნელი ვარიანტი საეჭვოა და არ გამოხატავს ციხის ძირითად მნიშვნელობას. ეს რომ ასე იყოს, მაშინ საქართველოში ნაგებ-ნაშენებ ციხეთა ერთ მესამედს მაინც სახელწოდება „სატანჯი“ ან მისი მსგავსი სხვა რაიმე ერქმეოდა (23, 71).

ცნობილია, რომ აფხაზეთის ტერტორიაზე გენუელთა სავაჭრო ფაქტორიები XIV-XV სს. გაგრაში, ბიჭვინთაში, გუდაუთაში და სხვაგან არსებობდა და მათ შორის სამურზაყანოში, სათანაოში (Sant-angelo) (3, გვ. 244 და 18, გვ. 134), რაც იტალიურ ყაიდაზე სანტა-ანჯელო „წმინდა ანგელოზის“ ციხედ იწოდებოდა.

ცოტა რამ სათანაოს ეტიმოლოგიის შესახებ. სათანაო, ძველი მეგრული სიტყვიდან „თანჯო“ (ქართულად თარჯი) მომდინარეობს, რაც

მიღნის, საზღვრის ციხეს ნიშნავს (26, გვ. 315). აქედანაა სიტყვები „თან-ჯუა“, მოხილვა, გამზირვა, რაიმეს მინიშნება. ამასთანავე სიტყვა „<sup>უ</sup>თანმდებობა“ მეგრულად ნიშნავს მოსაჭრელად მინიშნებული ხის კოდვას (7, გვ. 79).

ისიც საფიქრებელია, რომ სათანაო იყოს საზღვრის დასაზვერი კოშეი და სიმაგრე და მართლაც წარსულში ის სამთავროს (ჯერ ეგრისის, მერე სამგრელოს) დასაზვერი კოშეი იყო და სპეციალურად აშენებულია კონსური ფორმის მაღალი მთის წვერზე და მოჩანს ძალიან შორი მანძილიდან. სათანაოზე დანთებული კოცონი მტრის მოახლოების საგანგაშო ნიშანი უნდა ყოფილიყო ენგურის ხეობაში და აგრეთვე რუხის ციხის მეციხოვნენი მზად უნდა ყოფილიყუნენ მტრის დასაზვერდრად.

სათანაო არ უნდა მივიჩნიოთ „სამეურნეო პერიოდისა და კლიმატის დასადგენ ნიშანდ“, თუმცა სათანაოს მთას ოხაჩქუესთან (ს. ჯვართან ახლოს) ერთად ამ მიზნითაც იყენებდნენ ჩვენი წინაპრები (23, გვ. 72). ციხე-კოშეის მთავარი დანიშნულება თავდაცვა იყო, მითუმეტეს ისტორიული ღირებულების ისეთი ნაგებობისა, როგორიცაა სათანაო.

სამურზაყანოს ისტორიის ცალკეული საკითხები გულმოდგინედ შეისწავლა და განსაკუთრებით მშობლიურ სოფელ წარჩეზე დაგვიტოვა მდიდარი მასალა მხარეთმცოდნები ნ. შონიამ. მან აგრეთვე სცადა „ტარსურა-მოხეს“ ლოკალიზაცია. მისი დაკვირვებით აღნიშნული ქალაქი მდინარე მოქვის მიღამოებში ზღვის შესართავთან (ოჩამჩირის რაიონში) კი არაა საძიებელი, არამედ აღმოსავლეთ აფხაზეთში. ქართულ და უცხოურ წყაროებში ტარსურა (ტარშენი) არაერთგზისაა მოხსენიებული: ასე მაგ: II ს. I ნაცვრის ბერძენი ისტორიკოსი ფლავიუს არიანე, ანონიმი ავტორი (V ს. ახ.წ) და სხვები იხსენიებდნენ მდინარე „ტარსუსას“, რომლის სანაპიროზე „ტარშენ“-ის სახელწოდების ქალაქი ყოფილა გაშენებული. არქანზელო ლამბერტი (XVII ს) წერდა: „ხეთის იქით არის ოტუმი, რომელიც ჩაუდის ტორხენო (Torchen) და რომელმაც შეიძლება ამ ადგილიდან მიიღო თავისი სახელი, რაღვანაც ეს ის მდინარე უნდა იყოს, რომელიც რუკაზე იწოდება „ტარსუსად“. ამავე პერიოდის ავტორს ქრისტეფორე კასტელს რუკაზე აღნიშნული აქვს წარჩე. VII საუკუნის ქართველი მწერალი და გეოგრაფი იოანე მოსხი ნოველაში მიუთითებს: „ბერნი ვინმე ორნი მონაზზონი გავიდეს ელონდ ქალაქი წარსვლად ტარსუნდს-ო“.

მწერლების და გეოგრაფების მიერ ხსენებული მდინარე „ტარსურა“, ქალაქი „ტარშენ“ და მრავალი სხვა თუ დღვენდელ სოფელ წარჩენება ხაზულება მი, ცხადი იქნება რომ წარჩეს უძველესი (დაახლოებით 1833 წ.) წლის ისტორია ჰქონია. სხვა მოსაზრება არც არის. კ ბერულავა წარჩის შესახებ არსებული ანტიკური ხაის მწერლების ცნობებზე დაყრდნობით დასკვნის „ცხადია აქ სახელის დამახინჯებას არა აქვს ადგილი, „ტარშენ“ იგივე წარჩეა, ხოლო ტარსურა (მდინარე წარჩე) ერთის ოხოჭეს“ (28, გვ 275).

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, ზოგადი ხასიათის მოსაზრებით ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ანტიკური ქალაქის თუ დასახელების ზუსტი ლოკალიზაციისათვის ნაჩეარევია და დამატებით კვლევას საჭიროებს.

წარჩეში ბევრი ისტორიული ძეგლი მდებარეობს. დღემდის მის ზედაპირზე მიგნებულია ოცდასამი ისტორიული ადგილი. საკმარისია მხოლოდ წარჩის „ფიჭერისთვე“ სახელწოდების მოგუმბათებული ეკლესის შესწავლა, რომ იგი ჩაითვალოს ხუროთმოძღვრების უნიკალურ ნიმუშად.

მხატვრული ღირებულების მხრივ იგივე ითქმის ღუმურიშის ეკლესის შესახებ, რომელიც მდებარეობს გალის რაიონის სოფ. ღუმურიშში, ადგილ „საგერგაიოში“. მაგრამ გარდა აღნიშნულისა, ფრიად საინტერესოა ასომთავრული სამშენებლო წარწერა, საიდანაც ირკვევა, რომ ტაძრის მშენებელი და ხარჯის გამლებია ცნობილ ფეოდალ ნიანის ასული საგდუხტი — გიორგი II თანამეცხელრე დავით აღმაშენებლის დედა. ამრიგად XI ს. საკვლევი რეგიონი სამეფო ღომებს, დავით აღმაშენებლის დედის, დედოფალ საგდუხტის საგანმგებლოს წარმოადგენს. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამავე რეგიონში, სოფ. წარჩეში, შემორჩენილია ეკლესის ნანგრევი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „მაფაშ ოხვამე“-ს (ქართულად „დედოფლის სალოცავი“) უწოდებს (29, გვ 65).

ამავე პერიოდს განეკუთვნება ჩხორთოლის ეკლესის შეორე სამშენებლო პერიოდი და ილორის სახელგანთქმული ტაძრის პირველი სამშენებლო ფენები, ასევე სოფ. დიხაზურგაში წმ. ბარბალეს ეკლესის ნანგრევებთან ნაპოვნი ქვის ფილა ქართული წარწერით, აგრეთვე წმელიკარის II მწერლიკარის თუ „ეკლესია წყველის კარისაო“ ასომთავრული წარწერა და სხვა. ეს უკანასკნელი დარბაზული ტიპის ეკლესია თავდაპირველად X ს. აშენებული (27, გვ 194).

დასკვნის სახით ავლნენავთ: ისტორიული წყაროების, არქეოლოგიუ-

რი და ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, მატერიალური და სულო-  
ერი კულტურის ძეგლებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ენგურ-ლა-  
შუამდინარეთის ამგვარი დაწინაურების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ  
აქ გადიოდა მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო გზა, რომელიც საკუთრივ  
აფხაზეთსა და მასთან ჩრდილო-დასავლეთით მოსაზღვრე ქვეყნებს ერ-  
თიანი საქართველოს სხვა მნიშვნელოვან ცენტრებთან აკავშირებდა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Абхазия и Абхазы средневековых грузинских повествовательных источников, бедииский храм; Тб., 1988.
2. ალფენიძე ვლ. ფიქრიანი გზები, თბ., 1973 წ.
3. Анчабадзе З. Из истории средневековой Абхазии, VI-XVII в. Сух. 1959.
4. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961 წ.
5. ბერაძე თ. გალის ჩაიონის წარსულიდან, ჩაიონული გაზეთი „ლენინელი“, 1973 წ. აგვისტო.
6. ბერაძე თ. ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1967 წ.
7. ბერულავა კ. აფხაზეთის ისტორიული ადგილები, თბ., 1951 წ.
8. გეორგია... თბ., 1952 წ. ტ.4 ნაკვ.2
9. გრიგოლია გ. ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994 წ.
10. ზამთარაძე მ. გუდავის არქეოლოგიური მონაპოვარი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXIV-B, თბ., 1979 წ.
11. ზაქარაია პ. კაპანაძე თ. ციხეგოჭი - არქეოპოლისი - ნოქალაქევი, თბ., 1991 წ.
12. ზაქარაია პ. ლომოური ნ. ლექვინაძე ვ. გვინჩიძე გ. ციხეგოჭი - ნოქალაქევი, თბ., 1984 წ.
13. ზუბბაია ვლ. აფხაზეთო ჩემო, თბ., 1998 წ.
14. თუმანიშვილი დ. კულტურის ძეგლები აფხაზეთში, უურნალი „გვარი ვაზისა“, თბ., 1995 წ. №1.
15. ინგოროვა პ. გიორგი მერჩულე, თბ., 1954 წ.
16. კალანდაძე კ. ლუმურუშის ნეოლითურ ნამოსახლარზე, 1970 წ.

ჩატარებულ სამუშაოთა შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., 1973 წ. ტ.5.

ეროვნული  
სიმუზიუმი

17. კალანდაძე კ. ჩხორთოლის ნეოლიტურ ნამოსახლარზე, 1971-1973 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., 1974 წ. ტ.4.

18. Кудрявцев К. Сборник материалов по истории Абхазии, Сух. 1922.

19. კილანავა ბ. ჩვენი რაიონის წარსულიდან, გაზეთი „ლენინელი“, 1970 წ. თებერვალი.

20. ლომოური ნ. ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968 წ.

21. მთავარეპისკოპოსი ანანია ჭაფარიძე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.2. თბ., 1998 წ.

22. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977 წ.

23. როგავა ჭ. „სათანაზოს“ სახელწოდების მნიშვნელობისათვის, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 1981 წ. №4 (63).

24. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970 წ. ტ.1

25. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965 წ.

26. ყიფშიძე ი. რჩეული თხზულებანი, თბ., 1994 წ.

27. Шервашидзе Л. Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тбилиси, 1980.

28. Шония Н. Цნობები სოფ. წარჩის წარსულიდან. Труды Абхазского государственного музея, вып. III. Сух. 1958.

29. ხვისტანი რ. დედოფალ საგდუხტის ვინაობის დაღვნისათვის, აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998.

30. ხვისტანი რ. ისტორიულ ძეგლებს ჭეროვანი ყურადღება, გაზეთი „ლენინელი“ 1988 წ. მაისი.

31. ხვისტანი რ. ოქუმის ხეობა (ენგურ-ლალიძგის აუზი) შუა საუკუნეებში, თბ., 1998 წ.

32. ჭანაშია ს. შრომები ტ. V, თბ., 1987 წ.

## დასახლების ფორმა სოფალ ყალიბისარში

ნაშრომს საფუძვლად უდევს სოფ. ყულიშვარში 1998 წელს მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა დასახლების ფორმისა და ტიპის შესახებ. სოფ. ყულიშვარი მდებარეობს ჭ ზუგდიდიდან 7 კმ-ის დაშორებით, ზუგდიდ-ჩოროცის გზაზე.

მდ. ყულისწყლის ხეობაში, მთის ფერდობზე გაშენებული სოფლები თუ ცალკეული უბნები დღეს სოფ. ყულიშვარიდ იწოდებიან, მაშინ, როდესაც არსებობს ისეთი დიდი მონოგენური დასახლებები და უბნები, როგორიცაა: საროვა — როგოვების სამოსახლო, სამაქაცარიო — მაქაცარიების სამოსახლო, სახარება — ხარებავების სამოსახლო, სახასიონ ხასიების სამოსახლო, საგულუო — გულუების სამოსახლო, საგვილიო — გვილიების სამოსახლო, სანანა — ნანავების სამოსახლო, საფიფიო — ფიფიების სამოსახლო, სალაგვილა — ლაგვილავების სამოსახლო, სათორქიო — თორქიების სამოსახლო, სამირცხულა — მირცხულავების სამოსახლო.

დღესდღეობით ყულიშვარში მოსახლეობს 531 კომლი და 88 სხვადასხვა გვარის წარმომადგენელი. მთელი ხეობის მიწის ფართობი 1854 ჰექტარს აღწევს. გასაბჭოებამდე კი გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მონაგენური დასახლებებისა, ყულიშვარში შედიოდნენ ისეთი სოფლები, როგორიცაა — ალერტკარი (ამჟამად ცალკე სოფელია), უჩაშონა მთლიანად (ამჟამად მისი ნაწილი), სოფ. ახალსოფელში შემავალი ბაღმარანი სოფ. ოდიშში შემავალი ლედგებიე (დგებიების ანუ დგებუაძეების სამოსახლო) და ქვატახტი (ჭავინჯის თემის ერთი ნაწილი). სწორედ ამ ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების გაერთიანების შედეგად იქმნებოდა ყულიშვარის თემი (მთხრ. ლეო ხარებავა, ვლადიმერ მიქაელ და უორენ გვილია).

ამ სოფლებს ჰქონდა ცალკე სასოფლო-საგვარეულო ეკლესია — სალოცავები, ისეთი, როგორიც არის ყულიშვარის (ამჟამად მოქმედი), ალერტ-კარის (გასაბჭოების დროს დაანგრიეს), უჩაშონის (გასაბჭოების დროს დაანგრიეს). აგრეთვე აქ იყო უგურყელის ხატის სახით ცნობილი,

  
წარმართული დროის სალოცავი (ეკლესია არ იღვა). და ყოფილი კიდევ  
ერთი ძელი ეკლესია, სადაც თურმე წმ. გიორგის სახელზე იდლოცებო-  
დნენ, რომელ ნაკლესიარ ადგილსაც და თვით ყულიშეკარის ერთ-ერთ  
უბანსაც დღეს ოხვამე გოჭვილს (გადამწვარი სალოცავი) ეძახიან და შე-  
იძლება ს. მაკალათიას სწორედ ეს ეკლესია ჰქონდა მხედველობაში,  
რომელიც მას ყულიშეკარში, სარკის ეკლესიის სახელით აქვს მოხსენიე-  
ბული (1, 365).

დღესდღეობით სოფ. ყულიშეკარად წოდებულ ტერიტორიას ჩრდი-  
ლო-დასავლეთით ესაზღვრება სოფ. ალერტკარი, ჩრდილო-აღმოსავლე-  
თით სოფ. ჭიხაშეკარი, აღმოსავლეთით სოფ. ჭაჭინჯი, სამხრეთით და  
სამხრეთ-დასავლეთით სოფ. ახალსოფელი, დასავლეთით და ჩრდილო-  
დასავლეთით სოფ. ოდიში.

სათანადო განმარტების მიხედვით მეგრულის გავრცელების ზონაში-  
კარ-ლექსემის შემცველი ტოპონიმები აღნიშნავდა მცირე დასახლებას,  
რომელიც შექმნილია იმ ხელოვნური თუ ბუნებრივი ობიექტის გარშე-  
მო, რომლის სახელი კომპოზიტის პირველ წევრადაა წარმოდგენილი:  
ოხვამეკარი „ეკლესის კარი“, ვედიდეკარი „ვედიდისკარი“, თხინაშეკარი  
„რთხილნარისკარი“ და სხვა. მაგრამ უფრო ხშირია ისეთი შემთხვევა,  
როდესაც მსაზღვრელი კომპონენტი წარმოადგენს ეკლესიის ან წმინ-  
დანის (ხატის) სახელს. ეს აშეკარად ჩანს როგორც სოფლების, ისე მისი  
უბნების სახელწოდებაშიც: გულეიკარი, ალერტკარი, მანცხვარკარი, ბა-  
რბაეკარი, უფალკარი, ყულიშეკარი და სხვა (2, 117).

ამ შემთხვევაში დასახლების განსაზღვრულ კომპონენტად წარმოგ-  
ვიდგება „ყული“, რომელიც ძლიერი ხატის სახელით არის ცნობილი  
მთელს სამეგრელოში, ხოლო მთხრობელთა გადმოცემით ყული ერქა-  
მონათა გასაყიდ, შემოკავებულ აღგილს, საღაც თურქები ყიდულობ-  
დნენ თურმე მონებს (მთხრობელი კიკულა მაქაცარია).

ჩვენს მიერ განსახილველი საკითხის — დასახლების ფორმის ქვეშ  
იგულისხმება მისი ტოპოგრაფიისა და სხვა გარეგანი ნიშნების თავისე-  
ბურებანი, ხოლო ტიპის ქვეშ იგულისხმება დასახლების ერთეულის სო-  
ციალურ-ეკონომიკური სხვაობანი.

ცნება დასახლება ვარაუდობს: „აღამიანთა საცხოვრებლისა და შრო-  
მის აღგილის ერთიანობას“ (3, 201).



დასახლების ერთეული მისი განვითარების ყველა საფეხურზე წარ-  
მოადგენს გარკვეულ ერთობლიობას, რომელსაც ახასიათებს მოსპეციალური  
ობის ძირითადი ბირთვის ეთნიკური ერთგვაროვნება და საერთო ენა,  
სამეურნეო ინტერესების თანახვედრილობა, ტერიტორიის ერთიანობა,  
კოლექტიური დაცვის აუცილებლობა. ეს ერთობლიობა გარკვეულ ასა-  
ხვას პოლიტიკის იდეოლოგიის ზოგ სფეროშიც, საკუთრივ ხალხურ დღე-  
ობა-დღესასწაულებში, რწმენა — წარმოდგენებში, წეს-ჩვეულებებში,  
სატ-სალოცავებში (4,5).

ყულიშვარის დასახლება, ისევე, როგორც მეზობელი სოფლების და-  
სახლება წარმოდგენილია როგორც გაფანტული (ძველი) ასევე გზისპი-  
რული ფორმით (გვიანდელი). გზისპირულ დასახლებაში შეიმჩნევა, რო-  
გორც ცალმხრივი, ასევე ორმხრივი დასახლებებიც. აღსანიშნავია ისიც,  
რომ სასოფლო გზებს შორის ყველაზე მთავარ გზას წარმოადგენდა  
ყულიშვარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიისაკენ მიმავალი გზა, რო-  
მელსაც უერთდებოდა ყველა სოფლისა თუ უბნის საცალფეხო თუ საუ-  
რმე გზები.

ჩვენს მიერ შეგროვებული მასალების მიხედვით, ყულიშვარში კარ-  
მიდამოს — „ოხორუ“-ს უწოდებენ, რომელიც აქ დასახლების ერთე-  
ულს წარმოადგენს და რომლის შიგნითაც გაფანტულად, მაგრამ გარკ-  
ვეული ნორმების დაცვით, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა  
ერთობლიობაა მოცემული.

ზოგიერთი კარ-მიდამო ყულიშვარში ერთმანეთისაგან 1,5-2 კმ-ითაც  
არის დაშორებული, რომელ კარმიდამოებსაც მთავარ გზასთან საურმე  
გზები აკავშირებს და ირგვლივ კი ტყით არის გარშემორტყმული.

ოხორუდ (სამოსახლოდ) შერჩეულია მზიანი, მეტყერისა და ნიაღვ-  
რისაგან დაცული ტყის პირი ადგილი, საღაც ახლოს არის მდინარე და  
წყაროს წყალი (წყურგილი).

ოხორუ შემოლობილი იყო ბუნებრივი ეკალ-ბარდით, რომელსაც  
ნორტყს (შ 6 შ. 1) უწოდებდნენ. ეზოს (შ 6 შ. 2) წინა მხრიდან, ჭიშკრის  
გაყოლებაზე, მარჯვნივ და მარცხნივ, წნევლისაგან (ჭინუ) მოწნულ (ლო-  
ბილი) ღობეს (ლობერი) (შ 6 შ. 3) შემოავლებდნენ. 1936-38 წლიდან კი  
აქ შემოდის ტრიფოლიატის (შ 6 შ. 4) ღობეებიც. ღობეს აკეთებენ  
ზრეთვე აკაციის (ლაკაცია) ან მუხის (ჭიონი) შუაზე გაპობილი ხეებისა-

გან, რომელთა ერთმანეთზე დაწყობით და დამხმარე სარების (მასაწილი) საშუალებით ამოყავდათ კედლის მსგავსად, რომელსაც „ხარხს უკუჭავდა“ ხდინა.

ეზოს შუაში იდგა ოდა სახლი, რომლის უკან იდგა „შუაცეცხლიანი ჯარგვალი ან ფიცრული ერთოთახიანი პატარა სამზადი სახლი. ამ სამზადი სახლის გვერდით ან უკან იდგა მაღაზა (სასიმინდე), რომელიც ოთხ ბარჯგზე (ბოძი) იყო შეკენებული, დაახლოებით 2 მ-ის სიმაღლეზე ზემოთ კი წნელისაგან (ჭინუ) იყო მოწნული (ლობილი) ან ჯარგვალურად იყო აშენებული. მაღაზასთან ერთად ეზოში იდგა ბაღ (შ 6 შ. 5) (ნანია, ნალია), რომელიც მუხის (ჭუბური) ფიცრებისაგან იყო აგებული ისე, რომ მასში თაგვი ვერ შესულიყო. ბაღ გამოიყენებოდა ღომისღომის (ღუმუშ-ღუმუ) და სხვადასხვა სახის ხილის შესანახად. საცხოვრებელი სახლის უკან, ცოტა მოშორებით იდგა ოკარიე (შ 6 შ. 6) (საქათმე). სახლიდან მოშორებით, ეზოს ბოლოში, უკანა მხარეს იდგა ქუფე (შ 6 შ. 7), რომელიც ისლით (ისირი) გადახურულ წნელისაგან მოწნულ ნაგებობას წარმოადგენდა და თხების საღვომად გამოიყენებოდა, ის აგვარას შიგნით იყო მოთავსებული. აგვარა (შ 6 შ. 8) კი საქონლის გასაშვებ, ღია ცის ქვეშ შემოკავებულ აღგილს წარმოადგენს, რომლის შიგნით ქუფესთან ერთად იდგა ოჩოულე (შ 6 შ. 9) (საძროხე), რომელიც ძროხების საღვომად გამოიყენებოდა.

ოხორუს წინა ეზოში იდგა ღიდი მრავალწლიანი ხეები. ეზოსგან ცოტა მოშორებით წინ ან უკანა მხარეს იდგა ოსკუ (საღორე), რომელიც ასევე ჯარგვალურად იყო ნაგები და ისლით გადახურული.

ოხორუს შიგნითა ტერიტორია ძირითადად დაკავებული ჰქონდა ხეხილს და საბოსტნე (ორტვინი) ადგილს, ხოლო სახნავ-სათესი ფართობი ეზოს შიგნით მცირე რაოდენობით ჰქონდათ, ის ძირითადად — მღყულისწყალის პირას მდებარე „რზენ“ (შ 6 შ. 10) აღგილში იყო განლაგებული.

ეზოს შიგნით დარგულ თითქმის ყველა ხეზე აშვებული იყო სხვადასხვა ჭიშის ვაზი.

ბოსტანი (ორტვინი) ეზოს შიგნით ცალკე შემოღობილ აღგილს შეადგენდა, მდებარეობას მნიშვნელობა არ ჰქონდა, ოღონდ ნაყოფიერი მიწა ყოფილიყო.

როგორც ავლნიშნეთ სახნავ-სათესი მიწები მდ. ყულისწყალის-პირის/ რჩებშია გამართული. ზოგიერთი მოსახლე თავისი რჩენიდან ვარდის გვერდის ლომეტრითაც არის დაშორებული, ზოგიერთს კი თავისი სახლის გვერდით ან უკან აქვს სახნავ-სათესი ფართობი. ტყე ყველა ოჯახს, როგორც აქ ეძახიან, ოცხიმურე (ჩცხილნარი) და ოთხუმუე (თხმელნარი), თავის სახლის უკან აქვს, რომელი ტყეებიც ერთმანეთისგან ხელოვნურად გაკეთებული განიერი თხრილით არის გამოყოფილი, სადაც ყველგან ნახშირია ჩამარხული.

მთხრობელთა გადმოცემით ძველად მდ. ყულისწყალზე, ყოველ ხუთ ოჯახს ერთი წყლის წისქვილი ედგა (მდინარესთან ახლოს მცხოვრებ ოჯახებს), რომელთაც „საჯიმალო“ (საძმო) წისქვილებს უწოდებდნენ, ამ ოჯახების გარდა ყველა სხვა მოსული ბაჟს იხდიდა. საწყაოდ მოწინული ერთკილოგრამიანი კალათი ჰქონდათ, რომელსაც ერთი ფუთი (16 კგ) სიმინდის დაფქვისთვის ახდევინებდნენ.

წისქვილისთვის საჭირო ქვა წალენჯიხიდან ჩამოჰქონდათ, რომელსაც ჩანგელიებისა და ფიფიების გვარის ხალხი ყიდდა, ხოლო მისი დამუშავება (კაკუა) აღგილზე ხდებოდა.

მდ. ყულისწყალზე დღესაც არის შემორჩენილი ამგვარი საჯიმალო (საძმო) წყლის წისქვილები — ერთი საბოხუოს, მეორე სახარებას, მესამე კი საროვას წყლის წისქვილი.

ყულიშკარში მეურნეობის დარგებიდან განვითარებული იყო მიწათმოქმედება. ბამბის, აბრეშუმის, თამბაქოს მოყვანა, აქაური ოჯახების ეკონომიკის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა, რომელსაც ასეთე საბაზრო მნიშვნელობა ეძლეოდა. მესაქონლეობა უფრო ოჯახის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა, თუმცა იყვნენ მეჭოებელებიც (მაგ. ლეონტი როგავას წინაპრის ღვახი), რომელთაც ჰყავდათ ძალზედ ბევრი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი და მის მოსავლელად ძირითადად დაქირავებულ „ჰყიუშებს“ (მწყემსი) იყენებდნენ. მწყემსებს კი ისევ აღგილობრივი, ფიფიას გვარის ხალხიდან ქირაობდნენ. დამხმარე სამეურნეო ბაზები (კარე) გამართული ჰქონდათ ჭალადიდში (საზამთრო საძოვრებზე) და სამეგრელოს მთიანეთში, კერძოდ კი ლეშამგეს მთებში (საზაფხულო საძოვრებზე).

მარცვლეული კულტურებიდან ყულიშკარში მოყავდათ ლომეს-ლო-

მი (ლუმუშ-ლუმუ), რომელსაც „ჩხვერს“ ეძახდნენ, სიმინდი (ლაბატი), მუხუდო, ლობიო (ლებია), ჭვავი (ჭვე), მოყავდათ ასევე ბრინჯაოს კომუნისტულსაც ძირითადად „ჭყენჭყ“ (ჭაობიან) აღგილებში თესავდნენ, ასევე მოყავდათ ჭკიდიშ-ჭკიდი (მჭადის-მჭადი), რომელიც ლომის-ლომს (ლუმუშ-ლუმუ) გავდა.

ყულიშქარში ასევე მისდევდნენ მევენახეობას, რომელიც აქ მაღლარის სახეს ატარებდა. ყურჩნის ჭიშებიდან ცნობილი იყო: „ოჯალეში“, „ნოვა“, „კაჭიჭი“, „ჭვიტლური“, „ხოჭიშ თოლი“, „ხარდანი“ (რომელიც იყო თეთრი და შავი), „ჩეჭიფეში“, „ადესა“, „მუსკატი“ (რომელსაც თეთრ ადესას ეძახდნენ), „პანეში“, „ტოროკუშჩი“. გვიან შემოვიდა „ციცა“ და ცოლიკაური, რომელიც დაბლარი იყო და მას „ნაურნა“-ს (ნამყენი) უწოდებდნენ. მთხრობელთა გადმოცემით ზუგდიდის რაიონიდან, პირველად სწორედ ყულიშქარში გაუშენებიათ „ნაურნა“ (ნამყენი) ვენახი (მთხრ. ლეო ხარებავა). ასევე გვიან შემოსული ჩანს „ალექსანდრიას“ ჭიშის ვენახი, რომელიც კასპის რაიონიდან იყო ჩამოტანილი.

ყულიშქარში ოჯახის საცხოვრებლად გამოყენებული იყო „ფაცხა“ ან „ჯარგვალი“ სახლი. როგორც ერთის, ისე მეორის, შუაცეცხლიდან ასული ბოლი სახურავზე დატანებული საკვამლე ხვრელიდან (ოჭკორია) გადიოდა. ფაცხა იცოდნენ, როგორც ტალახით შელესილი (გოსიროტილი), ასევე გვიმრით შეფუთული (გოგუჭილი). შიგნით კი კედლებზე მიწნული იყო საწოლები, რომელზედაც „წუს“ (ლომის ჩალა) დააფენდნენ და მასზე წვებოდნენ. ღამით სახლს „კოჭობით“ ანათებდნენ, ან კიდევ უფრო ადრე, როცა ნავთი არ იყო — სახლს თვითონ კერის (ყუბური) ცეცხლი ანათებდა. შემდეგ შემოვიდა „პიტაფიცარა“, ანუ „განის“ სახლი, რომელსაც „ბოყვის“ სახლსაც ეძახდნენ. ის აგებულია ხელით ნათალი ფიცრებით, რომელიც ერთმანეთში ბოყვებში თავების ჩასმით იყო დაკავშირებული. მასაც ასევე ხურავდნენ ისლით (ისირი), ხოლო შემდეგ კი ყავრით (ყამბარი). ისიც ასევე მიწური იყო, შუაში გამართული ჰქონდა კერა (ყებური), ხოლო კედლებზე მიკრული იყო ხის საწოლები, რომელსაც „ნარი“ (შ 6 შ. 11) ეწოდებოდა.

ზამთრობით ჭარგვალ და პიტაფიცარა სახლში ადამიანთან ერთად საქონელიც თავსდებოდა.

ასეთი სახლების აშენება აქაური გლეხობისათვის სიძნელეს არ წარ-

მოადგენდა, ვინაიდან მისი აგება ყველას შეეძლო და მის ასაშენებლად  
 საჭირო ხე-ტყე ადგილზეც ბევრი იყო.

შემდეგ შემოვიდა ოფური სახლები, რომელიც ყულიშქარის თემის  
 თითოეული სოფლიდან 3-4 ოჯახს თუ ედგა. მას ეკონომიურად შეძლე-  
 ბული ოჯახები იშენებდნენ. ოდა სახლის მშენებელი ოსტატები ადგი-  
 ლობრივნი იყვნენ: ესტატე ხარებავა, სოლომონ ხარებავა და სხვები.  
 ხელოსნებად ლაზებსაც იწვევდნენ, რომელთა მიერ აშენებული ოდა  
 ედგა (და დღესაც დგას) გაჯარის კულესის მღვდელს (პაპა), ბესარიონ  
 როგოვას. ოდა სახლი იყო სამოთახიანი, პირველი ზალა, მეორე — ოთა-  
 ხი და მესამე საკუჭნაო. ოდა სახლს წინ და უკან ჰქონდა „აბარწა“  
 (აივანი). ამის შემდეგ კი შემოვიდა ოთხოთახიანი ოდებიც.

მთხოვნელთა გადმოცემით, ისეთი გლეხის ოჯახი, რომელსაც ოდა-  
 სთან ერთად სამზადი სახლიც ედგა, შეძლებულ გლეხად ითვლებოდა.  
 ასეთ შემთხვევაში სამზად სახლში ყოველთვის კერაზე (ყუბური) ენთო  
 ცეცხლი, სადაც იქრიბებოდა ოჯახი — საოჯახო ტრაპეზის, დასვენების  
 და რაიმე საჭირობოროტო საკითხის გადაწყვეტის დროს. მოხუცები იქვე  
 სამზად სახლში, კერასთან წვეტოდნენ, ოდა კი ახალგაზრდების დასაწო-  
 ლად და სტუმრის მისაღებად იყო განკუთვნილი.

სწორედ ზემოთ დასახელებული ფაცხა, ჯარგვალი, ხოლო შემდეგ კი  
 პოტაფიცარა (ანუ განის) ერთოთახიანი, შუაცეცხლიანი სახლი წარმო-  
 ადგენდა ყულიშქარის თემში დიდი ოჯახის საცხოვრებელ ნაგებობას.  
 ასეთი ოჯახები კი ჩვენს მიერ შეგროვებული მასალების მიხედვით, XIX-  
 XX საუკუნეთა მიზნაზე გადმონაშთის სახით განაგრძობდნენ არსებო-  
 ბას. დიდი ოჯახები ყულიშქარში „უგურთ“, „ფანია“, „ერიან“ და „აგვა-  
 რთას“ სახელწოდებით იყო ცნობილი.

სწორედ ასეთი დიდი ოჯახის გაყოფის შემდეგ იქნება პატრონიმია,  
 რომელიც ყულიშქარში „დინოს“ — სახელწოდებით არის ცნობილი და  
 რომელიც ქმნის დასახლების გარკვეულ ტიპს.

დინოს წვერები, აქ განსახლებულნი არიან მამაპაპურ მიწაზე. ახალ  
 დინოთა შემდგომი შექმნის შედეგად იქმნება უფრო დიდი სოციალური  
 ერთეული მონოგენური დასახლებით, რომელსაც ყულიშქარში „თურს“  
 უწოდებდნენ. თური კი, როგორც ჩანს, სოფლის იდენტური დასახლე-  
 ბაა, სადაც მონოგენურობა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, მაგრამ არის

შემთხვევები, როცა სოფლის მონოგენურობა ირლვევა, რომლის მიზნებად მთხრობელები ზედსიძეობის ნიაღაზე სხვა გვარის კაცის გამოსავალას ასახელებდნენ.

დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მონოგენურად განსახლებულ სოფლებს ყულიშვარის თემში წარმოადგენს — საროგა და სამაქაცარიო.

თუმცა საროგასა და სამაქაცარიოში ზოგიერთი დონის განსახლებასთან დაკავშირებით ერთი გარემოება შეიმჩნევა, რომელიც დინოს წევრთა არატრადიციულ, ვ.ი. არაქომპაქტურ განსახლებაში გამოიხატება. ე.ი. ერთი დინოს შიგნით შეიძლება სხვა დინოს კაცი ცხოვრობდეს, მაგრამ ეს არ ხდება სოფლის (თურის) გარეთ, არამედ ხდება სოფლის (ანც თურის) შიგნით, და ასე ერთი ოჯახიდან განაყრები თავი ძირი (ჭინჭი) სახლიდან 1,5-2 კმ-ითაც არიან დაშორებულნი.

როგავები და მაქაცარიები კი ყულიშვარის თემში ყველაზე ძველ და მრავალრიცხოვან გვარებად ითვლებიან, რომელთაც ერთი ჭინჭი (ძირი) ხატი ჰქონდათ — ყულის ხატის სახით. თუმცა ხალხში შემორჩენილი გაღმოცემა მათაც ჩამოსულებად ასახელებს. კერძოდ კი — როგავები სვანეთიდან ჩამოსულან სამი ძმა და ერთი და, რომელნიც იქ „როგუნები“ ყოფილან და ყულის ხატიც იქიდან ჩამოუტანიათ. (როგავების მიერ ყულის ხატის სვანეთიდან ჩამოტანის შესახებ გაღმოცემა ჩაწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (5, 200), ს. მაკალათიას (1, 364), ხოლო თ. სახოკია აღნიშნავს, რომ ყულის ხატი სვანეთშია მოპარული (6, 63). სვანეთში მათ მოუკლავთ ვიღაც დაჩქელიანი (შ ნ შ. 12), რომელიც იქ მღვდელი (პაპა) ყოფილიყო და რომელზედაც ხალხში ასეთი ლექსიც არის შემორჩენილი:

„რიგუ-რაგუ შონემქია  
პაპას დუდი მეკვათეს დო  
რობუს ქიგიორაგვესია“.

(მთხრ. ლეონტი როგავა და დოდო მირცხულავა).

ამ ძმებს ერქვათ უჩანა, ჭევე და როსტო. უჩანა დასახლებულია უჩაშონაში (და თურმე იმიტომ ქვია უჩაშონა), ხოლო ჭევე დამკვიდრებულა იმ ადგილას, რომელ საროგასაც დღეს ეძინან — „ჭევე-საგულად“ საროგას. შესამე ძმა დასახლებულა იმ ადგილას, რომელსაც დღეს უწო-

„რიგუ-რაგუ სვანებმაო  
მღვდელს თავი წაჭრეს და  
ხრამში გადააგდესო“

დებენ — „ლეკერძაიო“ საროგას, ხოლო მათი და აქ ჩამოსვლის შემდეგ მაქაცარიას გვარის კაცზე გათხოვილა და რამდენადაც მათ ნაშენები ითვლებიან როგავები და მაქაცარიები, ამ ორ გვარს შორის ქორწინება დღესაც აკრძალულია. ჯაგე საგულადოს, ლეკერძაიოს საროგასა და მაქაცარიებს სასაფლაო დღესაც ერთი აქვთ, რომელ ადგილსაც „უჩაშ ნაკარუს“ ეძახიან (მთხრ. ლეონტი როგავა) ხოლო უჩაშონის როგავები თავიანთ მიცვალებულს „გაჯარის“ სასაფლაოში ასაფლავებენ, სადაც გადმოცემით, ყულის კელესის მღვდელს ივანე როგავას, აუშენებია ხის ეკლესია. ამავე გადმოცემით, აქ როგავების ეკლესია აუშენებიათ რაღაც ძველი სალოცავის (ოხვამე) ადგილის. როგავების მიერ აქ ეკლესის აშენების და სასაფლაოს გახსნის მიზეზი ყოფილა მათი ტერიტორიული სიშორე ყულის კელესისთან (ეს გადმოცემა მოგვაწოდა ფილოსოფიის ინ-ის უმცროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა — ვაჟა როგავამ), სადაც მთელი თემის ხალხი ასაფლავებდა თურმე თავის მიცვალებულს და იქ ყველა გვარს თავისი კუთხე (აკინ) ჰქონდა გამოყოფილი. სხვა დანარჩენი სასაფლაოები (რომელიც დღეს თითქმის ყველა უბანს ცალ-ცალკე აქვს) ყულიშკარში გასაბჭოების შემდეგ არის გახსნილი (მთხრ. ბოჩო მაქაცარია, ვლადიმერ მიქაელ, ლულუნი დოგუა, უორუი გვილია და კიკულა მაქაცარია).

ამდენად, ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან ნათელია, რომ როგავების სამი ძეველი (პირვანდელი), დინოსაგან ნაწილილევი ხალხით შექმნილია რამდენიმე ახალი დინო. ყოველ მათგანს უჩნდება ახალი სასაფლაო და ამავე დროს სუსტდება ნათესაური ვალდებულებები, თუმცა დღესაც აღიარებენ, რომ მათ ერთი საერთო წინაპარი ჰყავდათ, ერთი გამნარყი (გამონაყარი), ერთი თურის (გვარის, სოფლის) ხალხი არიან.

ასეთივე სურათი ჩანს სამაქაცარიოს მაგალითზე, რომლებიც თავიანთ თავს აჭარიდან ჩამოსახლებულად თვლიან, სადაც მათი წინაპრები, გადმოცემით, მიქანძების გვარს ატარებდნენ. დღესაც სამაქაცარიოში მთხრობელები ორი დიდი პატრონიმიის არსებობას აღნიშნავენ — ჰველაშვარის (ჰველას მხარის) და შოშიაშვარის (შოშიას მხარის) მაქაცარიების სახით (მთხრ. კიკულა მაქაცარია).

როგავების და მაქაცარიების გვართან ერთად ყულიშკარში, გადმოცემით, უცხოვრია ვიღაც სისქირიების გვარს, რომლებიც აქ ყველაზე

პირველმოსახელე გვარად არის მიჩნეული და რომლებიც შემდეგ ას-  
ლაც მიზეზით ამომწყდარან. მათზე ასეთ გადმოცემა არსებობს შეკარში არის ერთი აღგილი, რომელსაც „ენტერს“ ეძახიან, სადაც სახ-  
ლობდა სისქირიების ოჯახი. მისი წევრები დიდი ფიზიკური ძალით და  
გოლიათური აღნაგობით გამოირჩეოდნენ. ეს სისქირიების სამოსახლო,  
ენტერი აღგილი დადიანის სამფლობელოს წარმოადგენდა. ერთ დღეს  
დადიანებსა და სისქირიებს შორის რაღაც უთანხმოება მომხდარა და  
დადიანის ისინი თავის მამულიდან გაუგდია. ეს ის დრო ყოფილა, როდე-  
საც დადიანს ხარკი ემართა თურქეთის ფაშისთვის — ყოველწლიურად  
30 სული ქალ-ვაჟისა და 300 ჭყითა (წყრთა) აბრეშუმის ქსოვილის  
სახით. ერთხელაც თურქეთის ფაშას, დადიანის სამფლობელოში, მოჭი-  
დავე გამოუგზავნია და დადიანისათვის შეუთვლია, რომ თუ ამ ფალა-  
ვნის წამქცევი კაცი მოიძებნებოდა მის სამფლობელოში, ის მას ხარკი-  
სგან გაანთავისუფლებდა. დადიანის ხალხს ბევრი უძებნია, მაგრამ თურქის  
ფალავნის წამქცევი თავის სამფლობელოში კაცი ვერ მოუნახია. ბო-  
ლოს ისევ იძულებული გამხდარან მოეძებნათ სისქირიები, რომლებიც  
მთაში ვიღაც „ჭყიშს“ (მწყემსი) აფარებდნენ თავს. ჭიდაობა სისქირიასა  
და თურქის ფალავნის შორის გამართულა ანარკიაში (ანაკლიაში), რო-  
მელიც სისქირიას გამარჯვებით დამთავრებულა. თურქეთის ფაშას და-  
დიანისათვის ხარკი მოუქსნია, ხოლო დადიანის სისქირიები ისევ თავის  
მამულში დაუბრუნებია და მათთვის თავადობა უბოძებია, მაგრამ მათ  
შეილი არ გასჩენიათ, და შვილად აუყვანიათ ხეციას ბიჭი. სწორედ ამის  
შემდეგ გამხდარან ხეციები ანუ მხეიძეები ყულიშეკარში თავადები. ყუ-  
ლიშეკარში დღესაც არსებობს ასეთი წყველა — „სისქირიაცალო გეშა-  
ლფედა“ (სისქირიასავით ამომწყდარიყვიო) (მთხრ. ბოჩო მაქაცარია და  
ლეო ხარებავი).

ასევე ძველ გვარებად ყულიშეკარში მიჩნეულია თირქიების გვარიც  
რომელნიც ხეციების აზნაურები (ჟინოსკუა) ყოფილან.

რაც შეეხება თავადი ხელიების ანუ მხეიძეების გვარს, მათი გვარის  
წარმომადგენლები დღეს ყულიშეკარში აღარ სახლობენ. აღრე ისინი  
ქმნიდნენ თურქე ცალკე უბანს, რომელიც მდებარეობდა ყულის კლუ-  
სიასთან ახლოს, რომელ აღგილებსაც დღეს სახეციოს ან ხეციას დოხო-  
რეს (შ 6 შ. 13) უწოდებენ.

სხვა დანარჩენი გვარის ხალხი ყულიშვარში გვიან ჩამოსულებად ითვლებიან. ისინი აქ ქმნიან ცალ-ცალკე უბნურ დასახლებებს, საფლავების გვარი ჭარბობს, რომელი გვარის სახელსაც თვითონ ეს უბანი ატარებს (სახარება, სახასიო, საგულუო, საგვილიო, სააფსაო, სანანა, სალაგვილა, საფიფიო, სამირცხულა). ამ უბანთა შორის საზღვრები თითქმის არ დგინდება და გვართა არევის პრინციპი უბნებს შიგნითაც მკვეთრად ჩანს. მაგ. ყულიშვარში არის ისეთი გვარიც, რომელიც ერთმანეთისგან დიდად დაშორებულ სამ უბანს ქმნის, რომელი თითოეული უბანიც ამავე გვარის სახელწოდებას ატარებს — არის სამი სახარება (ხარებავების სამოსახლო), თუმცა ყვლა უბნის ხარებავები თავიანთ თავს ერთი ფუძიდან, ერთი სოფლიდან, კერძოდ კი მარტვილის ჩ-ნის სოფ. გურძებიდან ჩამოსულებად ასახელებენ. საერთოდ კი, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გვარების ხალხს ახსოვს, თუ სად იყო მათი ძველი სოფელი, ჯინჯი (ძირი) ხატი, სადაც მათი წინაპრები შესაწირავებით სალოცავად დაღიოდნენ.

ეს შედარებით გვიან ჩამოსული გვარებით დასახლებული უბნები აქ ვერ ქმნიან სოფელს, ანუ „თურს“, რომელიც ერთი გვარით დასახლებულ ერთეულად წარმოგვიდგება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გვარიაქ საქმაოდ კომპაქტურად არის განსახლებული (მაგ. ხასიები და ფიფიები) და პატრონიმის რღვევის საქმაოდ შორსაწასული ნიშნები შეიმჩნევა, სადაც ერთი გვარით დასახლებული უბანი შექმნილია რამდენიმე ამავე გვარის დინოსაგან და თითქოს ამ დინოების გაერთიანებას აქ უნდა მიეცა „თური“ (სოფელი). მთხოვნელი პირდაპირ ასე ამბობს: „ჩვენი დინო აქ არის, ხოლო „თური“ (ე.ი. სოფელი) იქ არის, საიდანაც ჩვენ ჩამოვედითო“ (მთხრ. ლეო ხარებავა). აქედან გამომდინარე „თური“ ჩვენ გვევლინება ისეთი სოფლის აღმნიშვნელ სიტყვად, სადაც არის ამა თუ იმ გვარის პირველსაცხოვრისი ადგილი — ჯინჯი (ძირი) ხატი, ძირი თური (გვარი, სოფელი).

ყულიშვარის თემში შემავალ სოფლებს და უბნებს მართავდნენ გვარის უხუცესი ადამიანები, ხოლო ცალკე დინოს — მისი უხუცესი ადამიანი.

ერთი სოფლის და უბნის, სხვადასხვა გვარის ქალ-ვაჟს შორისაც აქ ქორწინება სასტიკად აკრძალული იყო, მაგრამ ყულიშვარის მაგალითზე

გვაჭვს ისეთი ვითარებაც, რომ ქორწინება აკრძალული იყო არა მარტო ერთი სოფლის სხვადასხვა გვარის ქალ-ვაჟს შორის, არამედ შეკვეთას გვარებს შორისაც, რომელიც ყულიშვარის თემში ცალკე სოფელს ან უბანს ქმნიან. მაგ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქორწინება აკრძალული იყო მაქაცარიასა და როგავას გვარს შორის, რომელთა საერთო სასაფლაო, ერთი „გინჯი“ (ძირი) ხატი ჰქონდათ ყულის ხატის სახით, რომელი ხატის მნათებებსაც როგავების და მაქაცარიების გვარიდან ირჩევდნენ. ასევე ქორწინება არ შეიძლებოდა გვილიასა და თირქიას გვარს შორის (დღესაც არ შეიძლება) — „თუ ისინი ერთმანეთში დაქორწინდნენ მათი შთამომავლობა საღი არ იქნებაო“ (მთხრ. ქორეუ ქველია და ვლადიმერ მიქავა). ასევე ქორწინება არ შეიძლება ფიფიებისა და ნანავების გვარს შორისაც, რომელი გვარების გარდა ერთმანეთის მიცვალებულის მესაფლავებად წასვლა სხვა გვარს არ შეუძლია, რომელთაც ასევე ერთი საერთო სასაფლაო აქვთ (მთხრ. ვანო ფიფია).

ჩვენის აზრით ამ სხვადასხვა ჩამოსულ გვარებს შორის ქორწინების აკრძალვა იმით იყო გამოწვეული, რომ მათ ყველას ერთი საერთო სალოცავი (ოხვამე) ჰქონდათ ყულის ხატის სახით. როდესაც აქ ესა თუ ის გვარი ჩამოდიოდა და სახლდებოდა, ის ძალაუნებურად ამ სალოცავის მფარველობის ქვეშ შედიოდა და ისეთი ქალ-ვაჟის ქორწინება, რომლებიც ერთ სალოცავში ილოცებოდნენ, სასტიკად აკრძალული იყო.

თემის შიგნით ყულიშვარში, ქორწინებასთან დაკავშირებით ერთი გარემოებაც შეიმჩნევა, რომელიც გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ თემში ზოგიერთი გვარი დაბალი დონის გვარად ითვლებოდა. მაგ. მაქაცარიას, თირქიას, როგავას და ანთელავას გვარის ხალხი ცოლად არ შეირთავდა და არც თავის ქალს გაათხოვებდა ხასიებისა და აფსავების გვარის ხალხზე. მიზეზი კი ის იყო, რომ ხასიები და აფსავები თავადისა და ეკლესიის ყმა გლეხის გვარებად ითვლებოდნენ. ასევე ერიდებოდნენ გულუების გვარის ქალის მოყვანას, ვინაიდან მათი ქალები, „თამამ“ ქალებად ითვლებოდნენ. თავადი ხეციების გვარს კი ყულიშვარის თემიდან არც ერთი გვარის ქალის ცოლად მოყვანა არ შეეძლო (მთხრ. ღუდა როგავა და ღუდუკი როგავა).

სოფლის შიგნით აქ იქმნება ცალკეული „სამოხიოები“. თვითეული სამოხიოში შეიძლება ორი-სამი უბანიც შედიოდეს, საღაც სახლობს

მრავალი სხავდასხვა გვარი, მის შილულია (მთხრ. ვალიკო ხარებავა).

ყულიშვარის მასალების მიხედვით „სამოხიო“, ეს არის ტერიტორიულად ახლო მყოფი ოჯახების გაერთიანება, რომელთაც ვალებათ ერთმანეთის მიმართ ურთიერთდახმარება ჭირში და ლხინში (მთხრ. ბოჩო მაქაცარია, ვლადიმერ მიქავა, კუტა ფიფია). როგორც ზემოთ აღინიშნა, მასში შეიძლება სხვადასხვა გვარის ხალხი შედიოდეს და სრულიად აუცილებელი არ არის ერთი გვარისგან იყოს შექმნილი. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ის გვიანდელი წარმონაქმნია და სამეზობლო თემის ნიშნებს ატარებს. მასში დაახლოებით 50-60 ოჯახი შედის. ასეთი სამოხიოები ყულიშვარის თემში ბევრია და ასევე აღსანიშნავია, რომ ერთი კონკრეტული ოჯახი შეიძლება 2-3 სამოხიოში შედიოდეს ერთდროულად, თუ ეს ოჯახი ამა თუ იმ სამოხიოს საზღვარზე სახლობს.

ყულიშვარში, თემის შიგნით, ცალკეულ სოფლებში ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა „ჯარალუა“ (ჯარობა), სადაც ტარდებოდა მარულა, ცეკვა-თამაში, ჭიდაობა, ქალ-ვაჟის ამორჩევა და სხვა გართობა-თამაშობები. გარდა შაბათ-კვირისა წელიწადში ერთხელ სცოდნის დიდი ჯარალუაც. მაგ. სამაქაცარიოში დიდი ჯარალუა სცოდნიათ წყალკურთხევის (წაკურთხია) დღეს. დიდი ჯარალუა იცოდნენ აგრეთვე საროგაში იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია „ვასილიშ კარი“ (ვასილის კარი) და „კუჭულებას ნოხორიში“ (კუჭულის ნასახლარი). საროგაში ასევე ცალკე სცოდნიათ მარულა, რომელ ადგილასაც დღეს „ნაუაჩუს“ ეძახიან, სადაც მარულაზე მონაწილეობის მისაღებად აფხაზეთიდანაც კი ჩამოდიოდნენ (მთხრ. ბოჩო მაქაცარია, უორუე გვილია და ლეონტი როგავა).

თემის იდეოლოგიური ერთიანობა გამოიხატებოდა იმაშიც, რომ ყულიშვარის თემის ხალხი წელიწადში ერთხელ იქრიბებოდა და საერთო ხარჯით კლავდა ხარს, რომელსაც „თემიშ ხვამას“ (თემის ლოცვა) ეწოდებოდა, ხოლო ხარს კი „ენთარ ხოჭს“ (ენთარი ხარი) უწოდებდნენ (მთხრ. ცაკუ მაქაცარია).

სათემო შეკრება, საყვირის — „ოცენა“ ხმაზე იქრიბებოდა. ის გკლესი-აში ინახებოდა და მასზე დაკვრა ევალებოდა ვიღაც ცაგუ მაქაცარიას (მთხრ. ლეო ხარებავა და ვალიქო ხარებავა).

რომლებიც რიგ-რიგობით გამოდიოდნენ ამ საქმისათვის (მთხოვთ საჩებავა და ლეონტი როგავა).

რაც შეეხება თავდაცვით ნაგებობას „ჯიხას“ (ციხე) სახით, ყულიშეარის თემში არ იყო, მაგრამ მისგან 5 კმ-ის დაშორებით დგას უზარმაზარი ჭავენჯის (XVI-XVII სს) ჯიხა, რომელიც ალბათ ყულიშეარის თემის ხალხსაც ემსახურებოდა შიშიანობის დროს.

## შემოზღვევა:

1. ნორტყი — სიტყვასიტყვით ნიშნავს გარშემორტყმას, შემოხვევას, ეკალი და სხვა მცენარეები ანუ ერთად აღებული — ბარდი, გარს შემორტყმებოდა იმ ხეებს, რომლებიც ეზოს გაყოლებაზე იყო და იქმნებოდა ბუნებრივი ღობე.
2. ეზოს — უწოდებენ არა მარტო იმ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს საცხოვრებელი სახლის წინ, არამედ მთლიანად ობორუსაც (სამოსახლო), ე. ი. იმ ტერიტორიას, რომელიც ერთ კარ-მიდამოს ფარგლებშია მოქცეული.
3. ღობეს — აქ „ღანდასაც“ ეძახიან.
4. ტრიფოლიატი — სუბტროპიკული მცენარეა.
5. ბაღ — ყველას არ ედგა.
6. ოქარიე (საქათმე) — ყველას არ ედგა, ვინაიდან ქათმები ხეზეც ადიოდნენ.
7. ქუფე თხების საღვრომს აქ „მარავა“-საც ეძახიან.
8. აგვარა — აქ გოჭოფილსაც (შემოკავებული) უწოდებენ.
9. ოჩხოულე (საძროხე) — ისლით გადახურულ ჭარების ნაგებობას წარმოადგენდა.
10. უნდა აღინიშნოს, რომ „რზენს“ მდ. ყულისწყლის პირას მდებარე ყველა აღვილს კი არ უწოდებენ, არამედ ისეთ მიწებს, რომელიც სანახავ-სათესად არის გამოყენებული. რზენს, ასევე ვაკე აღვილს ეძახიან.
11. ნარი — ხელით გათლილი ფართე ფიცარი, საღაც ოჯახის წვერები თავსდებოდნენ დასაწოლად.
12. დაჩელიანი — ნაგულისხმევია დადეშეკელიანი.
13. დოხორე — თავაღის სამოსახლო.

## გამოყენებული ლიტერატურა:



1. ს. მაკალათია, სამეცნიეროს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
2. პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I, თბ., 1999.
3. გ. ჩიტაია, დასახლების ტიპი მთიულეთში, მ.ს.კ. ტ. VI, თბ., 1953.
4. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.
5. ძველი საქართველო, ტ. III, თბ., 1913-14, კ. თაყაიშვილის რედაქციით.
6. თ. სახოკიძა, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.

## ოღონდ გაცეული გადარჩენილიყო

(ვპიზოდი ეპითომა თაყაიშვილის ხეოვნაბიდან)

ფართოდ არის ცნობილი ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1953) დიდი დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში. განსაკუთრებულია უცხოეთში გატანილი ეროვნული საუნგის დაცვა-გადარჩენისათვის გაწეული ღვაწლი. ამ მიმართულებით მის თავდადებულ საქმიანობაზე მრავალი დაიწერა, საგანგებოდ იქნა შესწავლილი „განძეულობის ოდისეა“ (ს. ჯანაშიას გამოთქმა), მაგრამ გასაკეთებელი ჭერ კიდევ ბევრია. სამწუხაროდ არ მოგვეპოვება ერის მექურჭლეთუხუცესის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემაც კი, რაც დაგვეხმარებოდა ავტორის ფასდაუდებელი მემკვიდრეობის სრულად გაცნობაში, ხელს შეუწყობდა მისი მძიმე ცხოვრების სხვადსახვა ეპიზოდის უკეთ წარმოჩენას, დაგვანახვებდა ემიგრაციის წლებში გამოვლენილ სულიერ სიმტკიცეს.

როგორც ცნობილია, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მხრივ განხორციელებული რევოლუციის ექსპორტის შედეგად დემოკრატიული საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა საფრანგეთში გახიზულიყო. არსებობდა საშიშროება, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში საფრთხე შეექმნებოდა სამუშაურო განძეულობას, ამიტომ პირველი რესპუბლიკის მესვეურებმა იგი თბილისიდან ქუთაისში, იქიდან კი ბათუმში გადაიტანეს, ხოლო უცხოეთში წასვლისას თან წაიღეს სახაზინო ქონებასთან ერთად. ასეთი გადაწყვეტილება ბევრს არ აქმაყოფილებდა, მათ შორის ი. ჭავახიშვილსაც. მისადმი მტრულად ყოფილა განწყობილი შინაგან საქმეთა მინისტრის საგანგებო რაზმიდან მცველად გაყოლილი ექვსი კაციც, რომელთა დასაშოშმინებლად ე. თაყაიშვილთან ერთად განძის მეოთვალყურედ გამწესებულ ი. ელიგულაშვილს მცირე თანხაც კი გაულია (გ. ქორდანია დაბრუნებული საუნგვ, 1983, გვ. 36, 46).

ხანგრძლივი (48 დღიანი) მგზავრობის შემდეგ ე. თაყაიშვილი თავისი განძეულობით საფრანგეთში ჩავიდა. განძი გემიდან გაღმოტვირთეს, დაახარისხეს და პარიზში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

დესპანის ა. ჩხერიმელის სახელზე მიაბარეს საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას.

ჩვენი ეროვნული სიმდიდრის უცხოეთში ყოფნის პირველი 13 წელს გ. უორდანია მართებულად უწოდებს მშვიდობიან პერიოდს, მაგრამ აი, 1933 წლის თებერვალში რატიფიცირებული იქნა 1932 წლის 29 ნოემბერს სსრ კავშირსა (რუსეთსა) და საფრანგეთს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი, რომლის თანახმად არც ერთ ხელმომწერ სახელმწიფოს არ შეეძლო თავის ტერიტორიაზე გაეჩერებინა მეორის წინააღმდეგ მიმართული რაიმე ორგანიზაცია. ამიტომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარიზის საელჩომ არსებობა შეწყვიტა. განძეულის მესვეურთათვის ეს იყო დიდი დარტყმა. შექმნილ ვითარებაში მიღებული იქნა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — 1935 წლის 10 აპრილს სპეციალურ სხდომაზე ემიგრანტულმა მთავრობამ სათანადო ოქმით ხელი აიღო ეროვნული სიმდიდრის მესვეურობაზე, დაასაბუთა მასზე ე. თაყაიშვილის უფლებები და მასვე დააკისრა მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს წინაშე.

ეს იყო ყოველმხრივ გამართლებული მოქმედება, რაღგანაც ევროპაში უკვე იცოდნენ ჩვენი საუნგის არსებობა და ცდილობდნენ მის დაპატრიონებას. პირველად, გერ კიდევ 1926 წელს სცადეს ამერიკის შეერთებული შტატების 150 წლისთვის აღსანიშნავად გამოეფინათ ფილადელფიაში საქართველოდან გატანილი მთელი სიმდიდრე, მაგრამ ერის მეჭურჭლეთუხუცესისგან უარი მიიღეს, ხელი მოეცარათ ნიუ-იორკისა და ბრიტანეთის მუზეუმებსაც: პირველს სურდა, შეეძინა მინანქრების კოლექცია, მეორეს კი — რაიმე ნივთი ქსნის განძეულობიდან, სანაცვლოდ მზად იყვნენ, უფასოდ შეენახათ ჩვენი სიმდიდრე და გამოეცათ ე. თაყაიშვილის ნაშრომები. ბრიტანეთის მუზეუმის სახელით ამ საქმეზე მოლაპარაკებას აწარმოებდა ზურაბ ავალიშვილი. მისთვის კარგად იყო ცნობილი ემიგრანტთა მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც შეუძლებელს ხდიდა მარსელში მიბარებული საგანძურის შესანახი თანხის რეგულარულ გადახდას და ცდილობდა, შედარებით მცირე დანაკარგით, ესნა მშობელი ხალხის ეროვნული საუნგე, ბრიტანელთა მეშვეობით გაეცნო იგი ევროპელთათვის. ზოგიერთის მტკიცება, თითქოს ზ. ავალიშვილი იყო განძეულობას დახარებებული ავანტიურისტების მხარდამჭერი.

რი არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩანს, იგი დიდ მნიშვნელობას აზრუნველური კულტურის პოპულარიზაციას უცხოეთში, იქაურობა მეცნიერო ცენტრების დაინტერესების საქართველოთი, რის გამოც გარეკვეულ კომპრომისზეც მიღიოდა. ალბათ, ამ გარემოებამ განაპირობა მისი სურვილი — 1924 წელს ამერიკელების მეშვეობით მოეწყო პატარა სადაზვერვო გათხრები ნაქალაქვეში, რასაც ატყობინებდა ი. ჯავახიშვილს და სთხოვდა, გამოეთქვა აზრი, თუ რამდენად მოხერხდება, ნებართვის მხრივ, ნაპოვნი ნივთების ნაწილის შტატებში გადაზიდვა „ასეთი დაიმედება ამ ხალხისა (ამერიკელების — ა.კ.), მე მგონია, მიზანშეწონილი იქნებოდა... თუ ამნაირი პატარა ექსპედიცია — საწინასწარო გამოკვლევისათვის — მოხერხდა და რიგიანათ ჩაიარა, ეს დიდი იმედი იქნება მომავლისათვის და მე მგონია, რომ საქართველოს უნივერსიტეტი ისარგებლებს ამით“. მინაწერში კი წერს: „სულ სხვა პირები (ისევ ამერიკაში, ქრისტიანულათ განწყობილ წრეებში) დავაინტერესე თქვენგან აღმოჩენილი პალიმპსისტებით. სასურველია თუ არა, რომ ტყ. უნივერსიტეტმა მიიღოს ნ ი ვ თ ი ე რ ი დ ა ს მ ა რ ე ბ ა იმ ძველი ვერსიების გამოსაქვეყნებლათ? თუ კი ამნაირი დახმარების წინააღმდეგი არ ხართ, გთხოვთ, თქვენი თანხმობა მაცობოთ დ ე პ ე შ ი თ... თუ კი ჭართ. ახალ ვერსიებს რაიმე მნიშვნელობა ექნება საღმრთო წერილის (უფრო სახარების) ისტორიისათვის, მაშინ ეს ამერიკელები სიამოვნებით ინგლისურ თარგმანსაც გამოაქვეყნებენ, მაგრამ, პირველად ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ თანახმაა თუ არა უნივერსიტეტი, რომ ამ დახმარების შესახებ გავაგრძელო ჩემი მიწერ-მოწერა, და საჭირო თანხის რაოდენობა, უფრო მ ი ნ ი მ უ მ ი მითხარით“. (დოკუმენტი გამოაქვეყნა გ. შარაძემ. იხ. მისი „უცხოეთის ცის ჭეშ“, 1991, ტ. I. გვ. 360-61).

ეს მრავლისმეტყველი სტრიქონები გადმოქვეცემენ ავტორის სულიერ განწყობილებას. ზ. ავალიშვილს სურს წინ წასწიოს მშობლიური ისტორიის კვლევა-ძიება, თუმცა კარგად იცის, რომ მუქთად არავინ არაფერს აკეთებს და მზად არის, ცოტაოდენი დათმობით განახორციელოს თავისი თამაში ჩანაფიქრი. ჩანს, მსგავსი მოტივი ამოძრავებდა განძეულთან დაქავშირებითაც, როდესაც დათანხმდა, ეშუამდგომლა ბრიტანეთის მუზეუმისათვის, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილმა ეს წინადაღება უარყო.

მოგვიანებით ეროვნულ სიმდიდრეს უფრო „კანონიერი“ მფლობელი გამოუჩნდა: ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის შვილიშვილი ლმა სალომე ობოლენსკაიამ მოითხოვა, მისთვის დაებრუნებინათ ზუგდიდიდან გატანილი სიმდიდრე იმ მოტივით, რომ მისი წინაპარი „რუსეთის ჭვეშვრდომი იყო და არა საქართველოსი“, ამიტომ ნ. ეორდანიას მთავრობას არ ჰქონდა უკანასკნელისთვის ქონების ჩამორთმევის უფლება. ს. ობოლენსკაიას სარჩელი ორჯერ მოისმინა სასამართლომ (პირველად 1934 წლის 8 მარტიდან 8 მაისამდე, მეორედ 1936 წლის დამლევიდან 1941 წლის 19 თებერვლამდე), ორჯერვე უარყო, მაგრამ მოგებული დარჩა არა ქონების ნამდვილი მფლობელი, არამედ საფრანგეთის ხელისუფლება. ისინი, ვინმე პიერ ჟოდონის მეშვეობით, დაეუფლენენ განძეულს და იგი „უპატრონოდ“ დარჩენილ რუსულ ქონებას მიათვალეს.

იმის მიუხედავად, რომ თაყაიშვილსა და ჟოდონს სხვადასხვა მიზანი ამოძრავებდათ, ს. ობოლენსკაიას წინააღმდეგ ფაქტობრივად ერთად გაიღიაშქრეს. ამ მიმართულებით ენერგიულად იღვწოდნენ ემიგრანტული მთავრობის ყოფილი წევრებიც. ვ. თაყაიშვილის ენერგიული მოკავშირე ცდილობდა ჩვენი საუნჯე თავისი ჭვენის კუთვნილებად ექცია. მისმა შემართებამ, თავგანწირვამ, ფრანგულმა პატრიოტიზმა ამ საქმეში ობიექტურად დადგებითი როლი შეასრულა. სხვათა შორის, „პირველად (1934 წლის 8 მაისის „რეფრენის განაჩენი“) სასამართლომ გადაწყვიტა საქმე ამ ფრანგი მოხელის (პ. ჟოდონის — ა.კ.), ვ.ი. არსებითად, საფრანგეთის მთავრობის სასარგებლოდ იმ მოტივით, რომ საქართველოს მთავრობა „ალარ არსებობს“ და, მაშასადამე, მისი ქონება განხილული უნდა იქნეს, როგორც „უპატრონოდ დარჩენილი რუსული ქონება“, მეორედ სასამართლომ გადაწყვიტა საქმე (1941 წლის 19 თებერვლის განაჩენი) იმავე ჟოდონის სასარგებლოდ იმ მოტივით, რომ განძი ეკუთვნის ქართველ ერს — საფრანგეთის სახელმწიფოს მიერ ცნობილ სუვერენულ სახელმწიფოს“ (გ. ჟორდანია, დას. ნაშრომი, გვ. 115).

პიერ ჟოდონმა სასამართლოს გადაწყვეტილება მოკლე ხანში განახორციელა. მარსელიდან პარიზს გადაიტანა მოგებული სიმდიდრე, გახსნა, აღწერა და დაბინავა საფრანგეთის ბანკის მთავარ შენობაში (კრუადუ-პტი-შანის №39). საქართველოს მეორე (საბჭოთა) რესპუბლიკა ცდი-

ლობდა, სამშობლოში დაეტრუნებინა უცხოეთში გატანილი საუნგვა მა-  
გრამ არაფერი გამოუვიდა. ამიერიდან მისი ფაქტობრივი მფლობელი  
სხვა ქვეყნის ხელისუფლება იყო.

XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში ნაცისტურმა გერ-  
მანიამ დაიკავა ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი,  
დაამარცხა პოლონეთი, მოვგიანებით კი საფრანგეთი. გერმანელები სულ  
უფრო მეტი რიხით გაიძახოდნენ ახალი წესრიგის აუცილობლობაზე  
ევროპასა და მსოფლიოში. ჰიტლერელთა გეგმებს რამდენიმე სახელმ-  
წიფო ელობებოდა წინ, მათ შორის სსრ კავშირი (რუსეთი). ფაშისტუ-  
ბმაც არ დააყოვნეს და 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო ფართო მასშტაბის  
საომარი მოქმედება ამ ორ ქვეყნას შორის.

ასეთ ვითარებაში პრობლემური გახდა განძეულის შემდგომი ბედი.  
პირველად, შესაძლებელია ს. ობოლენსკაიას მეორე სასამართლომ მიი-  
პყრო ნაცისტთა ყურადღება, ანდა თვით გარუსებულმა ქალბატონმა  
მიაწოდა ჩვენს სიმღიდრეზე ცნობები ფაშისტებს. ბოლო ვარაუდის სა-  
ბაბს გვაძლევს პროცესის წაგების შემდევ საუნგის ზუგდიდის ნაწილის  
„კანონიერი მფლობელის“ გამგზავრება გერმანიაში, რის მერეც დაი-  
წყო უკანასკნელთაგან განძეულის ინტენსიური ძიება.

ექვთიმე თაყაიშვილის რჩევით, უოდონს პარიზის საფრანგეთის ბა-  
ნკის შენობიდან ქართული ქონება გადაუმალავს ვერსალის ეროვნული  
ბიბლიოთეკის სარდაფში, ნაგავსა და ლორდში. ნაცისტებმა გაჩერიექს  
ერის მეჭურჭლეთუხუცესის ბინა, შეეცალნენ, აელაპარაკებინათ ფრანგი  
მოხელე მაგრამ უშედეგოდ.

„მესამე რაიხსა“ და საბჭოთა კავშირს შორის მიმდინარე ომი გარე-  
ვეულ იმედებს აღძრავდა ქართველ ემიგრანტებში, რომელთაც კარგად  
ახსოვდათ კაიზერის გერმანიის კეთილგანწყობა ჩვენი ქვეყნისადმი და  
ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ შექმნილი სიტუაცია. მათ,  
ისევე როგორც ნაცისტთა შხარეს გადასულ ქართველ მეომრებს, „მია-  
ჩნდათ, რომ გერმანია იყო ის ძალა, რომელიც ბოლოს მოუღებდა საბ-  
ჭოთა იმპერიას და ტირანიას... საშუალება ეძლეოდათ, ებრძოლათ კო-  
მუნიზმისა და მათი სამშობლოს რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ“  
(აშშ კონგრესის წარმომადგენლობათა პალატის კომუნისტური აგრე-  
სიის შემსწავლელი სპეციალური კომიტეტის საგანგებო მოხსენება „სა-

ქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ “გაზა, სახ-  
შობლო”, №3-4, 1991, 25.II. ჩანართი, გვ. 43). სწორედ ამ კონტრუსტუმე-  
განიხილავდნენ ისინი ჩვენი ეროვნული სიმდიდრის საფრანგეთიდან გვ-  
რმანიაში გატანის საკითხს და თან ყოველმხრივ ცდილობდნენ გერმანე-  
ლებისათვის უფრო მეტი ავტონომიური უფლებები გამოეძალათ, ვი-  
დრე უკანასკნელს სსრ კავშირში ჰქონდა მოპოვებული.

მსგავს ფაქტებზე საუბარი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ნაკარნახევ  
ერთ ფრაგმენტულ ჩანაწერში, რომლის ძირითადი ნაწილი შესულია  
მის „მოგონებებში“. ტექსტის საერთო რედაქტორის გ. ლომთათიძის  
მითითებით, “შემუარულ-ბიოგრაფიულ თხზულებათა საბოლოოდ გა-  
მართვისას აუცილებლად მივიჩნიეთ (ლიტერატურული თუ საზოგადო-  
ებრივი მოსაზრებით) აქ-იქ მცირე კუპიურები, ხოლო ზოგჯერ სახელ-  
გვარის ინიციალებით შეცვლა და ზოგი ეპითეტისა და კვალიფიკაციის  
გათამაზედროვეობა-თუ შერბილება. იმედია, მკითხველი გავიგებს ყოვე-  
ლივე ამას და დაგვეთანხმება, რომ ეს საჭიროცაა და საესებით დასაშვე-  
ბიც იყო... ყველა დედანი, ყველა ვარიანტი თუ ნაწყვეტი ერთად ინახება  
განსხვავებული მეცნიერის არქივში და დეტალებით დაინტერესებულ  
სპეციალისტებს მათი გაცნობა არ გაუძნელდებათ“ (ე. თაყაიშვილი,  
რჩეული ნაშრომები, 1968, ტ. I, გვ. 181). ასეთი სიფრთხის სავსებით  
გასაგნებია. მაშინ ტაბუ ედო მრავალ ფაქტს, ბევრი სახელოვანი მოღვა-  
წე იყო ისტორიიდან ამოშლილი ანდა სამშობლოს მოღალატედ გამო-  
ცხადებული. მსგავს ვითარებაში ექვთიმე თაყაიშვილის მხრიდან კონკეტუ-  
ლი პიროვნების უჩვეულო კონტექსტში მოხსენიება მეტად უხერხულ  
მდგომარეობაში ჩააგდებდა როგორ „მოგონებათა“ ავტორს, ისე მისი  
ტექსტის რედაქტორ-გამმართველს.

მითითებული ჩანაწერი ეხება ნაცისტებისგან კ. თაყაიშვილის ბინის  
გაჩერებისა და ჩვენი საგანძურის ძებნის ისტორიას. მართებულად აღნი-  
შნავდნენ, რომ უოდონის დახმარებით სახელოვანი მამულიშვილი „ნე-  
ბისყოფისა და გამომგონებლობის უკიდურესი დაძაბვით... ახერხებს გა-  
ნდეულის გადარჩენას... ბერლინში გატანისაგან“ (გ. ლომთათიძე, „ქარ-  
თული კულტურის მემატიანე ექვთიმე თაყაიშვილი“, 1990, გვ. 89). ნები-  
სყოფა მხცოვან მეცნიერს არასოდეს აკლდა, ხოლო მის ერთ გაბედულ  
ნაბიჯზე მოგვითხოვთ მისი უმცროსი მეგობარიც: ქართული სიმდი-

დრის მაძიებელი გერმანელებისათვის სიცრუეს მიუჩვეულ, აღარ-მართალ კაცს ტყუილიც კი უთქვამს, „რომელ განძეულობას ეჭრობა ამერიკაში რომ წაიღესო?“ და გზა-კვალი აუბნევია დაუპატივებელი სტუმრებისათვის (ი. მეგრელიძე „ექვთიმე თაყაიშვილი“, 1989, გვ. 82). ამ პერიოდს ეხება ჩვენთვის საინტერესო მოგონებაც, სადაც მოკლედ მოთხოვილია დიდ ძალისხმევაზე განძეულის საფრანგეთში დასატოვებლად და ამასთან დაკავშირებული პოლიტიკური ორომტრიალის თავიდან ასაცილებლად. დოკუმენტი დაცულია აკად. კ. კიკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ე. თაყაიშვილის პირად ფონდში იგი არაა გამოყენებული მეცნიერისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევებსა თუ მხატვრულ-პუბლიცისტურ ლიტერატურაში. მას ნაშრომთა ავტორები ან არ იცნობენ, ან რაც უფრო საფიქრებელია, წარსულში შევნებულად არიდებდნენ თავს (რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე „ექვთიმე თაყაიშვილი“, 1962, გვ. 72. ასურგულაძე „ექვთიმე თაყაიშვილი“, 1977, გვ. 218-222. ე.უბილავა, განძეულის გუშაგი, 1980, გვ. 127-28, ი. მეგრელიძე „ექვთიმე თაყაიშვილი“, 1989, გვ. 82, 84-85). გამონაკლისია ეროვნულ საჭურჭლეზე შექმნილი სპეციალური მონოგრაფია, სადაც ავტორს და მოწმებული აქვს დოკუმენტის ზოგიერთი არაარსებითი ადგილი (გ. უორდანია, დაბრუნებული საუნდე, 1983, გვ. 119).

როგორია ჩვენთვის საინტერესო ეს ჩანაწერი? რამდენად შეესაბამება მას გ. ლომთათიძის მიერ გამართული „მოგონების“ სათანადო ადგილი? მეცნიერის მონათხოვობის ოფიციალური ვერსია ასეთია: „ნაცისტებს ბერლინში ზოგიერთი ქართველი მიმხრობოდა და ჰიტლერის თაყვანისმცემელი გამხდარიყო ისინი დაუფარავად დარწმუნებული იყვნენ, ჰიტლერი საქართველოს თავისუფლებას მიანიჭებოთ. მათ დააგრძეს და გერმანიაში წაიყვანეს პროფ. ზ. ავალიშვილი, რომელიც იქ უდროოდ დაიღუპა კიდევ (ქალაქის დაბობისას) და მასთან ერთად დაგვეკარგა აუარებელი ისტორიული მასალა საქართველოს შესახებ, რომელიც ავალიშვილს ჰქონდა შეგროვილი.

ჰიტლერის ბრმად მიმდევარი ქართველი ემიგრანტები აღარ ითვალისწინებდნენ, რომ ის კაციჭამია რუსეთის დამარცხების შემთხვევაში არც საქართველოს დაყრიდა კარგ დღეს. რატომდაც ეგონათ, მცირე ავტონომიას მოგვცემსო. მენშევეიკების დროს ჩვენში გერმანიის ელჩად

ნამყოფი დიპლომატიც ვითომ ცდილობდა ამის შეგონებას „ფიურეტი-სათვის“, ქართველები ძველი კულტურის ერია და ავტონომიის არიანო, მაგრამ ჰიტლერი ამას აინუშიაც არ აღდებდა. და აი, გასაოცარი ამბავი კი იყო, მაგრამ ბერლინელი ქართველები ზოგნი მაინც დაუფიქრებლად მისდევდნენ ჰიტლერს.

გერმანიაში გადასვლაზე გადაჭრილი უარი ვუთხარი: მე აქ ქართულ მუზეუმთა განძეულობის მეთვალყურედ ვარ გამოვზავნილი და აქცე უნდა დავრჩე, სანამ მას არ მივიღებ-მეთქი. ამან მეორე საშიშროება წარმოშვა: ბოლოს და ბოლოს, გერმანელებმა მოინდომეს განძეულობის მოთხოვნა საფრანგეთის მთავრობისაგან და ბერლინში გადატანა და კიდეც დაიწყეს მოლაპარაკება. ამ გასაჭირში დავითმარე ერთი დიდი საქმოსანი, ქართველი გ.ბ., რომელსაც... დიდი გავლენა ჰქონდა. მან მე დამიჭირა მხარი და არ დაეთანხმა ზოგიერთ ემიგრანტს, რომლებიც განძეულობის გერმანიაში წალებას საჭიროდ მიიჩნევდნენ. მევე მომემხრო ზემოხსენებული პროფესორი, რომელიც არწმუნებდა გერმანელებს, ეს განძეულობა მარტო საქართველოსთვის არის ლირებული, როგორც ისტორიული საბუთები, თორემ სხვებისათვის არაფერი სახარბიეროა. ჩვენი ქონების მცველად ფრანგების მიერ გამოყოფილმა დოქონმა მითხრა შემდეგ გ.ბ. რომ დათანხმებოდათ, გერმანელები უთუოდ გვაიძულებდნენ, მიგვეცა თქვენი განძეულობაო“ (ე. თაყაიშვილი, რჩ. ნაშრომები, 1968, ტ. I გვ. 411-12).

მართალია, ავტორი „მესამე რაიხის“ ხელმძღვანელთა მხარდამჭერ ქართველებს „დაუფიქრებლებად“ იხსენებს და ცდილობს ზომიერად, თუმცა ოფიციალური თვალსაზრისის შესაბამისად გააკრიტიკოს ისინი, მაგრამ, ვთქიქრობთ, მოტანილი ეპიზოდიდან მაინც ნათლად ჩანს შედეგი:

1. გერმანიაში მყოფი ჩვენი თანამემამულენი ცდილობდნენ თავიანთი სამშობლოს განთავისუფლებისათვის გამოეყენებინათ დაპირისპირება სსრკავშირსა და გერმანიას შორის.

2. ასეთი პერსპექტივის რეალურობაში დაარწმუნეს და გერმანიაში წაიყვანეს ზ. ავალიშვილი.

3. გერმანიაში მცხოვრებ ქართველთა თვალსაზრისს, ჩანს, იზიარებდა „მესამე რაიხის“ ზოგიერთი ავტორიტეტული პირი და ცდილობდა

ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებიც დაერწმუნებინა ქართველი ეროვნული გარეული, თუნდაც მცირე, პოლიტიკური ავტონომიის მიზანმისა აუცილებლობაში.

4. ექვთიმე თაყაიშვილს უარი უთქვამს საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე და გერმანიაში ეროვნული განძეულობის გადატანაზე. ბოლო საკითხის მისთვის სასურველ გადაწყვეტაში მეცნიერს დიდად დახმარდინა ქართველი საქმოსანი გ.ბ. და ზ. ავალიშვილი.

ჩანს, გერმანიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი იქაური ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელთან ერთად, აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და „მესამე რახის“ ხელმძღვანელთაგან უკანასკნელისათვის გარკვეული პოლიტიკური ავტონომიის მინიჭებისათვის. ვთიქრობთ, ეს იყო ნაცისტური გერმანიის წინა პერიოდის თვალსაჩინო მოღვაწეთა თვალსაზრისის რეანიმაცია ახალ ვითარებაში. აյი, ჯერ კიდევ 1918 წელს ბერლინში ჩასულ ზ. ავალიშვილს დოქტორი სიმპსონი პირად საუბარში გულწრფელად, მთელი სერიოზულობით ეუბნებოდა: რომ არა გეოგრაფიული სიშორე, საქართველოსათვის ყველაზე მართებული იქნებოდა გერმანიის ფედერაციაში შესვლაო (ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, 1990, ტ. I. გვ. 105).

უდაოდ საინტერესოა იმ ადამიანების ვინაობა, ვინც საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს განთავისუფლებას გერმანიას უკავშირებდა და მისი მეშვეობით ცდილობდა თავისი გეგმების თუნდაც ნაწილობრივ რეალიზაციას. ამის საშუალებას იძლევა ექვთიმე თაყაიშვილის მოქლე ჩანაწერი, რომლის რედაქტირებულ ვარიანტს უკვე გავეცანით.

„პირველად რომ გერმანელები მოვიდნენ პარიზში, იმ დროს ჩემს შესახებ ბევრი ცილისწამება ეთქვათ მათთვის, ვითომ მე ვარ დიდი წინააღმდეგი გერმანელებისა და გერმანიისა. კომისია მოვიდა ჩემთან გასაჩხრევად. სულ სამი კაცი იყო: ერთი სამხედრო პირი პოლკოვნიკი, მეორე საერო პირი გამომძიებელი და მესამე მათი დამხმარე. მე მეღა ჩემს ოთახებში დიდი ყუთები საეკლესიო ნივთებისა და სხვა საარქელო-გიო საგნებისა. ვინაიდან მე სოციალისტებთან ვცხოვრობდი, მათ ეგონათ, რომ მე, როგორც სოციალისტი, დიდი მტერი ვარ გერმანელებისა.



პირველად მომთხოვეს ერთი ყუთის გახსნა, საღაც საეკლესიო ნივთები /  
იყო. გავუხსენი და ვაჩვენე პოლკოვნიქს. ერთ-ორი საგნის გამოყენების  
შემდეგ მან ხელი დამიქნია, დახურეო. ამ დროს გამომძიებელი სინჯავდა  
მენშევიკების საბუთებს და ნახა მიწერ-მოწერა მეორე ინტერნაციონა-  
ლთან. ამან დააინტერესა გამომძიებელი და დაარწმუნა, რომ ჩვენ ყველა  
სოციალისტები ვართ. მაშინ უთხრა პოლკოვნიქს: მეორე ყუთიც გასი-  
ნჯეთო. გავუხსენი მეორე ყუთი და ვაჩვენე, რაც პირველად ხელში შე-  
მხვდა — ნაპოლეონ პირველის პატარა ქანდაკება. პოლკოვნიქმა ხელი  
გააქნია, თვითონ დახურა ყუთი. მე მას ვუთხარი, მეორე ინტერნაციო-  
ნალთან მიწერ-მოწერას ჩვენი მთავრობა აწარმოებს. მე მიმართულე-  
ბით სოციალისტი არ ვარ, არამედ ნაციონალ-დემოკრატი და არქო-  
ლოგიას ვემსახურები-მეთქი. ჩვენი მთავრობა, რაკი სოციალისტებია  
ისინი, რა თქმა უნდა, მეორე ინტერნაციონალთან აქვთ მიწერ-მოწერა-  
მეთქი. სხვა იქ ვერაფერი ვერ ნახეს და წავიდნენ და მე აღარ მაწუხე-  
ბდნენ.

მაგრამ მათ ბერლინში ბევრი ქართველობა აღმოუჩნდათ მომხრეთ  
და ჰიტლერის თაყვანის მცემლი. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სა-  
ქართველო მხოლოდ ჰიტლერის საშუალებით მიიღებს თავისუფლებას.  
იქ დიდი როლს თამაშობდა უკვე ბოლშევიკების დროს საქართველო-  
დან გაგზავნილი გ. რობაქიძე. გერმანელებს მისი ფანტასტიკური რომა-  
ნები და ნაწერები მოსწონდათ და თავიანთ მწერლად აღიარეს. სხვათა  
შორის, მან ჰიტლერზე და მუსოლინზე დაწერა პატარა მონოგრაფია,  
რომელშიც ამბობდა, რომ ჰიტლერი და მუსოლინი ჩვეულებრივი კა-  
ცები კი არ არიან, არამედ ზეკაცები არიან, კოსმოსისგან წარმოშობი-  
ლი. და ჰიტლერმა თავის წერილში „რას უნდა კითხულობდნენ გერმა-  
ნელები“ პირველ რიგში დაწერა თავისი მოგონებანი *Mein Kampf* და  
მეორე რიგში იმის, გ. რობაქიძის ბროშურა. რა თქმა უნდა, ის დიდი  
შეძლების კაცი გახდა გერმანიაში.

ის მოვიდა ჩემთან. პარიზში სხვებთან ერთად, მარწმუნებდა წაესული-  
ყავი გერმანიაში და იქ ყველაფრის გამოცემის საშუალება მექქნეოდა. პროფესორი ავალიშვილი დაარწმუნეს და წაიყვანეს გერმანიაში, საღაც  
იგი უდროვოდ გარდაიცვალა და აუარებელი ისტორიული მასალა საქა-  
რთველოს შესახებ, რომელიც მას შეგროვილი ჰქოდა, დაიკარგა.

ჰიტლერი თავის მხრით სრულებით არ უქადიდა ქართველებს, რომ ის რუსეთის დაპყრობის შემდეგ სულ მცირე ავტონომიას შედეგად თუმცა ამაში მას არწმუნებდა ჩვენში მენშევიკების დროს გერმანის წარმომადგენელი. ის ეუბნებოდა, ქართველები ძველი კულტურის ხალხია და ლირსნი არიან მიიღონ ავტონომიაო, მაგრამ ჰიტლერი ამაში არ ეთანხმებოდა. მიუხედავად ამისა, ბერლინელი ქართველები მაინც დიდი მომხრე იყვნენ ჰიტლერის.

მე უარი ვუთხარი, ვეუბნებოდი, მე აქ ქართული მუზეუმების განძეულობის მეთვალყურედ ვარ გამოგზავნილი და აქ უნდა დავრჩე, სანამ ამ განძეულობას არ მივიღებ, და ამას გარდა, გერმანიის ჰავაც ჩემთვის მარგებელი არ არის-მეთქი. ბოლოს და ბოლოს გერმანელებმა მოინდომეს განძეულობის მოთხოვნა საფრანგეთისგან და ბერლინში გადატანა. კიდეც გამართეს მოლაპარაკება, მაგრამ მე დავიხმარე ერთი დიდი სპერცულიანტი გიორგი ბერიძე, რომელიც გერმანელების წარმომადგენელი იყო პარიზში და გერმანელები სუსელაფერს, რაც მათვის საჭირო იყო, მის საშუალებით იღებდნენ ფრანგებისაგან. ამიტომ იმას დიდი გამავლობა ჰქონდა. მან მხარი დამიჭირა და, არ დაეთანხმა სხვა ქართველებს განძეულობა წაეღოთ. ზურაბ ავალიშვილმაც მხარი დამიჭირა და არწმუნებდა გერმანელებს ეს მარტი საქართველოსათვის არის საჭირო, როგორც ისტორიული საბუთები და არა სხვებისთვისო. დოკუმენტა მითხრა, თუ ის გიორგი ბერიძე დათანხმებულიყო, გერმანელები უსათუოდ გვაიძულებდნენ მიგვეცა განძეულობაო.

ამრიგად, როგორც იქნა, ეს განსაცდელიც თავიდან მოვიშორე“ (კთაყაიშვილის ფრონტი № 1160).

დამოწმებული დოკუმენტების გამო ცალმხრივად ინფორმირებული ჩვენი საზოგადოება აუცილებლად საჭიროებს გარკვეულ ახსნა-განმარტებას. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში მოღვაწე ქართველთა უმეტესობა ჰიტლერის ბრძა მიმდევარი კი არა, ანტირუსული, ანტისაბჭოთა განწყობილების ადამიანი იყო. მათი საქმაო ნაწილი ამ ქვეყნის მეშვეობით გაეცნო მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს. თანაც ახსოვდათ გერმანიის კუთილისმყოფელი როლი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბებაში. შექმნილ სიტუაციაში, როდესაც საბჭოთა კავშირის მოკავშირედ გამოდიოდნენ დიდი ბრიტანეთი

და ამერიკის შეერთებული შტატები (ორივემ ცნო სსრ კავშირი და ფაქტობრივად აღიარა 1921 წლის თებერვლიდან ჩვენში არსებული იყო უიმი), ემიგრანტთა ერთ ჯგუფს ისლა დარჩენოდა „მესამე რაიხის“ შესვეობით ცდილოყო რუსეთისაგან თავისი სამშობლოს განთავისუფლებას. ისტორიაც გარკვეულ იმედს იძლეოდა და ისინიც შეეცადნენ ესარგებლათ შესაძლებლობით.

1926 წელს საფრანგეთში არსდება „თეთრი გიორგის“ არასოციალისტური ორგანიზაცია, რომლის წევრები ცდილობდნენ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ ნაცისტები, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა (ნ. კიკვაძე, ნაციონალ-სოციალიზმი და ქართველი პროფესორები, გაზ. „დრონი“ № 18, 19, 1993, 24. 27. III). ჩანს, ამ ჯგუფს სურდა გერმანიაში გადაეტანა და იქ დაეტინავებინა დაპყრობილ პარიზში არსებული ქართული საუნდჟ, რადგანაც ოკუპირებული ქვეყნის დედაქალაქი არ მიაჩნდათ განძისათვის უშიშარ ადგილად. სწორედ ამ ადამიანებთან, მათ მიერ დაარსებულ პოლიტიკურ გაერთიანება „თეთრი გიორგისთან“ იყო გარკვეული ფორმით დაკავშირებული გრ. რობაქიძე, რომელსაც გერმანია საცხოვრებლად შემთხვევით არ აურჩევია. იქ „ბრძოლისათვის ხელსაყრელი გარემო ეგულებოდა. გერმანული კულტურა, გერმანული გონიერება — სწორედ რევოლუციის იდეებთან მის დაპირისპირებულობაში — მისთვის სულიერად მახლობელი იყო. ხოლო გოეთეს „უკანასკნელი საუკუნეების უდიდეს ხელთდამსხმელად“ მიიჩნევდა“ (ნ. ზომბართი, „გრიგოლ რობაქიძე“ უურ: „მნათობი“ 1989, № 4, გვ. 128), თანაც კარგად ახსოვდა, თუ რა დიდი როლი ითამაშა ამ ქვეყანამ საქართველოს დამოუკიდვებლობის აღდგენაში. გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მწერლის გატაცებას სხვადასხვა რასის სიღრმისეული შრეების კვლევა-ძიებით, ეს კი, ნაცისტური პროპაგანდის წყალობით, ბევრისგან აღიქმებოდა რასისტობა, მაშინ, როცა თავად გრ. რობაქიძეს მტკიცებით, „ვინც საკითხს ასე აყენებს: რომელია რასებში უმჯობესი — მას რასის არ გაეგება რა!“ თუმცა, „იგი ქართველი იყო და როგორც ყველა მისი თანამემამულე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიულსა და კულტურულ სხვაობას, დიდი, თვითმყოფადი ტალანტების მქონე კავკასიის მთების ამაყ ერსა და აზის სტეპების მუდმივ ზეგავლენას დანებებულ რუსებს შორის. დასავლეთ ევროპასაც უპირატესობის გრ-

ძნობით უცქეროდა, როგორც უფრო ხნიერი და კეთილშობილი, უცველეს სულიერ გამოცდილებას ნაზიარები რასის წარმომადგენერაციის სთვის ევროპა მსოფლიოს შეუჩერებელი ნგრევის კერა იყო, რაშიც იგი, პირველ რიგში, ადამიანის ცხოვრებიდან ღვთაებრივის განდევნას გულისხმობდა. ევროპულმა „რაციომ“ ტრიუმფით მოიარა ამერიკა და ახლა მზად იყო — მარქსიზმის სახით — რუსეთი გაეცამტკერებინა“ (გ. შარაძე, დას. ნაშრომი, ტ. I გვ. 196, ნ. ზომბართი, დას. ნაშრომი გვ. 126). სახელმოვანი ისტორიკოს-სოციოლოგის წერილის დამოწმებული აღვილის დასაწყისი ნათლად გვიჩვენებს, რომ გრ. რობაქიძე რასისტი არ ყოფილა, ხოლო რუსეთის ან დასავლეთისადმი „უპირატესობის გრძნობით ყურება“ აიხსნებოდა საუკუნეთა სილრმიდან მომდინარე ქართველობის, მისი კულტურის, შინაგანი ენერგიისა თუ მარად უკვდავი ეროვნული ფენომენისადმი მწერლისათვის დამახასიათებელი უშრეტი რწმენით. ბოლო ნაწილი აშკარად მიგვითოთებს გერმანიაში დამკიდრების მიზეზებზე. ამ ქვეყნის მაშინდელ საზოგადოებრივ ფსიქიკაზე, ვრცელდა ამერიკის მთელი რიგი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ნაკლები გავლენა ჰქონდა რაციონალიზმს, რომელსაც დასავლეთში მოპოვებული ტრიუმფული წარმატებების შემდეგ სურდა მარქსიზმის, უფრო ზუსტად, მისი ადგილობრივი ფორმის ლენინიზმის სახით დაეპყრო სსრკავშირში (რუსეთში) შემავალი ხალხების, მაშასალამე, ჩვენი ერის ცნობიერებაც. გერმანია-რუსეთის დაპირისპირებულობის ღროს საჭირო იყო პირველი მათგანის სამხედრო შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, რომ საქართველო ასცდენოდა განვითარების ბოლშევიკურ გზას. ასე ფიქრობდა გრ. რობაქიძე, ეს იყო მისი სანუკვარი მიზანი და ამიტომ მიაშურა სწორედ გერმანისა და არა, ვთქვათ, საფრანგეთს ან დიდ ბრიტანეთს.

არ უნდა გაგვიყვირდეს არც ჰიტლერ-მუსოლინისადმი ბროშურების მიძღვნა. საბჭოთა პროპაგანდა ამ ფაქტიდან თავის სასარგებლობას კვნებს აკეთებდა (ი. თავაძე, მოღალატის გზა — ვინ იყო გრ. რობაქიძე? გაზ. „კომუნისტი №56, 1974, 7. III. 1967 წელს დაწერილი წერილის სულისკვეთება, პათოსი მთლიანადაა გადატანილი ნ. კიკვაძის მითითებული პუბლიკაციების სერიალში, რაც მშვენივრად ახასიათებს უკანასკნელის განწყობილებას). ჩანს, ვითარებაში სათანადოდ ვერც ე. თაყაი-

შვილი გარკვეულა, მით უფრო, რომ, ემიგრანტი თანამემამულისაგან  
განსხვავდებით, იგი ვეროპული რაციონალიზმის ერთ-ერთ უდიდესი ფენა  
რას — ფრანგულ კულტურას ნაზიარები პიროვნება იყო და არ სწავლდა  
გერმანელთა აზროვნებაში უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული ზეკაცის კუ-  
ლტი, თანაც სიმპათიურად ეკიდებოდა ანტიპიტლერულ მოძრაობას,  
დაკავშირებული ყოფილა მასში მონაწილე ქართველებთან. ყოველივე  
ამას კი არ შეიძლებოდა, სათანადო გავლენა არ მოეხდინა. ჰიტლერის  
წერილის ზეგავლენით იგი რამდენადმე აზვიადებდა ნაცისტი ლიდერე-  
ბისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის როლს თუ ბერლინში მცხოვრები  
გრ. რობაქიძის ადგილს მაშინდელ გერმანიაში.

მძაფრი პოლიტიკური ვნებათალელვის გამო, საფრანგეთში მცხოვრებ  
ქართველთა გარკვეული ნაწილიც ეჭვის თვალით უცემეროდა „ოეთრ გი-  
ორგელებისაგან“ ეროვნული საუნგის ძიებას, თვლილა, რომ ეს ნაბიჯი  
ნაკარიახვი იყო გერმანელთა „მოსამადლიერებლად“ (შ. ბერიშვილი, შეუ-  
ლამაზებელი ფურცლები, გაზ. „თბილისი“ № 129, 1993, 14. VII). არადა  
ისინი ან მათთან დაახლოებულნი არავისზე ნაკლები პატრიოტები არ  
იყვნენ. ბუნებრივია, ასეთ დაძაბულ და ფრიად წინააღმდეგობრივ ატმო-  
სფეროში არაერთგვაროვანი ჩეკიცია ჰქონდა გრ. რობაქიძის ნაშრომებს.  
უარყოფით ემოციებს აძლიერებდა ჰიტლერის დამოკიდებულება საქარ-  
თველოს საბჭოთა რესპუბლიკის მომავლისადმი. იგი მცირე ავტონომია-  
საც კი არ იმეტებდა ჩვენი ქვეყნისათვის. შექმნილ ვითარებაში ზოგმა არ  
მიიღო, ნაწილმა კი ვერ გაიგო გრ. რობაქიძის ბროშურების შინაარსი,  
თუმცა ისინი დაწერილი იყო მწერლისთვის დამახასიათებელი ქადაგის  
სტილით. საერთოდ ფ. ნიცშეს დიონისური კონცეფციით გატაცებული  
გრ. რობაქიძე იმდენად მოიხიბლა დიონისურის გულში დემონური, ბო-  
როტი, სატანური თვისებების ძიებით, რომ არც ასეთი ნიშნების მქონე  
პიროვნებებისადმი მიძღვნილი შრომების დაწერას მორიდებია (ლ. მარ-  
გორეტო, ნიცშეს გავლენა გრიგოლ რობაქიძის ადრეულ შემოქმედებაზე,  
გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ № 42, 1989, 20. X.), თუმცა დამა-  
ტებით, ჰიტლერის ბიოგრაფიის ამსახველი თხზულების სტრიქონებში  
გონიერი მკითხველი ამოიცნობდა ტექსტის მართებული გაგების მთელ  
შიფრს, სპეციალურ კოდს, რომელიც საჭიროებდა მეტად ფხიზელ, დაკ-  
ვირეკტულ თვალს. სწორედ ამნაირ გასაღებაზეა ლაპარაკი შვეიცარიი-

დან მწერლის მიერ 1948 წელს გ. დიასამიძისადმი გაგზავნილ ერთ ბაზა-  
თში. ავტორის მტკიცებით, მისი წიგნი „ვერ იქნა ნამდვილად ჭრიული ვერც მომხრეთა ბანაკში იქ გამოყვანილი პიროვნებისა და ვერც მის მო-  
წინააღმდეგეთა შორის. იქ იღუმალი მეთოდით გაყვანილია 8 „თუ“: თუ  
ასე არ მოიქცა“ ეს არაა ცხადად ნათქვამი, ხოლო „შინაგან“ იგი ხაზგა-  
სმით თქმულია. ჩემი რა ბრალია, თუ ამ 8 „თუ“-ში ერთიც არ იქნება  
გამართლებული! შარშან, შემოდგომაზე, დავწერე „ჩემი განმარტება“,  
რომელიც წიგნზე უფრო ვრცელია. იქ ვიძლევი „შიორს“ წიგნის ნამდვი-  
ლი გაეტისათვის (ამ „თუ“-ების შესახებ ვესაუბრე ერთს გამოჩენილ გვ-  
რმანელს ჯერ კიდევ 14. 10. 1942, როცა გერმანია მარჯს მარჯზე დღესას-  
წაულობდა. ეს აღნიშნულია „განმარტებაში“). ოდესაც გამოქვეყნდება  
უთუოდ. ვინც კი წაიკითხა, განციფრებული დარჩა „განმარტებას“ გაფ-  
ცნენ აქაური სათანადო უწყებანი. არავითარი დაბრულება არ აღმარ-  
თულა ჩემს წინაშე“. 1962 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის მა-  
შინდელი თავჯდომარისადმი გაგზავნილ წერილში „გველის პერანგის“  
ავტორი ასევე აღნიშნავდა: „გავიგე მანდ ჰეონიათ თურმე, თითქმ მე  
ჰიტლერიანელი ვყოფილიყვე ეს ჭორი და ზღაპარია... მრავალ ფაქტო-  
გან აქ მხოლოდ ერთი: 1941 წლის ივნისის შუა რიცხვებიდან ომის ბო-  
ლომდე გესტაპო-ს ზერვის ქვეშ ვიყავ მოქცეული. ჰიტლერიანელი რომ  
ყოფილიყვე განა ასე მომექცეოდნენ?! მანდ გავრცელებული აზრი ჭორი  
და ზღაპარია სხვა არათერი!“ (ი. აბაშიძისადმი გაგზავნილი გრ. რობაქი-  
ძის ბარათი გამოქვეყნდა სათაურით „წერილი უენევიდან“ გაზ. „ლიტერა-  
ტურული საქართველო“ №42, 1987, 16.X. გ. დიასამიძისადმი მიწერილი  
წერილის პუბლიკაცია ეუთვის გ. შარაძეს. იხ. მისი „ამერიკელი ქართ-  
ველები“, 1992 გვ. 74).

ამ ღოკუმენტებიდან ნათელია, როგორც ჰიტლერისადმი მიძღვნილი  
თხზულების მიზანდასახულობა, ისე ემიგრანტი მწერლისადმი იქაური  
ხელისუფლების ეჭვიანობაც. ცხადია, ე თაყიაშვილი სათანადოდ ვერ  
გაერკვა ვერც წიგნის ჰერტექსტში და ვერც მისი ავტორისადმი ოფი-  
ციალური წრეების ფაქტობრივ დამოკიდებულებაში. ქართველი ისტო-  
რიკოსისა თუ ნ. ზომბართის ნაწერებიდან ჩანს, რომ „მესამე რაიხის“  
მომხრე ჩვენს თანამემამულებს, მათ შორის გრ. რობაქიძესაც, სუ-  
რდათ, მოეწყვიტათ თავიანთი ქვეყანა რუსეთის გავლენისაგან, მიეღოთ

მასთან მეტრძოლი მხარისაგან უფრო მეტი ავტონომიურობა საქართველოს შინაურ საქმეებში, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა კულტურული, ვილეში. ნაცისტების მიერ დაპყრობილი ქვეყნების მდგომარეობის გათვალისწინებით, ექვთიმე თაყაიშვილს რეალურად არ მიაჩნდა გერმანიის გამარჯვების მოსურნე ემიგრანტების გეგმები. შეიძლება, მან ყურმოკვრით იცოდა კიდეც 1942 წელს შედგენილ ფაშისტურ პროექტზე რომელიც ითვალისწიებდა ჩვენი სამშობლოს ოკუპაციის შემდეგ მის ახალ დარაიონებას. ამ დოკუმენტს სსრ კავშირის (რუსთის) წინააღმდეგ მეტრძოლმა ერთმა ქართველმა ემიგრანტმა წააწერა: „არა დროს არ მოხდება საქართველოს ასეთი დაპყრობა. ეს პოლიტიკა დაღუპავს თვით ჰიტლერის გერმანიას. 12.3.43 დ(ავით) ს(ალარა შვილი)“. ამ შენიშვნაში არ იყო ასახული ერთი კონკრეტული პიროვნების შეხედულება, იგი გამოხატავდა მრავალთა, განსაკუთრებით „მესამე რაიხის“ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, მათ შორის, საფრანგეთში მცხოვრებ თანამემამულეთა უმეტესობის აზრს (გ. შარაძე, ფრანგული დღიური, 1990 გვ. 37 მისივე ამერიკელი ქართველები, 1992 გვ. 10, 14). შექმნილ ვითარებაში, ბუნებრივია, ე. თაყაიშვილი ძლიერ ფრთხილობდა, მაგრამ მისი ძალის ხმევა, ალბათ, ამაოდ ჩაივლიდა, რომ არა ზურაბ ავალიშვილის და გიორგი ბერიძის თავგანწირვა. პირველ მათგანს, საყოველთაო პატივისცემით მოსილ იურისტს, ჩანს, დიდ ანგარიშს უწევდა ვ. შელენბერგი. იგი ქვეშვრდომი ორგანიზაციის ეწ. „ვაზეეს ინსტიტუტის“ თანამშრომელთაგან (რომელთა შორის ვარაუდობენ ქართველ მამულიშვილსაც) მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ფაქტობრივად ახალ პოლიტიკურ გეზს სთავაზობდა იმპერიის უმაღლეს ხელისუფლებას დაპყრობილ ქვეყნებში. მართალია, ზ. ავალიშვილის მიერ გამოთქმულმა თვალსაზრისმა მხარდაჭერა ვერ პოვა, მაგრამ შელენბერგს ეჭვი არ ეპარებოდა გერმანიისადმი ჩვენი თანამემამულის კეთილგანწყობაში, რაც ცხადყო ჰიმლერის რისკისგან გამოჩენილი მეცნიერის მხურვალე დაცვამ (თ. ნატროშვილი, ჰიმლერი და ქართველი პროფესორი, გაზ. „დრონი“ №51, 1992, 25.XII). ასეთ ვითარებაში ექვთიმე თაყაიშვილისადმი ზ. ავალიშვილის თანადგომა საფრანგეთში მათი სამშობლოდან გატანილი ეროვნული საუნდის იქ დატოვებისათვის უდავოდ დიდი გამბედაობა იყო. ანალოგიური ნაბიჭი გადადგა ქართველმა საქმოსანმა გ. ბერიძე-

მაც. ჩვენი აზრით, იგი არის ცნობილი ბიზნესმენის გრიგოლუ (გრიშა) ბერიძის ძმისშვილი გიორგი კალისტრატეს ქე ბერიძე, რომელიც არამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა პარიზში. მისი და თამარ ბერიძე ამჟამად მაღრიდში ცხოვრობს და ცოტა ხნის წინ მარიამ ბატონიშვილთან ერთად იმყოფებოდა საქართველოში, თან ახლდა ბაგრატიონთა სამეფო გვარის ჩამომავალს ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის დროს (გ. შარაძე, უცხოეთის ცის ჭვეშ, ტ. I გვ. 600-2, მარიამ ბატონიშვილი, ჭეშმარიტი ქართველი სწორედ განსაცდელის უამს უნდა იყოს სამშობლოში, გან. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 177, 1993, 13.VIII).

საინტერესოა, გაირკვეს განძეულობის გერმანიაში გადატანის საკითხის დასმის დროც. ვფიქრობთ, თავისი წინადაღება ემიგრანტ პროფესორს გრ. რობაქიძემ სადღაც 1940-43 წლებში შესთავაზა. ეს სავსებით ბუნებრივია. 1940 წლებამდე საფრანგეთის ოკუპაციამდე მის ბანკში დაცული საუნჯის გაზიდვა ჭვეუნის ფარგლებს გარეთ, ისიც ფაქტობრივად უნებართვოდ, უბრალოდ წარმოუდგენელი ჩანს, ხოლო 1943 წელს კავასისათან და ორიოლ-კურსკთან გამართული ბრძოლების შემდეგ არ შეიძლებოდა ამაზე სიტყვის დაძვრაც კი. შეიძლება, საკითხი დღის წესრიგში დადგა 1942 წლის ზაფხულიდან, როდესაც გარკვეული ძალების ხელშეწყობით, შეიქმნა საკრანსულტაციო ფუნქციების მქონე „ქართული ეროვნული კომისია“ (ნ. კიკაძე, ნაციონალ-სოციალიზმი და ... გან. „დროინი“ № 19, 1993, 37.III), მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია.

ამგვარად, უცხოეთში გატანილი ჩვენი ეროვნული საუნჯე შექმნილი პოლიტიკური რეალობის წყალობით უნებლიერ აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომში მონაწილე სხვადასხვა სახელმწიფოს გამარჯვებაზე ორიენტირებული ემიგრანტი თანამემამულების გარკვეული დაინტერესება — დაპირისპირების საგანი. ერთნი, ე. თაყაიშვილის თანამოაზრენი, აღზრდილნი რაციონალური კვრობისათვის დამახასიათებელ ფუნდამენტურ პრინციპებზე, მხარს უჭერდნენ ანტიიმპერიულ კოალიციას და მის გამარჯვებას უკავშირებდნენ საქართველოს მომავალსა თუ პარიზში გატანილი განძეულის სამშობლოში უსაფრთხო დაბრუნებას. მეორენი კი, ვისაც კარგად ახსოვდა გერმანიის როლი თავიანთი პატარა ჭვეუნის დამოუკიდებლობის აღდგენაში, იმდებს მასზე ამყარებლენენ. მეტიც, დღის წესრიგში დასვეს ოკუპირებული პარიზიდან ჩვენი ეროვნული საუნჯის

ბერლინში გატანის საკითხი, სადაც, მათი აზრით, იგი უფრო საიმყლოდ /  
იქნებოდა დაცული. ე. თაყაიშვილის ცხოვრების ამ ეპიზოდთან დაკავშირდება  
შირებული ემიგრანტების ორივე ჭგუფი სამშობლოს, საქართველოს  
ინტერესებისათვის მებრძოლი მამულიშვილებისაგან შედგებოდა და გა-  
ნსხვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების მიუხედა-  
ვად, უცხოეთში გატანილი ეროვნული სიმდიდრის არსებობის ყველაზე  
კრიტიკულ მომენტში გულმოდვინედ ეჭებდა აღტერნატიულ გზებს მის  
გადასარჩენად.

## მიქელაშვილისათვის საგვარაულოს მოკლე ისტორია

მიქელაშვილი გვარი უძველესი დროიდან არსებობს, თუმცა მის შესახებ შემონახული დოკუმენტური მასალა ერთობ მწირია და ისტორიული ჯაჭვიც პერიოდულად წყდება. თავადური წარმოშობის მიქელაშვილს გააჩნიათ სათანადო რეგალიები, სახელდობრ დროშა, ბეჭედი, გერბი და სხვ.

გერბი მიქელაშვილი გვარს მიენიჭა XIX ს-ში, რუსეთის იმპერატორისაგან. გერბის ფარი ოთხ ნაწილად არის დაყოფილი, რომლის პირველ ნაწილზე მიქელაშვილი სახელის დროშაა წარმოდგენილი, მეორეზე — საგვარეულო ციხე-სიმაგრე, მესამეზე — სასწორი, ხოლო მეოთხეზე — მრგვალი ფარი უკან გამავალი გადაჭვარედინებული და წვეტებით ქვევით მიმართული ხმლებით. მიქელაშვილი სათავადოს აღმნიშვნელი სახელწოდებაა „სამიქელაო“ ან „სამიქელო“, რომელიც „საბარათიანოს“, „საწერეთლოს“, „სამაჩაბლოს“ და მისთანების ანალოგიური შინაარსის ტერმინს წარმოადგენს.

იოანე ბატონიშვილის ერთი ცნობით, რომელიც კრიტიკულ განხილვას საჭიროებს, XI ს-ში ვინმე მიქელს უმსახურია ალექსი კეისართან. მას თავისი და მიუთხოვებია კეისარისათვის. ამ ქორწინების შედეგად დაბადებულან გრიგოლი და იოანე, რომელნიც პროსექტოდ იწოდებოდნენ. მოგვიანებით თურქ დამპყრობთაგან შევიწროებული მიქელის შთამომავლები ქართველ მეფეს მიუღია — მიქელაშვილი თავადებად, ხოლო მათი მდაბალი სახლისკაცნი — მიქელაშვილები — აზნაურებად (3, გვ. 35).

მიქელაშვილი სათავადოს ჩამოყალიბება საგარაულოა XV ს-ში (11, გვ. 54). თავიდან მიქელაშვილი გვარს ეკუთვნოდა 13 სოფელი, ხოლო მოგვიანებით, XIX საუკუნისათვის, ისინი ფლობდნენ 34 სოფელს (4, გვ. 307). სათავადოს ცენტრს სოფელი კულაში წარმოადგენდა. სამიქელაოს ბუნებრივი საზღვრები იყო: მდინარეები ცხენისწყალი, რიონი და გუბისწყალი, რომლებიც გარს ეკვროდა მიქელაშვილი მამულებს (3, გვ. 773). კულაშშივე გვარუმის მინდორზე იყო მიქელაშვილის რეზიდენცია, კარის

კულტივია და ციხე-სიმაგრე (11, გვ. 55). ვარაუდობენ, რომ მიქელაშვილთა  
ყმების რაოდენობა 350 კომლს მაინც შეაღენდა, თუმცა ეს ფრთხოები  
დასაზუსტებელია. აქედან საუდიეროს 10 კომლი იხდიდა, ხოლო გამო-  
სალებს 200 კომლი (11, გვ. 56).

1326 წლით დათარიღებული ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ მანგა-  
სარ მიქელაძე მოში შემოაკვდა ჭარელიძეს, რის კვალობაზე დავით ნა-  
რინის ძემ — მიქელმა გასცა ბრძანება მიქელაძეთა ლირსების შეტა-  
ლვის შემთხვევასთან დაკავშირებული სასჯელის დაწესებაზე.

მომდევნო ინფორმაცია ჩვენთვის საგულისხმო საგვარეულოზე ჩნდე-  
ბა 1413-1444 წწ.-ში, როცა პოლიტიკურ ასპარეზზე წინააღმდეგბა სათა-  
ვადოს ძლიერი მმართველი თავადი ლომისი მიქელაძე. იგი მოიხსენიება  
ალექსანდრე I დიდის „კარის ვაზირთა“ შორის. 1488 წელს კი იმერთა  
მეფის ალექსანდრე II-ის კარზე ჩანს ლომისის სახლიკაცი ყერგრძელი  
მიქელაძე.

XVII ს-ის 30-იანი წლებიდან მიქელაძეები აქტიური მონაწილენი არიან  
იმერეთის მეფის ალექსანდრე III-სა და ლევან დადიანს შორის წარმო-  
ებული ომისა, რომელშიც მიქელაძეები დადიანის მხარეს იბრძოდნენ.  
ამ შინაომში დადიანის მომხრე იყო ირანის შაჰი და მისი ვასალი ქა-  
რთლის მეფე როსტომი. სწორედ მიქელაძეთა დახმარებით მოახერხა  
ლევან დადიანმა როსტომის საცოლედ არჩეული საკუთარი დის იმერე-  
თის ტერიტორიაზე უფათერაკოდ გატარება. მიქელაძეთა ხელშეწყობი-  
თვე ჩაუვარდა ხელში ლევან დადიანს დაზვერვაზე მყოფი ალექსანდრე  
III, რის შემდეგაც სამიქელო დადიანის სამთავროს შეუერთდა.

1657 წელს ალექსანდრე III-მ ისარგებლა ლევან დადიანის გარდაცვა-  
ლებით და დაიბრუნა საჭილაო-სამიქელო, თუმცა თავადმა ოტია მიქე-  
ლაძემ განაგრძო წინააღმდევობა და ბანძის ბრძოლაში (1659 წ.) მან  
იმერთა მეფე ორთაბრძოლაშიც კი გამოიწვია, მაგრამ ალექსანდრე III-  
მ ოტიას სიძეს - ლევან აბაშიძეს ჩააცვა თავისი „კურტაკი“ და ფიცხელ  
ბრძოლაში ოტიამ საკუთარი სიძე სასიკვდილოდ დაჭრა. აღნიშნულ  
ომში მეფემ გაიმარჯვა, ხოლო შეპყრობილი ოტია დააბრმავეს, რომე-  
ლიც 1658-1660 წწ.-ის მეფის სიგელებში მოწმედ ფიგურირებს (2, გვ.  
420-432). ოტიას გარდაცვალების შემდეგ დოკუმენტებში მოიხსენიება  
მისი ვაჟი გიორგი, რომელიც წყაროთა ჩვენებით მოლარეთუხუცესის

სახელოს ფლობს და იმხანად იმერეთის მეფის ალექსანდრე IV-ის მხატვა-  
საა. მისი ასული ქართლის მეფის გიორგი XI-ის მეუღლეა, ხოლო დადი-  
თავადი გიორგი აბაშიძე გიორგის დისტულია. გიორგი მიქელაძეს ცო-  
ლად ჰყავდა რაჭის ერისთავის შოშიტა II-ის და (11, გვ. 61).

ალექსანდრე IV-ის (1683-1695 წ.).) მეფობის ქამს, როდესაც მის ოპო-  
ზიციას ქმნიდნენ რაჭის ერისთავი შოშიტა, გურიის ერისთავი, ბეჟან  
დადიანი და ბეჟან ლორთქიფანიძე იმერეთის მეფის სამსახურში ერთ-  
გულად ირჩება გიორგი მიქელაძე. როგორც წყაროებიდან ირკვევა, იმე-  
რთა მეფემ თავისი და დარეჯანი მიათხოვა პაატა აბაშიძეს, რომელიც  
გიორგი მიქელაძის დისტული იყო.

რიკოთის ომში (1684 წ.) ოპოზიციურ ძალებზე მოპოვებული გამარ-  
ჯვების შემდეგ ალექსანდრე II-მ საჭილაო-სამიქელაო გურიელს გადა-  
სცა, თუმცა მოგვიანებით ხსენებული სათავადო ხელში ჩაიგდო გიორგი  
ლიპარტიანმა (3, გვ. 847).

იმერეთის მეფესა და მის მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა შემდგო-  
მშიც გაგრძელდა და გოდოგანის ომში განცდილი მარცხის მერმე იგი  
იძულებული გახდა ქართლში გადახვეწილიყო, სადაც მას გიორგი მიქე-  
ლაძეც გაჰყვა. იმერეთს დროებით გიორგი აბაშიძე დაეპატრონა, რო-  
მელმაც ოსმალებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა. შექმნილ ვითარებაში, შუ-  
რისძიების გრძნობით აღვისილია გიორგი მიქელაძემ ოსმალთა ჭარებს უმჯ-  
გზურა და აბაშიძის დამარცხების თვითმხილველიც გახდა, მაგრამ სტამ-  
ბოლის შიდა არეულობამ ჭარები გააყვანინა თურქებს (3, გვ. 853-863).

გარკვეული ხნის შემდეგ ალექსანდრე V-მ შეძლო სამიქელოს დაბრუ-  
ნება, გიორგი ლიპარტიანმა ციხეში გამოკეტა საკუთარი მამა ბეჟან  
დადიანი, 1714 წელს კი გარდაიცვალა გიორგი აბაშიძე (8, გვ. 234).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, XVIII ს-ის I ნახევრიში მიქელაძეები  
ქვემო იმერეთში „უწარჩინებულესნი და შემძლებელნი“ თავადები არი-  
ან (3, გვ. 26).

XVIII ს-ის II ნახევრიდან ჩინდება მასალები ზურაბ, ბაქარ და ვახტანგ  
მიქელაძეებზე. ამათგან ზურაბი ბაზიერთუხუცესისა (1754 წ.) და მსახუ-  
რთუხუცესის (1756 წ.) სახელოების მფლობელად წარმოჩნდება. წყარო-  
თა ჩვენებით 1762-1764 წწ.-ის შეთქმულებაში იმერეთის მეფის სოლო-  
მონ I-ის წინააღმდეგ მონაწილეობას ღებულობდა სვიმონ მიქელაძე

რომლის დასჯის ისტორია ჩვენთვის უცნობია. ამ დროისათვის მიქელა  
ძები კვლავაც „მძლავრობენ“, რის გამოც გაბრიელ ჭყონდიდელი მასული  
ლებულია მამულიდან აყაროს საკუთარი გლეხები და სხვაგან გადაასა-  
ხლოს (6, გვ. 2).

1789 წელს იმერეთის თავადაზნაურობამ ერეკლე II-ს გაუგზავნა ელ-  
ჩობა, რათა იმერეთი შეერთებინა. ელჩობის შემაღენლობაში იყო პა-  
ატა მიქელაძეც, მაგრამ აღნიშნული მისია უშედევოდ დასრულდა (5,  
გვ. 5-10). 1804 წლის დოკუმენტი გვაუწყებს ქუთათელ მიტროპოლიტსა  
და მიქელაძეთა შორის ატესილო საადგილმამულო დავის შესახებ. საბო-  
ლოოდ მეფეს უბრძანებია, რომ მიქელაძეებს ეს საადგილმამულო დავა  
დაფიცების წესით გადაეწყვიტათ, მაგრამ იმის გამო, რომ მიქელაძეებმა  
არ იყადრეს ტყუილი ფიცი, სადავო მიწა-წყალიც მიტროპოლიტს და-  
რჩა. დოკუმენტის შინაარსიდან გამოსჭვივის აზრი, რომ „თუ არა ეკ-  
ლესის ავტორიტეტი, მიქელაძეები ისეთი თავადები არიან, რომელთა  
შეწუხებას მცირე რამეზე მეფეც კი ერიდება“ (6, გვ. 114).

1810 წლის დოკუმენტით სოლომონ II-ის ამაღლა რუსეთის იმპერატო-  
რის ალექსანდრე პავლეს ძის წინაშე ფიცს დებს. სხვა მოფიცარ თავა-  
დთა შორის იქ ფიგურირებენ მიქელაძენიც (7, გვ. 486-489).

1819-1820 წწ.-ის იმერეთის აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობენ ქაი-  
ხოსრო, ზურაბ და ქუთუმ მიქელაძეები, რომელნიც საბუთებში ვაკის  
ოლქის მთავარ მეამბოხეებად არიან შერაცხულნი (6, გვ. 139, 146). იმავე  
ჯანყში გარეული იყო მოსამართლე დავით მიქელაძეც, რომელიც პოლ-  
კოვნიკ სეხნია წულუკიძესთან ერთად საქართველოდან გაისახლეს, თუ-  
მცა მალევე (1824 წ.) მისცეს სამშობლოში დაბრუნების უფლება (9, გვ.  
206-207).

1853 წელს ყირიმის ომში თავი გამოიჩინა ქაიხოსრო მიქელაძემ, რომე-  
ლმაც 75 წლის ასაკში შეკრიბა თავად მიქელაძეთა ასეული და დაიფიცა,  
რომ უკანასკნელ გასროლამდე თავდაუზოგავად იბრძოლებდა თურქე-  
ბთან. მან დიდი ზიანი მიიყენა თურქებს ჩოლოქის ბრძოლაში, რომლის  
შედეგად განადგურებულ იქნა ოსმალთა 35 ათასიანი არმია (10, გვ. 59).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალა მწირია,  
ის მაინც სათანადო წარმოდგენას გვიქმნის მიქელაძეთა საგვარეულოს  
ისტორიაზე.

# გამოყენებული ცყაროები და ლიტერატურა:

საქართველო  
სიმუზიკური

1. საქართველოს სიძველენი, ტ.II, ე. თაყაიშვილის რედ., თბ., 1909;
2. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ.II, თბ., 1959;
3. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ.IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1973;
4. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., ტ.I, თბ., 1962;
5. იოანე ბატონიშვილი, ქართული თავადაზნაურული გვარები, თბ., 1997;
6. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის რედ., თბ., 1921;
7. იმერეთის სამეფოს გაუქმება, ს. კაკაბაძის რედ., თბ., 1956;
8. პ. იოსელიანი, გიორგი XIII მეფობა, თბ., 1978;
9. 6. დადიანი, ქართველთა ცხოვრება, ი. აბულაძის რედ., თბ., 1963;
10. ა. სურგულაძე საქართველოს ისტორია, თბ., 1991;
11. ო. სოსელია, დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის ნარკვევები, წ.I, თბ., 1981;
12. Н. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819-1820 гг., М., 1985.

კოლეგი აღიაბულავა

დააკირდით ამ ფოტოებს. აქ აშეარად აფხაზურ ტანსაცმელში გა-  
მოწყობილი ზანგები არიან გამოსახულნი. ესენი მდ. კოდორის შესარ-  
თავთან მდებარე ს. აძიუტუში (თანამედროვე ოჩამჩირის აღიონი) მუ-19  
ს-ში მცხოვრები ზანგი — აფხაზებია (!!!). აქედან დასკვნა: გასული საუ-  
კუნის კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თურმე აფხაზი ზანგე-  
ბის ფენომენიც არსებულა!!! არადა, ანაზღად იბადება კითხვა: რა გზით  
და როდის მოხვდნენ ისინი აფხაზეთში? თუ ჩვენ დამოწმებული ფოტო-  
ების პრეზენტაცირის — პროფ. კ კოვალევსკის სხარტ განმარტებას  
ვენდობით, აძიუტუელი ზანგები აფხაზ მთავართა კუთხინილი მონა-მოსა-



მსახურების ჩამომავლებს უნდა წარმოადგენდნენ. მაგრამ ასეთი ლაკონური ახსნა სულაც არ აქმაყოფილებს (და ეტყობა, არც აწყობს) აწინდელ აფხაზ-აფსუათა უსათუოდ კოლხური წარმომავლობის დასაბუთებით გატაცებულ ზოგიერთ სწავლულს, რომელსაც აღნიშნული ფაქტის სულ სხვაგვარი ინტერპრეტაციის გამბედაობა ჰყოფნის.

დავიწყოთ იმით, რომ „ისტორიის გამაღ“ შერაცხულმა ჰეროლოტებ (ძვ.წ. მე-5 ს.) თავის დროზე კოლხები ეგვიპტელთა შთამომავლებად მიიჩნია. ბერძენი სწავლულის მტკიცებით, ძვ.წ. მე-13 ს-ში ეგვიპტის ფარაონმა რამზეს II (სეზოსტრიისმა) მდ. ფაზისის ნაპირებზე დატოვა

თავისი ლაშქრის ერთი ნაწილი და კოლხები სწორედ ამ ეგვიპტელი მოლაშქრების პირდაპირი შთამომავლები არიან. ჰეროდოტეს ტური აზრით, კოლხთა ეგვიპტურ წარმომავლობას უნდა მოწმობდეს ის, რომ კოლხები ეგვიპტელთა მსგავსად მუქანიანები და ხუცუჭომიანები არიან, მისდევენ წინადაცვეთის წესს, ამუშავებენ სელს და სხვ.

აფხაზურ-აფსუური ეთნოგენეტიკური გადმოცემების თანახმადაც, აწინდელი აფსუა-აფხაზები თანამედროვე აფხაზეთის მიწა-წყალზე სამხრეთიდან (ეგვიპტიდან, არაბეთიდან, ეთიოპიდან) მოსული ხალხია (sic).

ერთ-ერთი აფხაზური ნართული თქმულების თანახმად „... ოდესლაც ნართებმა ილაშქრეს თეთრებილება შავი არაპების ქვეყანაში (არაპუა), ისინი დაუმეგობრდნენ არაპებს და შემდეგ მათთან ერთად მოვიდნენ და დამკვიდრდნენ აფხაზეთში... სწორედ მათი მემკვიდრეები უნდა იყვნენ ის ზანგები, რომლებიც არც თუ დიდი ხნის წინ ჯერ კიდევ სახლობდნენ ოჩამჩირის ჩაიონის ს. აძიუბეჟაში“. (Ш.Д. Инал-Ипа, Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми, 1976, стр. 168).

აფხაზ-აბაზთა არაბული და აფრიკული წარმომავლობის შესახებ არ-სებულმა ლეგენდებმა თავისი მკაფიო ასახვა ჰპოვა მე-17 ს-ის თურქი მოგზაურის ველია ჩელებისა და მე-18 ს-ის გერმანელი ვეტორის იაკობ რეინეგვისის თხზულებებშიც, ხოლო ბარ აში 1830 წელს წერდა: „Сами абхазцы не согласуются в своем происхождении: некоторые полагают оный от армян, другие же подтверждают, что предки их были выходцами из Египта или, может быть, из Абиссинии ибо абхазцы себя называют Абсне“.

გავიდა დრო და აფხაზმა ისტორიკოსებმა, შალვა დენისის ძე ინალიფას „ლოცვა-კურთხვით“ სცადეს აღნიშნული ეთნოგენეტიკური გადმოცემების თეორიული შეხმატკბილება ჰეროდოტეს სუბიექტურ თვალსაზრისთან კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობის შესახებ. სულ მალე შეიქმნა ფრიად ექსპრესიული „ლოცვიკური კონსტრუქციაც“ შემდეგი აზრობრივი ინგრედიენტებით: 1. კოლხები მოსულები არიან ეგვიპტიდან და ისინი, ცხადია, მუქანიანები ან, თუ გნებავთ, შავკანიანებია; 2. აფხაზებიც მოსულები არიან ეგვიპტიდან ან აბისინიდან (ე. ეთიოპიდან); 3. როგორც შ.დ. ინალ-იფას 145 წლის(!) ოდინდელი ინფორმატორის მაჟაგვ ადლეიბას მონათხრობიდან ირკვევა, თურმე ნუ იტყვით,

„...в Абхазии было много арабов (возможно, негров), вышедших из Мсира (Египта)“ (Ш.Д. Инал-Ипа, დასახ. № შრომის სამუშავებელი, 168). ამ მონაცემების უკრიტიკულ შეჯერებას კი ნიადაგ მივყავართ „დასკვნამდე“, რომ აფხაზები კოლხების პირდაპირი ჩამომავლებია, რაც გამეოღვნებულია აძიუბჯელ ზანგ-აფხაზთა ეთნიკური კონტინგენტის გვიანობამდე შემორჩენის ერთობ უნიკალურ ფაქტში!!!

მაშ ასკ ჩვენთვის ჯველაფერი ნათელი ხდება - ჰეროდოტეს კონცეფციამ, შ. ინალ-იფას შესაშური „გამჭრიახობის“ წყალობით, აფხაზ-ზანგთა მყუდრო სავანედ ქცეულ ს. აძიუბჯას მიღამოებში ჰპოვა აღიარება, ხოლო პროფ. ე. კოვალევსკის უბრალოდ საქმარისი მეცნიერული ალლო არ აღმოაჩნდა იმისათვის, რომ თავისივე ფოტორარიტეტების ჰეშმარიტი ფასი შეეცნო.

მაგრამ აქ ძალაუნებურად იბადება წმინდა ანთროპოლოგიურ ნიუ-ანსებზე აღმოცენებული რამდენიმე პრინციპული ხასიათის კითხვა: 1. საინტერესოა მაინც რა კანონზომიერებით მოხდა შავკანიან „აფხაზ-კოლხთა“ რასობრივი მახასიათებლების მყისეული ტრანსფორმაცია-ატ-როფირება? 2. რა მიზეზით არის თანამედროვე აფხაზ-აფხაზუების აბსოლუტური უმრავლესობა თეთრი კანისა და პიგმენტაციის მქონე? 3. საღ გაქრნენ აფხაზი ზანგ-კოლხები და კოლხთა შავკანიანობის დამამტკიცებელი ანთროპოლოგიური ჩემინისცენციები?

აი ის კითხვები, რომელთა პასუხები ჩვენთვის ჯერჯერობით გამოცანად ჩჩიბა, თუმცა ვინ იცის, იქნებ აფსუა მეისტორიებს აღნიშნულ კითხვებზეც მოეძებნებათ თავის ნებაზე „გამოჩირკნილი“ პასუხები. ყველაფერს აღბათ დრო გვიჩვენებს. მანამდე კი უპრიანია ერთხელ კიდვე დავტკბეთ ე. კოვალევსკის უნიკალური ფოტოებით და სრულიად ქართველთა გულგასახეთქად „ვალიაროთ“: აი, ბატონო, ჰეშმარტი კოლხები და მოდით ეხლა და ნუ დავუჩერებთ ჰეროდოტეს!!!

1. ვალერიან ითონიშვილი, თედო სახოვიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში	3
2. ნანული აბესაძე, საქართველოს ქალაქებში მიმდინარე ეთნიკური პროცესების თავისებურებანი	16
3. დავით პავლიაშვილი, შებალეობის სტილი	
ვეფხისტყაოსანში	26
4. გურამ გეგეჭერი, საცხოვრებელ ნაგებობათა ერთი სახეობა საქართველოში (ფაცხა)	35
5. გულნარა ცეცხლაძე, ოჯახის სტრუქტურა იმერეთში	46
6. ნათელა კაპანაძე, ბავშვის აღზრდის ხალხური წესჩვეულებანი რაჭაში (ეთნოგრაფიული მასალების მიმოხილვა)	57
7. ოლეგ მელაძე, ქართულ-ვაინახური ეთნიკური და ყოფითი ურთიერთობის ისტორიიდან	69
8. გაბტანგ ითონიშვილი, ღვალთა მიგრაციის სტილისათვის	82
9. თამარ შარაბიძე, საქორწინო ურთიერთობის ისტორიიდან უდიებში (ქმრის სახლში ქალის გადასვლისთან დაკავშირებული რიტუალები)	98
10. მარიამ ილურიძე, მემინდვრეობის ისტორიიდან (სოფელი მარტყოფი)	108
11. ხათუნა იოსელიანი, სტუმრის მიღების წესი სვანეთში	117
12. ირმა კვაშილავა, სამურჩაყანოს ისტორიული აღგილები	130
13. დავით ჭითანავა, დასახლების ფორმა სოფელ ულისკარში	143
14. არჩილ კოხერეიძე, ოღონდ განძეული გადარჩენილიყო (ეპიზოდი ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებიდან)	158
15. მიხეილ მიქელაძე, მიქელაძეთა საგვარეულოს მუკლე ისტორია	176
16. მიხეილ ლაბაძე, კოლხები იძიუბუადან	181

